

მარია მარჯანიშვილი

ქართული ემიგრანტული მწერლობის
სამხრეთ ამერიკული პერიოდი

მარიამ მარჯანიშვილი

ქართული ემიგრანტული მწერლობის სამხრეთ
ამერიკული პერიოდი



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი 2014

რედაქტორი – პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

რეცენზენტები: პროფესორი ირაკლი კენჭოშვილი
პროფესორი სოსო სიგუა

მხატვრები: გიორგი ვართაგავა
მარი ნადირაშვილი

ფოტო - გელა ლაჭავა

© მარიამ მარჯანიშვილი, 2014

© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2014

ISBN 978-9941-450-50-1

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. წინათქმა.....	4
2. შესავალი.....	6
3. თავი I. სამხრეთ ამერიკაში ქართველთა მიგრაციის განმაპირობებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები. არგენტინაში ქართული დიასპორის ისტორიიდან.....	11
4. თავი II. ქართულენოვანი გამოცემები არგენტინასა და ჩილეში.....	26
ა) ჟურნალი „მაბული“ და საგანგებო რვეული „სახალხო საქმე“	
ბ) ბუნოს-აირესსა და სანტიაგო დე ჩილეში გამოცემული ქართული წიგნები.....	56
5. თავი III. სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ქართველი მწერლები.....	66
აკაკი პაპავა	67
თამარ პაპავა.....	118
ვიკტორ ნოზაძე.....	167
ლეონიდე ჭეიშვილი	207
6. summer	244
7. გამოყენებული ლიტერატურა.....	256

წინათქმა

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის - მარიამ მარჯანიშვილის ნაშრომი „ქართული ემიგრანტული მწერლობის სამხრეთ ამერიკული პერიოდი“ ქართული ემიგრანტული მწერლობის მონოგრაფიულად შესწავლის წარმატებული ცდაა.

ახალგაზრდა მეცნიერი ნაშრომის შესავალი ნაწილში აკონკრეტებს თავისი ნაშრომის უმთავრეს პრობლემებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი კვლევის საგანია სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტ მწერლთა შემოქმედების შესწავლა. მისი საკვლევადიებო სფერო საკმაოდ ფართოა და მრავალმხრივი. მიუხედავად ამისა, იგი წარმატებით ახერხებს ამ საპასუხისმგებლო მოვალეობისათვის თავის გართმევას და მართებულად გამოყოფს იმ საკვლევ პრობლემებს, რომელთა მეშვეობითაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ქართველი მწერლების, აკაკი და თამარ პაპაევის, ვიკტორ ნოზაძისა და ლეონიდე ჭვიშვილის შემოქმედებით წვლილზე XX საუკუნის ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაზე.

ნაშრომზე მუშაობის დროს მარიამ მარჯანიშვილმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა არა მარტო საქართველოში ამ მიმართულებით შექმნილი ყველა მნიშვნელოვანი ნაშრომი, არამედ უცხოეთში გამოცემულ ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში დასტამბული მასალებიც.

ნაშრომის მეცნიერულ ღირსებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ მკვლევარს ასევე საფუძვლიანად აქვს შესწავლილი საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ემიგრაციის მუზეუმში, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმებსა და ემიგრანტთა ახლობლების პირად არქივებში დაცული მასალები.

ნაშრომის პირველ თავში წარმოჩენილია – „სამხრეთ ამერიკაში ქართველთა მიგრაციის განმაპირობებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები. არგენტინაში ქართული დიასპორის ის-

ტორიდან", – წარმოჩენილია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპიდან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სამხრეთ ამერიკაში დევნილობის გამომწვევი ფაქტორები და მოთხრობილია არგენტინაში ქართული დიასპორის გაჩენის ისტორია.

მეორე თავი – „ქართულენოვანი გამოცემები არგენტინასა და ჩილეში" ორ ქვეთავს მოიცავს: ა) ჟურნალი „მამული" და საგანგებო რვეული „სახალხო საქმე" და ბ) ბუენოს-აირესსა და სანტიაგო დე ჩილეში გამოცემული ქართული წიგნები.

მონოგრაფიის აღნიშნული მონაკვეთი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ სარედაქციო საგამომცემლო საქმიანობაზე, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ჰქონდათ გაჩაღებული არგენტინასა და ჩილეში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს.

ნაშრომის მომდევნო თავებში საფუძვლიანადაა განხილული სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტ მწერალთა: აკაკი და თამარ პაპავების, ვიკტორ ნოზაძისა და ლეონიდე ჭეიშვილის შემოქმედებასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები.

მონოგრაფიის ამ მონაკვეთს განსაკუთრებულ ღირსებას სძენს ის ფაქტი, რომ მარიამ მარჯანიშვილმა სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოიტანა და მაღალ კვალიფიციურ დონეზე განიხილა დღემდე სრულიად უცნობი პოეტის, მეცნიერისა და მხატვრის ლეონიდე ჭეიშვილის მოღვაწეობის სამხრეთ ამერიკული პერიოდი.

დასახელებულ მწერალთა ემიგრანტული პერიოდის შემოქმედება განხილულია როგორც XX საუკუნის ქართული მწერლობის უმთავრეს ტენდენციებთან მიმართებით, ისე შესაბამისი პერიოდის ქართული ლიტერატურის კონტექსტში.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მარიამ მარჯანიშვილის წინამდებარე მონოგრაფია ახალი მასალებით ამდიდრებს და უფრო მეტად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას მეოცე საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობაზე.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

შესავალი

XX საუკუნის ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის კულტურული და საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. მათი ნაშრომები მეცნიერების, ლიტერატურის, პოლიტიკის, სამართლისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს გასაბჭოების ისტორიასთან, დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავისუფლების მოპოვებასთან იყო დაკავშირებული.

„ბროლეთარიატის დიქტატურის“ დამყარებამ, სახელმწიფოებრივი განვითარების ევროპულ გზაზე დამდგარ ჩვენს ქვეყანაში განაპირობა ეროვნული, პიროვნული და სოციალური თავისუფლების დაკარგვა. ახალი რეჟიმი მიუღებელი გახდა საქართველოს თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს მთავრობისათვის, მოწინავე ინტელიგენციისა და საზოგადოების დიდი ნაწილისათვის, რომლებმაც მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებს ერთი საერთო მიზნის მისაღწევად მიაშურეს. ეს იყო: საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღდგენა, რაც საერთაშორისო მასშტაბის გადასაწყვეტი საკითხი გახლდათ და მოითხოვდა მოქნილი პოლიტიკის გატარებას, წარსულის გამოცდილების გათვალისწინებას, საერთაშორისო მდგომარეობის მომწიფებასა და მაქსიმალურ მომზადებას, რადგან რუსეთი ნებაყოფლობით არ დათმობდა თავის „მონაპოვარს“ – საქართველოს და არც ბოლშევიზმთან პირისპირ ბრძოლა მოიტანდა სასურველ შედეგს.

პოლიტიკური ბრძოლის გზით ხელმოცარულმა ქართულმა ემიგრაციამ, რომლის მიზნები მაშინ პატარა ქვეყნებთან მიმართებაში დიდი „დერჟავების“ სურვილებს არ დაემთხვა, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ერთ-ერთ საიმედო მოვლენად და ძალისმიერ საშუალებად მეორე მსოფლიო ომში გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა მიიჩნია. აქედან გამომდინარე, ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი ანტი-საბჭოთა დაჯგუფებებსა და ორგანიზაციებში იმ პირობით გაერთი-

ანდა, რომ ნაცისტური გერმანიის უმაღლესი სახელმწიფო წრეები საქართველოს საკითხში ჩართულიყვნენ და მათი გამარჯვების შემთხვევაში საბჭოთა რუსეთის სივრციდან გამოეხსნათ ქართველი ერი, რომელიც საკუთარი ხელისუფლების საკითხს თვითონ გადაწყვეტდა.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად, გერმანულ ფორმირებებში გაერთიანდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვედნამყოფი ქართველებიც. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის ივლის-აგვისტოს პოტსდამის კონფერენციაზე, სტალინმა მკაცრად მოითხოვა ყოფილ სამხედრო ტყვეთა და საბჭოთა კავშირიდან 1939 წლამდე ემიგრირებულ პირთა სამშობლოში დაბრუნება. შეთანხმების თანახმად, ნაცისტური გერმანიის მხარესა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სხვადასხვა სამხედრო ფორმირებაში მებრძოლი ბევრი მეომარი, მათ შორის ქართველებიც, იძულებით იდევნებოდნენ ოკუპაციის საბჭოთა ზონაში, სადაც აპატიმრებდნენ და დახვრეტას უსჯიდნენ. დეპორტირებულთა შორის აღმოჩნდნენ სსრ კავშირიდან ერთ დროს ემიგრირებული პირები, რომლებიც რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ, ემიგრანტებად იქცნენ. მათ შორის იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ის ნაწილი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობდა ნაცისტებთან და მხარს უჭერდა გერმანიის პოლიტიკას. ამიტომაც მათ მთელს ევროპაში ინტენსიურად ეძებდნენ და აპატიმრებდნენ.

მოახლოებული საფრთხისაგან ქართველი ემიგრანტების დაცვის ერთადერთი მექანიზმი იყო ამერიკის კონტინენტზე, მეტწილად – სამხრეთ ამერიკაში, გადასახლება, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ სამხედრო ტყვეებსა და ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრაციას თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა მისცემოდა და წითლებთან დაბრუნება მხოლოდ ნებაყოფლობით მომხდარიყო.

გარდა ამისა, გამარჯვებული საბჭოთა კავშირი მთელი ევროპის „გაწითლებითაც“ იყო დაინტერესებული. საშიში პოლიტიკური ფაქტორები და დანგრეული ევროპის ეკონომიკური მდგომარეობა

რეობა საფრთხეს უქმნიდა ფაშისტური გერმანიის მხარდამჭერებს. მხოლოდ სამხრეთ ამერიკის ქვეყნები დებულობდნენ თავისუფლად სამხედრო ტყვეებს, სამოქალაქო პირებსა და სამხედრო დამნაშავეებს. აქედან გამომდინარე, ძირითადად, ქართული დიასპორის გაჩენაც სწორედ ამან განაპირობა არგენტინასა და ჩილეში.

სამხრეთ ამერიკაში დამკვიდრებულ ქართულ ინტელექტუალურ ელიტას კარგად ესმოდა, რომ პოლიტიკასა და იარაღზე უფრო ხშირად სიტყვას უფრო დიდი ძალა შესწევდა, ამიტომ მათ თავიანთ შემოქმედებაში ქართული სინამდვილე იმპერიალისტური და შემდეგ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფონზე წარმოაჩინეს.

მართალია, სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვანთა რაოდენობა მცირე იყო, მაგრამ მათ მაინც შეძლეს ქართული ემიგრაციის ისტორიაში საგულისხმოდ მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება.

სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე მწერლებმა აკაკი პაპავამ, თამარ პაპავამ, ვიკტორ ნოზაძემ და ლეონიდე ჭეიშვილმა ქართულ ლიტერატურას შესძინეს კონიუნქტურისაგან თავისუფალი, ჭეშმარიტ ღირებულებებზე ორიენტირებული სულიერი მემკვიდრეობა.

ისინი არგენტინასა და ჩილეში ლიტერატურულ-სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად პუბლიცისტურ და საგამომცემლო საქმიანობასაც ეწეოდნენ.

ამ მწერალთა შესახებ, ცნობილია, ცალკეულ ავტორთა საინტერესო წერილები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი საფუძვლიანად შესწავლა და ქართული ემიგრანტული მწერლობის საერთო კონტექსტში გააზრება ფაქტობრივად პირველად ახლა განხორციელდა.

ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასში გამოყენებულია ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენათა კვლევისას მიღებული პრინციპები. ქართველ ემიგრანტთა შემოქმედებითი, საგამომცემლო, კრიტიკული და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობა განხილულია სისტემურ ერთობლიობაში. ამასთანავე, აუცილებელი გახდა ცალკეული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული დახასიათება.

ნაშრომში ასევე საფუძვლიანადაა შესწავლილი დასახელებულ მწერალთა მეცნიერული და ჟანრობრივად მრავალფეროვანი მხატვრული შემოქმედება (ესეისტიკა, პუბლიცისტიკა, მემუარული და ეპისტოლური მეტყვიანობა), რომელთა სრულყოფილად დახასიათების მიზნით, სათანადო ყურადღება დაეთმო იმ პერიოდულ გამოცემებსაც, რომლებშიც მათი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა. ეს ჟურნალ-გაზეთებია: „ორნატი“ (პარიზი, 1934-1935 წწ.), „კავკასიონი“ (პარიზი, 1929-1932 წწ. № I-VIII; 1964-1975 წწ. № IX-XVIII), „თეთრი გიორგი“ (პარიზი, 1935-1939 წწ.), „ქართლოსი“ (პარიზი, 1937-39 წწ.), „ქართველი ერი“ (ბერლინი, 1944 წ.), „საქართველო“ (ბერლინი, 1944 წ.), „ქართული აზრი“ (ნიუ-იორკი, 1955-1974 წწ.), „მამული“ (ბუენოს-აირესი, 1951-1953 წწ.), „სახალხო საქმე“ (ბუენოს-აირესი 1952 წ.) და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯერ კიდევ ემიგრაციაში წასვლამდე დასახელებულ მწერალთაგან ყველა, გარდა ლ. ჭეიშვილისა, ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ-მეცნიერულ პროცესებში მონაწილეობდა. ამიტომაც, მათი შემოქმედების უკეთ წარმოსაჩენად, საჭირო გახდა ასევე ჩვენთან გამომავალი ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მათი ნაწარმოებების შესწავლაც. ეს ჟურნალ-გაზეთებია: „თეატრი და ცხოვრება“, „ქართული მწერლობა“, „ლომისი“, „მნათობი“, „ხელოვნება“, „სახალხო გაზეთი“, „იმერეთი“, „კოლხიდა“, „თემი“, „გრდემლი“, „საფირონი“, „პრომეთე“, „სოციალ-დემოკრატი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ცისარტყელა“, ქართველ მწერალ ქალთა სამხატვრო-სალიტერატურო „ალმანახი“ და სხვ.

საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ, მათ შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო იმძლავრა ემიგრანტისათვის დამახასიათებელმა ნოსტალგიამ. მათთვის სამყარო მხოლოდ ემიგრანტის თვალთა ადიქმებოდა.

იმისათვის, რომ რამდენადმე მაინც გაგვეცნობიერებია ქართველ ემიგრანტ მწერალთა ლიტერატურული ღვაწლი ჩვენი მწერლობის ისტორიაში, დეტალურად შევისწავლეთ აკაკი და თამარ პაპავების, ვიკტორ ნოზაძისა და ლეონიდე ჭეიშვილის არგენტინული პერიოდის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ახა-

ლი მასალები, რისთვისაც გამოვიყენეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსებული ქართული ემიგრაციის მუზეუმში, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული დოკუმენტები, მათ შორის ხსენებულ მწერალთა ეპისტოლეები, რომლებმაც სამხრეთ ამერიკაში მათი მოღვაწეობის დღემდე უცნობი მრავალი ახალი მხარე წარმოაჩინა.

მათი წიგნებისა და ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული ნაწარმოებების გარდა, ნაშრომში ასევე ფართოდაა გამოყენებული ხსენებულ შემოქმედთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი უცნობი საარქივო დოკუმენტები, პერიოდული პრესის მასალები, პირადი არქივები და დოკუმენტურ მასალებთან შეჯერებული ზეპირი გადმოცემები.

ასევე საფუძვლიანად იქნა შესწავლილი ის წერილებიც, რომლებიც აკაკი და თამარ პაპავებისა და ვიკტორ ნოზაძის შემოქმედებას მიუძღვნეს ქართველმა ემიგრანტებმა. ბევრ საინტერესო მასალას მივაკვლიეთ ქართველ ემიგრანტთა საქართველოში მცხოვრები ნათესავების პირად არქივებშიც.

წინამდებარე ნაშრომი პირველი მცდელობაა მთლიანობაში გაანალიზდეს აკაკი პაპავას, თამარ პაპავას, ვიკტორ ნოზაძისა და ლეონიდე ჭვიშვილის სამხრეთ ამერიკული პერიოდის შემოქმედებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები. ვფიქრობთ, ამით რამდენადმე მაინც შეივსება ის ხარვეზი, რომელიც ლიტერატურის ისტორიაში სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე მწერლებისა და მეცნიერების შემოქმედების შესწავლასთან დაკავშირებით არსებობს.



თავი I.

სამხრეთ ამერიკაში ქართველთა მიგრაციის განმაპირობებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, არგენტინაში ქართული დიასპორის გაჩენის ისტორიიდან

თავდაპირველად ტერმინი – დიასპორა პალესტინის გარეთ მცხოვრებ იმ ებრაელთა მიმართ გამოიყენეს, რომლებიც სამშობლოდან განდევნეს ძვ. წ. VI საუკუნეში ჯერ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ, მერე კი რომაელებმა ახ. წ. I-II საუკუნეებში. შემდგომში ეს ტერმინი გავრცელდა სომხების, ირლანდიელების, ჩინელებისა და საკუთარი ქვეყნიდან დევნილ სხვა ეთნოსებთან მიმართაც.

დიასპორას ანუ ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის სამშობლოს გარეთ ცხოვრებას იწვევდა იძულებითი გადასახლება, გენოციდის საფრთხე, პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედება, რასაც ქართველი ხალხი თავისი არსებობის დღიდან განიცდიდა.

ქართველი ერის მშობლიური წიაღიდან იძულებით მოწყვეტა განაპირობებული იყო საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით და იმით, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის გზად და ხიდად გადებულ გზაჯვარედინს, რომელიც მუდამ მოქცეული იყო მსოფლიო დამპყრობთა არეალში.

„საქართველომ სხვადასხვა დროს იწვნია: „კიმერელთა, სკვითთა, თრაკიელთა, რომაელთა, ბერძენთა, სპარსთა, არაბთა, თურქთა, მონღოლთა, თურქმანთა, და არა ერთი სხვა დამპყრობის მძლავრობის სუსხი. ერთიანი საქართველოს სხეულს ასევე დაუნდობლად ფლეთდა გარეშე მტერთა მიერ დაგებული ხვანჯები, წეწავდა გარედან წაქეზებული შინაგანი წინააღმდეგობანი და ბოლოს უღებდა ძმათა მკვლელი ომები" (გოთუა 1999:33).

საუკუნეთა მანძილზე საქართველო მაჰმადიანური ქვეყნების მძლავრობით ყოფნა-არყოფნის პირას იყო მისული. დამპყრობლები მძლავრ გავლენას ახდენდნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაზე, ეკონო-

მიკაზე, კულტურისა და ყოფიერების სხვადასხვა სფეროზე.

მუსლიმანური გარემოცვის გარდა XVIII საუკუნის მიწურულს, საქართველო რუსეთის იმპერიის სამიზნეც გახდა, საიდანაც იწყება ჩვენში ისტორიული ბელუკულმართობის ახალი ხანა. რუსეთის მიერ საქართველოს პირველ და მეორე ოკუპაციებს თან მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ანექსია. ამიტომაც, ემიგრაციის მძლავრმა ტალღებმა მრავალი ქართველი მოსწყვიტა სამშობლოს და მიმოფანტა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც მათ შექმნეს დიასპორები. ქართული დიასპორის სურვილი იყო სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ სურვილი ერთია და მკაცრი სინამდვილე მეორე. რუსეთი ნებით არ დათმობდა თავის მსხვერპლს – საქართველოს. ამიტომ პირისპირ ხმალამოღებული ბრძოლა ბოლშევიზმთან არაფერს მოიტანდა, რადგან საქართველოს საკითხი საერთაშორისო გადასაწყვეტი იყო და მის გადაჭრას საერთაშორისო მდგომარეობის სათანადო ევოლუცია მოამწიფებდა მხოლოდ. ამიტომ საჭირო იყო მოთმინება, საერთაშორისო მასშტაბით ქართული საქმის პროპაგანდა, მუშაობა ხელსაყრელი კონიუნქტურის შესაქმნელად, მომენტის დარაჯობა და მისი გამოყენებისათვის მაქსიმალური მომზადება, ისტორიული პერსპექტივების გათვალისწინება.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ღრმად სწამდა, რომ ქართველი ერის მიერ წარმოებული ბრძოლა ადრე თუ გვიან გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა.

1921 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ძირითად ცენტრს წარმოადგენდა ევროპა, სადაც თითქმის ორი ათეული წელი ინტენსიურად მიმდინარეობდა ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია. იქმნებოდა კონსოლიდაციის, ურთიერთდახმარებისა და ეროვნული სახის შენარჩუნების მიზნით ქართული კოლონიები, სათვისტომოები და ასოციაციები, რომლებმაც „დიდი როლი შეასრულეს ქართველობის ფიზიკური და მორალური გადარჩენისა და ემიგრაციაში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაგრძელების საქმეში“ (დაუშვილი 2007:34).

ამას გარდა, ქართული დიასპორა ყველაფერს აკეთებდა საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩენად, რის გამოც

მრავალი ასოციაცია თუ სექცია იყო შექმნილი.

პოლიტიკურ ასპარეზზე ხელმოცარული ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდი ნაწილი, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მრავალ ანტისაბჭოთა დაჯგუფებასა და ორგანიზაციაში გაერთიანდნენ. ეს იყო „ქართული ნაციონალური ლეგიონი“ (პარიზი 1941 წ.), „ქართული ნაციონალური კომიტეტი“ (ბერლინი 1941 წ.), „ქართული საკავშირო (სამოკავშირეო) შტაბი“ (ბერლინი 1943 წ.), პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“ (პარიზი 1942 წ.). გერმანელთა თვალში დიდი ნდობით სარგებლობდა ფაშისტური ყადის ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ (ხელმძღვანელი ლ. კერესელიძე). ყველა ეს ორგანიზაციები თავის საქციელს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მისი მოქცევის სურვილით ამართლებდა. ამას გარდა, გერმანელთა ინიციატივით შეიქმნა 1941-1942 წლებში სხვადასხვა ბანაკებსა და საკონცენტრაციო დაწესებულებებში მყოფ ტყვედ ჩავარდნილ ქართველთა დაკომპლექტებული „საქართველოს ნაციონალური ლეგიონი“, ასევე გერმანიის სარდლობის მეთვალყურეობით ჩამოყალიბდა „კავკასიური კომიტეტი“, რომლის მიზანი იყო ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და ჩრდილო კავკასიური კომიტეტის ბაზაზე კავკასიის დამოუკიდებლობის მიღწევა და ერთობლივი ანტისაბჭოთა საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.

იმ დროს, როცა გერმანია ომში საბოლოოდ დამარცხდა, გერმანიის მხარეზე მებრძოლი ქართული პოლიტიკური ემიგრანტებისა და ყოფილ სამხედრო ტყვეთა ევროპაში გაჩერება უკვე საშიში იყო, რადგან მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სტალინმა მოითხოვა საბჭოთა კავშირიდან ერთ დროს ემიგრირებულ პირთა და სამხედრო ტყვეებისა და დამნაშავეთა სამშობლოში დაბრუნება. ამას გარდა გამარჯვებულმა საბჭოეთმა მიზნად დაისახა ისეთი „მოხერხებული“ საზღვრები და ისეთი რეჟიმების არსებობა დაემყარებია აღმოსავლეთ ევროპაში, რომლებიც მის სტრატეგიას შეესაბამებოდა. ამ დროს კი მის საპირისპიროდ შეერთებულ შტატებს ომის ერთ-ერთ მიზნად გამოცხადებული ჰქონდა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენა და თვით-

მმართველობის დამყარება.

სწორედ ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის ამ განსხვავებული შეხედულებებმა წარმოშვა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ეჭვი და უნდობლობა, რაც შემდგომ ე. წ. ცივი ომის საფუძველი გახდა.

მეორე მსოფლიო ომის ბოლო თვეების მანძილზე, რაკი საბჭოთა სამხედრო ძალებმა მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა დაიკავეს, მოსკოვმა თავისი სამხედრო ძალა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიების მხარდასაჭერად და დემოკრატიული პარტიების გასანადგურებლად გამოიყენა. შესაბამისად, ევროპის სახელმწიფოების კომუნისტურმა პარტიებმაც თავიანთი ძალაუფლება და გავლენა გააგრძელეს რეგიონის ყველა ქვეყანაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „წითელი საფრთხე“ აღშფოთებდა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ომით დანგრეულ დასავლეთ ევროპას, ასევე ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას, რომლისთვისაც პოლიტიკურად არასტაბილურ და ეკონომიკურად დანგრეულ ევროპაში დარჩენა უკვე საშიში იყო. ამასთან, ადგილობრივი კომუნისტური პარტიები, რომელთაც მოსკოვი მართავდა, შეიძლება ხელისუფლების სათავეშიც მოსულიყვნენ და ამით ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასაც საფრთხე შეექმნებოდა.

ომით დანგრეულ ევროპაში ცხოვრება განსაკუთრებით მაშინ გახდა საშიში, როცა 1945 წლის ნოემბერში გერმანიაში, ქალაქ ნიურნბერგში, ჩატარდა დამნაშავეთა სასამართლო დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების გამოჩენილი იურისტების მონაწილეობით. „სასამართლო პროცესზე ნაცისტებს ომისა და ჰუმანიზმის კანონების დარღვევის ბრალდება წაუყენეს, რაც ებრაელებისა და სხვა ერების სისტემატური გენოციდით გამოიხატა. იგი ცნობილი იყო „განადგურების“ (Holocaust) სახელით“ (*ამერიკის ისტორიის ესკიზები 2005:284-285*).

ომის ეს უცნობი, საშინელი მხარე ბევრი ქართველისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა. ბევრ მათგანს გერმანელებთან თანამშრომლობისა და „ფაშისტური წარსულისათვის“, მათ შორის ორგანიზაცია ქართული ფაშისტური დარაზმულობის – „თეთრი გიორ-

გის" შექმნისა და მასში მონაწილეობისათვის ევროპის დატოვება მოუხდა. ომის შემდგომ დანგრეულ გერმანიაში შექმნილ მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების გამო, ევროპა დატოვეს მწერლებმა თამარ და აკაკი პაპავებმა, მათმა სიძეებმა ლეონიდე (ლეო) და საშა ჭვიშვილების ოჯახებმა, ვიკტორ ნოზაძემ.

ასე რომ, ევროპაში დამკვიდრებული ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილს უკვე მეორედ ისევ მოუხდა უცხოეთში ახალი საცხოვრისის ძებნა და ლტოლვილობა.

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დანგრეული ევროპიდან დიდ ტალღად მიაწყდნენ ამერიკას ლტოლვილები, რომელთა შორისაც, ემიგრანტებთან ერთად მრავლად იყვნენ ყოფილი „საბჭოთა ქართველებიც“, ომში ტყვედ ჩავარდნილი თუ თავიანთი სურვილით გერმანელთა მხარეზე გადასულნი. როგორც ცნობილია, 40.000 ტყვედ ჩავარდნილი ქართველიდან ბევრი ევროპაში დარჩა და საქართველოს პირველი ტალღის ემიგრაციას შეუერთდა.

40-იანი წლების ბოლოსა და 50-იან წლებში კი გერმანელებთან თანამშრომლობისათვის რეპატრაციის შიშით ერთი ნაწილი ამერიკაში, კანადასა და ავსტრალიაში გადასახლდა. ბევრმა ლათინურ ამერიკას მიაშურა და საფუძველი ჩაეყარა სათვისტომოებს არგენტინაში, ბრაზილიაში, ჩილეში, პერუში, ვენესუელასა და სხვა ქვეყნებში... („სამშობლო“ 2009:43).

„სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მეტი ლტოლვილი მიიღო არგენტინამ, რომლის პრეზიდენტი ხუან პერონი ნაციონალისტებს დიდად უთანაგრძნობდა.

ქართველთა უმეტესობა ბუენოს-აირესის გარეუბან ლომასდე-სამორაში დასახლდა. „1950-იან წლებში იქ საკმაოდ ხალხმრავალი, ას-კაციანი ქართული დიასპორა არსებობდა“ („სამშობლო“ 2009:43).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ შეკავების პოლიტიკა, რომლის ინიციატორად ამერიკის შეერთებული შტატები გამოდიოდა, მსოფლიო ხალხებთან ერთად, დიდ რწმენას უნერგავდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასაც, ტყვედჩავარდნილებსა თუ ლტოლვილებს, რომელთაც დიდი იმედით მიაშურეს გლობუსის მეორე მხარეს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ მიიღო არგენტინამ ასე ხელგაშლით ემიგრანტების დიდი ნაწილი და რატომ უთანაგ-

რძნობდნენ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მთავრობები განსაკუთრებით ნაციონალისტებს?

ამასთან დაკავშირებით, უპირველესად უნდა მოვუსმინოთ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს მიხაკო წერეთელს: „მთელი XIX საუკუნე შერყეული იყო ეროვნული ბრძოლებით... ჯერი სამხრეთ ამერიკელებზედ მიდგა... 1810 წელს ბუენოს-აირესში, კარაკასში და მექსიკაში დაიწყო ნამდვილი აჯანყება – ერთი დიდი აზრით, – სრული ჩამოშორება ესპანიის მონარხიისაგან და დაარსება საკუთარ სახელმწიფოთა. ამ მოძრაობიდან გამოვიდა თანამედროვე რესპუბლიკები სამხრეთ ამერიკისა“ (წერეთელი 1990: 144-145).

„ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა გადაიტანა „წითელი ისტერია“. ცნობილია, რომ რუსეთში განხორციელებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით მთელს სამხრეთ ამერიკაში გაძლიერდა მუშათა მოძრაობა. დიდ ქალაქებში შეიქმნა მარქსისტული ჯგუფები. გასული საუკუნის 20-იანი წლების შემდგომ დაარსდა კომუნისტური პარტიები. მთელს სამხრეთ ამერიკას მოედო აჯანყებები. ადგილობრივ იმიგრანტთა ძალისხმევით, 1933 წლიდან სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა სახელმწიფოში აქ მცხოვრებ გერმანელთა დაყრდნობით დაარსდა ასევე ფაშისტური პარტიები. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სამხრეთ ამერიკის მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა დროს აიკრძალა კომპარტიების, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირების, პროფკავშირების, მშრომელთა კონფერენციების საქმიანობა. 1947 წლიდან სამხრეთ ამერიკის მრავალმა ქვეყანამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა საბჭოთა კავშირთან“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1975:551).

ასე რომ, დემოკრატიისა და თავისუფლების დამკვიდრების გზაზე დამდგარი სამხრეთ ამერიკის ქვეყნები უკვე საშიში აღარ იყო ქართული პოლიტიკური ემიგრანტებისათვის. ამასთან ერთად, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას შესაძლებლობა ეძლეოდა, რომ კვლავინდებურად ებრძოლა პოლიტიკური და შემოქმედებით-მეცნიერული მუშაობის გზით საბჭოთა რუსეთის მიერ დამონებული სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ბუნებრივია, ქართული დიასპორა თავისი ეროვნული შეგნე-

ბის მოქმედებისა და ძლიერების, საბჭოთა დიქტატურასთან შეურიგებლობის გამო, პატივისცემასა და თანადგომას იმსახურებდა თავისუფლებისაკენ მსწრაფი სამხრეთ ამერიკელი ხალხისაგანაც.

განსაკუთრებით ეს ითქმის არგენტინის სახელმწიფოზე, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა 1919 წელს პირველმა აღიარა.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ ამიტომაც თანაუგრძნობდა ნაციონალისტებს არგენტინის პრეზიდენტი ხუან პერონი და სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მეტი ლტოლვილიც ამ ქვეყანამ მიიღო. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლებმა არგენტინაში შეასუსტა მემამულურ-ბურჟუაზიული დიქტატურის რეჟიმი. გაძლიერდა დემოკრატიული ძალები. „ასეთ ვითარებაში არგენტინის ბურჟუაზიულ ნაციონალისტურმა წრეებმა, რომელთაც სამხედრო ზედაფენა მეთაურობდა (გენერლების ა. როუსონის და პ. რამირესის, პოლკოვნიკ ხუან პერონის ხელმძღვანელობით), 1943 წელს სამხედრო გადატრიალება მოახდინეს.

ნეიტრალურმა არგენტინამ 1944 წლის იანვარში გაწვევითა დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასთან და იაპონიასთან, 1945 წლის მარტში კი ომი გამოუცხადა მათ. საომარი ვითარება არგენტინის მთავრობამ თავისი ეკონომიკური პოზიციების განმტკიცებისათვის გამოიყენა.

„1946 წელს პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა ხუან დე პერონმა. პერონისტების მთავრობამ არგენტინის ეკონომიკასთან ერთად განამტკიცა მუშათა მდგომარეობა. პრეზიდენტმა ხუან პერონმა არგენტინელ ნაციონალისტებთან ერთად, დაამთავრა არგენტინაში კომუნისტებისა და მოფაშისტო პარტიათა პარპაში" (*ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1975:551*).

ჯერ კიდევ ხუან პერონის პრეზიდენტობის დროს, არგენტინაში უკვე მრავალ-რიცხოვანი ქართული დიასპორა არსებობდა.

თუ თავდაპირველად არგენტინაში ორი ან სამი ქართველი ცხოვრობდა, 50-იანი წლების შუა ხანებში არგენტინის ქართველთა კოლონია უკვე 40-მდე ოჯახს ითვლიდა. იმ პერიოდში სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობდნენ ქართველები, მაგრამ ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობა მხოლოდ

არგენტინასა და ჩილეში ჩქეფდა.

„1950 წლის 29 ოქტომბერს, ვილა ბალესტერ, სან მარტინ №244-ში, შედგა ქართველთა კრება, მოწვეული განსაკუთრებული კომისიის მიერ. კრება ნაშუადღევს 4 საათზე გახსნა ბ. ზურაბ ციციშვილმა და მან მოუწოდა თავმჯდომარედ აერჩიათ ბ. აკაკი პაპავა, რომელმაც თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა: „განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველთა ერთად ყოფნისა და კულტურული მუშაობის გაჩაღებისა. ამ მიზნისათვის ყოველი ძალა გამოყენებულ იქნა...“ (*„მამული“ 1951:30*).

ამავე კრებაზე ლეო ჭეიშვილმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „შეგროვილია თანხა გენერალ სან-მარტინის ძეგლზე გვირგვინის დასადებად“. თავმჯდომარემ ბ. ა. პაპავამ არგენტინის განმათავისუფლებელ ბრძოლაში გენერალ სან მარტინის მნიშვნელოვან როლზე ისაუბრა. „სან-მარტინი არის, – თქვა მან, – სიმბოლო ერთა განთავისუფლებისა და ამიტომ ქართველებისათვისაც დიდად საპატიო პიროვნება. მოწოდების თანახმად კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გენერალ სან-მარტინის ხსოვნას“ (*„მამული“ 1951:30*).

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი არგენტინის ეროვნული გმირი, გენერალი ხოსე სან მარტინი 1810-26 წლების სამხრეთ ამერიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

ვილა ბალესტერში ჩატარებულ ქართველთა კრებაზე ჩამოყალიბდა „არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოება „წმინდა გიორგი“, რომლის თავმჯდომარედ ვიკტორ ნოზაძე აირჩიეს, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ – აკაკი პაპავა. გამგეობის წევრებად – დავით ლოლობერიძე, გრიგოლ ბუაძე, მიხეილ დიასამიძე, გაბო გოგელაშვილი; სარევიზიო კომისიის წევრებად – პოლიკარპე დგებუაძე, ვლადიმერ სააკაძე და გივი გელაშვილი.

არგენტინის ქართულმა დიასპორამ სათვისტომოს სახლისა და ეკლესიისათვის მიწის შესაძენად 7.000 პესო შეაგროვა. ეკლესიის უქონლობის გამო, ნათლობა, ქორწინება, წირვა, დაკრძალვისა და საფლავების კურთხევის ცერემონიები ბერძენთა კათედრალში ტარდებოდა ქართველი მოძღვრების ნიკოლოზ კობახიძისა და ნიკოლოზ ზამბახიძის მიერ.

ქართველთა კრებამ იმავე დღესვე მისალმება გაუგზავნა პრეზიდენტ ხუან პერონსა და მის მეუღლეს, ქალბატონ ევა დე პერონს. ამგვარივე დეპეშა გაეგზავნა ბუენოს-აირესის გუბერნატორს მერკანტესაც.

გუბერნატორისაგან მალე მიიღეს მათ მილოცვის დეპეშაც, რომლითაც ის ქართველებს მფარველობას აღუთქვამდა.

„არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოება „წმინდა გიორგის“ სხდომაზე ა. პაპავამ ქართულ დიასპორას შეახსენა ეკლესიის დიდი მნიშვნელობა ქართული კულტურის განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით, ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება „ჯვარი ვაზისა“ („მაბული“ 1951:30).

1952 წლის 5 იანვარს სათვისტომოს თავმჯდომარედ არგენტინის დიასპორამ კვლავ ვიკტორ ნოზაძე აირჩია, ზოლო გამგეობის წევრებად არჩილ საჩიძე, მიხეილ დიასამიძე, არკადი გორგოშიძე, ლეო ჭვიშვილი; სარევიზიო კომისია იგივე შემადგენლობით დატოვეს. იმავე წლის ივლისში ვიკტორ ნოზაძემ ჩილეში სამოღვაწეოდ გადასვლასთან დაკავშირებით, სათვისტომოს თავმჯდომარეობა დატოვა. კრებამ მას მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისათვის და სათვისტომოს თავმჯდომარედ თამარ პაპავა აირჩიეს. მის მოადგილედ ლევან ჯაფარიძე, გამგეობის წევრებად კი დიმიტრი ანანიასვილი, ზუტა ელიავა, გ. გალაშვილი, ი. შალელაშვილი, კარლო გვარჯალაძე, ზოლო სარევიზიო კომისიაში პოლიკარპე დგებუაძე, არკადი გორგოშიძე და მიხეილ ნადაშვილი.

არგენტინის ქართულმა დიასპორამ დიდი როლი შეასრულა ემიგრაციაში ქართული მენტალიტეტის შესანარჩუნებლად, რომლის გამოხატულება იყო სათვისტომოს მიერ ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

დიასპორის მიერ ევროპაში დამკვიდრებული ტრადიცია სამხრეთ ამერიკაშიც განაგრძეს არგენტინაში მცხოვრებმა ქართველებმა. აქ ყოველწლიურად ტარდებოდა შობა-ახალი წლის, ნინოობის, თამარობის, 26 მაისის და საერთო კავკასიური დღესასწაულები. ასევე იმართებოდა საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების რეპრესიების დროს დაღუპულთა ხსოვნის დღეები. აქტიურად აღინიშნებოდა სამგლოვიარო დღეებიც: 1921 წლის 25 თებერვალი

საქართველოს დაპყრობისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების თარიღები, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა პანაშვილები და ხსოვნის დღეები.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების სამელოვიარო კრებაზე სათვისტომოს წევრები მოგონებებით გამოდიოდნენ და შეფასებას აძლევდნენ ამ თარიღის მნიშვნელობასა და ტრაგიზმს. დაღუპულ გმირებს უხდიდნენ პარაკლისებს. აგვისტოს დღეებში დაღუპულთა გარდა, იხსენებდნენ ემიგრაციაში გარდაცვლილ ქართველებს. მაგალითად, 1951 წლის იანვარში მამა ნიკოლოზ ზამბახიძემ პანაშვიდი გადაუხადა ტიროლში გარდაცვლილ ბენია სახელაშვილს და სხვ.

ყველა ეს კულტურული ღონისძიება განსაკუთრებით ხელს უწყობდა ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ტრადიციების შესწავლას. და, რაც მთავარია, ამ კულტურული ღონისძიებებით უცხოელებიც ეცნობოდნენ ქართულ ეროვნულ ტრადიციებს. არგენტინაში ქართული დიასპორა მეგობარი ერებისა და იმ ქვეყნების დღესასწაულებშიც მონაწილეობდა, რომელშიც მოუწია ცხოვრება.

1952 წლიდან სამელოვიარო სხდომებს ატარებდნენ არგენტინის პრეზიდენტის ხუან პერონის მეუღლის – ევა პერონის მძიმე სენისაგან გარდაცვალების გამო.

არგენტინის ქართული დიასპორა ესწრებოდა ემიგრაციაში მყოფ მთიელთა, ლიტველთა, ლატვიელთა და ესტონელ წარმომადგენელთა ღონისძიებებს. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა მთიელებთან, რომლის შესახებ ჯერ კიდევ 1930 წლის 11 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე აღნიშნავდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ლავრენტი ბერია: „ჩვენს წინააღმდეგ დარაზმულია მთელი კავკასიის კონტრევილუციონერები და რომ მენშევიკები მჭიდრო კავშირში იმყოფებიან „გამორჩეულებსა“ („მუსავეტელებსა“) და მთიელებთან“ (სულაძე 2012:190).

არგენტინის ქართულ დიასპორაში თავიდანვე აიკრძალა „ძველ“ და „ახალ“ ემიგრანტებად ხალხის დაყოფა. ერთსულოვნე-

ბამ გაააქტიურა სათვისტომოს გამგეობა. მათ, ლიტველთა საზოგადოების კლუბის შენობაში ქართული კლუბი დააარსეს.

ამასთან ერთად, ქართული დიასპორა ზეიმობდა არგენტინელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულებს: – 25 მაისს (1810 წლის რევოლუციის წლისთავს) და 9 ივლისს (1816 წლის) – დამოუკიდებლობის დღეს.

ცნობილია, რომ „1810 წლის 25 მაისს ბუენოს-აირესში იფეთქა ანტიესპანურმა განმათავისუფლებელმა აჯანყებამ. პატრიოტებმა დაამხეს ვიცე-სახელმწიფოს ხელისუფლება (1776 წელს პერუს ვიცე-სამეფოსაგან შეიქმნა დამოუკიდებელი რიო-დე-ლა-პლატის ვიცე-სამეფო). 25 მაისის რევოლუციაში მონაწილეობდნენ ფართო მასები – გლეხობა, ბურჟუაზია, მემამულეები, ინტელიგენცია, რომელთაც შექმნეს ლა-პლატის (ესპ. la plata) მთავრობა.

„მეორე ეროვნული დღესასწაულის – 9 ივლისის საფუძველი იყო 1816 წლის 9 ივლისს ეროვნული კონგრესის მიერ ტუკუმანში გამოცხადებული ლა-პლატის გაერთიანებული პროვინციების დამოუკიდებლობა, რომლის ნიადაგზე იგი არგენტინის ფედერაციულ რესპუბლიკად, ანუ არგენტინად გარდაიქმნა“ (*ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1975:550*).

არგენტინის ქართული დიასპორის მიერ გამართულ ყოველ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ებრაელები, რაც ამ ორი უძველესი ერის მიერ ისტორიული ურთიერთობისა და სიყვარულის გამოძახილი იყო.

„ბუენოს-აირესის ისრაელნი-მოხუცნი და ახალგაზრდანი, ქალი და კაცი, რომელნიც ასე შორს იმყოფებიან და ყოველ ქართულ საქმეს გულმხურვალედ უდგანან, იმით იმსახურებენ საგანგებო პატივისცემას, რომ ქართული ენა და ადათები ასე მტკიცედ დაუცავთო“, – მხურვალედ აღნიშნავდნენ მომხსენებლები, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფდა ქართულ ტოლერანტობას და ორი ერის მრავალსაუკუნოვან ძმობისა და მეგობრობის გამოძახილს. „ქართველებთან ერთად მსგავს შეხვედრებში ქართული სიმღერებისა და ცეკვების შესრულებაში აქტიურობდნენ სარო ჩარტო, ესტერ ბიჭაშვილი, მოსე და მარია ხენელოვები, რაქელ ცეტოშვილი და სხვები“ (*„მამული“ 1951:31*).

ასე რომ, არგენტინის ქართული დიასპორა დიდ მნიშვნელო-

ბას ანიჭებდა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას, რაც იყო ერთიანობის ერთგვარი აქცია და საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მცდელობა. ახალი თაობისათვის ქართული ტრადიციების გაცნობის მიზნით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დღესასწაულების აღნიშვნას იმითაც, რომ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ ლექსებს, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ერთმანეთს ხვდებოდნენ, ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ, ეროვნული ლიტერატურისა და კულტურის ტრადიციებზე იზრდებოდნენ. თავისთავად, ეს ზეიმები ხელს უწყობდა ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას და ლტოლვას თავისუფლებისაკენ.

ამრიგად, ზემოთ დასახელებულ კითხვაზე დაბეჯითებით შეიძლება ვუპასუხოთ: XX საუკუნეში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სამშობლოდან გადახვეწის თავდაპირველი მიზეზი იყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და საბჭოური დიქტატურის დამყარებით ქართველი ხალხისთვის პიროვნული, ეროვნული და სოციალური უღლის დადგმა, პოლიტიკური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წართმევა, რასაც თავისთავად მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, ქართველი ერის გენოციდი: დახვრეტა, გადასახლება, თავისუფლების შეზღუდვა, შიმშილი, ქაოსი, სამშობლოდან გადახვეწა და სხვ. აქედან გამომდინარე, ამიტომ დაისახა მიზნად დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ და მისმა ინტელექტუალურმა ელიტამ უცხოეთში გახიზვნა და საერთაშორისო სამართლის გზით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ევროპაში მიმოფანტული დიასპორის მეორედ დევნილობის მიზეზი გახდა მეორე მსოფლიო ომი და მისგან გამოწვეული შედეგები.

მეორე მსოფლიო ომის დროს ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა ნაწილმა საქართველოს საბჭოთა რუსეთის სივრციიდან გამოხსნის მიზნით მრავალ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია ჩამოაყალიბა და გერმანულ ფორმირებებში შევიდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ქართული ფამისტური დარაზმულობა „თეთრი გიორგი“. სხვადას-

ხვა ანტისაბჭოთა დაჯგუფებებში გაერთიანდნენ ასევე საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვედმყოფი ქართველებიც. მათ გადაცემას საბჭოთა მხარისათვის სტალინი მკაცრად მოითხოვდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპის მრავალ ქვეყანაში საშიში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება განაპირობა საბჭოთა კავშირის მცდელობამ, რომ სოციალისტური წყობილების დამყარებითა და ადგილობრივი კომუნისტური პარტიების დახმარებით თავის გავლენის ქვეშ მოექცია დანგრეული ევროპა. ეს გარემოება თავისთავად საფრთხეს უქმნიდა ევროპის ხალხებთან ერთად ქართველ ემიგრანტებს, ტყვედ წაყვანილ პირებსა და ლტოლვილებს, რომელთა რეპატრაციას საბჭოეთი და მისი მეთაური სტალინი აშკარად მოითხოვდა.

საბჭოთა კავშირის მისწრაფებას – მთელს ევროპაში გავრცელებინა თავისი ძალაუფლება, შეერთებულმა შტატებმა და მისმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა შეკავების პოლიტიკა დაუბრუნა, მოითხოვა ომით დანგრეული ევროპის აღდგენა და ფართო ეკონომიკური დახმარება.

შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენა. 1948 წელს ამერიკის კონგრესმა ხმა მისცა ევროპის ეკონომიკის აღორძინების დახმარებას, რომელიც ცნობილია „მარშალის გეგმის“ სახელწოდებით.

შეერთებული შტატების ასეთი დიდი წარმატების მქონე პოლიტიკური ინიციატივა, მსოფლიო ხალხებთან ერთად, დიდ რწმენას უნერგავდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, რომლებმაც „წითელი საფრთხის“ წლები უკვე გაიარეს და მტკიცედ დაადგინეს დემოკრატიის გზას, ქართული ემიგრაციის ურთიერთობა და თანაცხოვრება უსაფრთხო გახდა. რასაც ზედ ერთვოდა სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების მთავრობათა განსაკუთრებული თანაგრძნობა ნაციონალისტებისა და საბჭოთა კომუნისტური დიქტატისაგან თავდაღწეულ ემიგრანტების მიმართ, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ: თავად რუსები, უკრაინელები, ლატვიელები, ლიტველები, ესტონელები, აზერბაიჯანელები, კავკასიელები და სხვ.

საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დემოკრატიულ რესპუბლიკად აღდგენისათვის მოქმედმა ინტელექტუალურმა ძალამ, რომელსაც სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ქართული დიასპორა შეადგენდა, იმთავითვე ჩამოაყალიბა თავისი მიზანი წერილში – „ჩვენი პირველი ნაბიჯი არგენტინაში“: „ქართველობა, რომელსაც თავისი მიწა-წყლის მიტოვება არ უყვარს, უფლება აყრილ სამშობლოს ვერ დაბრუნებია იქ დამყარებულ ბოლშევიკური წესწყობილების გამო. ბოლშევიკურ ძალადობას არ შერიგებია და კვლავ ბრძოლას განაგრძობს: იგი მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ თავისი ბრძოლის ხანაში ქართულმა ემიგრაციამ ამ შორეულ ქვეყანასაც მოაღწია და არგენტინა გახდა ქართველთათვის იმ კეთილსტუმართმოყვარე ქვეყნად, როგორც იგი ცნობილია ყველასათვის. ოღონდ არგენტინა ქართველთათვის მიმზიდველი და საყვარელი იყო არა მარტო თავისი სტუმართმოყვარეობით, არამედ პატარა და ჩაგრულ ერთა შემწეობითაც, იმ სიყვარულით, რომელიც არგენტინის ხალხმა ქართველთა გულში დანერგა“ („*მამული*“ 1951:2).

მიმართვა ჟურნალ „მამულის“ პირველ გვერდზე ესპანურ ენაზე იყო დაბეჭდილი, ხოლო ქართულ ენაზე იმავე ნომრის მეორე გვერდი იხსნებოდა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია არგენტინაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მომსწრეც გახდა, რაზეც ჟურნალ „მამულის“ მეოთხე ნომერი გვაუწყებს: „1951 წლის 11 ნოემბერს არგენტინის რესპუბლიკაში მოხდა საპრეზიდენტო არჩევნები. დიდი უმრავლესობა მიიღო პერონისტულმა პარტიამ. ეხლანდელი პრეზიდენტი იქნება მომავალ 1952-1958 წელთა განმავლობაში“ („*მამული*“ 1951:1).

ამ ინფორმაციასთან ერთად, პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ფოტო-ილუსტრაცია, რომელზეც ასახული იყვნენ პრეზიდენტი პერონი და მისი მეუღლე ევა პერონი საარჩევნო ყუთთან.

მართლაც, ყველა სახელმწიფოთა შორის მთელს მსოფლიოში, არგენტინა იყო ის პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს უძველესი სახელმწიფოს აღდგენა დაადასტურა და იურიდიულად ცნო მისი დამოუკიდებლობა 1919 წელს. საქართველოს არ დავიწყებია და არც დაივიწყებს ამ მოვლენას. მტრის ძალადობის შედეგად ევროპიდან გახიზნულ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას

პირველმა არგენტინამ გაულო კარი და თავშესაფარი მისცა. იმ დროისათვის ქართული დიასპორა სარგებლობდა ქვეყანაში დამკვიდრებული სამართლიანობით, რომელიც დიდი არგენტინის შემქმნელმა და ხელმძღვანელმა, პრეზიდენტმა ხუან პერონმა და მისმა მეუღლემ ევა პერონმა დააწესეს და განახორციელეს.



არგენტინის პრეზიდენტი
ხუან პერონი



არგენტინის პრეზიდენტის
მეუღლე ევა პერონი

„საქართველოს არ დავიწყებია და არც დაივიწყებს ამ მოვლენას, რაცა მცირის ძალადობის შუღვად მის გახიზნულ შვილთ არგენტინამ კარი გაუღო და თავშესაფარი მისცა.

დღეს ამ ქვეყანაში ეს ქართველმა საბჭოელებს იმ სამართლიანობით, რომელიც დიდ არგენტინის შემქმნელმა და ხელმძღვანელმა, პრეზიდენტმა ხუან პერონმა და მისმა მეუღლემ ევა პერონმა დააწესეს და განახორციელეს“ („მამული“ 1951:2).

თავი II.

ქართულენოვანი გამოცემები არგენტინასა და ჩილეში

ა) ჟურნალი „მამული“ და საგანგებო რვეული „სახალხო საქმე“

როგორც აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 50-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთი ნაწილი სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში დამკვიდრდა.

არგენტინაში ჩასულ ემიგრანტთა უმეტესობა ბუენოს-აირესის გარეუბანში – ლომას-დე-სამორაში დასახლდა. ქართველმა ემიგრანტებმა აქ, ღიასპორის დაარსებასთან ერთად, ბეჭდური კრებულის გამოცემაც დაიწყეს.

1951 წლის მარტში გამოვიდა ჟურნალ „მამულის“ პირველი ნომერი, რომელიც მშობლიური ისტორიის, მწერლობისა და კულტურის ამსახველი კრებული იყო. „მამულს“ ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა ილიას სიტყვები:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება.“

პირველი ნომერი იყო 32 – გვერდიანი, რომლის ნუმერაცია შემდეგ ნომერებშიც გრძელდებოდა.

ჟურნალის სათაური შეასრულა მხატვარმა ვლადიმერ სააკაძემ (იაშვილმა), რომელსაც „მამულის“ პირველი ნომრის 32-ე გვერდზე შემდეგი აღნიშვნაც ადასტურებს: „ჟურნალის პირველი სათაური გაკეთებულია მხატვარ ლადო სააკაძის მიერ“.

რუბრიკების სათაურები ეკუთვნოდა პარიზელ მხატვარ ფელიქს ვარლამიშვილს, რომელსაც დასავლეთის სამხატვრო სამყაროში „ვარლას“ სახელით იცნობდნენ. მისი რეპროდუქციები ჟურნალის თითქმის ყოველ ნომერში იყო დაბეჭდილი.

პირველ ნომერში ესპანურ და ქართულ ენებზე გამოქვეყნებული მეთაური წერილის – „ჩვენი პირველი ნაბიჯები არგენტინაში“ – გარდა, ამავე ნომრის II-III გვერდებზე ასევე ესპანურ ენაზე იყო დაბეჭდილი დოქტორ არჩილ ხაჩიძის წერილი Georgia,

რომელსაც თან საქართველოს რუკაც ახლდა.

ჟურნალს დამფინანსებლები და ხელის მომწერები ჰყავდა როგორც არგენტინის ქართულ დიასპორაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაშიც.



საშხრეთ ამერიკაში 1951-53 წლებში გამომაგალი პირველი ქართული ბეჭდური ორგანო ჟურნალი „მამული“.



მხატვარი ლადო სააკაძე (ერასტი იაშვილი) ჟურნალ „მამულის“ სათაურის ავტორი



მხატვარი ფელიქს ვარლამიშვილი ჟურნალ „მამულის“ რუბრიკისა და ნახატების ავტორი

ჟურნალი ასევე ფინანსდებოდა არგენტინის სათვისტომოს მიერ ჩატარებული ღონისძიებებიდან შემოსული თანხებითაც.

„მამულის“ რედაქტორი ყოველ ნომერში მაღლობას მოახსენებდა (სიისა და თანხის ჩვენებით) იმ პირთ, „რომელთაც კეთილი ინებეს და სათანადო წვლილის გაღებით შესაძლებელი გახადეს კრებულის გამოცემა.“ დამფინანსებელთა შორის ყოველ ნომერში მოხსენიებული იყვნენ: არჩილ ხაჩიძე, აკაკი პაპავა, ლეო ჭეიშვილი, ზურაბ ციციშვილი, ლევან ჯაფარიძე და სხვ.

„მამული“ ანტიკომუნისტური ხასიათის გამოცემა იყო. იმ მრავალფეროვან, ურთიერთდაპირისპირებულ ჟურნალ-გაზეთების ფონზე, რომელთაც ქართული ემიგრანტული პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები თუ „თეთრი გიორგიელები“ უცხოეთში სცემდნენ, სამხრეთ ამერიკაში ქართული მხატვრული და მეცნიერული შინაარსის ჟურნალ „მამულის“ გამოჩენა ახალ სიტყვას წარმოადგენდა ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში. ჟურნალის რედაქტორი და კორესპონდენტები აზრთა სხვადასხვაობისა და მრავალ საკითხში უთანხმოების მიუხედავად, ერთ მიზანს ემსახურებოდნენ: ეს იყო საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა და თავისუფლება, რაც თავისთავად მთელი ქართული ემიგრაციის პრინციპულ საკითხს წარმოადგენდა.

საერთოდ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის როლი უცხოეთში უპირველესად საქართველოს ინტერესების დაცვითა და მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლით განისაზღვრებოდა. ჟურნალ „მამულის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მასალებიდან ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ვიკტორ ნოზაძის სტატიები:

1. „საქართველო და რუსეთი“ (წერილი პირველი), 1951, №1;
2. „საქართველო და რუსეთი“ (წერილი მეორე), 1951, №2;
3. დონაური (ვ. ნოზაძე), „ამერიკის შეერთებული შტატები და ემიგრაციაში მუშაობა“, 1951, №3;
4. ბ. ვარდანი (ვ. ნოზაძე), „ქართული თეატრის ასი წლისთავი“, 1951, №3;
5. „საქართველო და ევროპა“, 1951, №4;
6. ბ-ნ ვ. ნოზაძე - „მამა ფილიპე დე რეჟის“, 1951, №4;
7. მიმართვა ეროვნულ საბჭოს პარიზში,

1952, №5; 8. საახალწლოდ, 1953, №6.

ჟურნალის ფურცლებზე ვიკტორ ნოზაძის წერილები, გარდა საკუთარი გვარ-სახელისა, დასტამბული იყო შემდეგი ფსევდონიმებით: ბ. ვარდანი, ვერიკო სოსანი, ბ. ბებურიშვილი, მოძველი, ნიკრისელი, თამაზ ჩილაია, ლიკსუსი, ღონაური, თამარ ვარდანაძისა.

მსგავსი თემატიკის წერილებიდან ასევე საყურადღებო იყო ჟურნალ „მამულში“ გამოქვეყნებული აკაკი და თამარ პაპავების შემდეგი პუბლიკაციები:

1. აკაკი პაპავა, საქართველოს დიპლომატიური გამარჯვება 1783 წ. (ისტორიული ნარკვევი), №1, 1951, გვ. 9-13;

2. ქეიბური (აკაკი პაპავას ფსევდონიმი), 1801 წლის შემდგომ გარდახვეწილ ბატონიშვილთა პოეზია, №1, 1951, გვ. 14-17;

3. აკაკი პაპავა, საქართველო-რუსეთის იურიდიული ურთიერთობა, №1, 1951, გვ. 18-20;

4. აკაკი პაპავა, საქართველოს სამეფოს უკანასკნელი ამბები, №2, 1951, გვ. 40-42;

5. კახაბერი (აკაკი პაპავას ფსევდონიმი), კიდევ ერთი ოცდაექვსი მაისი, №2, 1951, გვ. 52-54;

6. აკაკი პაპავა, ქართული თეატრის სათავეებთან, №3, 1951, გვ. 79-85;

7. თამარ პაპავა, მაღლიანი შრომა (ძველი ქართული თეატრის ცხოვრებიდან), №3, 1951, 83-85;

8. აკაკი პაპავა, ერთი ისტორიული თარიღის გამო (50 წელი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბებისა) №3, 1951, გვ. 93;

9. აკაკი პაპავა, საქართველოს საკითხი და რუსეთის სახელმწიფო საბჭო, №4, 1951, გვ. 104-108;

10. თამარ პაპავა, იმერეთის უკანასკნელი ამბები და დედოფალი მარიამი (დაწერილია ჰამბურგში 1944 წელს), №5, 1952, გვ. 134-140; №6, 1953, გვ. 210-215;

11. გაუტეხელი (აკაკი პაპავას ფსევდონიმი), „მიდიან“ სამბიმრის მაგიერ, №5, 1952, გვ. 154;

12. აკაკი პაპავა, ჩვენი პრეზიდენტი, №6, 1953, გვ. 161-164; „მამულის“ ფურცლებზე ჟურნალის რედაქტორის ვიკტორ

ნოზაძის, აკაკი და თამარ პაპაძეების შემოქმედების გარდა, აქტიურად იბეჭდებოდა ევროპიდან და ამერიკიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები, ლიტერატურული ნაწარმოებები, მეცნიერული, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის ნაშრომები და სხვ.

პოლიტიკური შინაარსის წერილებიდან აღსანიშნავია თეიმურაზ ბაგრატიონის პუბლიკაცია „ქართველი ერის უფლებათა დასაცავად“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ნიუ-იორკში დაარსებულმა ქართველ-ამერიკელთა ლიგამ, რომლის თავმჯდომარე იყო ცნობილი ლიტერატორი და ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი, მისი მოადგილე პავლე კვარაცხელია, ხოლო მდივანი გივი კობახიძე, 1951 წლის 3 ოქტომბერს, გაერთიანებული ერების სამდივნოში, ერთა ლიგის მემორანდუმში შეიტანა. მასში გადმოცემული იყო: „საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა, რუსეთის მიერ პირობის დარღვევა და უხეში ძალით საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოსპობის ფაქტები“ („მამული“ 1951:114).

მემორანდუმს დართული ჰქონდა დამატებები: საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ამონაწერები, საქართველოს ურთიერთობა ერთა ლიგასთან, სია იმ სახელმწიფოთა, რომელთაც 1918-21 წლებში სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს ხელშეკრულების ამონაწერები და აჯანყებათა სია 1802 წლიდან 1937 წლამდე.

სტატია ასევე მოგვითხრობს, რომ პრესის წარმომადგენელთათვის თეიმურაზ ბაგრატიონმა იმავე წლის 5 ოქტომბერს საქართველოს საკითხზე მოიწვია კონფერენცია, რომლის შესახებ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ფურცლებზე ვრცელი ანგარიში დაიბეჭდა სათაურით: „ქართველები უარჰყოფენ სტალინის უფლებას ილაპარაკოს საქართველოს სახელით“. სტატიაში შემდეგ აღწერილი და დასაბუთებული იყო თვით კონფერენციის ჩატარების მიზანმიმართულება და ქართველი ხალხის უფლებები.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პოლიტიკური ხასიათის ნაშრომებიდან ასევე ყურადღებას იქცევს ფრანგულ ენაზე დაწერილი მოგონება ქართველი პოლიტიკური მოღვაწის – ხარიტონ შავიშვილისა. მის ქართულ თარგმანში თხრობა ყმაწვილობის წლებიდან იწყებოდა. შინაარსის მიხედვით, ავტორი ჯერ ბათუმში მოხვდება

და თავის ძმასთან ერთად რევოლუციურ მუშაობაში ჩაებმება. აქ თვალწინ იშლება რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდების მუშაობა, ბრძოლა, გაფიცვათა მოწყობა ბათუმში, ქადაგების წამოწყება გურიაში...

ჟურნალის რედაქტორი ვ. ნოზაძე ამ მოგონების შესავალში აღნიშნავდა: „აქ ჩვენ ვხვდებით შემდეგ ხანაში უკვე ცნობილ პირთა სახელებს: ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, რაფაელ ჩიხლაძეს და სხვებს. ასევე მოთხრობილია რუსეთ-იაპონიის ომის ამბები და ბოლშევიზმ-მენშევიზმის ისტორია. აღწერილია ბათუმისა და ქუთაისის ამბები, ჭიათურის ეპოპეა“ (*„მაბული“ 1953:206*).

მოგონებაში თანამიმდევრულადაა გადმოცემული ავტორის დატუსალების ამბავი, ქუთაისისა და მეტეხის ციხეებში ყოფნა, საბოლოოდ ციმბირში გადასახლება და იქიდან გამოპარვა... განსაკუთრებით საინტერესო და მრავლისმთქმელი ეპიზოდია ხარიტონ შავიშვილის მიერ საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ თანამებრძოლებსთან შეხვედრა: „შევეჩხე ერთ გენერალს, რომლის დანახვამ შემაშინა. გამგემ (რესტორანისა „კახეთია“) წამჩურჩულა – თავადი ორბელიანია. და ამან უცბად მომმართა წმინდა ქართულით: – ჩემო ძვირფასო შვილო, რა დასთესე ისეთი, რომ ამდენი ტანჯვანი დაიმსახურე?! ჩვენი ხალხის ყველა საუკეთესო შვილები ილუპებიან ციხეში ან ციმბირის გადასახლებაში! მე თქვენ გეუბნებით: რუსული იმპერიალიზმი ჯერ კიდევ იმდენად დიდად ძლიერია, რომ არ შეგვიძლია მისი გადაყირავება, - თუ არა მეც ხომ თქვენთან ერთად ვიქნებოდი ჩვენი ძვირფასი საქართველოს განსათავისუფლებლად-ო!“ (*„მაბული“ 1953:206*).

დამოწმებული ამონარიდიდან აშკარად იკვეთება მთავარი იდეა, რომ ქართველებს თავისუფლების მოსაპოვებლად მართებდათ მოთმინება და შესაფერის მომენტში დიდი ეროვნული მუხტის გაღვივება.

ამავე ნომერში დაბეჭდილი იყო ზაქარია გურულის პოლიტიკური შინაარსის მოგონებაც, რომელზეც გამოცემული ვალიკო ჩუბინიძე აღნიშნავდა: „სურვილი მქონდა ამ წიგნაკთან დაკავშირებით აღმეწერა მაშინდელი ცხოვრება და მოგონება იმ პირთა შესახებ, რომელნიც აქ დასახლებული არიან, მაგრამ უდროობისა გა-

მო ეს ვერ მოვახერხე და ამიტომ იძულებული ვარ ეს წერილი ამ წიგნაკით შემოვფარგლო" („მაბული“ 1953:206).

ვ. ჩუბინიძემ აღნიშნული წიგნაკი 1951 წელს დაბეჭდა პარიზში. რედაქტორი ვ. ნოზაძე ამ მოგონებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ზაქარია გურულის ეს მოგონება მოკლედ და სხარტულად არის დაწერილი სულ სხვა მიზნისათვის – „სოციალისტური ენციკლოპედიისათვის“, თორემ მისი ცხოვრება იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განუყრელი ნაწილი 1903 წლიდან უკანასკნელამდე, ბოლშევიკების დროსაც“ („მაბული“ 1953:206).

ამ მცირე მოგონებაშიც მოკლედ და მკაფიოდ იყო აღწერილი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება ჭიათურაში, 1903 წლის გამოსვლები, 1905 წლის ამბები, წითელი რაზმის შექმნა, ბრძოლა მეფის რუსეთთან, შემდეგ ტენგინსკის პოლკის განიარაღება, რევოლუციის დამარცხება, რაზმების დაშლა და არალეგალური მუშაობის დაწყება. ბოლოს მოთხრობილი გახლდათ ჭიათურაში მუშათა გაფიცვების შესახებ, დატუსაღების ამბავი, ქუთაისის ციხიდან ხვრელის გაყვანა და გაპარვა...

ამ ამბებთან დაკავშირებით მთავარი ის გახლდათ, რომ საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ერი და ბერი, გლეხი თუ თავადი ერთსულოვანი იყო.

ზაქარია გურული წერდა: „აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენში, როგორც უცხოელთა მპყრობელობაში მყოფ ერში, მაღალი წოდებაც კი, როგორც მთელი საქართველო დაპყრობილი იყო. მართალია, XX საუკუნის დასაწყისში ის ღია ბრძოლას არ აწარმოებდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაგრამ სამაგიეროდ არამც თუ ხელს არ უშლიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრძოლას, არამედ თანაუგრძნობდა კიდევ. გვაძლევდნენ ბინას დევნილებისათვის, გვეხმარებოდნენ დატუსაღებულთა გამოსახსნელად და სხვა“ („მაბული“ 1953:207).

სარიტონ შავიშვილისა და ზაქარია გურულის ზემოხსენებულ მოგონებათა წინასიტყვაობები და კომენტარები დაწერილი იყო – ვიკტორ ნოზაძის მიერ, რომლის აზრით: „დროა უკვე, ეს ძვირფასი ისტორიული მასალა, რომელსაც ყოველი მოგონება წარმოადგენს, უცხოეთში მაინც იბეჭდებოდეს და უკვალოდ არ

განიბნეოდეს" (*„მამული“ 1953:206*). მათ ვ. ნოზაძე „მოძველი“-ს ფსევდონიმით აწერდა ხელს.

ჟურნალ „მამულის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მასალებიდან საყურადღებოა შემდეგი საინფორმაციო სახის წერილები: დავით საღირაშვილის „სათეატრო ენციკლოპედიის გამოცემის გამო“, რომელშიც იგი „არგენტინელ თანამემამულეებს თხოვს, მიაწვდინოს მასალები ქართული თეატრის შესახებ იტალიური დიდი ენციკლოპედიისათვის" (*„მამული“ 1952:155*).

და მეორე, სან-ფრანცისკოდან თენგიზ დადემქელიანის „მამულის“ რედაქციისათვის გამოგზავნილი ინფორმაცია, რომელშიც ავტორი იტყობინებოდა: „მე ადგილობრივ ქართველთა სახელით მივმართე სან-ფრანცისკოში შეერთებული შტატებისა და კანადის მართლმადიდებლური ეკლესიის უფროსს, მიტროპოლიტ ლეონტის და ვთხოვე, რათა ჩვენი სიამაყე, ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო მოიხსენებოდეს წირვის დროს. მიტროპოლიტი ჩვენს წინადადებას დიდი ყურადღებით შეხვდა და დააკმაყოფილა კიდევ. ბედნიერი ვარ გაუწყოთ, რომ ეს მცირედი მიღწევა მაინც მოხერხდა ჩვენს ემიგრანტულ პირობებში და ჩვენი მოციქული და განმანათლებელი წმ. ნინო დღეიდან წირვის დროს იხსენიება" (*„მამული“ 1952:155*).

ეს ორივე ინფორმაცია ნათელი მაგალითია იმისა, რომ ემიგრანტები უცხოეთში მუდამ ქართული საქმის წინსვლით იყვნენ დაინტერესებულნი და ფესვები ყოველთვის ქართულ მიწაში ჰქონდათ გადგმული.

„მამულის“ მესამე ნომერში ასევე მოთავსებული იყო ინფორმაცია ლონდონიდან, რომელიც არჩილ მეტრეველს შეეხებოდა. კორესპონდენტი მიუხსენიდან განმარტავდა: „არჩილ მეტრეველს არ ჩაუდენია არავითარი კვაჭობა ლონდონში, ვინაიდან მას იქ საქართველოს წარმომადგენლად თავი არ გაუსადებია. მან ინახულა გენერალი ანდერსი მხოლოდ როგორც პარიზის ორგანიზაციის წარმომადგენელმა..." (*„მამული“ 1952:155*).

ჟურნალ „მამულში" დაბეჭდილი ინფორმაციული ხასიათის წერილებიდან მეტად საყურადღებო გახლდათ შ. აბდუშელის სტატია „ქართველთა შორის", რომელშიც განხილული იყო „საქართველოს ეროვნული საბჭოს" მიზანი, დაარსების მნიშვნელობა, საბჭოს

მიერ შემუშავებული წესდების პროექტი, წევრთა რაოდენობა, საბჭოს ორგანული კავშირები სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ ემიგრაციასთან. მიმართვაში აღნიშნული იყო: „როცა ერი პირაკრულია შემოჭრილი მტრისაგან – ემიგრაციას მართებს ამტყვევლება. როცა ერის ნებისყოფა შებოჭილია რკინის არტახებით, თავისუფალ ქვეყნებში გახიზნულ მის შვილთ მართებთ ბრძოლა და მოქმედება მისი განთავისუფლებისათვის. მათ აქვთ ამის უფლება და აძევთ ამის მოკალეობა" („მაშული" 1951:112).

ქართველ ემიგრანტთა შორის არსებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით საინტერესო გახლდათ „მაშულის" რედაქციის განცხადება: მხილებანი „წვალებათა საპასუხოდ", სადაც რედაქცია დაპირისპირებულებს შემდეგ პასუხს სცემდა: „ამ 30 წლის განმავლობაში ქართული ემიგრაცია ღირსეულად ვიდოდა ეკლიანი გზით და ქართული სიტყვა, ღირსება და ვინაობა მათ ერთგულად შემოინახეს, მცდარი ნაბიჯი ვერ გადაადგმევინეს, მაგრამ იყვნენ ლაჩრები, ქართველთა სახელით მოვაჭრენი და თავიანთი კეთილდღეობისათვის მოძმეთა გამცემი" („მაშული" 1951:120).

ზემოხსენებულ ინფორმაციაში ქართველთა ღირსების შემბლაღვი ეპიზოდები შეჩვენებული, მხილებული და დაგმობილი იყო.

„ერთი ბრალდების გამო" ცილისმწამებლური ინფორმაცია გახლდათ, რომლის ავტორი ლაპარაკობდა ბატონ ალშიბაიას ბრალდების შესახებ. ამ უკანასკნელმა სიძის დაწინაურების მიზნით მოისყიდა ერთი გლეხი ჯარისკაცი და ყალბი საბუთების საფუძველზე გერმანელებს მოახსენა: „თითქოს ბავარიის ქართული ბატალიონის მეთაური კაპიტანი ალექსანდრე წიკლაური აწყობდა შეთქმულებას გერმანიის წინააღმდეგ. ამ მოტივით წიკლაური დახვრიტეს" („მაშული" 1953:205).

ეს იყო საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტთა მუშაობის შედეგი, რათა ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის ლიდერთა შორის კიდევ უფრო დაეძაბათ უნდობლობა და დაპირისპირება.

ჟურნალის ფურცლებზე ინფორმაციული ხასიათის წერილები მოთავსებული იყო ქუდის ქვეშ „სხვა და სხვა," რომლის ერთ-ერთ ინფორმაციაში ვკითხულობთ: „ბუენოს-აირესში, უნივერსიტეტის ახალ შენობაში მოწვეულ იქნა არგენტინის რესპუბლიკის

ყველა პერიოდულ გამოცემათა თანამშრომლებისა და მწერლების ყრილობა, რომელიც დიდი ზეიმით ჩატარდა. ყრილობას საგანგებო სიტყვებით მიესალმა რესპუბლიკის პრეზიდენტი, გენერალი ზუან პერონი და მისი მეუღლე ქ-ნ ევა პერონიც. ჩვენი გამოცემა „მამული“ დაშვებულ იქნა ამ ყრილობაზე, როგორც სრულუფლებიანი წევრი და ჩვენი წარმომადგენელი ბ-ნ აკაკი პაპავა მონაწილეობას იღებდა ყრილობის ყველა სხდომაზე" („მამული“ 1951:16).

ინფორმაცია იმის მიმანიშნებელია, თუ რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ჟურნალი „მამული“ არგენტინის საინფორმაციო წყაროებში.

ამავე ქულის ქვეშ მოქცეული იყო ერთი ასეთი საყურადღებო კორესპონდენციაც, რომელშიც გადმოცემული იყო 13 ოქტომბერს გამართული არგენტინის ქართული საზოგადოების საგანგებო კრების მუშაობა. მასში განხილული იყო პარიზიდან მიღებული ინფორმაცია ეროვნული ყრილობის დაარსების შესახებ: „კრება მიესალმა ამ განზრახულ ნაბიჯს და ვინაიდან არგენტინის ქართულ საზოგადოებას არ შეეძლო თავისი დელეგატის გაგზავნა პარიზის ყრილობაზე დასასწრებლად, ამიტომ თავის დროებით წარმომადგენლად ეროვნულ საბჭოში მონაწილეობის მიღებისათვის აირჩია ბ-ნი ფილიპე შარაძე" („მამული“ 1951:16).

ეს ინფორმაციები ცხადყოფს, უცხოეთში მცხოვრები ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თუ როგორ აწარმოებდა სიტყვითა და კალმით ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასა და დემოკრატიული მსოფლმხედველობის სრული სისავსით წარმოჩენას.

ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით გაჟღენთილი და ღრმად ჰუმანისტური ხასიათის პუბლიკაციის – „მამა ფილიპე დე რეჟის“ ავტორი ვ. ნოზაძე მოგვითხრობდა: „ეს სახელი ქართული ფართო საზოგადოებისათვის უცნობია; მაგრამ მას იცნობს ყველა ქართველი, ვინც ომის ნგრევათა შედეგად იტალიაში მოხვდნენ და საშინელ პირობებში ჩაცვივდნენ როგორც ნივთიერად, ისე განსაკუთრებით იმ ნადირობის გამო, რომელიც წითლებმა გამართეს ემიგრანტების შესაპყრობად. რუსის ბოლშევიკები, თავის მეგობარ იტალიელ ბოლშევიკებთან ერთად, დაძრწოდნენ და ეძებდნენ ქართველებს დასაჭერად" („მამული“ 1951:114).

ამას გარდა, გადმოცემულია, თუ როგორ იჭერდნენ იტალიაში ემიგრანტებთან ერთად ყოფილ საბჭოთა ჯარისკაცებსა და „სამხედრო ღამნაშავეებს“ და წითლებს აბარებდნენ. ამ დროს მათ მხსნელად მოევლინენ რომის ეკლესიებისა და მონასტრების ბერები და მონაზონები: „ესენი იყვნენ რომ ფარავდნენ და ეხმარებოდნენ მათ, ვისაც წითლების კლანჭებში ჩავარდნა მოელოდათ. მრავალი და მრავალი განწირული გადაარჩინა რომაულმა მონასტერმა“ („მათული“ 1951:114).

ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა მეთაურების იალტის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, ინგლისის მხარემ ვალდებულება აიღო, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირს გადასცემოდა მის საოკუპაციო ზონაში მოხვედრილი ის პირები, რომლებიც 1939 წლამდე საბჭოთა კავშირის მოქალაქეები იყვნენ, ანუ, ძირითადად, საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები.

ამ ინფორმაციით აშკარად ჩანდა ის საფრთხე, რომელიც ომის შემდგომ ევროპაში საბჭოეთიდან გადახვეწილი ემიგრანტების, მათ შორის ქართველების, მიმართ მძვინვარებდა. მარტო 1945 წლის მაის-ივლისში ბრიტანეთის არმიამ თითქმის ორი მილიონი დატყვევებული სამხედრო მოსამსახურე ავსტრიის ტერიტორიიდან იძულებით განდევნა ოკუპაციის სამხედრო ზონაში, სადაც ისინი დააპატიმრეს და უმეტესობა დახვრიტეს. ასევე ინტენსიურად ეძებდნენ და აპატიმრებდნენ იტალიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან ან მხარს უჭერდნენ გერმანიის პოლიტიკას. ამიტომაც გასაგები იყო, თუ რატომ მიაწყდა, საერთოდ, სამხრეთ ამერიკას ლტოლვილთა ასეთი დიდი ნაკადი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მაშინ რომის მონასტრების სასულიერო მსახურთა თავდადება გმირობის ტოლფასი გახლდათ. და ამიტომაც, ამავე ნომერში ვიკტორ ნოზაძე მადლიერებით მიმართავდა მამა ფილიპეს: „შვილნი ამ ქართველი ხალხისა, რომელნიც გაფანტულნი არიან ევროპასა და ამერიკაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდნენ გამძვინვარებული მტრის - ბოლშე-

ვიკების წინაშე - იტალიაში. და არა მარტო ქართველნი, არამედ მრავალნი სხვა ერთა შვილებიც" („მამული“ 1951:114-115).

მამა ფილიპე დე რეჟის მიმართ „მამულის“ სხვა ნომრებშიც იყო გამოქვეყნებული ქართველ ემიგრანტთა მადლიერების ამსახველი წერილები, რომელთაგან ერთ-ერთი წერილის ავტორი ვ. ნოზაძე მას საქართველოშიც ეპატიჟებოდა.

პოეზიის გვერდს ჟურნალ „მამულის“ თითქმის ყოველი ნომერი ჰქონდა დაკავებული, სადაც ვხვდებით გ. ლოლუას, გ. გამყრელიძის, მ. ლაშაურის, გ. გოგელაშვილის, ა. ქეიბურის, ს. ტრედიელის ლექსებს.

ბევრი მათგანი ფსევდონიმითაც წერდა: მინდია ლაშაური იყო იგივე ილია კუჭუხიძე, ხოლო ქეიბური კი – აკაკი პაპავა. რაც შეეხება ს. ტრედიელს, იგი სამშობლოს დაკარგვით გამოწვეულ ნადველში ამოვლებულ უცნობ კალმოსნად დარჩა.

უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულ ავტორთა ყოველი ლექსი ნოსტალგიის დაუძლეველ გრძნობებში იძირებოდა. ზოგიერთი მათგანი თითქოს ცდილობდა არ დანებებოდა ცხოვრების მკაცრ განაჩენს და იმედით შეჰყურებდა მომავალს.

„მამულის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ფრთიანი პოეტური სტრიქონებიდან აღსანიშნავი გახლდათ მინდია ლაშაურის (ილია კუჭუხიძის) ლექსი „სიზმარი“, რომელშიც ემიგრანტისათვის დამახასიათებელი განცდებია გადმოცემული:

„ობლად შთენილს უბედობით,
მოევლინე ჩემს ტანჯულ სულს,
ცხოვრებისგან განაწამებს,

ქვეყნის რისხვით აღშფოთებულს“ („მამული“ 1952:155).

„მამულის“ ფურცლებზე ვხვდებით ილია კუჭუხიძის სხვა ლექსებსაც. ლექსში „მშობლიურ ქოხში“, ავტორი ასახავს თავის სოფელს, მის კარ-მიდამოს და მშობლების მონატრებით გამოწვეულ ტკივილს:

„დაღლების ყმუილი მოისმის შარაზე,
საქონლის ჯოგები დარბიან ეზოში,
ფერხული გაუბამთ პატარებს ბაგაზე,
მაჭარი აღელდა, აღულდა მარანში“ („მამული“ 1952:155).

ლექსი თავიდან ბოლომდე დატვირთული გახლდათ გულ-წრფელი სტრიქონებით, ყრმობის დროინდელი მშობლიური სოფლის იდილიისა და მშობლიური ქოხის სურათების აღწერით. პოეტის განცდა აქ ისეთი მძაფრი და უშუალოა, თითქოს ეს ყველაფერი ბუნებრივად შენს თვალწინ იშლება.

ჟურნალში ასევე დაბეჭდილია გიორგი ლოლუას ლექსები, რომელსაც თავის დროზე, გრივოლ რობაქიძემ ყურადღება მიიქცია: „გიორგი ლოლუა უცნობია: ახალი ემიგრანტი უნდა იყოს. „ტფილისური ნატურმორტები“ ლოლუასი სხვა რიგის ლირიკაა. ასურათებულია ჩვენი დედა-ქალაქი: დილით. ეს „ასურათება“ შედეგურია ნამდვილი. ქართველ მგოსანთა შორის ყველაზე უფრო მოხვდება იგი გულში ი. გრიშაშვილს, რომელიც ყველაზე უფრო გზნებს ძველ ტფილისის და ემარჯვება თანაც ამ გზნების მგოსნური გამოსახვა (უნდა განვსაზღვროთ ეს არაა „ძველი ტფილისი“ ბესიკისა). წავიკითხე ეს შაირი: გავიხარე როგორც მწერალმა და როგორც ქართველმა.“

„ბერ ნარიყალას აღვიძებენ ჩიტნი გალობით,
ჟივილ-ხივილით დაარხიეს ცაცხვის ტოტები
მე კი პარიზში ჩემს ქალაქზე ფიქრის წყალობით
დავასურათე თბილისური ნატურ-მორტები“

(„მამული“ 1952:152).

„მამულში“ დაბეჭდილ ამ ლექსზე ვ. ნოზაძეს ასეთი პატარა წინასიტყვა ჰქონდა წამძღვარებული: „ჩემს არქივში აღმოჩნდა მონახლისე გიორგი ლოლუას ორი ლექსი, რომელიც მას ჩემთვის გამოუგზავნია დასაბეჭდათ კრებულში „ქართველი ერი“, 1944 წლის სექტემბერს, ბერლინში. ეს ლექსები აწყობილი იყო და დასაბეჭდად მზად, მაგრამ დაბომბვის დროს გამზადებული ორი ნომერი დაიღუპა; დამრჩა ამ ლექსთა დედანი, რომელსაც აქ ვათავსებ. ბნ გიორგი ლოლუას ვეძებ; მგონია, იგი უცხოეთში უნდა იყოს დარჩენილი და ვინც იცის მისი მისამართი ვთხოვ შემატყობინოს“ (ზარაძე 1993:308).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვ. ნოზაძემ ჟურნალ „მამულის“ №5-ში 135 და 152 გვერდებზე „თბილისურ ნატურმორტებ“-თან ერთად გამოაქვეყნა მეორე ლექსიც „ლეგიონერთა სიმღერა“:

„მზე ქვეყნად ერთია,
ვარსკვლავი – ათასი;
სამშობლოც – ერთია,
გვიყვარს და ვაფასებთ" („მაბული” 1952:135).

სამეგრელოში, 1919 წელს, დაბადებულ გიორგი ლოლუას თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში გაუგრძელებია. იგი 1941 წელს მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ წასულა. ლექსების წერა ახალგაზრდობიდანვე დაუწყია. „დიდი სამამულო ომის შემდეგ ემიგრაციაში დარჩენილ გ. ლოლუას იტალიელი ქალი შეურთავს და სიკვდილამდე ცხოვრობდა კანადის ქალაქ ჰამილტონში, სადაც მუშაობდა მეტალურგიულ ქარხანაში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. გიორგი ლოლუა სიკვდილამდე წერდა ლექსებს. ემიგრაციაში შექმნილი მისი პოეტური ქმნილებები სულ 64 ლექსისაგან შედგებოდა" (შარაძე 1993:309-336).

სულ სხვა პოეტური კულტურა ჩანს გიორგი გამყრელიძის ლექსებში. მას ემიგრაციაში წასვლამდე სამშობლოში იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ და იმედისმომცემ პოეტს. გიორგი გამყრელიძის შემოქმედება ნამდვილად იყო ქართული ემიგრანტული პოეზიის მონაპოვარი:

„თქვენ ნაჩუქარი მიიღეთ ჩემი: –
მსურს სისხლი ჩემი დაფნად დაგფინოთ;
მკერდ ნატყვიარი ყვირის ირემი: –
„ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო!" („მაბული” 1952:152).

თავისი სილაღითა და გულწრფელობით ყურადღებას იქცევდა ასევე პოეტის ხალხურ მოტივზე შექმნილი ლექსი „სოფლელი ბიჭის სიმღერა“:

„ენა გამშრალსა მწყუროდა,
წყარო დამიხვდა წინაო,
დავლიე ცივი ანკარა,
მივწექ და მიმეძინაო" („მაბული” 1952:131).

1952 წლის ჟურნალ „მაბულის” მეხუთე ნომერში ქეიბურის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსი „ბალადა შუადამისა” პოეტ აკაკი პაპავას ეკუთვნოდა, სადაც იგი მეფე დიმიტრი თავდად-

ბულის აჩრდილის წინაშე მუხლმოყრილი პატიებას ითხოვდა:

„მონანიებით მოვიყრი მუხლებს,
მსურს, რომ ვადიდო ეს წამებუღი.

ვითხოვ: „წარგვიძღვეს ყველა ლტოლვილებს
მეფე დიმიტრი თავდადებული“ (*„მამული“* 1952:130).

ჟურნალის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული იყო გ. გოგე-
ლაშვილის ორი ლექსი „სიზმრის ვარსკვლავი“:

„რა ლამაზია ეს სურათი, რა თვალწარმტაცი!

ბუნების ემხით შემკობილი ლაჟვარდი არე;
ყვავილთა ფერებს უამბორებს მკრთალი აჩრდილი,
სიოც ალერსით გარს ევლება ვით მონარნარე“.

და პატრიოტული მოტივით გაჟღენთილი მისი მეორე ლექსი
„მორეულ მთებში“:

„თქვენი ბარტყები უცხოეთში არწივად ვზრდილვართ,
სამშობლოს ნატვრამ ფრენით აღმართულს ერთხმად შესძახა
ფოლადის მკერდით მოვაპოვდით დაძაბულ ღრუბლებს,
რომ ჩვენი ბუდე თქვენს თბილ გულმკერდში ისევ გვენახა“
(*„მამული“* 1951:123).

ემიგრანტთა ამ ლექსების შექმნის საფუძველი კონკრეტულ
გარემოებათაგან წარმოქმნილი განწყობილება გახლდათ. ეს იყო
უსასრულო ნოსტალგია და გულისმომწყვლევი ტანჯვა, რომლის
გამოც მათი ლექსები გვზიბლავს გულისშემძვრელი პირდაპირო-
ბით, სიწრფელით, სიტყვიერი მასალის შერჩევითა და ლაკონიზ-
მით. ამასთან ერთად, ემიგრანტი პოეტები მთელი სისავსით გვიმ-
ლიდნენ თავიანთ მდიდარ სულიერ სამყაროსა და საუკუნის მბორ-
გავ სულს.

პოეზიასთან ერთად ჟურნალის ფურცლებზე ასევე მნიშვნე-
ლოვანი ადგილი ჰქონდა დაკავებული მხატვრულ პროზასაც. ამ
მხრივ აღსანიშნავია თამარ პაპავას ესეები „დიდი სახეები პატარა
ჩარჩოებში“ და „დარეჯან დელოფალი“.

ასევე ვხვდებით ახალ ავტორებსაც: ვინმე მნახველს, სანდრო
ნებლოს, დამსწრესა და სხვ.

ესკიზი „სიყვარული“, რომლის ავტორი იყო ვინმე მნახველი,
მოგვითხრობს ბუენოს-აირესში მცხოვრებ ერთ მკერავზე, რომელ-
საც სურდა მის ვაჟიშვილს მამის ხელობა განეგრძო, მაგრამ ბიჭი

მხოლოდ სურათებს ხატავდა. მამა შვილის საქმიანობას – დღაბნას უწოდებდა. მამა-შვილის კონფლიქტი იმით დამთავრდა, რომ ვაჟმა ოჯახი დატოვა და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა, სადაც მალე დაოჯახდა. სამწუხაროდ, არც ცოლს ესმოდა მისი.

ასე რომ, ესკიზის ავტორი ბოლოს აღნიშნავდა: „სიყვარული მამა-შვილური, სიყვარული ცოლ-ქმრული დასუსტდა და მოკვდა. დარჩა სიყვარული ფერებისადმი, სიყვარული მხატვრობისადმი. მხატვარმა მიატოვა ქვეყანა და ბოლივიაში გადავიდა. იქ დასახლდა და ლუკმა-პურსაც მოულობდა, თან მთელი სიყვარულით ხატავდა...

ერთ დღეს მოაწყო გამოფენა ბოლივიის დედაქალაქში, სადაც მისმა მხატვრობამ შეძრა საზოგადოება. იგი სამხატვრო აკადემიის წევრად აირჩიეს" („მამული“ 1951:117).

ეს მხატვარი გახლდათ იონას რიშმა, რომლის რეპროდუქციები ჟურნალ „მამულის“ სხვადასხვა ნომრებში იყო დაბეჭდილი, რომლებშიც ნათლად იგრძნობა ბრძოლაგადახდილი სულის ვაჟკაციური სინაზე, შვების მომგვრელი სითბო, ღრმა განცდამი ჭკუა-გონების ფრთხილი ხედვა, არაჩვეულებრივი სულიერი და ეთიკური სიწმინდე.

ერის თანასწორობასა და თავისუფლებას ეხებოდა „მამულის“ მეოთხე ნომერში დამსწრეს ფსევდონიმით გამოქვეყნებული პუბლიკაცია: „ერთ-ერთ ნადიმზე თბილისში, თავი მოეყარა ქართულ საზოგადოებას თავის სტუმრებთან ერთად... ჩვენმა დიდმა მწერალმა და მოღვაწემ სიტყვა წარმოთქვა და კონსულს მიმართა: „განა არაა შესაძლებელი დიდ მუხასთან ერთად იცოცხლოს და იხაროს პატარა ლამაზმა იამ?“ ილია ამ სიტყვით დიდსა და პატარა ერების თანაარსებობის საკითხს ეხებოდა, სადაც იგი დიდ მუხაში – რუსეთს გულისხმობდა, ხოლო სუსტ და ნაზ იაში – საქართველოს, მაგრამ „ორივეს თავისი მშვენება აქვს და ორივეს თავისუფალი არსებობა უნდა შეეძლოს“, – აღნიშნავდა მწერალი.

პატარა ერების საკითხში ავტორის შეხედულება ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის ერთგვარი კონსტატაციაა: „სამშობლოს დამცველი ერი მუდამ მართალია ღვთისა, ბუნებისა და კაცობრიობის წინაშე. ერი, რომელიც უკლის საკუთარ მეობას, ფაქ-

ტობრივად, კაცობრიობის მრავალფეროვნების დაცვის, მისი სულქმნის ღვთაებრივ საქმეს ემსახურება" (*ვაჟა-ფშაველა 1964:25*).

ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში აცხადებდა ლიტოველთა საკონცერტო დარბაზიდან გამოსული ავტორი: „პატარა ერებს ერთი გამოსავალი დარჩენიათ დიდ ერთა წინაშე. ესაა სიტყვით, გალობით, სიმღერით, ცეკვით, ყოველგვარი გამოხატულებით ბრძოლა..." (*„მამული“ 1951:122*).

ჟურნალ „მამულის“ ფურცლებზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი უცხო ენებიდან თარგმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა წარმოჩენასაც. სანდრო ნებლო, იგივე ალექსანდრე პაპუაშვილი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისურ ენაზე გამოცემული საკმაოდ გახმაურებული რომანების (ხუთამდე წიგნის) ავტორი იყო. მის – „წმინდა მიწის“ (Sandro Neblo, Sacred Earth, Hollywood, 1948) შესახებ ანოტაცია-რეცენზია სანდრო ნებლოს პორტრეტთან ერთად დაბეჭდილია „მამულის“ მეოთხე ნომერში: „თუ ერისათვის ვინმეს შეუძლია დიდი პროპაგანდის გაწევა, – ეს არის მწერალი, პოეტი თუ პროზაისტი. ჩვენ აქ საქმე გვაქვს პროზაისტთან, რომელიც დიდი ხანია, ამერიკაში მოღვაწეობს. ეს გახლავთ სანდრო ნებლო.

მისი წიგნი „წმინდა მიწა“ უკვე მეხუთეა, რომელიც სანდრო ნებლომ დაბეჭდა. დასახელებული მოთხრობა ემიგრაციის ცხოვრებიდან არის და ბუნებრივია, რომ მას მხატვრული სახის გარდა პოლიტიკური სახეც ჰქონდეს.

„და ეს „წმინდა მიწა“, რაც ამ წიგნს სათაურად აქვს, არის ის წმინდა მიწა, რომელზეც ასი ათასობით ემიგრაცია ოცნებობს – იგი არის სამშობლო!, რომელსაც თვითეული გარდასვენებული ეძებს და თავს წირავს" (*„მამული“ 1951:125*).

სანდრო ნებლო ლოს-ანჯელესიდან თანამშრომლობდა „მამულში“ და ნივთიერ დახმარებასაც უწევდა ჟურნალს, რის თაობაზეც მას რედაქტორი ვიკტორ ნოზაძე ჟურნალის სხვადასხვა ნომერებში არაერთ მაღლობას უხდიდა.

„მამულში“ დაბეჭდილია სანდრო ნებლოს ინგლისურ ენაზე დაწერილი პუბლიკაციების შემდეგი ქართული თარგმანები: „ქართველი (კავკასიიდან) ეწერება" (*„მამული“ №1, 1951:32*); „წერი-

ლი კალიფორნიიდან" („მამული" №3, 1951:175); „წერილი ჰოლი-ვუდიდან" („მამული" №6, 1953:199-200).

„ქართველი (კავკასიიდან) ეწერება." ეს სტატია 1951 წლის 26 თებერვალს ჯერ „ლოს-ანჯელეს ტაიმსში" გამოქვეყნდა. შემდეგ ამ წერილის შემოკლებული ქართული თარგმანი რედაქტორმა ვ. ნოზაძემ ჟურნალ „მამულის" პირველ ნომერში დაბეჭდა.

სტატიის ავტორი პირველი სტრიქონებიდანვე უშუალოდ გვაგრძობინებს უცხოეთში გადახვეწილი, სამშობლო დაკარგული ემიგრანტის დიდ გულისტკივილს: „ლოს-ანჯელესში შეიძლება შეხვდეთ სხვადასხვა ეროვნებას მსოფლიოს ყველა კუთხიდან და ჩვენ ქართველები (კავკასიიდან) ალბათ ყველაზე უფრო მცირე ჯგუფი ვართ, რომელიც მარტოოდენ ექვსიოდე პირზე მეტს თუ შეიცავს. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ ქალაქ ლოს-ანჯელესში, რომელიც მოგვაგონებს ჩვენს სამშობლოს ჰავის მიხედვით (სხვა პირობები ყველა გაანადგურეს ბოლშევიკებმა)" („მამული 1951:32);

პუბლიკაციაში იმთავითვე იგრძნობა მწერლის შეუგუებლობა რეალობასთან: „როდესაც გველი არწივის ბუდეს აღმოაჩენს, მზადაა მისი ბარტყები შთანთქმას, დედა – არწივი, რომელსაც არ ძალუძს ამ ვეებერთელა გველის ტანს ბრძოლა გაუმართოს, იმდენად მაინც მოხერხებულია, რომ თავისი ბასრი ნისკარტით დააცხრება მის თავს და ამგვარად ჰკლავს მას.

რატომ არ შეგვიძლია ჩვენც ამნაირადვე მოვეპყრათ თავიდან-სხმელს, რომელიც ჩვენს დანგრევას ლამობს, რატომ არ შეგვიძლია! რატომ მაინცდამაინც მარტო მის კუდს ვურტყამთ?" („მამული" 1951:32).

ამ სტრიქონების ალევორიულ ქვეტექსტში აშკარად იკითხება საქართველოს სავალალო მდგომარეობა და ემიგრანტთა პირდაპირი შენიშვნა იმაზე, თუ რატომ რჩება ისევ ღიად ეს პრობლემა და რატომ მოქმედებენ დღემდე ჩვენი დიპლომატები „არა ბრძნულად" და „არა სათანადოდ" მაშინ, როცა არწივს აქვს მეტი უნარი თავისი ბასრი ნისკარტით მოკლას ვეებერთელა გველი. გველში ავტორს გამოხატული ჰყავს ბოლშევიკური რუსეთი, ხოლო არწივში თავისუფლების მოყვარე და ოდესღაც ძლიერი საქართველო.

სტატიიდან ასევე ვგებულობთ, ქართველთა პატარა ჯგუფის წევრები როგორ ხვდებოდნენ ერთმანეთს თითქმის ყოველ საღამოს, სადაც გულწრფელად მსჯელობდნენ მძიმე საერთაშორისო ვითარებასა და კერძოდ, ამერიკის მიერ კორეაში წარმოებული ომის შესახებ. ავტორის თქმით: „ვლადიმერ ბაბიშვილი იყო უახალგაზრდესი ჩვენს ჯგუფში; იგი მხოლოდ ოცდარვა წლისაა. ჩემს სიტყვაზე იგი წამოხტა და აღტაცებით შესძახა: „ხვალ ჩვეწერები ჯარში და მთელი ძაღლით ვიბრძობლებ!“ ჩვენ ყველამ მას ტაში დავუკარიით და ვუწოდეთ „კაპიტანი“ და ვუსურვეთ ბედნიერება“ (*„მაბული“ 1951:32*).

ქართველთა ამ მზაობაში, იბრძოლონ ამერიკის მხარეზე მისი პრესტიჟის დასაცავად, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მხრიდან, იყო იმ მაღლიერების გამოხატულება, რომელიც განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის მიერ დევნილი ემიგრანტების დასაცავად გამოიჩინა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა: „...მშვიდობა, სიყვარული და თავისუფლება მთელ მსოფლიოს! ამერიკა არის ციხე-სიმაგრე თავისუფლებისა და არსენალი კაცობრიობისა და დემოკრატიისა, და შენც იბრძობებ ამ აღნიშნული პრინციპებისათვის. ამაში შენ ხარ ბედნიერი და იმედი მაქვს დაბრუნდები გმირად, რომელმაც ჩვენი დემოკრატიის გადარჩენას ხელი უნდა შეუწყო“... (*„მაბული“ 1951:32*).

ამ მხრივ, ქართული აზროვნების ისტორიაში ფასდაუდებელი გახლავთ ილია ჭავჭავაძის პუბლიკაციაში – „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, – გამოთქმული შეხედულებაც, რომ „მსოფლიოს მომავალი ამერიკა იქნება“. აქედან გამომდინარე, სანდრო ნებლოს ზემოხსენებული პუბლიკაცია „ქართველი (კავკასიიდან) ეწერება“, ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა კონტექსტში განიხილება.

ამავე ჟურნალის მეექვსე ნომერში გამოქვეყნებული იყო ს. ნებლოს „წერილი ჰოლივუდიდან“, რომელიც ეხებოდა ამერიკაში სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავის კოლია ქვარიანის ჰოლივუდში გამოსვლებს (*„მაბული“ 1953:199-200*).

კულტურული ღონისძიების მხრივ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციული ხასიათის სტატიები იყო გამოქვეყნებული ჟურნალ-

ში სათაურებით „შობის ხე“ და „ქართული წარმოდგენა ბუენოს-აირესში“. პირველი პუბლიკაცია მოგვითხრობდა შობის ხის ირგვლივ გამართულ ზეიმზე, რომელიც ქართულმა ახალშენმა მოაწყო: „უფროსები ერთი წუთით გადადიოდნენ ოცნებით სავყარელ სამშობლოში, იგონებდნენ იქ გატარებულ სიყრმეს და ტკბილ ალილოს; ზოგი კიდევ თავის მიტოვებულ ბავშვებს იგონებდა. პაწიებმაც მართლაც დიდად შეუწყვეს ხელი ამ ილუზიების შექმნას. ბავშვები გამოდიოდნენ სცენაზე შობისხის წინ რიგრიგობით და გვატკობდნენ ქართული სიმღერით, ლექსებითა და ცეკვით. ტურფა ჭეიშვილის პაწია ასული პუსი იყო კონფერენსიე და მონაწილეთ გვაცნობდა. ტურფა, მზიამ და გულნარა ჭეიშვილებმა ერთბაშად წაიკითხეს ლექსები „შობის ხის ნაამბობი“ („მაბული“ 1952:157).

ამ სტატიის გაგრძელება იყო მეორე წერილი, რომელიც არგენტინაში პირველად დადგმულ ქართულ პიესას ეხებოდა. ეს იყო გ. ხეჩუაშვილის „დუქანში“, აკაკი პაპავას მიერ „სიცოცხლის წყაროდ“ გადაკეთებული. „დეკორაციისათვის საგანგებო, მშვენიერი აბრა შეასრულა ჩვენმა მხატვარმა ბ-ნმა ლ. სააკაძემ. „წარმოდგენა იყო მეტად კოლორიტული, ცოცხალი და ჰუმორით სავსე“ („მაბული“ 1952:157).

ლონისძიებასთან დაკავშირებით ჟურნალში გამოქვეყნებული იყო თამარ პაპავას სამადლობელი წერილი: „მადლობა უნდა მოვასწონოთ ყველა მათ, ვინაც ხელი შეუწყვეს არგენტინაში პირველ ქართულ საღამოს ასე ჩინებულად ჩატარებას. ბევრმა ჩვენმა მეგობარმა და წევრმა გულწრფელად და უანგაროდ იმუშავეს ამ საქმისათვის, რომელსაც ამ შორეულ უცხოეთში ჩვენი კულტურული სახე უნდა გამოეჩინა“ („მაბული“ 1953:198).

ცნობილია, რომ სამხრეთ ამერიკაში შობა-ახალი წელი საქართველოსაგან განსხვავებულ დროს აღინიშნება, რომლის შესახებ თამარ პაპავა ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში წერდა: „ამ ქვეყნებში ამ დღესასწაულს თან ახლავს ერთი დიდი შეუფერებლობა, რაც ევროპიელს მეტათ ეჩოთირება: შობა-ახალი წლის ლეგენდები დაკავშირებულია ჩვენებურ ზამთართან, თოვლთან, ყინვასთან. ამ დღესასწაულის შთაბეჭდილება აქ სრულიად დარღვეულია. დეკემბერ-იანვარი აქ შუა ზაფხულია. ეხლა აქ ისეთი სიცხეა, რომ

სულს ძლივს ვითქვამთ დიდი და პატარა. მე კი ყველაფერს ამას ვარჩევდი ერთ კეცია მჭადს და გოჭის ყურს... ჩვენებურის ტყემლით... ამასთან, ამ სახალწლოთ, კიდევ ჩურჩხელას, ტკბილის კვერს, ნიგვზის მურაბას და ყველაფერს, რასაც სამშობლო ქვეყნის სუნი და გემო ახლავს" (**პაპავა ფონდი 28103/7**).

ჟურნალ „მამულში“ დაბეჭდილ სამადლობელი წერილების რიგს მიეკუთვნება შემდეგი „მადლობის გამოცხადება“: „ქართული საზოგადოების გამგეობა ბუენოს-აირესში თავის უღრმეს მადლობას უცხადებს თბილისელ მოქალაქეს ბ-ნ სვიმონ მატიანინს, რომელმაც გარდაცვალებულთა მერაბ ჯორჯაძისა და იაკობ ტატიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად თანხა გაიღო სამასი პესო. მანვე დაასაჩუქრა ქართველი ბავშვები შობის ხის დღესასწაულზე. წერილის ავტორი ასევე მადლობას უხდის მარგალიტა ლორთქიფანიძეს, ბ-ნ მუსხელიის ოჯახსა და ქ-ნ ბურდონის დაჭრილი თ. ჭილაიას დასაფლავებისათვის" (**„მამული“ 1952:157**).

როგორც ვხედავთ, დაინტერესებული მკითხველი „მამულის“ ფურცლებზე ბევრ საყურადღებო მასალას იპოვის სამშობლოს ფარგლებს გარეთ მოხვედრილი ქართველების მიერ უცხოეთის ცის ქვეშ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. ამ მხრივ, ასევე გამორჩეული იყო „ქართველთა ცხოვრების“ რუბრიკის ქვეშ დაბეჭდილი სტატია „26 მაისი არგენტინაში“: „ბუენოს-აირესის მცხოვრებმა ქართველობამ თითქმის მთლიანად მოიყარა თავი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. ამ დღესასწაულს დაესწრნენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელნიც. ესტრადა იყო მშვენვირად მორთული ქართული ეროვნული დროშებით, სახელმწიფო ღერბით და არგენტინის დროშით. საღამოს 6 საათზე, ქართული ეროვნული ჰიმნის შესრულებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ. ვ. ანდრიაძე, დაიწყო ზეიმი" (**„მამული“ 1951:94**).

ამავე სტატიის ავტორი ერთ საინტერესო მოგონებაზეც ამახვილებდა ყურადღებას: მათთან ერთად ზეიმზე იმყოფებოდა ცნობილი მეცენატის ალექსანდრე სარაჯიშვილის ქვრივი, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე ქალბატონი მარიამი, რომელიც თავის ქმართან ერთად დაესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას: „როდესაც სასახლიდან გამოვედით, ჩემმა ქმარმა

მითხრა: „საქართველო დღევანდელ პირობებში დიდხანს ვერ იარსებებს დამოუკიდებლად. მას კიდევ დაიპყრობენ, მაგრამ ისევ განთავისუფლდება, და მაშინ შენ, ჩემო კარგო იქნები 70 თუ 80 წლისა სულ ერთია, ჩაიცვი თეთრი ტანსაცმელი როგორც დღეს გაცვია"-ო ეს მითხრა. მოიხსნა სათვალეები და თვალები მოიწმინდა" („მამული" 1951:95).

ასევე ყურადღებას იქცევდა ამავე რუბრიკის – „ქართველთა ცხოვრების" – ქვეშ დაბეჭდილი არგენტინის სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილის ლევან ჯაფარიძის მოგონება, რომელმაც „ზედმიწვევითი" სინამდვილით დაუხასიათა დამსწრეთ აგვისტოს დღეები თბილისში: „აჯანყება ჯერ არ დაწყებულყო, მაგრამ მისი სული უკვე ტრიალებდა თბილისში, მისი მოლოდინი აჩრდილივით თან დასდევდა ყოველს და ელექტრონის ძალით ავსებდა თვითეულის ენერგიას... ყველგან უცნაური დაძაბვა მეფობდა, რაც მიანიშნებდა რომ მეხი უნდა გავარდნილიყო..." („მამული" 1951:95).

ამავე რუბრიკის ქვეშ მოცემული იყო ვ. ნოზაძის მოგონებაც, რომელიც ასევე ქაქუცა ჩოლოყაშვილის 1924 წლის აჯანყების საკითხს შეეხებოდა: „აჯანყებამ დიდი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაში, და მოიგონა ის გამოძახილი, რომელიც მას ევროპის სახელმწიფო, საქალაქო, საერთაშორისო და პარტიულ დაწესებულებებში, ყრილობებზე მოჰყვა და თანაგრძნობას უცხადებდნენ ქართველ გმირულ ხალხს. ოღონდ ამ ლამაზმა სიტყვებმა სისხლისაგან დაცლილ გმირულ ხალხს ვერ უშველა..." („მამული" 1951:94).

ზემოთ აღნიშნულ ავტორებს, საკითხის ისტორიულ ასპექტში დაყენება პირობას უქმნიდა ხმა აემაღლებინათ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაზე და ქართველთა თავგამოდებულ ბრძოლებზე.

რაც შეეხება ქართულ თეატრს, „მამულში" სათაურის ქვეშ – „ქართული თეატრის 100 წლისთავი" – გამოქვეყნებული იყო რამდენიმე სტატია: „მარშან შესრულდა 100 წლის თავი თანამედროვე ქართული თეატრის დაარსების შემდეგ, მაგრამ ეს კრებული „მამული" ჯერ კიდევ არ არსებობდა და ამიტომ ვერ შეეძვლით ამ დიდი თარიღის აღნიშვნა. წელს მაინც მიუძღვნით მას ორიოდე სიტყვას..."

ამ წინასიტყვაობას მოსდევდა ვიკტორ ნოზაძის წერილი „ძველი ქართული თეატრი“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავდა ქართული თეატრის ისტორიას წარმართობის ხანიდან დაწყებული ქრისტიანობის შემოღებამდე .

ამავე რუბრიკის ქვეშ იყო დაბეჭდილი აკაკი პაპავას წერილი „ქართული თეატრის სათავეებთან," სადაც ავტორი აღნიშნავდა იმ სიძნელეებს, რომლებიც ქართულმა თეატრმა გაიარა: „რუსეთმა ქართული თეატრის არსებობაში ერთგვარი ხიფათი დაინახა და, რა თქმა უნდა, ქართული კულტურის საქმისათვის ის არა თუ რაიმე თანხას გაიღებდა, არამედ ყოველგვარ ტენნიკურ და ადმინისტრაციულ დაბრკოლებებს უჩენდა მას. ქართველთ ისევ რუსული თეატრის კარებს უხსნიდა" („მამული" 1951:79).

„მამულის" მესამე ნომერში ასევე გამოქვეყნებული იყო თამარ პაპავას წერილი „მაღლიანი შრომა", რომელიც ავტორმა ძვირფასი მამის ხსოვნას მიუძღვნა. „თეატრი მუდამ იდგა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე და ალაგზნებდა საზოგადოებრიობას ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად" („მამული" 1951:157).

აქ თამარ პაპავა იმთავითვე საზოგადოებრივი თვალსაზრისით აფასებდა თეატრის ესთეტიკური ზემოქმედების ძალას ქართულ საზოგადოებაზე, რომელსაც დიდი ილიას თქმისა არ იყვის: „ამ დიდებულ დაწესებულებას ზნეობრივი დახვეწისა და სულიერი კათარზისის ანუ „განწმენდისათვის" დიდი ფუნქცია აკისრია" („მამული" 1951:77-85).

ჟურნალ „მამულმა" თავის ფურცლებზე ნეკროლოგების დასტამბვით ფასდაუდებელი სამსახური გაწია. ამით მან ემიგრაციაში გარდაცვლილ მამულიშვილთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატიების გამოქვეყნებით საიმედო დოკუმენტური მასალა შექმნა მათი ბიოგრაფიების აღსადგენად.

ნეკროლოგები ჟურნალის თითქმის ყოველ ნომერში იყო დაბეჭდილი. ნეკროლოგების გარდა, არგენტინაში ყოველწლიურად იმართებოდა სამოქალაქო პანაშვიდებიც. ასე მაგალითად, 1924 წელს საქართველოში მომხდარი აჯანყების წლისთავის აღსანიშნავად და ომში სამშობლოსათვის დაღუპულთა მოსაგონებლად ბუენოს-აირესში მყოფ ქართველთა საზოგადოებამ გამართა სამოქალა-

ქო პანაშვიდი: „მოკლე სიტყვა წარმოთქვა ბ-ნ ვ. ნოზაძემ და შემდეგ წაიკითხა დამკომის წევრის იასონ ჯავახიშვილის სიტყვა, რომელიც მან გასამართლების დროს წარმოთქვა თბილისში. შემდეგ ბ-ნ ა. პაპავამ ილაპარაკა პირველი სამხედრო შეთქმულების შესახებ და წაიკითხა დახვერტილთა სია. კრებამ ყველა დაღუპულთა ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა" (*„მამული“ 1951:116*).

„მამულში“ ასევე დაბეჭდილი იყო რეცენზიები თამარ პაპავას ესეების ირგვლივ. პოლიტიკური და ისტორიული ხასიათის წერილებიდან, ასევე მნიშვნელოვანი იყო ვიკტორ ნოზაძის, აკაკი პაპავას და უცნობი ავტორის – ავთის წერილი „დედოფალი დარეჯანი და კარლოს მეოთხე“ (პარალელები გავლებულია ტახტის გადასარჩენად). საინტერესოა აგრეთვე ა. დემეტრაშვილის „წერილი რედაქციის მიმართ.“

ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის განვითარებაში დიდმნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ჟურნალ „მამულში“ გამოქვეყნებული შემდეგი მოვონებები: მიხაკო თბილისელის „საკანი – 19“, დავით ვაჩნაძის „ქართული სილუეტები“ პირველი დღე „ჩეკას სარდაფში.“

საერთოდ, „მამული“ მდიდარი იყო ჟანრობრივად განსხვავებული ხასიათის წერილებით. რედაქცია ვერ ახერხებდა ყველა პუბლიკაციის გამოქვეყნებას და ბოდიშს უხდიდა ავტორებს: „ინფორმაციის უადგილობის გამო სამწუხაროთ ბევრი მასალა გადაიდო – რ. ინგილოს – „მამა ფილიპეს შესახებ;“ დრ. ვ. ციციშვილის – „ოქრომჭედლობა და წმ. გიორგის ტაძარი იურიევო-პოლოცკაში;“ დონაური – „დაგვიანებული თვითგამორკვევა;“ პ. პარიზზე – „მხილებანი;“ მინდია ლაშაური – „წერილი რედაქციის მიმართ;“ დ. შა-ლის „მოგონება“ და სხვ (*„მამული“ 1952:155*).

ჟურნალი „მამული“ ხშირად ეხმაურებოდა ემიგრაციის ბევრ საჭირობოროტო საკითხს, რომელნიც მიმართული იყო ბოროტებისა და ამორალიზმის წინააღმდეგ. სამშობლოს სიყვარული, მისი ძალების, მისი მომავლის რწმენა აქ შედუღებული იყო ბოლშევიკური რუსეთის დიქტატორული რეჟიმის სიძულვილითან. „მამული“ მკითხველს ატყვევებდა აზრის სინათლით, ხატოვანი ენით, პროპაგანდის დამაჯერებლობით, რაც გვაძლევს საფუძველს

ეთქვით, რომ ჟურნალ „მამულის“ პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო შინაარსის ღრმა იდეურობა, არამედ აგრეთვე აზრის გამოხატვის ნოვატორული ფორმა, მაღალი პუბლიცისტური ოსტატობა. „მამულში“ მოღვაწე პუბლიცისტები დანტერესებული იყვნენ არა მარტო იმით, რომ ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიებით გაეგებინებინათ მკითხველისათვის თავიანთი აზრი, არამედ იმითაც, რომ გული აედულებინათ მისთვის და ამ აზრის განსახორციელებლად აემოქმედებინათ.

საერთოდ, ჟურნალ „მამულის“ ფურცლებზე პოლიტიკური სტატიების, პოეზიის, პროზის, თარგმანების, ისტორიულ-ლიტერატურული ესეების, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკის საუკეთესო მასალების გვერდით დაბეჭდილი იყო მოგონებები და ეპისტოლური ჟანრის წერილები, ინფორმაციები ევროპასა და ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა შესახებ და სხვ.

ამრიგად, ჟურნალი „მამული“, შეიძლება ითქვას, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოძვალ ბევრ ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთთან შედარებით ფრიად განსხვავებული მოვლენა იყო ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში როგორც მასალების სიმდიდრით, ისე თემათა მრავალფეროვნებითა და პროფესიული ანალიზის სიღრმით.

ჟურნალ „მამულის“ გარდა, არგენტინაში 1952 წელს ერთჯერადად ასევე გამოიცა საგანგებო რვეული „სახალხო საქმე“.

ამასთან დაკავშირებით, პროფესორი გურამ შარაძე აღნიშნავდა: „სამხრეთ ამერიკაში აკაკი პაპავა დროგამოშვებით ბეჭდავდა „სახალხო საქმეს“, რომლის საიუბილეო ნომერი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის 50 წლის დაარსებას მიეძღვნა. მასში დაბეჭდილია პირველხარისხოვანი გამოკვლევები და წერილები, რომლებიც შუქს ჰფენდენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორიას, მისი მოქმედების პროგრამასა და მსოფლმხედველობას“ (შარაძე 1993:381).

აკაკი პაპავამ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის შექმნის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ამ პარტიის წევრებს წინასწარ შეტყობინება გაუგზავნა, რათა მათ „ამ მნიშვნელოვანი ამბების და პირების ხსოვნისადმი მიეძღვნათ საგანგებო კრებული ან რვეული

გამოეშვათ" („სამშობლო" 2009: 84).

რადგან აკაკი პაპავა „სახალხო საქმის" რედაქტორი იყო და იგი ამ პერიოდულ გამოცემას ზემოთ ხსენებულ წერილში საგანგებო კრებულად ან რვეულად მიიჩნევდა, უნდა გავიზიაროთ მისი შეხედულება და „სახალხო საქმე" ჩვენც საგანგებო რვეულად მოვიხსენიოთ.

მიმართვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რასაც მოწმობს საიუბილეო ნომერში გამოქვეყნებულ მასალათა და მათ ავტორთა სიმრავლე. „სახალხო საქმის" ფურცლებზე დაიბეჭდა რედაქტორის აკაკი პაპავას მოწინავე წერილი „საქართველო და მისი პირველი ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობა". ავტორი მიმოიხილა და საქართველოს ფედერალისტური პარტიის ჩამოყალიბების განმაპირობებელ მიზეზებს, რომელთაც 1901 წელს საქართველოს წარჩინებული წოდების ერთი ნაწილის მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე დაედო საფუძველი: „ამ დროს ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის ერთი ჯგუფი არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით, რომელსაც გვერდით უდგნენ გ. ლასხიშვილი (ლალი), გრ. ცხილაძე (ზანგი), გ. დეკანოზიშვილი, ვლ. ლორთქიფანიძე და სხვანი, გაბედულად გამოვიდა ამ ქართველი ერისათვის „სამარცხვინო ნაბიჯის" წინააღმდეგ" („მამული" 1951:29).

საიუბილეო სტატიაში აკაკი პაპავა ყურადღებას ამახვილებდა ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე: „ამ ერთ ნახევარი საუკუნის წინად მომხდარ ძალადობას, რასაც საქართველოს სუვერენობა შეეწირა, რუსეთის იმპერია ნებაყოფლობით შეერთებას უწოდებდა, ხოლო ქართველი ხალხი კი მას – მოტყუილებით დაპყრობასა და ოკუპაციას" („მამული" 1951:29).

ამ განმარტების შემდეგ სოციალ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი აკაკი პაპავა თავის სტატიას ასე ამთავრებდა: „ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ამ რვეულს ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი თანაგრძნობით შეეგებება: ამასთან გვჯერა, რომ ის ამ ჩვენს გამოცემას ჩასთვლის არა ვიწრო, ჯგუფურ, ან პარტიულ ნაბიჯად, არამედ ქართულ მოწინავე აზრის წმინდა მოვალეობად: ერთგვარი პატივი სცეს იმ ეროვნულ მოძრაობას, ამ ნახევარი საუკუნის წინ რომ ჩაისახა. ჩვენი ქვეყნის ღირსებისათვის ბრძოლას

უანგაროდ ემსახურა და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის მუშაობაში შექმლებისდაგვარად წვლილი შეიტანა" („მამული“ 1951:29).

ამავე ნომერში დაბეჭდილი იყო ასევე აკაკი პაპავას სტატია „გიორგი დეკანოზიშვილი.“

„სახალხო საქმის“ საიუბილეო ნომერში ყურადღებას იპყრობს სტატია „50 წლის თავზე“, რომლის ავტორი განხლავთ ვიკტორ ნოზაძე: „სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას ქართული კულტურის განვითარების თავგადასავალშიც საპატიო ადგილი უკავია და ქართულ ცხოვრებაში იგი იყო ღერძი, რომელზედაც ეროვნული კულტურის საქმეც ტრიალებდა. – არ ყოფილა საქართველოში არც ერთი საზოგადოებრივი და ეროვნული დანაწესები, სადაც სოციალისტ-ფედერალისტები მუშაობაში ჩაბმული არ ყოფილიყვნენ: წ. კ. გ საზოგადოებანი, დრამატული, საისტორიო, საეთნოგრაფიო, საარქეოლოგიო, სამუზეუმო, საგიმნაზიო და სხვადასხვა, – ყველგან ფლობდნენ ისინი; ეროვნული ქმედობის ყველა ბუდეში ისხდნენ, ათბობდნენ, სჩეკდნენ, ზრდიდნენ, ააფრენდნენ... იყო ღვაწლი უანგარო და საკეთილო...“

და ეს პარტიაც, ვითა ყველა და მთელი ქვეყანა თავისუფალ საქართველოს დაჰხაროდა...” („მამული“ 1951:31).

ცნობილია, რომ ვიკტორ ნოზაძე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გახლდათ. ამიტომ მის მიერ ფედერალისტთა პარტიის ასეთ მაღალ დონეზე შეფასება, ერთგვარად სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ დაშვებული შეცდომების აღიარებასაც მოასწავებდა.

ასევე მნიშვნელოვანია ამავე ნომერში დაბეჭდილი გრიგოლ რობაქიძის ვრცელი სტატია „ერთი ფურცელი“, რომელშიც მწერალი აღნიშნავდა: „გახსენებ მთავარ გონმეტყველთ რაზმისა და მათ მომხრეთ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ანდრო დეკანოზიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, პეტრე ყიფიანი, იასონ ბაქრაძე, კოტე ბაქრაძე, დავით კლდიაშვილი, სოსიკო მდივანი, ივანე მესხი, დავით („დათიკო“) მესხი, ივანე ზურაბიშვილი, სამსონ ფირცხალავა, იასონ გედევანიშვილი,

შემდეგ „გადახრილი“, ტიტე ართმელაძე (ჩამოთვლილთ შორის ყველაზე უმცროსი). თვითეული მოითხოვს ცალკეულ ესკიზს თუ მონოგრაფიას" („მაბული“ 1951:27).

1951 წელს ჟენევიდან გაგზავნილ ამავე სტატიაში მწერალი გრიგოლ რობაქიძე დაწვრილებით მოგვითხრობდა ასევე ამ პარტიის ახალი თაობის შესახებაც: „მათ მიერ განმტკიცებულ არეში აღიზარდა და დადგინდა მამულიშვილურად მთელი რიგი სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობისა: არჩილ ჯაჯანაშვილი, არისტო ჭუმბაძე, აკაკი პაპავა, ვახტანგ კოტეტიშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი და სხვანი" („მაბული“ 1951:27).

ამავე ნომერში გამოქვეყნდა ასევე რაფიელ ინგილოს წერილი „ერის სამსახურში“. პუბლიკაციას წამძღვარებული ჰქონდა ეპიგრაფი: „ღირსად მიიღე, ღირს მიეც, ესე იგავათ თქმულია“. ავტორი მიმოიხილავდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ღვაწლს და აღნიშნავდა: „დორპატის უნივერსიტეტის ქართულ სათვისტომოში „ბანკეტი“ მოუწყვეთ ამ უნივერსიტეტში ახალ დიპლომ მიღებულ აკაკი პაპავას, იმ დროს უკვე შესაფერ სიმაღლეზე აწეულს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში. აკაკი იმ ხანებშიაც „ჰმოყვრობდა“ ლიტერატურულ კრიტიკასა და ისტორიულ ამბავთა აღწერას" („მაბული“ 1951:27).

სოციალ-ფედერალისტთა ემიგრანტულ ორგანოში – „სახალხო საქმე“, 1952 წელს მის საიუბილეო ნომერში დაიბეჭდა მარკოზ ტულუმის ქართულ ენაზე დაწერილი ნაშრომი „სოციალ-ფედერალიზმი საქართველოში“.

„სახალხო საქმის“ საიუბილეო ნომრის შესახებ თავის წიგნში „ფრანგული დღიური“, გურამ შარაძე აღნიშნავდა: „მასში დაბეჭდილია პირველხარისხოვანი გამოკვლევები და წერილები, რომლებიც შუქს ჰფენენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორიას, მის მოქმედების პროგრამასა და მსოფლმხედველობას. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: ზ. ავალიშვილი – „შენიშვნები არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფიისათვის“; მიხ. წერეთელი – „არჩილ ჯორჯაძის სახსოვრად“; ფ. შარაძე – „ორი სურათი“; აქვეა ნ. ჟორდანიას, ევ. გეგეჭკორის, გრ. ურატაძის, მ. ლაშაურის და სხვათა მისაღმებანი" (შარაძე 1900: 82-83).

აქვე დაბეჭდილია პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები და სხვა ისტორიული ფოტოსურათები.

„სახალხო საქმის“ ფურცლებზე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილებიდან ყურადღებას იქცევს სანდრო ნებლოს (იმავე ალექსანდრე პაპუაშვილის) კორესპონდენცია „ქართული საქმის 50 წლის თავზე“, სადაც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაარსებას: „ვერავითარმა წინააღმდეგობამ ვერ შეარყია არჩილ ჯორჯაძისა და მის მიმდევართა მაღალი რწმენა და საქმე ჩვენი ერის თავისუფლებისათვის... და მალე მთელმა ქვეყანამ ნახა მათი ბრწყინვალეობა. არჩილის სიტყვები 26 მაისის დროშაზე დაიწერა – „საქართველო აღსდგა!“

მართალია, არჩილი ხუთი წლით ადრე მოგვმორდა, მაგრამ მას სჯეროდა, რომ სამშობლო კვლავ წამოდგებოდა... დღესაც, ამ ეროვნულ სევდის ხანაში საქართველოს შესცქერის მისი სევდიანი თვალები... ამ სევდის შუქი ჩვენ ყველას გვწვდება გულის სიღრმეში... მისი იდეა და ქართველობა მკვდრეთით კვლავ აღსდგება!“ (შარაძე 1993:219).

ასევე, ნიშანდობლივია, გრიგოლ რობაქიძის პირადი წერილი, რომლის ადრესატი აკაკი პაპავა გახლდათ: „სახალხო საქმე“ მომივიდა. გამაღობ! ძალიან კარგადაა შედგენილი. გამოცემა მისი სამამულიშვილო აქტად ჩაგეთვლება. ჩემს წერილში ერთი ბეჭდვითი შეცდომაც არაა. საკვირველია: ეს წუნწკლიანი ჭინკა – „შეცდომა“ – თან სდევს ხოლმე ჩემს ნაწერს. აქ კი ვერ მოუხერხებია შემოპარვა“ (რობაქიძე 2012: 448).

ამ ამონარიდებიდან ირკვევა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამხრეთ ამერიკაში გამოსულ ჟურნალ-გაზეთებს გრიგოლ რობაქიძე, რომელიც დაუმსახურებლად არავის საქმიანობას შეაფასებდა.

„სახალხო საქმე“ ემიგრაციაში გამოძავალი ჟურნალ-გაზეთების მსგავსად ანტიკომუნისტური ხასიათის გამოცემა იყო. ამას ადასტურებს აკაკი პაპავას წერილი, რომლის ადრესატიც მისი უახლოესი მეგობარი, ემიგრანტი გოგი ნაკაშიძე. 1960 წლის 26 დეკემბერს დაწერილ წერილში აკაკი პაპავა აღნიშნავდა: „ამ ჩვენი დაპყრობიდან 40 წლის თავზე მოსკოვი დიდ ზეიმებს გვიწყობს

საქართველოში. აი, აქ მაინც უნდა ამოიღოს ხმა ჩვენმა ემიგრაციამ და სთქვას თავისუფალი სიტყვა. ეს არის ჩვენი წმინდა მოვალეობა, რათა ისტორიის წინ არ შევრცხვით...

თუ ყველას ერთად გამოსვლა არ მოეწეობა, ჩვენ მაინც გამოვცეთ მცირე ფორმატის „სახალხო საქმე“. ეს დარჩება ნათელ კვალად. რას იტყვი ამაზე? მომწერე და მისწერე პარიზში" (პაპავა ფონდი 29044).

ეს წერილიც იმის დასტურია, თუ როგორი აქტუალური პოლიტიკური პუბლიკაციები იბეჭდებოდა საგანგებო რვეულ „სახალხო საქმეში“.

ასე რომ, „სახალხო საქმის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის შესწავლისათვის უდავოდ საუკეთესო კვლევით მასალებს წარმოადგენს.

საერთოდ, სამხრეთ ამერიკაში გამოსულმა პერიოდიკამ ჟურნალ „მამულმა“ და საგანგებო რვეულმა „სახალხო საქმეში“ ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა.



არგენტინის ქართული დიასპორის ერთი ჯგუფი. მეორე რიგში: მარცხნიდან მეორე ლევან ჯაფარიძე, მეხუთე ციალა ჯაფარიძე და ვიკტორ ნოზაძე.

ბ) ბუენოს-აირესსა და სანტიაგო დე ჩილეში გამოცემული ქართული წიგნები

არგენტინის ქართულ დიასპორას საგამომცემლო საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდა ვიკტორ ნოზაძისა და აკაკი პაპავას სახით. მათ საგამომცემლო მუშაობის საქმეში ჯერ სამშობლოში ჰქონდათ სათანადო ღვაწლი გაწეული, მერე კი ევროპაში.

ამასთან დაკავშირებით, პროფესორი რ. დაუშვილი აღნიშნავს: „ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და კრებულები უკვე 1921 წლიდან იბეჭდებოდა სტამბოლში და პარიზში, შემდეგ ვალენტიანეში, ჟენევაში, ბერლინში, მიუნხენში, ნიუ-იორკსა და სხვა ქალაქებში. ქართულ ენაზე სხვადასხვა დროს გამოდიოდა მრავალი ჟურნალ-გაზეთი, რომლებიც უმეტესად პოლიტიკური მიმართულების იყო. პარტიათა და მრავალრიცხოვანი ჯგუფების წარმოქმნამ პერიოდულ გამოცემათა სიმრავლე გამოიწვია...

და საერთოდ, წიგნების გამომცემლებად თვითონ ჟურნალ-გაზეთებისა და სხვადასხვა საზოგადოების თუ ორგანიზაციების ხელმძღვანელები გვევლინებიან" (**დაუშვილი 2007:169-170**).

ასე მოხდა არგენტინაშიც, სადაც ჟურნალ „მამულისა“ და საგანგებო რეველი „სახალხო საქმის“ პარალელურად სამხრეთ ამერიკაში გამოიცა პირველი ქართული წიგნი. ეს იყო თ. პაპავას ნაშრომები „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“.

ამასთან დაკავშირებით, ჟურნალი „მამული“ თანამემამულეებს ასეთ ინფორმაციას აწვდიდა: „1951 წელს ქალაქ ბუენოს-აირესში ქართულ ენაზე გამოიცა ისტორიული ნარკვევი ქ-ნ თამარ პაპავასი: დარეჯან დედოფლის შესახებ. ნარკვევს წინ უძღვის ნოე ჟორდანიას წერილი „ქართველი ქალი“ და დართული აქვს ბოლოსიტყვაობა ავტორისა. წიგნი მშვენივრად არის გამოცემული და შეიცავს დარეჯან დედოფლისა და ერეკლე მეფის სურათებს. აღნიშნული ნარკვევი თამარ პაპავამ გაგრძელებებით დაბეჭდა 1951 წელს ჟურნალ „მამულის“ პირველ და მეორე ნომრებში“ (**„მამული“ 1951: 21-29, 43-52**).

გარდა თ. პაპავას დასახელებული წიგნისა, სამხრეთ ამერი-

კაში, კერძოდ კი არგენტინასა და ჩილეში, სხვადასხვა დროს ასევე გამოვიდა ვიკტორ ნოზადის, აკაკი პაპავასა და გიორგი გამყრელიძის წიგნები.

ორი წლის შემდეგ, 1953 წელს, არგენტინაში თამარ პაპავას მეორე წიგნიც დაიბეჭდა – „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, რომელშიც შესული იყო ისტორიული ნარკვევები: „იმერეთის დედოფალი მარიამ“, „გურია“ და „დედოფალი სოფიო“.

თ. პაპავას ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით, ვიკტორ ნოზაძე აღნიშნავდა: „თამარ პაპავას ახალი წიგნი ორ დედოფალს შეეხება და მათ ცხოვრება-ბრძოლას აღწერს. ორივე დედოფლის ცხოვრება მჭიდროდ გადაბმული არის იმ ბრძოლებთან, რომელსაც მათი ქვეყანა, – იმერეთი და გურია თავის უფლებათა დასაცავად ეწეოდა XIX საუკუნეში“ (შარაძე 1991: 251).

სამხრეთ ამერიკაში ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედებითი საქმიანობა კიდევ უფრო შეავსო და მალალ მეცნიერულ ღონეზე აიყვანა ვიკტორ ნოზაძემ, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია „დიდ ერუდიტს“ უწოდებდა.

ვიკტორ ნოზაძემ ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე, მართლმართომ, დიდი ნიჭისა და ურყევი ნებისყოფის წყალობით, შექმნა და სამშობლოს დაუტოვა რუსთველოლოგიურ ნაშრომთა ექვსი მონუმენტური ტომი, რომელთაც იგი გზადაგზა თვითონვე აწყო და ბეჭდავდა კიდევ. მათგან პირველი ტომი „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ ბუენოს-აირესში 1953 წელს გამოვიდა.

არგენტინაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში აკაკი პაპავამ ორი პოეტური კრებული გამოსცა: 1955 წელს – „ბაბუტას ლექსები“ ბუენოს-აირესში და 1956 წელს „უცხო ჭიშკართან“, ისევე ბუენოს-აირესში.

ქართულ ისტორიულ თემატიკაზე თამარ და აკაკი პაპავების ერთობლივი დაულალავი მრავალწლიანი შრომა 1956 წელს ბუენოს-აირესში გამოცემული ნაშრომით დაგვირგვინდა. ეს იყო წიგნი „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“, რომელშიც მრავალი ისტორიული პირის სურათებიცაა ჩართული. ესენია: მარიამ დედოფალი, გიორგი მეცამეტე, დავით ბატონიშვილი, ანა ერისთავის ასული-მეუღლე ფარნაოზ ბატონიშვილისა, გენერლები

პ. ციციანოვი, კ. კნორინგი, ი. ლაზარევი. აქვე განთავსებული იყო ბაგრატიონთა ღერბი და ძველი თბილისის ხედი.

არგენტინაში გამოცემული თამარ და აკაკი პაპავას წიგნები მხატვრულად გააფორმა მათმა სიძემ პროფესორმა ლეონიდე ჭეიშვილმა.

1953 წლის ბოლოდან სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე ლიტერატურულ-სამეცნიერო, კულტურულ-საგამომცემლო საქმიანობამ არგენტინიდან სანტიაგო დე ჩილეში გადაინაცვლა, ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ვიკტორ ნოზაძე. ნაშრომების გამოცემა იკისრა მრეწველმა ავთანდილ მერაბაშვილმა, რომელიც დაინტერესებული იყო შოთას გენიის მეცნიერული კვლევებითა და „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე გამოცემით. რუსთველოლოგიური ნაშრომების გარდა, ასევე დაიბეჭდა აკაკი პაპავას კრებული „1500 წლოვან თბილისს“ და გიორგი გამყრელიძის პოეტური კრებული „გვიანი რთველი“.

ავთანდილ მერაბაშვილის შესახებ, ცნობილი ემიგრანტი ალექსანდრე მანველიშვილი წერდა: „1925 წელს გრიგოლ ვეშაპელი, თავის სტატიაში ქადაგებდა ემიგრანტების საქართველოში დაბრუნებასა და „შერიგებას უკვე დამყარებულ რეჟიმთან...“ ამ ლალატის გამო, იგი მოკლა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ავთანდილ მერაბაშვილმა, რომლის გასამართლებას მეტად საინტერესო ისტორია უკავშირდება: „სასამართლოზე ბრალმდებელმა მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. მოსარჩელედ გამოსულმა ემიგრანტმა პოეტმა, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელმა კონსტანტინე ბალმონტმა მაშინ ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა: „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე იგი დიდი ხანია მუშაობს და ღრმად ჩაწვდა ქართულ ხასიათს, – რომ ამ პოემაზე აღზრდილი ქართველებისათვის ყველაზე დიდი დანაშაულია რწმენის, სამშობლოსა და მეგობრის ლალატი. ვეშაპელმა კი სამივე ეს ზნობრივი კრიტერიუმი დაარღვია და ამიტომ დაისაჯა. ბალმონტის გამოსვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგულ სასამართლოზე, რომ მან მკვლელს მხოლოდ საფრანგეთიდან გადასახლება მიუსაჯა. მერაბაშვილი ჯერ გერმანიაში დასახლდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – სამხრეთ ამერიკაში...“

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში დასახლებულმა ა. მერაბაშვილმა ჩილეს გვარჯილისა და სპილენძის საწარმოები შეიძინა. წარმოებაში მოგებული ფულით მან სანტიაგოს მახლობლად, ოკეანის სანაპიროზე რესტორანთა ქსელი და სააგარაკო ქალაქი გააშენა. ქუჩებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ცენტრალურ გამზირს კი თავისი „გადამრჩენელის“ რუსთაველის ქუჩა უწოდა; მასპინძლობდა და პატრონობდა გერმანიის მხარეზე მებრძოლ ქართველებს, რომელთა გადაცემა საბჭოთა მთავრობამ ევროპელ მოკავშირეებს მოსთხოვა. ჩილეს მთავრობამ კი 1947 წელს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა გაწყვიტა და ლტოლვილები შეიფარა" (დაუშვილი 2008:23-55).

აქვე მცირედი შენიშვნაც უნდა გაკეთდეს: ვიკტორ ნოზაძეს ჩილელი მრეწველი და მეცენატი ყველგან ავთანდილ მერაბაშვილად ჰყავს მოხსენიებული. ასევე ვიკტორ ნოზაძის სამივე ნაშრომზე თავად ავთანდილ მერაბაშვილიც ამ წიგნების წინასიტყვაობაშიც ყველგან მერაბაშვილად აწერდა ხელს, მაშინ როცა გურამ შარაძის ნაშრომებში მერაბაშვილი მოხსენიებულია, როგორც მერაბიშვილი, რაც უზუსტობაა.

სანტიაგო დე ჩილეში დაიბეჭდა ასევე ვიკტორ ნოზაძის სამი ფუნდამენტური ნაშრომი: 1957 წელს II ტომი – „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“. რომელსაც ასევე მალევე მოჰყვა III ტომი – „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“, ხოლო 1958 წელს დაისტამბა მეოთხე ტომიც – „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება“ (ნოზაძე 1958: 261).

ლიტერატურულ-სამეცნიერო საქმიანობა ჩილეში ვიკტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსანის“ სამი წიგნის დაბეჭდვით არ ამოწურულა. ავთანდილ მერაბაშვილის ინიციატივით და ვიკტორ ნოზაძის დახმარებით გუსტავო დელა ტორეს მიერ ესპანურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანიც“ ასევე სანტიაგო დე ჩილეში დაიბეჭდა.

1966 წელს რუსთაველის 800 წლის იუბილეზე ა. მერაბაშვილის შეკვეთით ჩილეელმა მხატვარმა შექმნა პოეტის პორტრეტი, რომელიც ამშვენებდა ჩილეელ მწერალთა ასოციაციის მიერ მოწყობილ საიუბილეო მოსაწვევს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 1960 წელს, სანტიაგო დე ჩი-

ლექსში გამოიკა გიორგი გამყრელიძის პოეტური კრებულიც – „გვიანი რთველი“.

ასე რომ, როგორც თამარ პაპავა აცხადებდა: „ავთანდილი საინტერესო ადამიანი და ყველაზე ადრე, წმინდაწყლის ქართველი პატრიოტია“ (პაპავა ფონდი 28103/19).

კრებულში – „გვიანი რთველი“, შესული იყო გ. გამყრელიძის ლექსი „ოცნება რთველზე“, სადაც გაცოცხლებულია „ზვრები სვირის და ზვრები კახეთის“ და პოეტური ფანტაზიითაა იდეალიზებული „ოცნება რთველზე“:

„მზე ჩადის... და ცას შეფარავს ინით,
დევებათ სჩანან ჩალის ზვინები.
ქვევრებში ტკბილი ამბოხდა ჟინით
და დიონისოს გაჩაღდა ღზინი
მზისა და მაჭრის დაქორწინების.“

ჟურნალ „მამულში“ დაბეჭდილი გ. გამყრელიძის ლექსები და სანტიაგო დე ჩილესში გამოსული ლექსების კრებული მხატვარ ლადო სააკაძის მიერ გახლდათ დასურათებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1960 წელს სანტიაგო დე ჩილესში დაიბეჭდა ასევე აკაკი პაპავას კრებული „1500 წლოვან თბილისს“.

სამხრეთ ამერიკაში დაბეჭდილი ვიკტორ ნოზაძის, თამარ და აკაკი პაპავებისა და გიორგი გამყრელიძის წიგნები მნიშვნელოვნად გამოირჩეოდნენ მაღალი ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულებებით და ისინი დღესაც არ რჩებიან ფართო მკითხველი-აუდიტორიის ყურადღების მიღმა.

წიგნის გამოცემაზე ძნელი ემიგრაციაში მისი გასაღება იყო, რადგან ემიგრანტები ნებაყოფლობით გაურბოდნენ მის შექმნას, ხოლო, როცა საკითხი ამ წიგნების სამშობლოში გაგზავნას შეეხებოდა, ისინი ამ საქმეში უანგარონი და ერთსულოვანნი იყვნენ.

ამის დასტურია თამარ პაპავას ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ერთი წერილი, რომელსაც იგი საქართველოში ავთანდილ მერაბაშვილის დას სარას უგზავნიდა. წერილში ავტორი შემდეგს მოგვითხრობდა: „რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებს, რასაც ბატონი ასათიანი ითხოვს, გთხოვთ გადასცეთ, რომ ესპანურ

ენაზე ჯერ არ გამოუციათ. თუ გამოვიდა, მივიღებთ და გამოვიგზავნი.

ფრანგულ ენაზე გ. გვაზავას თარგმანს ამ დღეებში გადმოვიგზავნი. ბალმონტის თარგმანს კი, სამწუხაროდ, ვერ შეველევით, ნაჩუქარია და ერთი ეგზემპლარი მოგვეპოვება.

პუგო ჰუმბერტის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“, გამოცემული ბერლინში 1955 წელს, რომელიც ალბათ მოეპოვება მუზეუმს, სხვები, ძველი გამოცემები: უნგრულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზეც, რა თქმა უნდა, მოეპოვებათ მანდ.

ბალმონტის თარგმანი იშოვება, ალბათ, პარიზში. მივსწერთ და დავავალებთ იქაურ მეგობრებს – როგორმე გვიშოვნონ და თუ მოხერხდა, იმასაც გაახლებთ მუზეუმისათვის გადასაცემათ" (**პაპავა ფონდი 28103/ 1**).

შემდეგ წერილში კი თამარ პაპავა აღნიშნავდა: „საყვარელო ჩემო სარა, მართალი ვითხრათ, მე ველარ ვბედავ აქედან წიგნების გამოგზავნას, რადგან ჩვენი ფოსტის ბრალია, თუ სხვა მიზეზების გამო, ეს წიგნები თქვენამდის არ აღწევენ; ძალიან ბევრი წიგნი გამოვიგზავნეთ თქვენ, ჩემიანებს და სხვა მეგობრებს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოაღწია მაქამდის; აი, ესაა მიზეზი, თორემ მაგალითად დღესვე გამოვიგზავნიდით აკაკის ახალ წიგნებს. სხვათაშორის მიტოს დას აქვს ჩემი მარიამი, თუ გაინტერესებთ წაკითხვა, არა მგონია დაგიკავონ" (**პაპავა ფონდი 28103/20**).


ამრიგად, არგენტინასა და ჩილეში ქართული დიასპორა მეტად აქტიურ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრება-მოღვაწეობას ეწეოდა და მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ფიზიკური ბრძოლისა და სამშობლოსათვის თავდადების დიდი უნარი. სამხრეთ ამერიკაში თავშეფარებულმა ემიგრანტებმა ძალად ღონეზე შეძლეს კულტურულ-საგანმანათლებლო და აკადემიური მუშაობის წარმართვა, რომელთა დასტურია აურნალი „მამული“, საგანგებო რეველი „სახალხო საქმე“ და ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები.

მართალია, მათ საქმიანობას მთავარი შედეგი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და პოლიტიკურ ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნება – არ მოჰყოლია, მაგრამ, როგორც მიხაკო წერეთელი განმარტავდა: „გარეშე ერისა არ არის არც ისტორია, არც კულტურა, არც შექმნა ნამდვილი პიროვნებისა, ამიტომ

ერის წინაშე სამსახური თავის თავის წინაშე სამსახურია და ამასთანავე, შემოქმედება, შექმნა მომავლისა. თვით ერია საზოგადოებრივი პიროვნება, უფლების მქონე სიცოცხლისა, განვითარებისა და თავისუფლებისა” (წერეთელი 1990: 251).

და, ამასთან ერთად, რაც მთავარია, არგენტინასა თუ ჩილეში დაბეჭდილი პერიოდიკა და ქართული წიგნები ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარების საქმეში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო იმით, როგორც ამას ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „საბჭოთა საქართველოში მოღვაწე მწერლებისაგან განსხვავებით, ქართველ ემიგრანტთა მხატვრული სიტყვა ცენტრის არტახებით არ იყო შებოჭილი და შეუზღუდველი გულწრფელობით გამოხატავდა ავტორთა ნამდვილ გულისთქმას. მიუხედავად იმისა, რომ მათეულ შეფასებებსა და ნაზრევში ზოგიერთი რამ შეიძლება ტენდენციურიც გვეჩვენოს და არაობიექტურიც, ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ისაა, რომ ისინი თავისუფლად, იდეოლოგიური შებოჭილობის გარეშე სჯიან და აანალიზებენ მოვლენებს. ქართული ემიგრანტული ინტელექტუალური მემკვიდრეობისადმი ინტერესს არსებითად ზრდის ის გარემოებაც, რომ იგი ყველა იმ მიმართულებასა და მსოფლმხედველობრივ ნაკადს წარმოაჩენს ფართო სპექტრითა და ყოვლისმომცველობით, რითაც XX საუკუნის ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოღვაწეობა ხასიათდებოდა” (ნიკოლეიშვილი 2006: 29).





1953 წელს არგენტინაში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნი



1956 წელს ბუენოს-აირესში გამოცემული თამარ და აკაკი პაპაგების ერთობლივი ნაშრომი



1956 წელს არგენტინაში დაბეჭდილი აკაკი პაპაგას პოეტური კრებული



1960 წელს სანტიაგო დე ჩილეში დაბეჭდილი აკაკი პაპაგას კრებული



ყდა ლეო ჭეიშვილისა.



ფერთა მოტარებელს
ვარაუდებითა მოუვარდულს
ქალთა ზამთრისთვის
და თვით მომხილავს
ჩემს საუბარად ჩაბას
ლიდას
ქვინად
ვ. ნოზაძე

1954 წელს ბუენოს-აირესში დაიბეჭდა ვიკტორ ნოზაძის
რუსთველოლოგიური კვლევის პირველი წიგნი „ვეფხისტყაოსნის
განკითხვა ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“




მრეწველი ავთანდილ მერაბაშვილი,
რომლის თაოსნობით სანტიავო დე
ჩილეში გამოიცა ქართული წიგნები



ესპანურად თარგმნილი
„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი
გუსტავო დე ლა ტორე



ლეო ჭეიშვილის უფროსი
შვილი - მხატვარი
ნინო ჭეიშვილი



ესპანურად თარგმნილი
„ვეფხისტყაოსანი“



ესპანურად თარგმნილი
„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების
ავტორი მხატვარი ნინო ჭეიშვილი

თავი III.

სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ქართველი მწერლები

„ქართველი ერის ტრადედია ახალი ამბავი არ არის; მისი ცხოვრების ისტორიაში ხშირად ყოფილა ის აოხრებული და განადგურებული; ის ამას მიჩვეულია, ამ ტრადედიაში გამოიჭედა მისი სული და გული, მისი მტკიცე იმედები კვლავ აღდგენისა და თავისუფლებისა. ქართველის ნიჭსა და მოღვაწეობას არა ერთი და ორი ქვეყანა გაუკვირვებია – ბევრი გამოჩენილი და სახელოვანი ქართველი განისვენებს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ისინი ბედით თუ უბედობით გარდაიხვეწნენ. ბევრი მაგალითი გვაქვს იმის შესახებ, რომ რომელიმე ქართველს თუ რა დიდი როლი უთამაშნია სხვა ქვეყნის ცხოვრებაში“, – აღნიშნავდა პოლიტიკური ემიგრანტი ს. შავთიელი" (შარაძე 2003: 422).

მსგავს ქართველებს მიეკუთვნებიან ქართული პოლიტიკური ემიგრანტების წარმომადგენლები – მეცნიერები, პოლიტიკოსები და მწერლები: აკაკი და თამარ პაპაეები, ვიკტორ ნოზაძე და ლეონიდე ჭეიშვილი.



აკაკი პაპავა

აკაკი პაპავამ, როგორც ნიჭიერმა და ახლებურად მოაზროვნე პიროვნებამ, იმთავითვე მიიპყრო ჩვენი საზოგადოების ყურადღება. იგი გამოირჩეოდა აქტიური შემოქმედებითი და პოლიტიკური მოღვაწეობით, რასაც ადასტურებს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე – ემიგრანტი რევაზ გაბაშვილი თავის „მოგონებათა“ წიგნში: „მალე წავედი თელავში“ საცა ფედერალისტებს ნაკლები გავლენა ჰქონდათ, მიუხედავად თავად-აზნაურობისა და მთელი ინტელიგენციის მათკენ ყოფნისა, ეროვნული საკითხის გამო. მაგრამ ამ პროვინციალურ ინტელიგენციას „სჯობნიდა“ და თვალს უხვევდა ერთი პეტერბურღელი სტუდენტი, რომელსაც გაზეპირებული ჰქონდა მარქსისტული ლიტერატურა და პლენანოვის წიგნი... ფედერალისტებიც გზავნიდნენ „პროპაგანდისტებს“. ეხლაც იყვნენ გავზავნილი აკაკი პაპავა და საჯარო პაექრობა იყო დანიშნული თეატრში ამ ორ პარტიას შორის... ეს ორი მეტოქე, – გ. ხირსელი და ა. პაპავა, გაწვრთნილი, დახელოვებული პროპაგანდისტები, ორი კვირით წინდაწინ ემზადებოდნენ ამ „ჭიდაობისათვის“ (გაბაშვილი 1992:69).

აკაკი პაპავას, როგორც პარტიის წევრს, აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ ფედერალისტები. მისი პირველი წერილები და ფელეტონები 1910-იან წლებში ქართველ ფედერალისტთა პარტიის ორგანოს – „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა. იგი ამ ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრად ითვლებოდა და მეთაურ წერილებსაც ხშირად თვითონ წერდა, რასაც საზოგადო მოღვაწე და ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილიც აღნიშნავდა: „მაშინ გამოდიოდა „სახალხო გაზეთი“. გაზეთს ხელმძღვანელობდნენ სულ ახალგაზრდანი, ჩვენი პარტიის მეორე თაობა: არჩილ ჯაჯანაშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, აკაკი პაპავა, არისტო ჭუმბაძე... ძველებიდან მუშაობას განაგრძობდნენ გრიგოლ რცხილაძე, კიტა აბაშიძე, ილია ნაკაშიძე და იოსებ გედევანიშვილი“ (სიგუა 2002:117).

აკაკი პაპავას ცხოვრების კრედი პოლიტიკასთან ერთად, იმთავითვე ფართოდ იყო დაკავშირებული ლიტერატურულ-შემოქმედ-

დებით მოღვაწეობასთან, რომელიც 1910 წლიდან იწყება და ჟან-რობრივად მრავალფეროვანია.

აკაკი პაპავა დაიბადა 1890 წელს ქალაქ სამტრედიაში. პირველდაწყებითი განათლება კულაშის სასწავლებელში მიიღო. შემდეგ იგი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შევიდა და სწავლა განაგრძო დორპატის (იურიევის, ახლანდელი ტარტუ - ავტ.) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, საიდანაც ბოლოს გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1915 წელს დაამთავრა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს აკაკი პაპავა მჭიდროდ თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებთან. იგი თბილისისა და ქუთაისის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად აქვეყნებდა კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებს.

აკაკი პაპავა სამწერლო მოღვაწეობასთან ერთად, საჯარო ლექციებსაც კითხულობდა ქართულ ლიტერატურაზე. მისი კრიტიკული წერილების უმეტესობა შეეხებოდა თანამედროვე ქართულ პოეზიას, თეატრსა და ხელოვნებას, რასაც ცხადყოფს დორპატის უნივერსიტეტში მისი სტუდენტობის დროს სამეცნიერო-სალიტერატურო წრეში გამართული ლიტერატურულ-მუსიკალურ სადამოებზე წაკითხული ლექციები. ამის შესახებ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე ალექსანდრე მხეიძე, გიორგი ჩაჩხიანი და სხვებიც მოგვითხრობენ.

ახალგაზრდა შემოქმედს ლიტერატურულ სარბიელზე გზა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერმა არჩილ ჯორჯაძემ გაუკვლია.

„ქართველი ერის დიდ მოაზროვნეს არჩილ ჯორჯაძეს წაეკითხა თუ არა 23 წლის ახალგაზრდა აკაკი პაპავას წერილები: „ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე“ და „რკალები“... მცისვე ერჩია ავტორისათვის ამ გზით ევლო, რითაც ის ქართულ კულტურას ბევრ ნაყოფს მოუტანდა. აქედან იწყება მისი განუყრელი მეგობრობა არჩილ ჯორჯაძესთან და ეს უკანასკნელი უკვეთავდა მას ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას სხვა და სხვა თემაზე წერილებს,“ – აღნიშნავდა დავით ვაშაძე თავის სტატიაში „კინინი რამ აკაკი პაპავაზე“ („კავკასიონი“ 1964: 27-31).

ახალგაზრდა შემოქმედისა და თანაპარტიელის აკაკი პაპავას ერუდიციასა და მის მაღალ იდეურ-პოლიტიკური მზაობის შეფასებაში ფედერალისტთა პარტიის შემქმნელი და იდეოლოგი არჩილ ჯორჯაძე არ შემცდარა. აკაკი პაპავამ პოლიტიკის, მწერლობის, პუბლიცისტიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროებში გაამდიდრა ნაციონალური შემოქმედება სამშობლოსა თუ ემიგრაციაში.

საგანგებო პრემიით აღინიშნა აკაკი პაპავას „მკრთალ სხივთა ძნა“, რომელიც ნ. მიწიშვილმა რუსულადაც თარგმნა. 1916 წელს გ. ლეონიძის რედაქტორობით გამოცემულ კრებულ „საფირონში“ გამოქვეყნდა ა. პაპავას „ფიქრები მშობლიურ ლიტერატურაზე“. 1918 წელს თბილისში დაარსებულ ყოველთვიურ სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალ „პრომეთეში“ დაიბეჭდა მისი ორი პროზაული ქმნილება „ნახშირის ხაზები“ და „სოლელიდლორ“...

„აკაკი პაპავას დამსახურებულ ავტორიტეტსა და მწერლურ აღიარებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ქართველ მწერალთა საერთო ყრილობამ იგი მწერალთა კავშირის მეორე თავმჯდომარედ აირჩია“ („კავკასიონი“ 1968:64).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აკაკი პაპავა აქტიურად ჩაღდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მებრძოლ მამულიშვილთა გვერდით. იგი იყო თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, ქალაქის გამგეობის წევრი, ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტისა და საქართველოს პირველი პარლამენტის წევრი. მისი პუბლიცისტური წერილები ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მის გეოპოლიტიკურ ვითარებას და გამოხატავდა ესთეტიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეალებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აკაკი პაპავა ხელმძღვანელობდა განათლების სამინისტროსთან შექმნილ ქართული ხელოვნების კომიტეტთან არსებულ ლიტერატურულ განყოფილებას, რომლის თავმჯდომარე გრიგოლ რობაქიძე გახლდათ. იგი ამავე დროს რედაქტორობდა ორკვირიულ სახელწოდებას „ხელოვნებას“.

გასაბჭოებულ საქართველოში ეროვნულ მოღვაწეთა ასპარე-

ზი სულ უფრო მეტად იზღუდებოდა და ამიტომ აკაკი პაპავა „ჩეკას განკარგულებაში“ მოხვდა.

ამასთან დაკავშირებით: „მწერალთა ერთმა წრემ ფილიპე მახარაძეს მიმართა, როგორც ქართველ მწერალს და კავშირის ძველ წევრს“... და „ღმობიერება მოსთხოვა“. მე ჩეკის კლანჭებიდან დამიხსნეს; მაგრამ ლიტერატურული განყოფილება ჩამომართვეს“ („კავკასიონი“ 1964: 29).

აკაკი პაპავას საზღვარგარეთ წასვლასთან დაკავშირებით ორი ვერსია არსებობდა. იოსებ ლორთქიფანიძის აზრით, წასვლის მიზეზი: „მის მიერ ბოლშევიკების პოლიტიკური კრელოს მიუღებლობა და პუბლიცისტურ წერილებში საკუთარი შეურიგებელი პოზიციის საჯარო გამოხატულება იყო და ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ემიგრაციაში წასვლა გახლდათ, რაც 1922 წლის სექტემბერში განახორციელა კიდევ“ („კავკასიონი“ 1964:30)

აკაკი პაპავას საქართველოდან გამგზავრების შესახებ მეორე ვერსიაც არსებობდა: „საიდან მოხვდა ეს ოჯახი სამშობლოს გარეთ?“, – კითხულობდა იოსებ მეგრელიძე და პასუხსაც თავად სცემდა: „თამარის მეუღლეს (აკაკი პაპავას) ჰყავდა ძმები ბარნაბი და შალვა. უცოლშვილო ბარნაბი შავი ქვის მრეწველი ყოფილა და 1922 წელს ავტოავარიაში დაიღუპა. თავის ქონებაზე ანდერძი აკაკიზე ჰქონდა გაფორმებული. ძმის უბედურების გაგებისთანავე აკაკი პაპავა ჰამბურგში წასულა, ბარნაბის მემკვიდრეობა მიუღია და იქვე დარჩენილა“ (პაპავა 1990:5)

იოსებ მეგრელიძის ამ არგუმენტს ამყარებენ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტებიც, რომლებიც შემდეგს მოგვითხრობენ:

„ძვირფასო გიორგი!

თქვენი დეკემბიდან ვატყობ, რომ საქმე გამწვავებულია. უნდა გითხრათ ძალიან მაფიქრებს, როგორც ჩვენი საბჭოს ბედი ისე მარგანეცის მრეწველობისა. პერევისელებმა მილაღატეს და მიწები ოპსიონით გადასცეს ვიღაც ჯაფარიძეს, რომლის უკან უნდა იმალებოდეს პაპავა, ხოლო პაპავას უნდა ყავდეს შემწე, ანუ უკეთ პაპავა უნდა ყიდულობდეს მას, რომელიღაც გერმანული ფირმისათვის; თქვენი მარად ერთგული კიტა“ 2.XI.10 (ქიბ. 2012.ფ.2).

როგორც ირკვევა, წერილის ადრესატი ცნობილი საზოგადო

მოღვაწე და შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე (1896-1917 წლებში) გიორგი ზდანოვიჩია (მაიაშვილი), ხოლო წერილის ავტორი ამავე საბჭოს წევრი და ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, რომელიც 1910 წლის 2 ნოემბერს საზღვარგარეთ მყოფ საბჭოს თავმჯდომარეს მოუთხრობს წარმოების ირგვლივ შექმნილ საკვალალო მდგომარეობაზე.

გამოდის, რომ ბარნაბა პაპავას მართლაც ჰქონდა აქციები ჭიათურის მარგანეცის საბადოებში, სადაც იგი გერმანულ ფირმასთან ერთად მოქმედებდა. კონკურენციას უწევდა გიორგი ზდანოვიჩს და ცდილობდა მთელი მარგანეცის კომპანიის ხელში ჩაგდებას.

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული აღმოჩნდა ასევე მაქსიმე ჟღენტის წერილი, რომელიც მას 1911 წლის 24 აპრილს გაუგზავნია გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩისათვის. მასში ავტორი აღნიშნავდა: „თქმულებაა ჩვენში: „ავი აჯილდა დედას წააჯდაო“. სწორედ, ასე გვიქნა ჩვენმა პაპავამ, გამოეზარდეთ საბჭოს ხარჯით და ამ ხარჯის გარდა მე მივეცი კიდო სამასი მანეთი, როცა უნივერსიტეტში წაბრძანდა და ეს ფულეები 40 მანეთის დაკლებით უპროცენტო დიდი ჩხუბის შემდეგ გაღლებილათ, წვრილ-წვრილად მივიღე. ეხლა, იმ საბჭოს, რომელმაც ის გამოზარდა მალე აღსასრული მოელის. პერევი იყიდა მთლათ, თაბაგრები და ნარათიბარი, და ეხლა აპირებს შუქრუთის ყიდვას. თუ შუქრუთიც იმან ჩაიგდო ხელში, მერმე წვრილი მრეწველი რიდას მაქნისი იქნება აქა? და ამნაირად საბჭოც აღარ იქნება ჩვენს ხელში. თუ გვინდა ჩვენ ამისთანა მტრებს პირი უკან ვაბრუნებინოთ, უნდა ვიყიდოთ ჩვენც ადგილები... მე უფრო მენდობიან შუქრუთში და ვაჩერებ ხალხს, - პაპავას აგენტებს, ნუ დაუჯერებთ-მეთქი. რაც შეიძლება დაჩქარებით მოვაწყოთ ეს საქმე, რომ ესეც არ წაგვართვას...“ (ქმ. 423).

ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა წერილებიდანაც ირკვევა შემდეგი: პაპავა ყველას უმტკიცებდა, რომ „მას საზღვარგარეთ ანგარიშს უწევდნენ“. ბ. პაპავას გადაბირებული ჰყავდა მრეწველი სოლოვიოვი, რომელიც მას მხარს აშკარად უჭერდა" (ქმ. 1990 ზ.4).

ამ და სხვა დოკუმენტების თანახმად, ცხადი ხდება, რომ

1921 წლამდე, ე. ი. გარდაცვალებამდე, ბარნაბ პაპავა დიდძალი ქონების ბატონ-პატრონი გახდებოდა, რაც მის ძმას და მემკვიდრეს აკაკი პაპავას საზღვარგარეთ უზრუნველად ცხოვრების გარანტიას აძლევდა და იგი, ბუნებრივია, ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში ყოფნას თავისუფალ და დემოკრატიულ ევროპაში ცხოვრებას ამჯობინებდა. ამასთან, 1921 წლის პოლიტიკურ ემიგრანტებს მიზნად ჰქონდათ დასახული, რომ საერთაშორისო სამართლის გზით კვლავ აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებულება, რაც თავისთავად აკაკი პაპავას ინტერესთა სფეროშიც შედიოდა.

ამრიგად, ჩვენ იოსებ მეგრელიძის არგუმენტს უფრო ვიზიარებთ იმის შესახებ, რომ აკაკი პაპავას უპირველესად თავისი ძმის ქონებაზე ანდერძის მიღების გამო მოუხდა სამშობლოს დატოვება, რათა ჰამბურგის ბანკების ანაბრებით ევროპაში ცოლ-შვილთან ერთად უზრუნველად ეცხოვრა.

არც საბჭოთა საქართველოში გამეფებული რეპრესიებისადმი შიშს გამოვრიცხავთ, ვინაიდან არავინ იცოდა, „ჩეკა“ მომავალში ვის რა ბედისწერას გაუმზადებდა.

ამასთან დაკავშირებით, თამარ პაპავას მემუარებიც ბევრ ბუნდოვან და დაუზუსტებელ ფაქტებს ხსნის: „კარგად მახსოვს ის დღე, ის პირველი ენკენისთვის 1921 წელი, როცა კაკიჩი თბილისის სადგურზე გამოვაცილე. ის ბათუმის მატარებელში ჩაჯდა. ეს იყო დღის 12 საათი...“

მაშინ კაკიჩი ბათუმიდან სტამბოლს მიდიოდა და იქიდან გერმანიაში, რომ განსვენებულ ბარნაბის (კაკიჩის უფროსი ძმა, სამთო ინჟინერი, მარგანეცის საზოგ. „კარუტის“ ხელმძღვანელი) საქმეები ჩაებარებინა და წესრიგში მოეყვანა საზოგადოების საქმეები ბარნაბის უეცრივ და მოულოდნელად გარდაცვალების გამო (ბარნაბი 42 წლისა, გულის სიგანივრით გარდაიცვალა) ბერლინში...

სტამბოლში ჩასვლისას ავად გახდა ფილტვების ანთებით. გადურჩა. იმავე წელს ნოემბერში მეც წავედი სტამბოლს. მოიკეთა თუ არა, წავედით გერმანიაში. მე 1922 წელს დავბრუნდი საქართველოში ბავშვების წამოსაყვანად. როგორც იქნა მოვახერხე და 1923 წელს მისში საშუალოდ დავსტოვე თბილისი" („ქართული ემიგრაცია" 2013:211-212).

თამარ პაპავას მემუარებმა საბოლოოდ ცხადყო, რომ აკაკი პაპავამ ძმის მემკვიდრეობის მიღების გამო დატოვა საქართველო არა 1922 წელს, არამედ 1921 წლის ენკენისთვის.

ასევე მცდარია იოსებ მეგრელიძის განცხადება იმის შესახებ, თითქოს აკაკი პაპავამ „1924 წელს ცოლ-შვილიც თავად წაიყვანა თბილისიდან“ (პაპავა 1990:5).

ასევე, დაუზუსტებელია ი. მეგრელიძის შემდეგი არგუმენტიც, თითქოს „ბარნაბა ავტოკატასტროფაში დაიღუპა“. როგორც თ. პაპავა ადასტურებს იმავე მემუარებში: „დაუდგა მწუხრი სამშობლოს. მოვიდა ისევ რუსი, გარდაიცვალა ძმა ბარნაბი სამშობლოს სევდით ბერლინში და კაკიჩი უნდა წამოსულიყო საზღვარგარეთ“ („ქართული ემიგრაცია“ 2013:212).

ჩვენი აზრით, ა. პაპავას ბიოგრაფიის ზემოთ აღნიშნული დეტალების დასაზუსტებლად მკვლევარებმა ყველაზე საიმედო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ თამარ პაპავას მემუარები, რადგან იგი წარსული ცხოვრების ჩანაწერებსა და მოვონებებს ეყრდნობა და თვითავტორი განსვამს ამ მოვლენების მონაწილეც.

თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ აკაკი პაპავა, როგორც მოაზროვნე და შემოქმედი პიროვნება, პროლეტარული კულტურის იდეოლოგიასთან მშვიდობიან თანაარსებობას შეგუებოდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არაა, რომ მან თავი გერმანიას შეაფარა.

მიუხედავად უცხოეთში დამკვიდრებისა, აკაკი პაპავას დიდ ქართულ საქმეთა კეთებაზე ხელი არასოდეს აუღია. იგი ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად იბრძოდა უცხოეთში ქართული კულტურის განვითარებისათვის, რასაც უნდა გაეღვივებია ქვეყნის გადარჩენის ინსტინქტი და ქართველი ერი მომავალი ბრძოლებისათვის მოემზადებია.

აკაკი პაპავამ ბერლინში კიდევ უფრო განავითარა თავისი ლიტერატურულ-შემოქმედებითი და პოლიტიკური მოღვაწეობა. იგი გერმანიიდან განაგრძობდა თანამშრომლობას საბჭოთა საქართველოს ლიტერატურულ გამოცემებში, სადაც ინტენსიურად ბეჭდავდა კრიტიკულ წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებს. ამ აზრს კიდევ უფრო ნათელიყოფს თამარ პაპავას ეპისტოლური მემ-

კვიდრობიდან ერთი ასეთი ამონარიდი: „გაიოზ იმედაშვილს, – წერს თამარი, – გაუგზავნეთ განსვენებული მისი მამის ერთი ძველი მანდატის ასლი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციისა, რომლითაც ის მე და აკაკის წარმომადგენლობას უცხოეთში გვაკისრებდა“ (პაპავა ფონდი 28103/4).

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე აკაკი პაპავა ოჯახითურთ ძირითადად ჰამბურგსა და ბერლინში ცხოვრობდა. ამ პერიოდში, როგორც ალექსანდრე შათირიშვილი გვაცნობებს, აკაკი პაპავას დაუმთავრებია ჰამბურგის უნივერსიტეტი დოქტორის ხარისხით. ემიგრაციაში იგი თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიონთან“, რომელსაც ნივთიერადაც ეხმარებოდა. სწერდა „ქართლოსში“, „ბედი ქართლისაში“, სადაც იგი საკუთარი სახელის გარდა, კორესპონდენტებს აქვეყნებდა შემდეგი ფსევდონიმებით: ქეიბური, ოდიშელი, გაუტეხელი, კახაბერი, თუთბერიძე და სხვ.

პუბლიცისტიკაში მის დაუღალავ საქმიანობაზე მიუთითებს ემიგრანტი პოეტის –შალვა ამირეჯიბისადმი გაგზავნილი ერთი ასეთი ეპისტოლეც: „ძვირფასო შალვა! თქვენ როგორც ძველი რაინდობის მოტრფიალეს, სიტყვის გატეხა არა გჩვევიათ. ნუ იქმნ ამას, ძალიან გთხოვთ, დააჩქარეთ ეს საქმე და „კავკასიონს“ მახვილი არ გადაამტკრიოთ... ვიკტორი დაგეხმარებათ მასალის თარგმანში, რომ როგორმე მოასწროთ"... ჰამბურგი 2.1. 1933 (პაპავა ფონდი 26964/72).

აკაკი პაპავა დაუღალავი პრაქტიკული საქმიანობით ხელმძღვანელობდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას და ეს ტვირთიც ემიგრაციაში ღირსეულად ატარა. ამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრის მძიმე მოვალეობას იგი არასოდეს გაქცევია და მუდამ ეროვნული იდეა ასულდგმულებდა.

„გერმანიაში კარგი ავტორიტეტი ჰქონია აკაკი პაპავას ოჯახს," – აღნიშნავს გელა სულაძე თავის წიგნში „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები" (სულაძე 2012:306).

ომის მძიმე წლებამდე პაპაეების ოჯახი ჰამბურგში ცხოვრობდა, რაზეც გრიგოლ რობაქიძეც მოგვითხრობდა: „მე დიდათ ვარ ნასიამოვნები ჰამბურგში გატარებული დღეებით. ნამდვილი ოჯახი შეგიქმნია ქართული და მერე სად? უცხოეთში, გადმოხვე-

წილს. შენი ოჯახის გამართვაში რასაკვირველია უფრო მეტი წილი თამარს უდევს. მე ასე მგონია შენს სახლში არა მარტო „პირის გემოა“ ქართული, არამედ ტვინის საზრდო-ფასდაუდებელი წიგნთსაცავი, საცა მრავალი რამაა მნიშვნელოვანი კავკასიისა და საქართველოს შესასწავლად. და როგორც გვირგვინი (ორმაგი) ყველა ამისა - ტურფა და მზია, რომელთაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს. შენი სიყვარული მათდამი – *ruhrend* (გერ. გულის ამაჩუყებელია)" (**რობაქიძე 2012:417**).

ომის დროს პაპაების ოჯახს გადაბუგული გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში ხეტიალი მოუწიათ. 1945 წელს, როცა ჰამბურგი და მათი საცხოვრებელი სახლი დაიბომბა, აკაკი პაპავა ოჯახთან ერთად სოფელ ფლადუნგენის სკოლის შენობაში გადავიდა, სადაც თავის სიძესთან – ლეო ჭეიშვილთან ერთად თხრიდა „ბუნკერს“ სკოლის სარდაფის ქვეშ თავშესაფრად. და, როგორც თამარ პაპავა თავის მემუარებში აღნიშნავდა: „ჩვენები მუშაობენ, ხან ბოსტანში, ხან მინდორში, ხან ტყეში ზამთრისათვის შეშის დასამზადებლად. მომავალი ზამთარი ყველას ამინებს...

გერმანიის ნანგრევებს შორის შიმშილის აჩრდილი უკვე სჩანს. ვინ იცის, კიდე რას გვიმზადებს ბედი..." (**„ქართული ემიგრაცია“ 2013:207**).

ომის შემდეგ, ევროპაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, აკაკი პაპავამ გერმანია დატოვა და 1949 წლიდან მეუღლითურთ საცხოვრებლად სამხრეთ ამერიკაში, არგენტინაში გადავიდა.

ბუენოს-აირესში აკაკი პაპავა გახდა ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე, აქვე დაარსებულ ჟურნალ „მამულის“ წევრი და აქტიური კორესპონდენტი. მისი პუბლიკაციებით პოლიტიკაზე, ლიტერატურასა თუ მეცნიერებათა შესახებ გაჯერებული იყო ჟურნალ „მამულის“ ყოველი ნომერი.

ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია გრიგოლ რობაქიძის ერთი წერილი: „ძვირფასო აკაკი! მივიღე „მამული“, 1 და 2 რვეული; მივიღე რედაქციისაგანაც -გადაეცი მადლობა ვიქტორ ნოზაძეს; ორ-ორი ცალის გზავნა არაა საჭირო. ქართული კერა გაგიმართავთ არგენტინაში – ქართული ცეცხლი უცხოეთში არ ჩაქრება, წავიკითხე წერილები: შენი, თამარის, ვიქტორის. ვიგზნე გა-

დაჭრილი ფესვები მამულისა, რომელნიც ტკივილად ირხევიან დღესაც ქართველობაში. ქართულ კერასთან ამ ტკივილის გადატანა არა თუ აღვილია, იგი ნაყოფიერიცაა" (**რობაქიძე 2012:146**).

აკაკი პაპავას მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილ მთავრობასთან, რომლის წარმომადგენელი თავად იყო არგენტინაში. ბუენოს-აირესში იგი დაუკავშირდა ეგრეთ წოდებული „სატელიტების“ განმათავისუფლებელ კომიტეტს, სადაც გახდა ამ კომიტეტის წევრი და მასთან ერთად იბრძოდა ერთა განთავისუფლებისათვის. აკაკი პაპავა გადასცემდა იქაურ რადიო „პორტენიათი“ და „ექსელსიორით“ მოხსენებებს დაჩაგრულ ერთა და მათ შორის საქართველოს შესახებაც. „ყოველ 26 მაისს, აწყობდა იგი რადიო გადაცემას მოხსენებითა და ქართული მუსიკით. მას კალამი არ გაუგდია ხელიდან სიკვდილამდე" (**„ქართული აზრი“ 1964:6**).

მის გადაცემებს უსმენდნენ მთელს ევროპასა და მსოფლიოს ყველა კუთხეში, რასაც აკაკი პაპავას ერთი ასეთი წერილიც ადასტურებდა: „პარიზიდან და გერმანიიდან ძალიან აღფრთოვანებული წერილები მომდის, ზოგან საჯაროთ ისმენენ. მიუნხენში პროფესორმა ა. ნიკურაძემ საგანგებო საღამო გამართა ამის მოსასმენად. 18 ამ თვეს, აქ, საქართველოს დატოვების 41 წლისთავზე 3 რადიო გადაცემას ვაწყობ და უკანასკნელი წლინახვერის მანძილზე დაღუპული მეომრების მოსახსენებლად პანაშვიდს. დათა ვაჩნაძის პანაშვიდიც იქნება ასევე მასში" (**პაპავა ფონდი 29044/25**).

იგი ასევე გადასცემდა რადიოთი მასალებს საქართველოს ისტორიაში საბედისწერო თარიღის – 25 თებერვლის – გლოვის დღედ გამოცხადებისა და 29 აგვისტოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყების დამარცხების შესახებაც. აკაკი პაპავა ეროვნული გმირის – ქაქუცას შესახებ გადაცემის მოწყობას ვაშინგტონშიც თხოვდა გოგი ნაკაშიძეს: „აგვისტოს აჯანყების შესახებ, გთხოვ, შესაფერისი მონტაჟი გააკეთო... ბოლშევიკები ხომ დღემდე ქაქუცა ჩოლოყაშვილს ბანდიტათ და აჯანყებას ბანდიტიზმად ნათლავენ; თან „ჯეირანის ამბავიც“ ნამდვილია... ამას შენზე კარგად ვერავინ იქმს და დიდ სამსახურს გაგვიწევ... ვაშინგტონის ხალხი რაღაც უფხო და „ჩავარდნილი“ გამოდგა ამ მხრივ. ასეთ რამეს ვერ ახერხებენ. ამასვე იქმს მიუნხენიც..." (**პაპავა ფონდი 29044/26**).

ყველა ეს გადაცემა პოლიტიკური მიზნებისაკენ იყო მიმართული, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის კიდევ ერთხელ შეეხსენებია საქართველოსთვის თავსდამტყდარი უბედურება.

ამასთან დაკავშირებით, აკაკი პაპავას შვეიცარიიდან 1950 წლის 7 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძე წერდა: „გავიგე: შენ და ვ. ნოზაძეს მანდ პოლიტიური ტონი ავიღიათ გამოსვლებში. ამ ამბავმა შემაშინა. აქ, ევროპაში, პოლიტიური ატმოსფერო საგრძნობლად მოიღრუბლა. უნდა იცოდე ესეც: შვეიცარიის უწყებებს აქვთ ჩემი წერილობითი აღთქმა: არ მივიღო მონაწილეობა არავითარ პოლიტიკაში. მეშინია, მაენოს ჩემმა მონაწილეობამ არგენტინაში გამოსულ კრებულში" (რობაქიძე 2012:443).

ემიგრაციაში აკაკი პაპავა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა სიცოცხლის ბოლომდე. მის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა დროს უცხოეთში გამოცემული ლექსთა კრებულები: „ბაბუტას ლექსები" (1955 წ. ბუენოს-აირესი), „უცხო ჭიშკართან" (1956 წ. ბუენოს-აირესი), „1500 წლოვან თბილისს" (1960 წ. სანტიაგო დე ჩილე), „მოწამეთობა" (1962 წ. ნიუ-იორკი). იგი მეუღლესთან – თამარ გოგოლაშვილ-პაპავასთან ერთად ავტორია ისტორიული ნაშრომისა „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი". ასევე განსაკუთრებული კვლევის საგანს წარმოადგენს სამხრეთ ამერიკაში მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობაც, რომელიც ჟურნალ „მამულის" ფურცლებზე შუქდებოდა.

აკაკი პაპავას მოღვაწეობას მაღალ შეფასებას სიცოცხლეშივე აძლევდნენ თანამედროვენი. ემიგრაციაში განსაკუთრებული პატივისცემით აღინიშნებოდა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი იუბილეები. მის იუბილეებს საქართველოდანაც ეხმაურებოდნენ, რასაც თავად აკაკი პაპავაც მიუთითებს 1960 წლის 18 ივლისით დათარიღებულ ერთ ეპისტოლეში: „საქართველოს სამეცნიერო აკადემიის მდივანისაგან (მკვლევარი გაიოზ იმედაშვილი) წერილი მივიღეთ ორთავემ, სადაც გვთხოვენ ბიბლიოგრაფიას ყველა ნაწერებისას, ბიოგრაფიას და სურათებს. იქ გამოდის „ქართველ მოღვაწე მწერალთა" ენციკლოპედია, რის სამზადისი 40 წლის წინად დაუწყია იოსებ იმედაშვილს. აი, ამისათვის ჩვენ შე-

ვადგინეთ ბიბლიოგრაფია ჩვენი მასალა-შრომებისა ცალკეულად და გაუგზავნეთ" (პაპავა ფონდი 29044/18).

აკაკი პაპავამ მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ემიგრაციაში და მათ შორის სამხრეთ ამერიკაში დიდ ქართულ საქმეს შეაღწეა, გამოხატულს პოლიტიკურ, მეცნიერულ და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობის მხრივ.

აკაკი პაპავა მოულოდნელად 1964 წელს გარდაიცვალა ლომას-დე-სამორას ავტობუსში, რომლის შესახებ, აი, რას გვამცნობს მისი ქალიშვილის – მზია პაპავა-ჭეიშვილის წერილი: „28 ივნისს, საღამოს რვა საათსა და 30 წუთზე ჩვენი უსაყვარლესი მამა საძულამოთ ჩვენგან წავიდა. დაობლდა ჩვენი დიდი ოჯახი, ჩვენმა ტირილმა და გლოვამ მას გული ვეღარ აუძგერა. ძალიან ძნელი და მწუხარე დრო დადგა ჩვენთვის.

კვირა ნასადილევი გავატარეთ ჩემს დასთან. მამა ბედნიერი იყო. ხუმრობდა. ათასი ამბავი მოყვა. რვა საათზე გამოვედით. შინ ერქარებოდა. ავტობუსში გამიღიმა. ჩემს გვერდით იჯდა, უცებ თითქოს ბოდიშს იხდისო მითხრა: „ახ, რა ცუდათ ვარ...“ და გათავდა ყველაფერი ერთი თვალის დახამხამებაში. 30 ივნისს მივასვენეთ ბუენოს-აირესის სასაფლაოზე. მისი ფერფლი ოდესმე დაუბრუნდება მის სამშობლოს, რომლისთვისაც ის ამდენი წლების განმავლობაში იწოდა" (პაპავა ფონდი 28103/32).

მოკვიანებით მისი ფერფლი მიაბარეს ლევილის მიწას, სადაც განისვენებენ სამშობლოდან განდევნილი პირველი რესპუბლიკის მესვეურნი.

უცხოეთში გაფანტულ ქართველობას დიდი გულისტკივილი მიაყენა აკაკი პაპავას გარდაცვალებამ. ამასთან დაკავშირებით ემიგრანტი გიორგი ნაკაშიძე წერდა: „განა შეიძლება, რომელიმე ქართველმა შენ რამე გისაყვედუროს?! შენ ხომ პირნათლად მოიხადე ეროვნული ვალი შენი ქვეყნის წინაშე, იქ, სამშობლოში და აქ უცხოეთში. შენ ნათელი შარავანდელით შემოსე საქართველოს სახელი, შენი გამოსვლა – შემოქმედებით საერთაშორისო სარბიელზედაც" („კავკასიონი" 1964:35).

აკაკი პაპავას დაკარგვით გამოწვეული უდიდესი სევდითა და სულიერი ტკივილითაა სავსე ბ. ბებურიშვილის (ვიკტორ ნოზაძე)

სიტყვები: „ვერ გაიმარჯვე, ჩემო აკაკი, შერკინებაში; ბადროს ტყორცნისას ფეხი აგიცდა გამარჯვებაში; წინ ვერ გაუსწარ მეტოქეებს ჯირითობაში; ჩამორჩი უკან ეკლიან გზაზე ცხენოსნობაში; ბორბალი გატყდა გამწარებულ ეტლთა სრბოლაში; გაუტეხელმა გულმა ვისუსტა მძიმე რბენაში...

აღარ გეკუთვნის შენ „ჰირმოი“ გამარჯვებაში, რაც ეკუთვნოდა გამარჯვებულთ ვარჯიშობაში...

ვერვინ წაგართმევს „ჰეპინიკოი“-ს კალმოსნობაში; ვერც სიყვარულში, ვერც სამშობლოსადმი სათუთ გრძნობაში; მეგობრობაში, სათნობაში, სულმადლობაში; ორგულთა მიმართ გამუდმებულად ცხარე ბრძოლაში; სამშობლოს მტრებთან შეუმუსრველად შეჭიდებაში" („აკაკისონი" 1964:35).

გაზეთ „ქართულ აზრში“ ვკითხულობთ: „აკაკი პაპავა წინა თაობის ერთი იშვიათი და წარმტაცი პიროვნება იყო, რომელიც არ მოსწყდა წარსულს, არ ჩამორჩა აწმყოს და მაღალი აღტკინებით უზიარებდა ემიგრაციას ყოველ ახალ აღმოჩენას, რომლითაც მტკიცდება საქართველოს სიდიდე და სიდიადე... ჩვენ გვწამს, რომ მაღლიერი ქართული საზოგადოება ღირსეულად დააფასებს მის შემოქმედებას და მის როლსა და დამსახურებას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში" („ქართული აზრი" 1964:5).

გულში ჩამწვდომი ლირიკული სტრიქონებით გამოეთხოვა მეუღლეს თამარ პაპავა... იგი წერდა: „აქ მშვენიერი გაზაფხულია... ყვავიან ჩემი საყვარელი გლიცინიები, ყურძნის მტევნებივით, რომ არიან ჩამოკიდებული მთელ აივნის გასწვრივ... დილაობით ამ მშვენიერ გაზაფხულის გარიჟრაჟზე ჩვენ გვიყვარდა ამ აივანზე ჩაის დაღვევა... ეს დილის საუზმე იყო ყველაზე კარგი დრო მთელი დღის გასწვრივ... ჩვენც გვიხაროდა და გვიყვარდა ამ გლიცინიების სურნელობა.

ეხლაც ყვავის გლიცინიები. ბელურებიც ჟრიაძეობენ, მაგრამ აივანზე აღარავინ შეექცევა საუზმეს..." (პაპავა ფონდი 28103/2).

აკაკი პაპავა საზღვარგარეთ გადახვეწილ იმ ალამიანთა შორის იყო, რომელთაც თავიანთი დაუღალავი მოღვაწეობით პოლიტიკის, მეცნიერების, ჟურნალისტიკისა თუ მწერლობის სფეროში მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს და ამით მნიშ-

ენელოვანი ადგილი დაიკავეს XX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში.

საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში და ქართული კულტურის სამსახურში ჩაფერვლილი აკაკი პაპავას მიერ განვლილ ცხოვრების გზასა და მის მრავალფეროვან შემოქმედებით მემკვიდრეობას ჩვეული ოსტატობით გვიხატავს მისივე თანამებრძოლი ემიგრანტი ალ. შათირიშვილი: „აკაკი პაპავა იყო ნამდვილი მირონცხეული მწერალი, სიტყვის უღაო ხელოვანი, აზრის უებრო გამომთქმელი.

წიგნი, ქაღალდი, კალამი და მელანი მისი მიუცილებელი იარაღები იყვნენ, ურომლისოდაც მას თავისი ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა...

აკაკი საქართველოდან შორს მყოფი, საქართველოსთან მუდმივ სულიერ კავშირში იყო: მისი სამწერლო და საზოგადო ასპარეზი, მეგობრები არ შორდებოდენ მის მეხსიერებას და მის ფიქრებს; იგი მოწიწებით შეძლებისამებრ დიდი ინტერესით აღევნებდა თვალს მათ ცხოვრებას და მათ მოღვაწეობას. ამ ძლიერი მეგობრული გრძნობით იგი ამჟღავნებდა თავის სიყვარულს ქართული კულტურის მიმართ" („ჩვენი დროშა" 1964:25-27).

აკაკი პაპავას სამხრეთ ამერიკული პერიოდის შემოქმედებითი მოღვაწეობა განსაკუთრებით წარმოჩინდა მისი პოეზიით, რომელშიც სამშობლოსაგან მოწყვეტილი ემიგრანტის ეროვნული განცდები გამოხატული.

პოეტის პირველი ლექსთა კრებული – „ბაბუტას ლექსები" – 1955 წელს დაიბეჭდა ბუენოს-აირესში. ავტორისაგან დამოუკიდებლად, მასში შესულია შეილიშვილებისადმი მიძღვნილი ლექსები. ეს იყო ქალიშვილების – ტურფასა და მზიას და მათი ოჯახის მეგობრის ვიკტორ ნოზაძის მიერ მოწყობილი პატარა „შეთქმულება" აკაკი პაპავას 65 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

ეს კრებული, ემიგრანტული საბავშვო პოეზიის ნიმუშია. „დიდი სიყვარულით, ტკბილი და ნაზი გრძნობითაა თითოეული ლექსი გაჟღენთილი, – და მასწავლებელია უცხოეთში აღსაზრდელ ბავშვთათვის, თუმცა იგი ოჯახურ, შინაურ ხასიათს ატარებს. ბაბუტას შეილიშვილები ბაბუას ეძახდნენ. ამ კრებულში შე-

სულ ლექსებში: „სააღდგომოდ“, „ბაჭიას“, „ფორთოხლის ხეები“, „საქართველოს თვეები“, „ფიქრიას ფიქრები არგენტინაზე“ და სხვა, პოეტის დიდი ოჯახის ფიქრებისა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბავშვთა სამყაროს გამოძახილია“:

„შობის ხე დნება დიდი სიცხისგან,
ნატრობს, რომ ნახოს თოვლის ფიფქები,
როგორც ჩვენ, ყველას, აღარ გვასვენებს
საქართველოზე ტკბილი ფიქრები“ (პაპავა 1955:21).

პაპავების ოჯახი გამუდმებით ზრუნავდა საქართველოს ისტორიის, კულტურის, ქართული ენის პროპაგანდისათვის. მათ არა მარტო თავიანთ შთამომავლებს შეასწავლეს მშობლიური ენა, არამედ ამ მხრივ არგენტინელი ბავშვებიც დაინტერესეს. ასეთი იყო მათ მეზობლად მცხოვრები ბეტი ბერტოლა, რომელმაც ქართული შეისწავლა. სწორედ მას უძღვნა აკაკი პაპავამ ეს სტრიქონები:

„თუმც შვილი ვარ არგენტინის,
მაგრამ მიყვარს თქვენი ენა,
მინდა გულით თქვენთან ერთად
კოლხიდაში გადაფრენა“... (პაპავა 1955:21).

პაპავები თავიანთ შთამომავლებს ქართულ გარემოში ზრდიდნენ. ისინი ოჯახში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ და სიტყვითა და ქმედებით მათ საქართველოს სიყვარულს უნერგავდნენ. ერთადერთი ვაჟი შვილიშვილის – დათო ჭეიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ავტორი აღნიშნავს:

„როს გაიზრდება, გაიგებს –
თუ რა რიგ ბედნიერია,
რომ უფალს იგი წიგნაკში
ქართველად ჩაუწერია!“ (პაპავა 1955:32).

აკაკი პაპავა თავის პოეტურ სტრიქონებში პატარა მკითხველებს უნერგავს ეროვნულ გრძნობებს, განაცდევინებს სამშობლოს სილამაზეს და ეს ხაზი რემარკად გასდევს ბავშვებისადმი მიძღვნილ თითქმის ყოველ ლექსს.

აკაკი პაპავას „ბაბუტას ლექსების“ დაწერის საბაბი კონკრეტულ გარემოებათაგან წარმოქმნილი განწყობილებებია და ამიტომ კრებულში შეტანილია სხვადასხვა წლებში დაწერილი ავტორის

მიძღვნიითი ხასიათის ისეთი ლექსები, როგორებიცაა: „ჩემს ტურფას“ (ჰამბურგი, შობა, 1926); „მზიას ალბომში“ (ჰამბურგი, 1924); „მზიას დღეობაზე“ (1 მაისი 1924, ქ. ჰამბურგი); „იანვანამ რა ჰქმნა“ (ძღვანად თეოს და სხვებს, ჩვენი სკოლის გოგონებს, 26.7.1955 ლომას დე სამორა); „წერილი მზიკუნას“ (მისი დაბადების დღეს, ჰამბურგი 5.3.1955); „აღდგომის წინ“ (ზღაპარი გოგონებს, შესაფერ ღია ბარათის გამო, ჰამბურგი 11.3.46); „ისევ სააღდგომოდ“ (ჰამბურგი, 17.3.1947); „ნინო-ფიქრიას მონათვლის გამო“ (ჰამბურგი, 18.1.41 / 27.1.41); „პუსის ფეხის შემოდგმა“ (კარლსბადი, 1943); „ფიქრია-პუსი-მზიკუნას“ (მათ საფრანგეთში გამგზავრების გამო, ჰამბურგი, ოქტომბერი 1947); „მოწაფეების ნობათი“ (ლომას დე სამორა); „ჩემს დღეობაზე“ (7.7.1955);

ამავე კრებულშია შეტანილი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში დაწერილი ლექსები, სადაც ძირითადად ცხოვრება მოუხდა აკაკი პაპავას თავის ქალიშვილთან – ტურფა პაპავა-ჭვიშვილის ოჯახთან ერთად. ამ დროს ახლად დაქორწინებული მზია პაპავა გარკვეული პერიოდი საფრანგეთში მუშაობდა ერთად ცხოვრობდა. ომის დროს დაწერილ ლექსთა რიგს მიეკუთვნება: „ომის მეორე წლის შობის დღე“ (ჰამბურგი, 24.12.1940); „ესეც ახალი წელია (ომის დრო)“ (ფლადუნგენი, 31.12.1944); „სახალწლო ექსპრომტი“ (ბერლინი, 1943); „ჩვენი დღეების „ზღაპარი“ (ფლადუნგენი, 18.11.1944); „აკაკის საშუალო დღე ფლადუნგენში“ (დავით გურამიშვილის ჰანგზე, 4.1.1945).

კლასიკოსის ნათქვამია, – ბავშვებისათვის უნდა წერო ისე, როგორც დიდებისათვის, ოღონდ უფრო კარგად. როგორც ვხედავთ, ამ მაქსიმას ზედმიწევნით იზიარებდა აკაკი პაპავაც. ამიტომ მის კრებულში – „ბაბუტას ლექსები“, აშკარად იგრძნობა ბავშვური უშუალობა და სილაღე. ავტორი ბავშვების „საიდუმლო ენასაც“ ფლობდა.

1956 წელს ბუენოს-აირესში თავად პოეტმა გამოსცა ახალი პოეტური კრებული „უცხო ჭიშკართან“, რომელშიც თვალნათლივ ჩანს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით თავდატეხილი პიროვნული ტრაგედია.

წითელმა ჟამმა, რომელმაც საქართველოს გასაბჭოება მოი-

ტანა, დაამყარა დიქტატურა და აკრძალა თავისუფალი აზროვნება. ამიტომ იყო, რომ ახალ სიტუაციას ვერ ეგუებოდნენ ქართველი მწერლები. სწორედ ეს გახლდათ აკაკი პაპავას დებრესიისა და პესიმიზმის, საკუთარი უმწივობის ღრმა ტკივილი და ტანჯვა.

კრებული „უცხო ჭიშკართან“ გამსჭვალულია სამშობლოს ვერხილვით გამოწვეული ნაღველითა და მისგან დაშორების ტკივილით სავსე სტრიქონებით. ყოველ ლექსში მელანქოლია და ჩუმი სევდაა ჩაქსოვილი. პოეტისათვის მხოლოდ საქართველოა შთავონების წყარო:

„თეთრ თმებს რას ვაქნევ, ოღონდ მომეცით
ჩემი ქვეყანა, ის ჩემი გული...

და ვფიცავ, მყისვე ყველას განახვებთ:

რა არის ღმერთი და სიყვარული" (პაპავა 1956:35).

ავტორის სულიერი ობლობა და მიუსაფრობა, უცხოეთის სტიქიაში ჩაძირული ლტოლვილის ხმები იკვეთება ზემოთქმული კრებულის ერთ ლექსში – „პასუხად ძველ მეგობარს“:

„დრომ დაგვაშორა; ვერ შევძელ ბრძოლა,
კოჯორის მთაზედ ვეგდე დაჭრილი,
რუსის ყუმბარამ გადამიქროლა

და სისხლისაგან ვიქმენ დაცლილი" (პაპავა 1956:76-77).

სულით ობოლი, მიუსაფარი და მარტოსული პოეტი მიმართავს სატრფო-მამულს, რომლის უნახაობა სულის შემძვრელ ტკივილად გაჰყვა ბოლომდე.

პოეტი სულიერი განცდების რეალიზებას ცრემლებს ანდობს. სწორედ ეს გამოსავალი გამოხატა მან ლექსში „ცრემლებო, იდინეთ!“

„ვხედავ, ეს ცხოვრება

აღარ ღირს ჩარად,

თუ უცხო ქვეყნებში

ვიბორებ მარად"

(პაპავა 1956:59).

ისტორიის სევდა პოეტს უძლიერებს ემოციებს. მისი ხედვა მთლიანად დაიმორჩილა ეპოქის დრამატიზმმა. წარსულის რომანტიკიდან მხოლოდ ერთი მიმქრალი იმედიღა რჩებოდა. ეს იყო ოცნება სამშობლოში ჩამოსვლაზე. პიროვნული და ეროვნული ტკივი-

ლებია ჩაქსოვილი ლექსში „ჩემი ზიარება“:

„ვაქროლებ მერანს, ილევა ღამე,

სიკვდილი ახლოს მომეპარება...
ო, მე არ მინდა ვინანო რამე,

რაკი მელირსა აქ ზიარება" (პაპავა 1956:31).

ცნობილია, რომ სიკვდილის შიში, მასთან ბრძოლა, მისი ძლევა აწრთობს და არეგულირებს სხეულსა და ცნობიერებას, ფიქრსა და მოქმედებას, ხოლო თავად სიკვდილი – სიცოცხლის მდინარებას.

პოეტი ლექსში – „სასიკვდილოდ აცრილი“, – წერს ემიგრანტთა თაობის ყოფის პოემას, სადაც ავტორი მასთან გამოცხადებული სიკვდილისაგან შვიდი დღის ვადას ითხოვს, რათა სიყვარული და გამტანობა იპოვოს, მაგრამ იგი ვერც უცხოეთში და ვერც სამშობლოში ვერ პოულობს მას.

ქართველთა დიდი გულის მაძებარს მხოლოდ შური და მტრობა ხვდება წილად. ამით გულშეძრული პოეტი გამოთხოვილი ვადის გასვლაძღე გამოცხადდება სიკვდილთან, რაც კარგად ჩანს ლექსში „სასიკვდილოდ აცრილი“:

„რად გვინდა ვიყოთ თავისუფლები?

ან რად დავიცვათ სისხლით საზღვრები,

როცა დარაჯად სდგანან აქ სხვები?...“ (პაპავა 1956:55).

ამ ლექსის შესახებ დავით ვაშაძე ჟურნალ „კავკასიონში“ წერდა: „შეიძლება ეროვნული ტრაგედიის ამაზე უფრო ღრმად აღწერა?! გვეგულება ასეთი სასოწარკვეთილების მსგავსი ხმა-- ლექსი ქართულ ლიტერატურაში?! ეს აკაკის მებრძოლ სულს არ ეგუება, ისე როგორც ქართველი ერის დიდ შვილს კარლო ჩხეიძეს საკუთარი ხელით ყელის გამოჭრა არ შეეფერებოდა...“ („კავკასიონი“ 1964:42).

კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოში არჩევანის წინაშე დააყენა ხელოვანი. ის, ვინც განადიდებდა ამ რეჟიმს და მისი იდეის მესაყვარე და პროპაგანდისტი გახდებოდა, კომუნისტური ეპოქა განადიდებდა. ამ სულიერ გადაგვარებას მოსდევდა დადაფნური გზა.

აკაკი პაპავა მძაფრად განიცდიდა ბოლშევიზმის მსხვერპლთა ბელს. იგი აშიშვლებდა ეპოქის სინამდვილეს, პიროვნების ჩაკვლის

ატმოსფეროს, რის წინააღმდეგაც იბრძოდნენ შეუპოვარი ქართველი ხელოვანები. ეს აზრი მუსირებს ლექსში „ადსრულებლთ“ (პაოლო – ტიცციანის ხსოვნას):

„მათ ვერ გაიგეს, რომ დადგა სხვა დრო,
როცა ბატონობს – რკინა, თითბერი,
რათა მგოსანმა გული გადადრო –
ჩაჰკლა ოცნება მასში ცისფერი“ (პაპავა 1956:28).

პოეტის „გლოვის ფურცლები“ პაოლოსა და ტიცციანს ეხება, მათ, ვინც ერთხელ ცისფერი ყანწებით გაახარეს კოლხის ნათელი ღამე:
„მტერთ ვერ ითვისეს „ორპირის ხაშში“ –,
მგოსნის „ცხელების“ მათ რა იციან?
– ვინც გააფუჭა პოეტთა რაზმი
და აღასრულა ჩვენი ტიცციან...“ (პაპავა 1956:27).

სწორედ, კონფორმიზმთან შეუგუებლობა გახდა მათი ფიზიკური ანგარიშსწორებისა და ტრაგიკული აღსასრულის მიზეზი.

პოეტს ზარავდა თებერვლის იმ დღეების გახსენება, როცა კოჯორთან დამთავრდა ახალგაზრდა იუნკერების თავგანწირული ბრძოლა და შეშინებული ხალხი ტოვებდა ქალაქს, შიშით გარბოდა სადგურისკენ. ავტორი დოკუმენტური სურათებით გვაწვდის ბოლო მატარებელში შესვლის პროცესს. მის ლირიკულ გმირს ვერ შეაჩერებს მხედრის სიტყვებიც, რომელიც ქალაქის დასაცავად უნძობდა მეზობლ პატრიოტებს. ის კი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა და ამასთან ერთად, სინდისიც არ ასვენებდა, რაც გამოხატულია ლექსში „თებერვლის ორი ცოდვა“:

„მივქრევართ მკვდრები და ჩემი თავი,
გადაეშვება, ვიცი, უფსკრულში...“ (პაპავა 1956:23).

სულის შემძვრელია ამავე ლექსში განწირული ქალაქის ბოლო წუთების ამსახველი სტრიქონებიც:

„მომაქვს ცოდვები, ვით იარები;
შიშმა, ვაებამ სცვალა ფუსფუსი: –
„გატყდა თბილისის ძველი კარები,
ღღეს უეჭველად შემოვა რუსი...“ (პაპავა 1956:23).

„1960 წელს ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში გამოიცა ემიგრანტი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი პაპა-

ვას 120-გვერდიანი წიგნი „1500 წლოვან თბილისს“. იგი წარმოადგენს თბილისისადმი მიძღვნილი ლექსებისა და წერილების კრებულს, რომელიც მკითხველის თვალწინ გადაშლის სამშობლოდან გადახვეწილი ავტორის სევდიან სამყაროს, თვალნათლივ აჩვენებს მის უსაზღვრო სიყვარულს მშობლიური ქვეყნისადმი, თბილისისადმი" („სამშობლო“ 1997:7).

წიგნს ეპიგრაფად უძღვის პოეტ ბესიკ გაბაშვილის ლექსის ფრთიანი სტრიქონები:

„შენმან სურვილმან ჩამოლია გული კლდე-მყარი,
სამართლიანი გზა დააგდე, დამიხშევე კარი...“

წიგნი დააფინანსა ჩილეში მოღვაწე ემიგრანტმა ავთანდილ მერაბაშვილმა. კრებულში შესულია ის ლექსები, რომლებიც აკაკი პაპავამ ემიგრაციაში შექმნა და სხვადასხვა დროს ემიგრაციაში გამოძვალ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდა.

ღირიკის სფეროში აკაკი პაპავა ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს მოღვაწეობდა, რასაც ადასტურებს გრიგოლ რობაქიძის მიერ მიწერილი ერთი ბარათი, რომელიც მან ემიგრაციაში ძველ მეგობარს აკაკი პაპავას გაუგზავნა: „მივიღე რობერტ ბლაიხშტაინერისაგან რამოდენიმე ფურცელი „ჩანგისა“ ფოტოგადაღებული – (მ. გაჩეჩილაძის მიერ შედგენილია ეს „ჩანგი“, გამოცემა „სორაპანისა“, ჩშვი – წ.) დაბეჭდილია სამი ლექსი ჩემი – ეს ლექსები უთარგმნია ბლაიხშტაინერს. ერთ ფურცელზე გადაღებულია ბოლო ერთი შენი ლექსისა. დასაწყისი და შემდგომი არ მიმიღია. – (შენც სთხზავდი ლექსებს? გადამავეწყდა). აი ბოლო სტრიქონები:

„მიბრუის თავი,
ცხოვრების ნავი
წყვდიადით მოცულ ზღვაზე მაქროლებს;
დაღუძდა ენა, მოღალდა მკლავი,
მომავლის ფიქრი მწარედ მაგონებს,
მაგ ზღვა თვალებში სცემს მძალავრი ტალღა,
გაჰკაფე ეგ ტყე წამწამებისა,
მინდა შევსცურო შიგ მალღა, მალღა -
ეგებ ვიპოვო სხივი შეებისა.“

აღარ გახსოვს ალბათ ეს სტრიქონები. გადაიკითხე, გაიხსენე ახალგაზრდობა ეგ ზომ ტკბილი!" (რობაქიძე 2012:424).

ლირიკისადმი აკაკი პაპავას განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ნათელყოფს მეგობრისადმი გაგზავნილი 1961 წლით დათარიღებული ერთი წერილი, სადაც ავტორი აღნიშნავს: „ერთი თვე მუდამ რაღაც უცნობი ტალღა მომასკდება და მაწვალებს. ზოგჯერ მთელი 11 თვე ისე გაივლის, თოკით რომ დამკიდო, ერთ ლექსს ვერ დავწერ და ეშმაკმა იცის საიდანღაც ერთად გადმოხეთქავს და თევზების ჭერის სეზონის არ იყოს, ყოველმხრიდან შენ წინ დასრიალებენ. ასე რომ, ამ „როველის“ პერიოდში მართლაც თავის მოსაფხანნი დროც ვერ ვიშოვნე. დავწერე ერთი წერილი და 22 ლექსი. ეხლა შეწყდა, მიიწურა, ტალღამ გადაიარა და გასროლილი ბადე ცარიელი ამოდის" (პაპავა ფონდი 29044/20).

ამკარაა, ამ ეპისტოლეში ნაგულისხმებია ლექსების ხსენებული კრებული. წერილში აკაკი პაპავა გულისტკივილით იმასაც მიუთითებს, რომ მას თავისი შემოქმედების მეტი გამოცემის იმედი აღარ ჰქონდა, რადგან ემიგრაციაში კულტურულ-ეროვნული საქმიანობის ხალისი აღარ იყო.

აკაკი პაპავას კრებულს – „1500 წლოვან თბილისს“, წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა: „ეს წიგნი აკაკი პაპავასი, როგორც მკითხველი დაინახავს, მთლიანად ჩვენი დედაქალაქის ათას ხუთასი წლის დღესასწაულისათვისაა მიძღვნილი... ამ წიგნს, სახეიმოდ რომ დაიწერა, ზოგი უხერხულობაც თან დაჰყვა. ზეიმი თბილისისა, მისი 1500 წლის შესრულების გამო, ხომ კარგა ხანია ჩატარდა, დავიწყებასაც მიეცა. ამრიგად, ჩვენი ემიგრაციის მწერლის მოლოცვები და ეს წიგნიც ცოტა ნაგვიანებია, მაგრამ ამაში ავტორს ბრალი არ უდევს" (პაპავა 1960:5).

წინასიტყვაობა ყველას და მათ შორის, გრიგოლ რობაქიძესაც ვიკტორ ნოზაძის დაწერილად მიაჩნდა, სადაც გაკეთებული ჰქონდა ასეთი შენიშვნა: „წინასიტყვა" – ვინაობა ავტორისა?! „მეგობარი" აქ ფსევდონიმდაც არ გამოდგება. გამოდგება იგი ამაღ „რეცენზიისათვის" – გარნა წინასიტყვა, იცი, რეცენზია არაა. ავტორი ალბათ ვიკტორ ნოზაძეა".

აქვე, სიზუსტისათვის გვინდა ასეთი შენიშვნა გავაკეთოთ: გ.

რობაქიძის წერილის დედანში ეს ადგილი თამარ პაპავას წითელი პასტით გადაუხაზავს და მიუწერია: „არა, ჩემია“... " (რობაქიძე 2012:453).

გამოდის, რომ მეგობრის ფსევდონიმით დაწერილი წინასიტყვის ავტორი თამარ პაპავა ყოფილა.

ზემოხსენებულ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, 1960 წელს გრიგოლ რობაქიძე მას წერდა: „უძლერ ჩვენს დედა-ქალაქს, რომელიც მაჯის-ცემაა და გულის-ფეთქვა მთელი ჩვენი სამშობლოსი. თავს ევლები: ხან ამ მხრით, ხან იმ მხრით, შეფრფინავ, ეხვევი, ეტანები. ვერ ელევი, ვერ ცილდები. თუ ცილდები, კვლავ უბრუნდები, ვერ ეშვები. უძლერ ლეგენდარულ ტფილისს, რომლისათვის დანთხეული სისხლი ქართველთა მზის ნაკადად ქცეულა.“

ეს წიგნი შედარებით შენს წინა წიგნთან – „უცხო ჭიშკართან“ – უფრო პოეტურად მეჩვენება" (რობაქიძე 2012:453).

დედაქალაქისადმი მიძღვნილი პოეტური კრებულის მთავარ პერსონაჟს –თბილისს ავტორი ხან ეფერება, ხან პატიებას სთხოვს, ხან ელაპარაკება, მისგან რჩევასაც იმეხნს:

„ველარ მოგწერე: იმ მძიმე დღეში,

რომ მქონდა გული მთლად ანთებული;

შემდეგ გავები გზებზე მახეში

და ვარ, ვით ჩიტი დაკიდებული"... (პაპავა 1960:20).

სხვა ქართველ ემიგრანტ მწერალთა მსგავსად, ა. პაპავას ლირიკის ერთ-ერთი უმთავრესი განსჯის საგნად ხსენებულ კრებულში შეტანილი 1921 წლის თებერვლის ტრაგედიაც იქცა. „პოეტი დაუცხრომელი წუხილით იგონებს თბილისის დაცემისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისუფლების დამხობის ტრაგიკულ ამბავს და კონკრეტულად ასახელებს ამ მოვლენის შემოქმედ ძალთა სახელებს – პარტიული ინტერესებით გონებადაბინდულ გადაჯიშებულ ქართველებსა და რუს დამპყრობლებს" (პაპავა 1960:77-92).

კრებულში შესული ლექსები დამუხტულია ქართული ემიგრაციის ეროვნული ტკივილით, რაც ასე დამახასიათებელი იყო სამშობლოდან გადახვეწილი ქართველებისათვის.

თებერვლის ტრაგედია, თბილისში მე-11 არმიის შემოსვლა, ქალაქის დაცემა, კოჯორთან ბრძოლები, – ყველაფერი ეს აკაკი

პაპავას თვალწინ მოხდა, რომელიც უდიდეს ტკივილად ჩაილექა მის ხსოვნასა და სულიერებაში.

„მიგატოვე... და იმ დღიდან
ამერია გზა და კვალი...
მხოლოდ ზმა მდევს თბილისიდან:
„24 თებერვალი...“

მართალია, აკაკი პაპავას თებერვლის დღეებში არ დაუტოვებია საქართველო და არც საქართველოს მთავრობასთან ერთად წასულა მაშინ ემიგრაციაში, მაგრამ რამდენადაც ეს საბედისწერო რიცხვი – 24 თებერვალი გადამწყვეტი გახდა მის ბიოგრაფიაში, პოეტი ათვლას მაინც აქედან იწყებდა.

ქვეყნისადმი თავდატეხილი ტრაგედიის დიდი ემოციური სიმძაფრეა გამომხატული კრებულში შესულ თითქმის ყველა ლექსში. იქნება ეს თებერვლის ტრაგედია თუ 1924 წლის აჯანყების ჩახშობა, რომელსაც პოეტი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ რუსეთიდან მოდის სიბნელე და ჩრდილოეთიდან ქართველი ხალხისათვის მზე არასოდეს ამოვა. თუ მის სიტყვებს მოვიშველიებთ: „იქედან მოდის გათახსირება საზოგადოებრივი, ოჯახური, მეგობრული, ნათესაური... იქედან აფურთხებენ და ფეხქვეშ სთელავენ წმიდათაწმიდას. მას ჩვენი ერი არ აჰყვას. საქართველომ მოსკოვი არ მიიღო არც პოლიტიკურად, არც მორალურად, საქართველოს აქვს საკუთარი პოლიტიკა, საკუთარი კულტურა და ზნეობა“.

კრებულში შესული ლექსი – „ახალ თბილისს“, 40 წლის განშორების შემდეგაა დაწერილი, სადაც ავტორი შეხარის თბილისის განახლებას:

„ახ, არ იფიქრო – არ შევხაროდე
ახალ არტანში შენსა აღდგომას...“ (პაპავა 1960:20).

და თუ ის შეხარის „ახალ არტანში მის აღდგომას“, ამით საბჭოური ყოფის დამკვიდრებას არ ეგებება. სჩანს, რომ არტახი ბოლშევიკური წყობილებაა და მისგან პოეტი მხოლოდ თავის დაღწევას შენატრის.

ავტორს სჯერა, რომ ერის ცხოვრებაში ისტორიული სამართლიანობა საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს და ეს ბედნიერი დღეც დადგება:

„თუ თვით ვერ მოველ მე შენს ნადიმზე,
შვილებს გაახლებ, შენ რომ გეტრფიან,
ამბებს, აწყობილს ჩემს გულის სიმზე,
შენ გაკადრებენ, მდაბლად გეტყვიან...“ (პაპავა 1960:32).

მძიმე შეიქმნა პოეტისათვის დანებებოდა თებერვლის ტრაგედიას და შერიგებოდა ლტოლვილის ბედს. „რა ტკბილი მქონდა, მე სიჭაბუკე, და რა მწიფე იყო ჩემი ზაფხული“, – იგონებდა და გონების თვალთ შომავედა ნანახსა და განცდილს.

მოძალებული პიროვნული განცდები, უსიამოვნო რეალობა, შემზარავი სიცხადეა გამოხატული ლექსში „გაფრენილი ბედი“:

„დღეს მუხლში ძალა გამომელია,
დაბინდა ხედვა, სმენა მაკლდება;
ჩემი სასახლეც ცარიელია
და პოეზიაც მალე მოკვდება“ (პაპავა 1960:99).

ლექსში – „ვაზის ყვავილი აღმოცენდება“, აკაკი პაპავა ყარაოხელთან ერთად ემშვიდობება თბილისს. უიმედობით შეპყრობილსა და გულმოკლულ პოეტს მხოლოდ წარსული უდგას თვალწინ:

„უცხო ქვეყნებში გადიან წლები...
მრავალი წლები...
იღლება ძვლები...
მოდის თბილისის უცხო ამბები:
იქ სხვა ხალხია, სხვა თქმა, სხვა ხმები;
დალღილმა ერმა მოდრიკა ქედი,
სჩანს – ჩაიძირა ქართლისა ბედი...“ (პაპავა 1960:64).

მართალია, ასეთია მკაცრი რეალობა, მაგრამ პოეტს, სჯერა რომ კვლავ გამოიჭედება ქართლის ბედი და თბილისთან განშორება არის დროებითი, მის ქალაქში კვლავ გათენდება.

„1500 წლოვან თბილისის“ კრებულის წინასიტყვაობაში თამარ პაპავა აღნიშნავდა: აკაკი პაპავას „უნდა ძველებურად ირწმუნოს, რომ ერთხელაც იქნება თბილისი მას თავის „საფირონის“ თვალებს მიაპყრობს“ და უხვ წყალობას არ მოაკლებს სამშობლოსათვის დასჯილს... სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და ავტორს თვისი ვედრება: „თბილ ქალაქო, გახსენ კარი, დამაფ-

რქვიე ეგ მირონი... უქმად არ ჩაუვლის... ღმერთმა ინებოს, ღმერთმა ინებოს..." (პაპავა 1960:15).

ამავე კრებულშია შესული აკაკი პაპავას ცნობილი ლექსი „მოხუცი კვდება კარაგანდაში“, რომელიც ავტორმა ცნობილი ემიგრანტის – სამსონ ფირცხალავას ხსოვნას მიუძღვნა.

1945 წელს საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ პარიზში მივლინებულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა პეტრე შარიამ ემიგრაციიდან გაიტყუა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ ლიდერი სამსონ ფირცხალავა, რომელსაც სამშობლოში სამოთხეში ცხოვრებას დაპირდა. მაგრამ იგი ჯოჯოხეთში გაისტუმრა. ამ ფაქტს მიუძღვნა ა. პაპავამ ლექსი „მოხუცი კვდება კარაგანდაში“:

„განთავისუფლდა სული იმისი,
კარაგანდაში ეხლა რომ კვდება;
სხვა საქართველო, სულ სხვა თბილისი
წამებულ შვილებს იქ დაუხვდება"... (პაპავა 1960:62).

ამასთან დაკავშირებით, აკაკი პაპავა თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში აღნიშნავდა: „ასეთი სპეტაკი და თავდადებული მოღვაწე, როგორც საყვარელი სამსონ ფირცხალავა იყო, ჩვენი დროის საქართველოს ძლიერ იშვიათად ჰყავდა. ამავე დროს, მას ბედი არ ჰქონდა არც სიცოცხლეში და არც სიკვდილში... სწორედ ეხლახან მომივიდა წერილი პარიზიდან, რომელშიაც დიდ მადლობას მწერენ სამსონისადმი მიძღვნილ ლექსის გამო. ქართული ემიგრაციიდან მას წამებულის გვირგვინი ეკუთვნოდა და თქვენ დაადეთ ეს საპატიო გვირგვინი... მას ბევრად მეტი ეკუთვნის, მაგრამ...

და აი, ჩემი თხოვნაა, გოგი, მოაწყო შენ მისი მოსაგონარი გადაცემა. ეს იქნება ერის და ჩვენი მეგობრების გამხსნევება და წმიდა მოვალეობის ნაწილობრივი მოხდა...

თვით „ამერიკული კომიტეტისთვის" ეს მისაღები იქნება, რადგან პოლიტიკურადაც მარჯვე საპროპაგანდო იარაღია, თუ როგორ მოატყუილეს მოხუცი, ჩაიყვანეს, ვითომ „აპატიეს", ბიბლიოთეკის და მუზეუმის ერთ-ერთ გამგედაც დანიშნეს და ბოლოს გააქრეს და კარაგანდაში წამებით მოჰკლეს. ეს გადაცემაც შეგიძლიათ ჩემს წიგნს დაუკავშირო („1500 წლოვან თბილისს") და

ამნაირად მისი ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსიც წა-
იკითხო. ეს იქაც და აქაც ყველას გულს მოხვდება.

შენი დიდი იმედი მაქვს. როგორმე თუ ეცდები და სამსონის
შესახებ გადაცემას მოაწვებ. ის მართლაც ღირსია და ჩვენებსაც
გაამხნევებ იქ" (**პაპავა ფონდი 29044/19**).

კრებულში შესული ლექსებიდან ასევე გამოირჩევა ლექსი
„ალექსა ფარდასთან“. პაპაეების სურვილი იყო: „სამშობლოს ხილ-
ვის ბედნიერ დღეს იგი (ე.ი ტრაპეზზე გადასაფარებელი ფარდაგი)
ჩვენი „1500 წლოვან დედაქალაქის“ სიონისათვის, ან რომელიმე
მისი მუზეუმისათვის მიგვერთმია... და თუ ჩვენ ბედმა აღარ გვარ-
გუნა თბილისის ნახვა, ამ ფარდამ მაინც იხილოს იგი და ჩვენი
მდაბალი ერთგულება და სიყვარული აუწყოს"... (**პაპავა 1960:57-60**).

ეს აზრი პოეტური სტრიქონებითაა გამოხატული ლექსშიც
„ალექსა ფარდასთან“:

„შემთხვევით ვპოვე და შევიძინე,
თბილისო, შენის სიონის ფარდა;
იმ დღიდან მშვიდათ ვერ დავიძინე,

არც მსურდა რამე, მის ცქერის გარდა"... (**პაპავა 1960:54**).

პოეტი ლექსის ბოლო სტროფში ასეთ ალექსას აძლევს
ქსნის დედოფალს ქეთევანს: „ფარდას ვახლზე თბილისს სიონსა".
ხსენებული ტრაპეზი პაპაეების შთამომავალთა ძალისხმევით სა-
ქართველოს დაუბრუნდა და დღეს საქართველოს ხელოვნების მუ-
ზეუმშია დაცული.

ამავე კრებულშია შესული მეუღლისადმი მიძღვნილი ლექსე-
ბი: „მატარებლები" და „რა მიყვარს შენში?".

აკაკი პაპავას პოეზიის მთავარ ტენდენციებს ამომწურავად
ახსიათებს ემიგრანტი კრიტიკოსი პავლე სარჯველაძე: „სამშობ-
ლოს გახსენება ყველა მისგან დაშორებულ ადამიანის უძლიერეს
გრძნობათა ღელვაა, მისგან მოშორებული ის მას ნატრობს, – მის
აზროვნებაში განუწყვეტელი მძაფრი გაელვარებით ცოცხლდება, –
განვლილი, ნახული, გადატანილი, საკუთარ ქვეყნის ბუნება და მი-
სი სილამაზე, წარსული და აწმყო... და რა გასაკვირველია, რომ
აკაკი პაპავას შთავგონების წყაროა, – მიტოვებული დედაქალაქი,
სამშობლოს ტკივილები, მისი წარსული, აწმყო და მომავალი"
(**„ცნობის ფურცელი" 1965:11**).

კრებულ „1500 წლოვან თბილისის“ გამოცემასთან დაკავშირებით, მისი ავტორი 1960 წლის 19 აგვისტოთი დათარიღებულ ერთ-ერთ პირად წერილში აღნიშნავდა: „წარმოიდგინე, ჩემი წიგნის გამოხმაურება ყველგან დიდია და საუცხოო. ყველა მშვენიერ წერილებს მწერენ და მილოცავენ, გარდა ჩვენი ამხანაგებისა... თითქოს გამეფიციენ... არ გიკვირს?“

ვინაიდან არც კოლონიის, არც „ამერიკის საბჭოს“ მისამართი არა მაქვს, წიგნების ათ ცალს შენ გიგზავნი და ვთხოვ, თვითონ გადასცე ვისაც ჯერ არს... წიგნები არ გაიყიდება, ხოლო თუ ვინმე რამეს თვითონ შემოიტანს ეს გადაეცი კოლონიის საზოგადოებას. თანახმად შენი რჩევისა, წიგნებს გაუგზავნი „ქართულ აზრს“, მაგრამ ჯერ სულ მცირე მივიღე. წიგნი ძალიან ცოტა დაიბეჭდა და უნდა ყველა ქვეყნის სახელგამს და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს დაეგზავნოს“ (პაპავა ფონდი 29044/18).

ცხადია, აკაკი პაპავა დიდ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა ემიგრაციაში ქართული პერიოდიკისა და საგამომცემლო საქმიანობის როლს, როგორც ბრძოლის ერთ-ერთ გამოხატულებას.

1962 წელს ნიუ-იორკში გამოიცა აკაკი პაპავას უკანასკნელი ლექსთა კრებული „მოწამეთობა“, რომლის შესახებ ნიუ-იორკში გამოძავალი გაზეთი „ქართული აზრი“ გვატყობინებს: „გამოვიდა აკაკი პაპავას ლექსთა კრებულის მე-4 წიგნი. წიგნი შეიცავს 32 ლექსს და ავტორისავე წინასიტყვაობას. წინასიტყვაობაში მოთხრობილ „ცოდვათა“ ახსნა, უნდა ვიგულისხმოთ, უფრო ეროვნულ-თავისუფლებისათვის ბრძოლებში განვლილი ეკლიანი გზის მიმოხილვაა, ვიდრე პირდაპირი გაგებით „ცოდვათა“ მონანიება, ან შენდობის თხოვნა. სხვანაირად ხომ აუხსნელი იქნებოდა ამავე წიგნში სოლომონის, ვახტანგ მეფის და სულხან-საბა ორბელიანის ოდის წერა?! ყოველ ლექსში ჩაქსოვილია ღრმა პატრიოტიზმი და ბრძოლის ყიჟინა. როგორც თვითონ ავტორი ამბობს: „შენს დესპანს ჳმუნვა არ დასწოლია და არც დაღლის დრო არა ჳქონია“. ავტორი ამ სიტყვებით ქართულ ეროვნულ ემიგრაციას კიდევ ერთხელ აგონებს, რომ მას არც დაღლის დრო აქვს და არც ჳმუნვის მიზეზი: ეს მოწოდებაა, რომ ემიგრაციამ თავისი წმინდა მოვალეობა შეასრულოს და ყველა მდგომარეობაში იყოს თავისი ქვეყ-

ნის დესპანი" (*„ქართული აზრი“ 1962: 4*).

ამ სიტყვებიდან გამომდინარე ჩანს, რომ პოეტს თვალსაჩინოდ აქვს წარმოდგენილი თავისი პოლიტიკური შეხედულებები და ის უკვე შორს დგას ქართული ემიგრაციისათვის დამახასიათებელი „გულუბრყვილო სტუმრობისა“ და „პოლიტიკური რომანტიკისაგან“, რომელსაც იგი კიდევ ერთხელ შეახსენებს მათ თავის ლექსში „არ დაიჯერო“:

„ბოლოს ყოველსა შეიპყრობს ძრწოლა,
ლეგიონები წამოვლენ ბრძოლად,
დაიძვრის ტალღა მტრის ჩასაქოლად,
ინმობს შენს დესპანს წინ გასადლოლად“ (*პაპავა 1962:39*).

უცხოეთში გადახვეწილ პოეტს იმედები არ გაუმართლდა, რადგან ერთმორწმუნე „მფარველის“ გულუბრყვილო ძიება წარსულშიც და ახლაც მხოლოდ „პოლიტიკური რომანტიკის“ წიაღში იღებდა სათავეს: „გვეგონა და ვფიქრობდით: თუ ევროპა და ამერიკა ჩვენზედ მომხდარ ძალადობის, მოტყუილების და უსამართლობის ნამდვილ სურათს დაინახავდა..., მყისვე დაიძვროდა, ახალ „იერუსალიმის“ სახსნელად ლეგიონები წამოვიდოდა და „ურჯულოთ“ ჯვაროსანთა ომების ახალ სერიას გაუხსნიდა და დევნილის სახსნელად მესოლონგიაში ახალი ბაირონები თავს განწირავდნენ“, – აღნიშნავდა აკაკი პაპავა კრებულ „მოწამეთობის“ წამდვარებულ მისეულ შესავალში (*პაპავა 1962:5-11*).

„ამგვარი „პოლიტიკური რომანტიზმის“ მიუხედავად, აკაკი პაპავა ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებს მაინც ახალი დროის მოწამეებს უწოდებს, „მათ მიერ განვლილ „ეკლიან ბილიკს“ კი „მოწამეთა გზას“. ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-ცხოვრებისეული ტრაგედიის სწორედ ამგვარმა შეფასებამ შთააგონა პოეტს ის აზრი, თავისი ერთ-ერთი პოეტური კრებულისათვის სათაურად „მოწამეთობა“ რომ დაერქმია“, – აღნიშნავს ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

ამ აზრის კონსტატაციაა ხსენებული წიგნის ავტორისეული წინასიტყვაობაც: „ვიციოთ – წინაპართა მოწამეების სიაში ჩვენ არავინ მოგვიხსენიებს, ჩვენ ასეთ კადნიერებიდან შორსა ვართ... მაგრამ მათის მოწამებრივის გზით ჩვენც გვივლია... ბევრ ახლო-

ბელთ და ნათესავთ წავაყარეთ ამ გზაზე მიწა: ცივი და უცხო... და ყოველივე ეს ავიტანეთ, უფრო მძიმეც, მაგრამ ჩვენს „მაისობას“, მტერმა რომ „მოწამეთობად“ გვიქცია, არ განვდგომილვართ... ვერც განვუდგებით... და ჩვენი გოლგოთის გზა უეჭველად იმსახურებს „მოწამეთობის“ გზის სახელს... პატარანი ვართ, სუსტნი. მაგრამ „ქართლის ცხოვრებამ“ დიდთა და ძლიერთა საქმენი დაგვაკისრა და ამით, სწორედ ამით ვართ უკვდავნი..." (პაპავა 1962:5).

ლექსების კრებულ „მოწამეთობაში“ გაცოცხლებულია გმირ ქართველთა მთელი გაღერეა და მათი თავგანწირვის მაგალითები. პოეტის ფიქრები სწვდება მოწამეთის გმირებს, წმინდანებს – დავითსა და კონსტანტინეს, იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს. იგი ასევე მისტირის „მესამე მოქცევის“ მსხვერპლთ, – 21 წლის ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებსა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულებს. მისი აზრით, მამულისადმი მოწამეობრივი სამსახური ყველა დროში მოწამეთობაა. მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი პოეტი ღრმად განიცდის უსამშობლოობას, რაც თავისთავად ყველა ემიგრანტის მოწამეთობაცაა:

„უსიყვარულოდ აქ გზა მეშლება,
ვიცი – სამშობლოს არ წამესვლება,
უმისოდ აქ მე ვით გამეძლება?
როს მუზას თასი სულ მთლად ეცლება?" (პაპავა 1962:33).

საქართველოს ტრაგედიის ფონზე ემიგრანტი პოეტი საკუთარ პიროვნულ მდგომარეობას გვისურათებს ლექსში „ორჯერ სიკვდილი როგორ იქნება?..."

„მე მომკლეს ადრე, ცივ თებერვალში
როს საქართველოს დამიხმეს კარი,
ოდეს ყინული ჩამიდგა თვალში
და ჩრდილოეთის მსუსხავდა ქარი..." (პაპავა 1962:59).

პოეტის კრებულზე ვიკტორ ნოზაძე შენიშნავდა: „მთელი წიგნის ფურცლებზე იმლება და იღვრება გოდება... ეს არ არის გოდება იერემიასი... შემზარავი და შემაძრწუნებელი ღვთის რისხვით გამოწვეული წარღვნა იერუსალიმისა – „მოწამეთობა"-ში არა სჩანს ხელი ღვთისა, მაგრამ ეს არის გოდება ქართველისა, რომელშიც მოისმის გლოვის ზარი (მეგრული სტილისა) მომტი-

რალთა და მებრძოლთა, ლექსი მოთქმისა და ბრძოლისა, დამწვარ-დათუთქული გულის ამონახეთქია თითოეული სტრიქონი, ხანდახან გაურანდავიც – აქ, მძიმე განცდა უცხოეთში მყოფ მგოსანისა – ფართო და ღრმა, შეიძლება ითქვას, უძიროა, რასაც მთელი მისი არსება დაუპყრია" („კაკასიონი“ 1964:103-104).

აკაკი პაპავა თავის ხვედრს აღარებს თურქეთში მყოფი ქართველი ტყვეების ხვედრს, რომელთა სახსნელად იღვწოდა მაშინდელი საქართველოს ელჩი სულხან-საბა ორბელიანი. დღეს კი ქართველობით კვლავ მოვაჭრე „სულთანი“ და დესპანიც სხვა მეფეთა კარზე გოდებს, რაც კარგადაა გამოხატული ლექსში „თურქეთის ტყეში“.

„გადიან წლები შიშში, კრძალვაში,
გრჩებიან გზები სისხლად ნადენი.
წინ არც დამხმარე, არც თანაგრძნობა,
თითქოს არიან გაყინულები,
არც სიყვარული უნდათ, არც ძმობა,
დავრჩით აქ მონად გაყიდულები“ (პაპავა 1956:22).

აკაკი პაპავას ლირიკაში ნათლადაა გამოკვეთილი ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, ეთიკური სახე, მოქალაქეობრივი კრედო. ასევე გაანალიზებულია ის ემიგრანტული გარემოცვა, რაშიც თავად ტრიალებდა და საიდანაც ესათუთებოდა მამულს. თემატურად, აკაკი პაპავას პოეზია მთლიანად პატრიოტული ნაკადის მომცველი და მისი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მისწრაფებების გამომხატველია. ამიტომაც, პოეტის ლირიკაში მხოლოდ ეროვნულ-მოქალაქეობრივ მოტივს უკავშირდება ყოველგვარი განცდა და სურათი, მისი დამოკიდებულება სამყაროსთან და თვით სიყვარულთან. რის გამოცაა, რომ ასე გვხიბლავენ ა. პაპავას ლექსები. ესაა: გულისშემძვრელი პირდაპირობა, სიწრფელე, სიტყვიერი მასალის შერჩევა და ლაკონიზმი.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აკაკი პაპავას პოეზია მკითხველის ცნობიერებაში შემოსულია, როგორც XX საუკუნის ქართული ემიგრანტული ლირიკის საუკეთესო ნიმუშები.

დღეს აკაკი პაპავას ცხოვრება და შემოქმედება უკვე მრავალი მკვლევარის მიერაა შესწავლილი. მათგან დავასახელებთ: იო-

სებ ლორთქიფანიძეს, გურამ შარაძეს, ავთანდილ ნიკოლეიშვილს, რუსუდან ნიშნიანიძეს, პაატა ნაცვლიშვილს, რუსუდან დაუშვილს, დიმიტრი და ერეკლე შველიძეებს, გონა და გელა საითიძეებს, გუბაზ მეგრელიძეს; პოეტის შემოქმედებაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კი ირინე ინანიშვილმა დაიცვა დისერტაცია და ა. შ.

სამხრეთ ამერიკაში მოღვაწეობის დროს ზემოთ დამოწმებული ლექსების ოთხი კრებულის გარდა, მეუღლესთან – თამარ პაპავასთან თანავტორობით ა. პაპავამ შექმნა შრომა – „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. მასში ავტორები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ რუსეთის იმპერიის ძალმომრეობას: „იმპერიის რწმუნებულმა: ღენ. ლაზარევმა, მინისტრმა კოვალენსკიმ და თვითონ მთავარმართებელმა ლენერალ კნორინგმა მძაფრი ტკივილების მიყენებით სულ მოკლე ხანში თვითონვე დარაზმეს ქართველი ერი რუსეთის საწინააღმდეგოდ. მათი ბატონობის ერთი წელიც საკმარისად გამხდარიყო იმისათვის, რომ ყველას აშკარად დაენახა იმპერიალისტური რუსეთის ნამდვილი წადილი. ესლა ამათი „ერთმორწმუნოების“ და „მფარველობის“ უკვე აღარავის სჯეროდა. ილუზიები ჰქრებოდა, სინამდვილე მწარედ მეტყველებდა.

ძველი წესი, კანონები და ადათი და საქმეთა სწრაფი წარმოება სასამართლო დაწესებულებაში ნელ-ნელა იშლებოდა და მაგიერ – ნელი, ზანტი, ბიუროკრატიული და სასტიკი, ხალხისათვის უცხო წესები მყარდებოდა, თვით ენა ქართული იდევნებოდა.

თავად-აზნაურობის და, რასაკვირველია, არც გლეხობის მდგომარეობა არც ეკონომიურად და არც უფლებრივად არ უმჯობესდებოდა" (პაპავა 1956:116).

სამხრეთ ამერიკაში ცხოვრების პერიოდში მან ასევე გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებასა და სალიტერატურო კრიტიკის ახალი გზით წარმართვაში.

აკაკი პაპავას მრავალმხრივ და მრავალფეროვან შემოქმედებაზე ემიგრანტი დავით ვაშაძე აცხადებდა: „აკაკი პაპავა ნოველებსა სწერს და რომანებსაც, კრიტიკოსიც არის და დრამატურგიც, საქართველოს ისტორიის მკვლევარიც და პოლიტიკური მოღვა-

წეც. მისი სამწერლო მოღვაწეობა ისეთი ფართო და მრავალმხრივია, რომ მას დიდი შესწავლა და მოხერხებული კალმოსმის ხელი სჭირდება" („აკაკასიონი" 1964:32-33).

აკაკი პაპავას ლიტერატურულ-მეცნიერულ პროფილს ერთგვარად ავსებს მისი რუსთველოლოგიური ხასიათის წერილები. ამ მხრივ აღსანიშნავია მწერლის მეცნიერული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი", რომელიც რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ ჟურნალ „აკაკასიონის" საგანგებო ნომერში გამოქვეყნდა. აღნიშნული ნაშრომი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე წაიკითხეს. ამ დროს, 1966 წელს, აკაკი პაპავა უკვე გარდაცვლილი იყო.

სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებით, აკაკი პაპავა ერთ თავის წერილში გულისტკივილით აღნიშნავდა: „საზღვარგარეთ მყოფი ემიგრანტი სრულ უმწეობას განიცდის... მას იმის საშუალებაც კი მოკვეთილი აქვს, რომ ან უნივერსიტეტს, ან რომელიმე საკვლევ ინსტიტუტს, თუ მის თანამშრომელს, ან რომელიმე მეცნიერს შეეკითხოს წერილობით და სთხოვოს ამა თუ იმ ამონაწერის მიღება... ყოველი ასეთი ცდა სამარისებური სიჩუმით გვირგვინდება და შესაძლოა – დიდი უსიამოვნებით ადრესატისათვის... აი, ამ პირობებში უხდება ჩვენს ემიგრანტ მკვლევარს მუშაობა" („აკაკასიონი" 1966:141).

„აკაკასიონში" დაბეჭდილი ამ შენიშვნის მიუხედავად, აკაკი პაპავამ დაგვიტოვა ღრმა მეცნიერული ნაშრომი რუსთველოლოგიაში, რომლის კვლევით იგი ჯერ კიდევ ღორპატის უნივერსიტეტში სწავლისას იყო დაინტერესებული.

ნაშრომში „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი" აკაკი პაპავა დიდად აფასებს ვახტანგ VI-ის ღვაწლს, რითაც რუსთველოლოგიას მან „პირველი საფუძველი ჩაუყარა", გააკრით ეხება ე.წ. ბრძოლას რუსთაველის გარშემო (ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი) და ასეთ დასკვნას აკეთებს: „მიუხედავად „ვეფხისტყაოსნის" არაჩვეულებრივი გავრცელებისა და საუკუნეთა მანძილზე მისი პოპულარობისა, ავტორის ვინაობა და მისი ცხოვრება გაურკვეველი იყო და ბევრი რამ ბურუსით იყო მოცული". მიმოიხილავდა რა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ აყვავებას მე-12 საუკუნეში თამარ მეფის მმართველობის

დროს, ა. პაპავა პარალელურად ქართული რენესანსის წარმოშობის მიზეზებსაც იძიებდა. მისი აზრით, ამის ხელშემწყობი პირობა იყო საქართველოს გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც იყო გზა და ხიდი ევროპისა და აზიის კულტურათა გზაზე: „საქართველოს ნიადაგზე ხდებოდა შეჯვარდინება, სინთეზის გამოვლინება ორი მსოფლიოსი; ბოლოს ამან მოაღებო და დაამშვიდა აღმოსავლური ფანატიზმი და ქრისტიანული ასკეტიზმი დასავლეთისა“, – აცხადებდა იგი.

აკაკი პაპავა ასევე განსაკუთრებული ყურადღებით საუბრობს თეიმურაზ ბატონიშვილის შრომაზე „განმარტება ვეფხისტყაოსნისა“, რომელსაც ეფუძნება პავლე ინგოროყვას გამოკვლევა. შოთა რუსთაველის ვინაობის გაგებაში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „საალაპე“ წიგნებისა და იქვე შოთას პორტრეტზე არსებული წარწერის შესწავლას.

შოთა რუსთაველის პიროვნებისა და ვინაობა-წარმომავლობის საკითხზე აკაკი პაპავა მკვლევარ პავლე ინგოროყვას კონცეფციას იზიარებდა და აცხადებდა: „მრავალი რამ დიდი მგოსნის ბიოგრაფიიდან უკვე გარკვეულად ჩათვლება; ყოველ შემთხვევაში, მთავარი მომენტები მისი ცხოვრებისა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ ბურუსიდან გამოიტანა“

პავლე ინგოროყვას მსჯელობას რუსთაველის ვინაობის შესახებ არ იზიარებდა ვიკტორ ნოზაძე და აცხადებდა: „მკვლევარ პავლე ინგოროყვას „რუსთველიანას ეპილოგი“-ც ჩემთვის არის მხოლოდ „ლამაზი ზღაპარი“-ო (*„აკაკისიონი“ 1966:147*).

სამზრეთ ამერიკაში დაწერა აკაკი პაპავამ რუსთველოლოგიური ხასიათის მეორე წერილი „მადლიანი მჩხრეკელი“. ავტორი აქ შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ სარწმუნოებაზე ვიკტორ ნოზაძის მეცნიერული კვლევის შედეგებს და სავსებით იზიარებს მის შეხედულებებს. კრიტიკოსის სიტყვით, ბიბლიური პარალელების, ძველი სასულიერო მწერლობის, ისტორიკოსებისა და რელიგიის მკვლევარების დამოწმებით, ვ. ნოზაძე დამაჯერებლად არღვევს იმ მეცნიერთა თეორიებს, რომლებიც „შოთას და მის პოემას ამ სხვადასხვა რელიგიურ კონცეფციას მიაწერენ. აკაკი პაპავა საბოლოოდ ასკვნის: პოემა „მორსაა ყოველგვარი შეზავებისაგან და მისი

მსოფლმხედველობა არის ერთი და მთლიანი; ქრისტიანული, მისი ღმერთი არის ერთი და ერთარსება და ეს არის წმინდა ქრისტიანული სამება. აქ არ არის არც ნეოპლატონიზმი, არც მანიქეველობა, არც რომელიმე სხვა „იზმი“ (*„აკაკასიონი“ 1966:137*).

სამწუხაროდ, აკაკი პაპავამ „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველების“ შესახებ თავისი რეცენზიის გაგზავნა ადრესატისათვის ვეღარ შეძლო. იგი ვ. ნოზაძეს პარიზში რამდენიმე ხნის შემდეგ გაუგზავნა თამარ პაპავამ, ასეთი მინაწერით: „ეს ნარკვევი დაამთავრა აკაკიმ 27 ივნისს საღამოს ცხრა საათზე და 28 ივნისს კი საღამოს ცხრა საათზე დალია სული ლომასის ავტობუსში. რა ამოწურავს ჩემს მწუხარებას“ (*„აკაკასიონი“ 1966:141*).

აკაკი პაპავას წერილები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზეც ძირითადად ემიგრაციაში აქვს შექმნილი, რომელშიც წარმოჩენილია ქართული ემიგრაციის მიზნები და ეროვნული მოღვაწეობის სურათები, საკუთარი მრწამსი.

ამ მხრივ საყურადღებოა სამხრეთ ამერიკაში შექმნილი პუბლიკაციები, რომელთა ერთი ნაწილი 1964 წელს გაზეთ „ქართულ აზრში“ დაიბეჭდა. აკაკი პაპავა თავის სტატიაში „პატიოსანი და ძვირფასი თვლები“ აღნიშნავდა: „საქართველოს სუვერენობის აღდგენა იყო არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ ერის სახელმწიფოებრივი ენერჯისა და ტრადიციების, შინაგანი მთლიანობისა და ბრძოლების პირდაპირი შედეგი“ (*„ქართული აზრი“ 1964:5*). აქედან გამომდინარე მიაჩნდა დიდ ისტორიულ მოვლენად აკაკი პაპავას 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება.

„რუსთა შემოჭრის“ მიზეზად მწერალს მიაჩნდა საქართველოში არსებული სხვადასხვა პარტიების დაპირისპირება: „არჩილ ჯორჯაძის გვერდით უნდა დამდგარიყო ნოე ჟორდანიას... ორივენი კი უნდა ილიას გზას გაჰყოლოდნენ. სხვა „ამბები“ ინტერნაციონალიზმისა მხოლოდ „ზედნაშენი“ უნდა გამხდარიყო და ეს ნამდვილად ასე განდა“ (*„ქართული აზრი“ 1963:4*).

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გადადგმულ ერთ დიდ ნაბიჯად აკაკი პაპავა თვლის ქართველ თავად-აზნაურთა 1917 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებას, მიმართულს ეროვნული საბჭოს მოწვევისა და საქართველოს სახელმწიფოს შექმნისა-

კენ. ამ აქტს თავისი მნიშვნელობით იგი უტოლებს 1917 წლის 17 სექტემბრის ქართველი სამღვდლოების მიერ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და კათალიკოსის არჩევის ფაქტს, რომელიც წინ უსწრებდა 1917 წლის 19 ნოემბერს გამართულ „ეროვნულ ყრილობას“.

სწორედ „ეროვნული ყრილობა“ იქცა 26 მაისის ქართულ პარლამენტად და ერის სუვერენობის დოკუმენტი ქვეყანას ამცნო. აქ ერთი მეორედან გამოდის, პირველი მეორეს ქვაკუთხედი“ (*„ქართული აზრი“ 1964:5*).

აკაკი პაპავა ამ სტატიაში ყურადღებას ამახვილებს ხსენებული ყრილობის ორ განცხადებაზე, რომლებიც შეეხება ეროვნული დამფუძნებელი კრების მოწვევასა და ქართველი თავად-აზნაურობის მიერ მთელი ქონების გაერთიანებული ქართველი ერისათვის გადაცემას: „ჩვენ ვნახეთ ეს შედუღებული, ერთეულად ჩამოსხმული საქართველო ყველა მისი წოდებით, კლასით, წრეებითა და პარტიებით. ამან წარმოშვა დიადი დღე 26 მაისისა“ (*„ქართული აზრი“ 1964:5*).

სამხრეთ ამერიკაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს შექმნილი პუბლიკაციებიდან ცალკე აღნიშვნას იმსახურებს „ჩვენი პრეზიდენტი“, რომელიც პირველად ჯერ ბუენოს-აირესში გამოშვალ ჟურნალ „მაშულში“ (*„მაშული“ 1953:161-164*), ხოლო შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას, გარდაცვალების გამო, გადაიბეჭდა ჟურნალ „აკაკასიონში“ (*„აკაკასიონი“ 1968: 71-74*), ნოე-ჟორდანიას 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

პუბლიკაციაში აკაკი პაპავა ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტის შექმნასთან ერთად, მისი პიროვნების მიმართ დიდ პატივისცემასაც გამოხატავდა, რადგან მიუხედავად საპირისპირო პოლიტიკურ პოზიციაზე დგომისა, იგი საქართველოს დაკარგული უფლებებისა და თავისუფლების აღსადგენად დაუღალავად იბრძოდა.

ავტორს მიაჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატიების ბრძოლა სოციალ-ფედერალისტების წინააღმდეგ გაგრძელება იყო იმ ბრძოლისა, რომელსაც ნოე ჟორდანიას ქართველი ერის მესაჯის ილიასა და სხვა 60-იანელების მიმართ აწარმოებდა: „ჩვენ ხანდახან ურთიერთს ბრალს ვდებთ ისეთ რამეში, რაც სინამდვილეში არ იყო.

რით იყვნენ ამ ბრძოლაში სოციალ-ფედერალისტები ნაკლები დემოკრატები, ან სოციალისტები?... („მამული“ 1953:161-164).

მწერალი სტატიაში შენიშვნას აკეთებდა ევროპის სოციალისტურ მოძრაობასა და რუსული სოციალიზმის დიდ განსხვავებაზე. ნოე ჟორდანიას ევროპულ ორიენტაციაზე იგი აცხადებდა: „ნოე ჟორდანია არასოდეს არ ყოფილა ტიპიური რუსული სოციალისტი... ვისაც სამართლიანი მსჯავრის დადება სწადია, მან უნდა აღიაროს, რომ ნ. ჟორდანია თავიდანვე ქართველი კაცი ყოფილა და მას ამოძრავებდა ქართული ატავიზმი – ევროპის კარების შეღების ცდა. ამ კაცს კარგად ესმოდა, რომ გაევროპილება ეკონომიურ გაღონიერებას და გაკულტუროსნებას ნიშნავდა“ („მამული“ 1953:161-164).

აკაკი პაპავა უაღრესად დიდ დამსახურებად თვლის ნოე ჟორდანიას მიერ რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ და საქართველოს საკითხის საერთაშორისო საკითხად გადაქცევისათვის წარმოებულ ბრძოლას. ავტორი მას უწოდებს ქართველი მრევლის პატრიარქს, რომელიც მუდამ ამხნევებდა საზღვარგარეთ ემიგრანტებს და იმოწმებდა მის სიტყვებს: „აქ გადაწყდა ბედი ქართლისა. აქ ჩაიყარა მისი არსებობის ღრმა საძირკველი. მას ვეღარ გაარღვევს მრისხანე მტერი... მას არღვევდა დიდი სპარსეთი, დიდი ოსმალეთი, დიდი ურდოები... ჩვენი დამრღვევი თვითონ ირღვევა. ამას ვერ ასცდება მოსკოვიც“ („მამული“ 1953:161-164).

სტატიაში აშკარად ჩანდა, რომ აკაკი პაპავაც იმავე თვალსაზრისზე იდგა, როგორზეც ნოე ჟორდანია და ააშკარავებდა თავის პოზიციას საქართველოსათვის „ევროპეიზაციის“ დიდი მნიშვნელობის შესახებ.

თუმცა, მაშინ ევროპამ სათანადო რეაგირება არ მოახდინა საქართველოს ოკუპაციაზე და რეალური დახმარება არ აღმოუჩინა ჩვენს ქვეყანას. ემიგრანტების დიდი მცდელობის მიუხედავად, ევროპამ გადაუწყვეტელი დატოვა საქართველოს საკითხი.

ამასთან დაკავშირებით, აკაკი პაპავა ერთ-ერთ პირად წერილში აღნიშნავდა: „ისე მოიღრუბლა ცა, რომ დიდი წარღვნა მოელის კაცობრიობას და ვინ იცის – ეს 1962 წელი გარდამტეხი იქნეს. ახი კია დასავლეთისათვის, რაც მოუვათ. 40 წლის გან-

მავლობაში გავყვიროდით ამ საფრთხეებზე და სიცილადაც არ ჰყოფნიდათ... ეხლა?..." (პაპავა ფონდი 29044/26).

იმავე აზრს აგრძელებს 1961 წელს ჟურნალ „ჩვენ ვზაში“ დაბეჭდილ სტატიაში „სამარცხვინო იუბილე“, სადაც წერდა: „საქართველომ იცის, რომ ის არ არის მარტო, რომ დამონებული ერების მილიონობით შვილი წმინდა ფიცით შეკავშირდება კაცობრიობის მტერზე – ტირანულ მოსკოვზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად. ამის თავადები არის ცივილიზებული დასავლეთი დემოკრატიული ამერიკის ხელმძღვანელობით“ („ჩვენი ვზა“ 1961:5 (ინგლისურ ენაზე) ფონდი 278).

საერთოდ, აკაკი პაპავს ღრმად სწამდა, რომ ქართველობა მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დაყრდნობოდა, საკუთარი რიგები გაემარებინა აქ, საქართველოსა, და იქ, უცხოეთში, და არავის მოიძეღე და ხელში შემყურე არ უნდა ყოფილიყო. თავად, როგორც თავისი ქვეყნის დესპანი, ძალღონეს არ იშურებდა საქართველოს საკითხის მოსაგვარებლად და აღნიშნავდა: „ერთი კარგი ბიდან დათხოვნილი, მეორეში შევდიოდით და წამებულ სამშობლოსათვის შველას ვითხოვდით – ხან ამყად და ხან კიდევ დამცირებით... ხოლო საქართველოში ხომ უფრო ძალუმი იყო ეს რწმენა და იმედი დასავლეთისა. და იქ რამდენი მსხვერპლი იქნა მიტანილი..." (პაპავა 1962:3).

ამ თემას ავითარებდა აკაკი პაპავა ერთ პირად წერილშიც და აღნიშნავდა: „ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, რომ ეს 70 წელი გამიძნა ისე, რომ ჩემს წამებულ ერს ვერა ვარგე რა და აწი კი ხომ „გასავალ“ კარებს მიგუახლოვდი და რაღას მოვასწრებ, რა დამრჩენია?

ჩემი გულწრფელი წადილი იყო ქართულ პატიოსან, იდეურ და სინდისიერ, მშრომელ ემიგრაციას 40 წლის შემდეგაც თვისი ნათელი მისწრაფება და უანგარო სიყვარული უცვლელად გამოეჩინა და ერის უფლებებისთვის მებრძოლთა სახელები შეენახა და არ შეერცხვინა. ერთხელაც იქნება ჩვენი თაობის ისტორიასაც მიუდგომლად დასწერენ და აი, იქ მკვლევარი მამულიშვილი არ უნდა გაწითლდეს ჩვენს აბბებზე და განცდებზე... ეს იყო ჩემი ამოცანა და თუ ის კარგად და სრულად ვერ დავაგვირგვინე, ეს მეპატიება „მიზეზთა მრავალთა გამო“... ბევრი რამ მიშლიდა ხელს" (პაპავა ფონდი 19044/18).

ამ აზრის კონსტატაციას წარმოადგენს აგრეთვე კრებულ „მოწამეთობაში“ დაბეჭდილი ავტორის წინასიტყვაობაც, სადაც აკაკი პაპავა ამბობდა: „ვიცი — წინაპართა მოწამეების სიაში ჩვენ არავინ მოგვიხსენიებს. ჩვენ ასეთი კადნიერებიდან შორსა ვართ... მაგრამ მათის მოწამებრივის გზით ჩვენც გვივლია... ჩვენი ქვეყნისა და მისი რწმენისათვის ამ ათეულ წლების გასწვრივ მრავალი დევნა-დამცირება გვინახავს... ჩვენ, ყველა რწმენის და მიმართულების ლტოლვილთ, ერთნაირად გვივლია ამ წამების გზით...“ (პაპავა 1962:7).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის წერილებში, რომელნიც ჟურნალ „მაძულის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, აკაკი პაპავა საფუძვლიანად განიხილავს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას. სტატიაში „ქართული დიპლომატია და 1802 წლის ამბები“ იგი აღნიშნავს: „რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში ჩვენი ხალხი თავიდანვე დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ეს წინააღმდეგობა მთელ რიგ აჯანყებებში გაიშალა, რის სათავე 1801 წლიდან მოდის და თითქმის ნახევარი საუკუნე გრძელდება.“

ამ ერთ-ნახევარი საუკუნის წინ მომხდარი ამბები ერთხელ კიდევ ამჟღავნებენ იმ წინააღმდეგობას, რომელშიაც ჩავარდა მაშინდელი ქართული პოლიტიკა და რომლისგანაც მან პირველ ხანებში ისევ ლეგალურის ბრძოლით დააპირა თავის დაღწევა“ („მაძული“ 1953:179).

პუბლიკაციის ავტორი ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით აშუქებს ქართული სამეფოს გაუქმებისა და იმპერიასთან შეერთების მთავარ მოტივებს, რითაც ნამდვილ სურათს გვიშლის. „შეერთების მანიფესტმა“ სიკეთის ნაცვლად საქართველოს სამეფოს ფუნქციები ნელ-ნელა გააუქმა და ბოლოს მთელი ქვეყანა რუსეთის მინდობამ ხიფათს მისცა.

ქართული დიპლომატიით წამხდარი საქმის გამოსწორება ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრეებმა და ქართველმა ხალხმა აჯანყებებით გამოხატა.

„საქართველოში გადმოტანილი აპერაციები რუსთა ჯარებმა და არტილერიამ დაამარცხა. 1802 წლის აჯანყება მან სისხლში ჩააღრჩო“ („მაძული“ 1952:156–157).

სტატიის ბოლოს ავტორი ამხელდა იმ ფაქტს, რომელიც „მფარველის“ სახით მოსულმა რუსეთის იმპერიამ საქართველოს მოუტანა. ეს იყო ეროვნული, პიროვნული და სოციალური უღელი.

ისევ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხს ეხება აკაკი პაპავა სტატიაში „საქართველოს სამეფოს უკანასკნელი ამბები,“ რომელიც ჟურნალ „მამული“-ს №2-ში დაიბეჭდა.

ა. პაპავა ისტორიულ ჭრილში განიხილავს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის ცალმხრივობას და ამხელს იმპერიის ვერაგულ პოლიტიკასა და ქართული დიპლომატიის მარცხს: „მაინც ბევრისათვის იმდენად ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ქრისტესმოყვარე“ ხელმწიფეებს ფიცისა და ხელშეკრულების დარღვევა შეეძლოთ და პატარა საქართველო „მფარველს“ მოკაემირეს ძალმომრეობით დაეპყრათ, რომ ეს ყველაფერი საქართველოში გამოგზავნილ რუს მოხელეთა პირადი თვითნებობა და მეტიჩრობა ეგონათ“ („მამული“ 1951:40-42).

ამით აკაკი პაპავა ქართველ ემიგრაციას კიდევ ერთხელ შეახსენებდა, რომ მათ „გულუბრყვილო სტუმრობა“ და „პოლიტიკური რომანტიკა“ ძველთაგანვე მოსდგამდათ და ახლაც ქართული პოლიტიკური ემიგრაციას სჯეროდა: „თუ ევროპა და ამერიკა ჩვენზედ მომხდარ ძალადობის, მოტყუილების და უსამართლობის ნამდვილ სურათს დაინახავდა, მყისვე დაიძვროდა სასწნელად...

აი, სწორედ ამ რწმენით და იმედით ვიხევედით უკან და აქ წამითაც არ ყოფილა ჩვენი ერისა და ქვეყნის მიტოვების წადილი“ (პაპავა 1962:7).

ეს პარალელები სტატიის ავტორმა იმისთვის გაავლო, რომ ქართველობა კიდევ ერთხელ დაერწმუნებინა საკუთარ რიგებსა და ძალებზე დაყრდნობის აუცილებლობაში.

ზემოთქმულით აიხსნება ის ფაქტი, რომ ემიგრანტებს მამულის ბედზე ხელი არ ჩაუქნევიათ, საქართველო იმის გამო არ დაუტოვებიათ, რომ პირადად აეცდინათ მტრის რისხვა. „ან უცხოეთში უზრუნველად ეცხოვრათ. თავისი ქვეყნისათვის „ზურგი“ არასოდეს უჩვენებიათ. პირიქით, გონებითა და თვალთ მისკენ იყვნენ და უცხო ქვეყნებში „უკანა ნაბიჯებით, ზურგით“ შედიოდნენ“ (პაპავა 1962:7).

სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს შორის აკაკი პაპავა ყველაზე ხელხვაიანი პუბლიცისტი გახლდათ.

საყურადღებოა „მამულში“ დაბეჭდილი პუბლიკაცია „კიდევ ერთი ოცდა ექვსი მაისი“, რომელშიც ავტორი მთელი გულსტკივილით აგვიწერს უცხოეთში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნარეკლიან გზას: „ჩვენი გზა ეკლიანია, შეიძლება კიდევ უფრო მძიმე და გრძელი გზა გვექმნეს სავლელი, მრავალჯერ ჩავიშვალეთ, მძიმე ქმენა აღმოგვხდა, ჭირის ოფლი და ცრემლები ვღვარეთ ამ 30 წლის გზაზე, მაგრამ ხომ ხედავს ქვეყანა, ხომ ესმის ჩვენს გაწამებულ ერს, რომ ჩვენ ისევ ვდგევართ, ისევ ვგუშმაგობთ და ქართული დროშა ხელიდან არ გაგვიშვია. განა ეს ცოტაა, ამ მსოფლიო ქარცეცხლის დროს? განა ეს ერთგვარი ნუგეში მაინც არ არის ტყვეობაში მყოფ ერისათვის?“... ამით აკაკი პაპავას სურდა საბჭოთა საქართველოში მცხოვრები თანამემამულეები დაერწმუნებია იმაში, რომ ემიგრანტები – „აქაურობას მხოლოდ „წუთისოფლად“ ვთვლით, „მარადის სოფელი“ კი ჩვენი მიწაწყალია... ამისათვის ჩვენი თაობის ლტოლვილთ ნუ დაემდურებიან“ (პაპავა 1962:6).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალ „მამულში“ დაბეჭდილ სტატიებს „საქართველოს საკითხი და რუსეთის სახელმწიფო საბჭო“, „საქართველო-რუსეთის იურიდიული ურთიერთობა“, „საქართველოს დიპლომატიური გამარჯვება 1783 წელს“ და სხვებს აკაკი პაპავა ლექციების სახითაც კითხულობდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ დევნილ ერთა სათვისტომოებსა თუ საკრებულოებში.

საერთოდ, აკაკი პაპავა თავისი ისტორიულ ხასიათის წერილებით ნათელს ჰჟენდა ბურუსით მოცულ ბევრ ისტორიულ მოვლენას, განსაკუთრებით კი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ბოლო 200 – წლოვან პერიოდს.

სამხრეთ ამერიკაში მოღვაწეობის პერიოდში აკაკი პაპავამ დაგვიტოვა ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებიც, რომლებიც თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ასეთ პუბლიკაციათა რიგს მიეკუთვნება მისი ლიტერატურული ესე „მიდიან“, სადაც ავტორი მოგვითხრობს: „წლები. ათეული წლები უხალისო და უფერულ ლტოლვილობისა „წარსულის უფსკრულში“ ინთქმებოდა;

ხოლო ისინი ისევ, ისევ იდგნენ: უტენნი, ურყენი, ძველებური საათივით „მართლნი“, მომლოდინენი უკეთეს დღეებისა ჩვენს ქვეყნისა და ჩვენთვის... უსიტყვოდ, მოთმინებით ამტანნი ტკივილებისა და მარტობისა. ეს მათი სიმტკიცე, ქართული უტენი ბუნება ხანდისხან ჩვენ გვაბრაზებდა კიდევ... ჯიუტები, გამოუსწორებელი, მუდამ ერთისა და იმავეს მალაღებელი... ნუთუ არ მოსწყინდათ?, მაგრამ ისინი ამ „ირონიას“ ყურს არ ათხოვებდნენ, ძველ ჯიუტობას არ იშლიდნენ, უცვლელნი რჩებოდნენ თავის ასკეტიზმში" („მაბული“ 1952:154-155).

ამ ამონარიდში აკაკი პაპავა მაღალ შეფასებას აძლევს საზღვარგარეთ გაშლილ ეროვნულ მოძრაობას, მათ მიმდევრებს, საუბრობს ქართული ემიგრაციის მიზნებსა და მათ გაუტეხლობაზე, რომელთაც ღრმად სჯეროდათ და სწამდათ: „საქართველო იყო და იქნება... ჩვენ წინაპრებს უარესიც გადახდენიათ, მაგრამ ხომ ხედავთ, – აქამდე მოგვიტანეს!... არ წახდეთ, საქართველო არ შეარცხვინოთ! იარეთ მუდამ ამაყად, წმიდად და სწორად!...

ამ ძველი მუხების ძირში თითქო ვგრძობდით, რომ მათი ფესვები ჯერ კიდევ ქართულ მიწაში იყო გამჯდარი... ეს ბრძანდებოდით თქვენ ძველო თაობავ, თქვენ –საქართველოზე შევიცულნო! მისთვის შორეულ ქვეყნებში ასე გაბნეულნო, მრავალ ლოდიანის წლებით დამძიმებულნო! მაგრამ მაინც უტენო" („მაბული“ 1952:154-155).

აკაკი პაპავას, რომელიც ამ ლიტერატურულ მასალას უტენელის ფსევდონიმით აწერდა ხელს, სჯეროდა, რომ ქართულ ემიგრაციაში წინაპართა ანდერძს კვლავ გააგრძელებდნენ მომავალი თაობები. რითაც ავტორი საკუთარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა.

იგივე აზრია გამოხატული 1963 წლით დათარიღებულ აკაკი პაპავას ერთ პირად წერილშიც, რომელიც მის დიდ მამულიშვილურ მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე მეტყველებს: „რაც მე გავაკეთე ეს სულ ცოტა რამ იყო, რაც მრჩება გასაკეთებელი ეს ძალიან ბევრია... იქნებ „კეთილსინდისიერებმა“ (ხომ გახსოვს – ჩვენში, სოფლებში იყო ასეთი თანამდებობის პირები) მოსამართლეებმა გამამართლონ ამ აღრეულ და დაშლილ პირობების გამო, რომ მეტი ვერაფერი გავაგვარე... ჩვენი ამდენი წლის მუშაობა და

წიგნები აქაურ „კოლონიის ფონზე“ კი არ ხდებოდა, არამედ ქართული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიისათვის... და ასეც აღნიშნა ყველამ, ვინც მოგვწერა და მოგვილოცა მე – 70 წლის თავზე და თამარს – 75 წლისთავზე" (პაპავა ფონდი 29044/26).

ხელოვნების საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ასევე ჟურნალ „მამულში“ დაბეჭდილი აკაკი პაპავას პუბლიკაცია „ქართული თეატრის სათავეებთან“, სადაც ავტორი მიმოიხილავს ასი წლის მანძილზე ქართული თეატრის განვითარების ნარ-ეკლიან გზას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ქართული თეატრი ეპიზოდური მოვლენა აღარ არის, იგი მტკიცე, ურყევი და მუდმივი ფუძე გახდა ჩვენი ეროვნული განვითარებისა. ქართული თეატრალური ხელოვნება ამ ასი წლის თავზე გამარჯვებული და გამართლებული სდგას და ის მრავალ ევროპიულ თეატრებს არ ჩამოუვარდება" („მამული“ 1951:79-83).

ამდენად, ავტორი მოითხოვს ხელოვნების გათავისუფლებას და ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებას. მისი ესთეტიკური თვალთახედვით, ჭეშმარიტი შემოქმედება მხოლოდ ნაციონალურია, რომელიც ერისა და პიროვნების სულიერი გადარჩენისათვის იბრძვის.

სამხრეთ ამერიკული პერიოდის შემოქმედებიდან ასევე საყურადღებოა მისი კრიტიკული შემკვიდრეობა.

აკაკი პაპავა, როგორც კრიტიკოსი, ემიგრაციიდან გამუდმებით ადევნებდა თვალყურს ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს და მიუკერძოებელ პოზიციას ავლენდა მათი შეფასებისას. კრებულში „1500 წლოვან თბილისს“, – ყურადღებას იქცევს აქ შესული ლიტერატურული წერილი „ფიქრები ძველ და ახალ ქართულ კრიტიკაზე“, სადაც ავტორი ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავს ჩვენი ქვეყნის, ანექსიამდელი და შემდგომი პერიოდის ქართული ხელოვნების განვითარების მასშტაბებს. იგი აღნიშნავს: „პირველი, ის, რომ ეს „კარნახი და ტენდენცია“ მაშინ ჩვენი ქვეყნის დამპყრობლისა და მტრისაგან არ მოდიოდა, ის ქართულ რაობისათვის თუმცა შეუსაბამო, უცხო და შემოტანილ მოძღვრების ნაყოფი იყო, მაგრამ, ვიმეორებ, ის არ ყოფილა დამპყრობლის მიერ ნაკარნახევი, მისი ვერაგობით, შიშით და ტერორით „შთაგონებული ქმელობა“. მეორე განსხვავება: ამ უტილიტარულ და ტენ-

დენციურ შემოქმედების საწინააღმდეგოდ იმ დროში გაშლილი იყო თავისუფალი და ფართო კრიტიკა, რის პროცესში ჭეშმარიტება და ნამდვილ ხელოვნების ათვისება გზას იკაფავდა, იყო აზრთა თავისუფალი დუღილი, პაექრობა და ბრძოლა – ხშირად მწვავე, მაგრამ არასდროს – დაუნდობელი და მზაკვრული, მტრის გულის მოსაგებად „გადაკრულად“ გამცემლურად გამოსროლილი“... (პაპავა 1960:108).

აკაკი პაპავას აზრით: „საბჭოურისაგან“ განსხვავებით, ანექსიამდელი ქართული კრიტიკა სრულიად თავისუფალი და შეუზღუდავი იყო, ვინაიდან ცენზურის მკაცრი ზედამხედველობის მიუხედავად ცარიზმის ბატონობის ხანაში, იგი მაინც ახერხებდა ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვანი ტრადიციები გაეგრძელებინა და დაპყრობილ ერის კვლავ აღდგომის ზრახვები და იდეალები მხატვრულ ფორმებში გაეშალა“ (პაპავა 1960:116).

საქართველოში ბოლშევიკურმა რეჟიმმა და მისმა საბჭოურმა დიქტატურამ სახელმწიფო აპარატის გამოყენებითა და მწერლობისადმი ბარბაროსული მიდგომით ბევრი ნიჭიერი მწერალი დაღუპა. პაპავა აღნიშნავს, რომ „პიროვნულ, ინდივიდუალურ და, მამასადამე, ეროვნულ ქმედობის სრულ დამორჩილებისათვის, „საბჭოთა“ კრიტიკამ მწერლობას „ყოველგვარი თავისუფალი გაქანება წაართვა, ემოციების და მხატვრულ აღმაფრენის გზები დაუხშო და ერისა და პიროვნების დამონება აპოლოგიად გაუხადა... მათ აიძულეს დღეის მწერალი სამშობლოს წარსული გაეყალბებია და ჩვენი ეროვნული სიამაყისათვის გამცემლურად ფეხი დაედგა და ისეთი უმსგავსოებანი წარმოეთქვა, რის წაკითხვისას ყოველი ქართველი გაწითლდებოდა“ (პაპავა 1960:109-116).

აქედან გამომდინარე, აკაკი პაპავა ქართველ მწერლებს ორ ბანაკად ყოფდა. მისი აზრით, პირველ ბანაკს მიეკუთვნებოდნენ ნამდვილი ხელოვნები, ვინც ერისა და შემოქმედების თავისუფლების პრინციპით ცხოვრობდა. მათ ავტორი „მეორე მოქცევის მწერლებს უწოდებს“. მეორე ბანაკს კი იგი იდეოლოგიური დოგმატიზმით შეპყრობილ მწერლებს მიაკუთვნებდა და მათ „მესამე მოქცევის“ მწერლებს უწოდებდა. აკაკი პაპავას აზრით, სრული თავისუფლებითა და სიმართლით მხოლოდ ემიგრანტთა შემოქმედება გამოირჩეოდა, მაგრამ მწერლობის დიდოსტატები სამშობლოში იყ-

ენენ დარჩენილი და ისინი აქ გაცილებით მაღალ მხატვრულ ხელოვნებას ქმნიდნენ.

ა. პაპავას წიგნის „1500 წლოვან თბილისში“ შესულ წერილზე, „თბილისზე და მის მწერლობაზე“ ავტორს პოლემიკა გაუმართა გრიგოლ რობაქიძემ: „ფიქრები თბილისზე და მის მწერლობაზე“. 1. ა. მოსაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. ფედოსიშვილი – არ არიან გამოცალკევებული როგორც მწერალნი „მესამე მოქცევისა“. ხელისუფლებამ კი არ „ათქმევინა“ მათ „ესა თუ ის“ – მათ თვითონ „თქვეს“ რაც აქვთ ნათქვამი. 2. „მეორე მოქცევის“ მწერალთაგან ნახსენებია: ა. აბაშელი, გ. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიცვიან ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი მოგყავს ნაწყვეტები მათი შაირებითგან. გალ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი გამოდიან წერილში ვითარცა „გადახრილები“ – იცი რისკენ. მხოლოდ ეს ორი. დანარჩენნი?! უნდა გაგახსენო: განსვენებული ა. აბაშელი „საბჭოურ“ შაირებსაც წერდა – ასევე საწყალი ტიცვიანიც, დაღუპული, რომლის გასაოცარი წინასწარმეტყველება წერილში მოგყავს; ი. გრიშაშვილი იქამდე მივიდა, რომ ჯალათს ბერიას ასე მიმართა: უბრძანე მტკვარს და იგი უკუდენას დაიწყებსო (საერთოდ: რომელმა მწერალმა „მეორე მოქცევისა“ აიცდინა ეს „გადახრა“?) კ. მაყაშვილს არ დასცალდა ხანგრძლივ ეტოცნლა გასაბჭოებულ სამშობლოში, თორემ „გადახრას“, ვფიქრობ, ვერც ის აიცდენდა" (რობაქიძე 2012:453).

გრიგოლ რობაქიძისეული მკაცრი შეფასების მიუხედავად, აკაკი პაპავა მაინც კომპრომისზე მიდიოდა და თავისი წერილის ბოლოს რწმენას გამოთქვამდა: „ყველა ამგვარი „ჩავარდნები“ შევვიძლიან ვაპატიოთ წამებულ, ჯაჭვით შეკრულ მწერალს; მაგრამ საშინელებაა, როდესაც ეს „დოკუმენტი“ შემოქმედების დაჩეხის და უშუალო დასახიჩრებისა, საქართველოს დღეის მწერლობის სახელით სადღება და თავსდება ჩვენი დედაქალაქისადმი საზვიამოთ მიძღვნილ კრებულში... მე მინდა ამ შორეთიდან მას ვაცნობო, რომ ჩემი და მრავალთა გული მას არ გადადგომია და არც გადუდგება, რადგან მის მაჯვისცემას ახლოს მიჰყვებოდა და მიჰყვება...

სიშორეში მაინც ახლოს ვრჩებით მასთან... ჩვენს სიღარიბეში ულეველი სიმდიდრეა, რადგან მისი სიყვარული გვათბობს. ამიტომ

გვწამს, რომ თბილისი „მეოთხე მოქცევას“ კვლავ იხილავს და მკვდრეთით აღმდგარი ჩვენს განაწამებ გულსაც სიხარულით აავსებს" (პაპავა 1960:92).

სამხრეთ ამერიკაში მოღვაწეობის პერიოდში დაწერა აკაკი პაპავამ კრიტიკული წერილი „მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის", რომელიც ჟურნალ „ბედი ქართლისას" 47-ე ნომერში (1964:7) დაიბეჭდა. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის შემოქმედებას, საუბრობს მასზე, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატსა და ეროვნული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელზე.

წერილში აკაკი პაპავამ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნებიც გააკეთა გ. რობაქიძის შემოქმედების გარშემო, რამაც ემიგრანტთა გარკვეულ წრეებში აღშფოთება გამოიწვია და ავტორი გაკიცხვის საგანიც გახდა.

მწერლის შემოქმედების ნაკლოვანებებზე ქართულ ემიგრანტულ სალიტერატურო კრიტიკაში აკაკი პაპავამ პირველმა აღიარა შემდეგი: გრიგოლ რობაქიძის მიერ უცხოეთში გამოქვეყნებული რომანები მხოლოდ „ერთის მძლავრის, მაღალის ალით გაშუქდნენ და, სამწუხაროდ, კარგა ხანია დავიწყებას მიეცნენ... საქართველოში ნათქვამს და ნაწერს კი სხვა სიყვარულის ძალა ახლავს, სხვა ნათელი არტყია, რომელიც დიდხანს ჰფენს შუქს. იქ გრიგოლის სტილი და ღაღადი სხვა, ცხოველი ფერებით იშლება" (*„კავკასიონი“* 1964:22).

მიზეზად ავტორს მოჰყავს მწერლის მიერ მითოსური სამყაროს ამეტყველება, რაც სახიფათო მომენტს უქმნის ქართულ ფენომენს და უცნაურ ასპექტში წარმოაჩენს. აკაკი პაპავას ეს შეხედულება სამეგრელოს მშვენიერი ასულის მეგისა და აფხაზ ასტამურ ლაკერბაიას სიყვარულის მაგალითზე აქვს განხილული. გიჟური ტრფობით აღმოდებული მეგი დაულალავად დააჭენებს კლდე-ღრეში ასევე ჟინით ანთებულ ცხენს და თან ყველგან ასტამურის ნაჩუქარ თეთრ მიმინოს ატარებს, რომელსაც საბოლოოდ შურისძიების მიზნით საკუთარი ხელით წააწყვეტს თავს: „თითქოს აქ მედეა ამარცხებს მტერს" (*„კავკასიონი“* 1964:22). რაც ძველ ამორძალთა ამეტყველებაა ახალ დროში. კრიტიკოსი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ გერმანელი მკითხველი მეგიში ძველ მითოლოგიას

კი არ ხედავს, არამედ „ფოლადის კაცის“ სუნთქვის საიდუმლოებას. ავტორი ხაზგასმით იმასაც დასძენს, რომ ამგვარი მიდგომა ჩვენთვის ყალბია, რადგან ქართველი ქალი აქ აცდენილ ტიპად წარმოგვიდგება: „მართო დიონისურ ატმოსფეროში, მზიურ წვასა და ვნებაში ქართველი დედის, დის, გამდელის და ასულის ფენომენი ჩვენთვის ვერ გაიშლება, გამონაკლისები ვერ განაპირობებს და ვერ დაახასიათებს ქართველ ქალთა ისტორიულ გზას“ (*„აკაკისიონი“ 1964:22*).

აკაკი პაპავასათვის ასევე მიუღებელი გახლდათ მწერლის მიერ მითიურში შემოჭრილი თანამედროვე ყოფითი წვრილმანები, დაუსრულებელი ექსკურსები რელიგიის, ფილოსოფიის სამყაროში, მეტაფიზიკურ მსოფლიოში, რადგან იგი მიიჩნევდა, რომ გრ. რობაქიძეს რომანი რეზონიერობაში გადაყავდა და ნიჭიერ ჟურნალისტიკად აქცევდა.

მოდერნიზმითა და არტისტიკის სტილით გატაცება, „ბანალური ტიპები და მათი დაუსრულებელი, უსიცოცხლო, უძარღვო მსჯელობები: ხელოვნებაზე, პოეზიაზე, მითოლოგიაზე... სადაც სრულიად შეუსაბამოდ მითიურში იჭრება სიცხადის მრავალი წვრილმანობა“ (*„აკაკისიონი“ 1964:28*).

ასე რომ, ეს იაფფასიანი ეფექტები, გაუგებარი და ფანტასტიკური სცენები არ შეეფერება ნაწარმოებებში დასახულ დიდ პრობლემებს და დამსახურებულად იწვევს მართალ კრიტიკას, – ასკვნიდა აკაკი პაპავა.

ამასთან დაკავშირებით, სამართლიანად შენიშნავს ავთანდილ ნიკოლეიშვილიც: „გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას... გარკვეულწილად მართლაც ბოჭავს და სილალეს ართმევს ე. წ. „ლიტერატურშინა“ და გადაჭარბებული, მოძალებული მწიგნობრულობა“ (*ნიკოლეიშვილი 1994:259*).

საბოლოოდ, მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების შესწავლით ირკვევა, რომ აკაკი პაპავა არის დახვეწილი გემოვნებისა და მაღალი კულტურით გამორჩეული პიროვნება, გამოჩენილი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, რომელიც ხელმძღვანელობს რეალიზმის პრინციპით, იცავს თავის ესთეტიკურ პრინციპებს და მუდამ დგას თავისუფალი ხელოვნების სამსახურში.

სამხრეთ ამერიკაში აკაკი პაპავას მეცნიერულ, ლიტერატურულ-შემოქმედებითი და პუბლიცისტური მოღვაწეობის კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით მის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობასაც, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული. უყურადღებოდ არ შეგვიძლია დავტოვოთ აგრეთვე ის ფაქტი, რომ აკაკი პაპავა სიკვდილამდე იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი და აღიარებდა მის პროგრამასა და მსოფლმხედველობას.

ამ შეხედულებას ნათელყოფს ემიგრანტ დავით ვაშაძის ნარკვევი „კინინ რამ აკაკი პაპავაზე“: „უცხო ძალის საქართველოდან განდევნა, ამიერკავკასიის ერთა ფედერაცია, დემოკრატიული გზით – სოციალიზმისაკენ, ნაციონალიზმი – ინტერნაციონალიზმისაკენ, მიწა – მიწის მუშას – აი, მთავარი დებულება არჩილ ჯორჯაძის სოციალისტური ნაციონალიზმისა, რომლის მყარ საფუძვლად ერი და მისი მუდმივობა არის გამოცხადებული და სიყრმიდანვე აკაკი პაპავა ამ პროგრამას იზიარებდა და მისი განხორციელებისათვის მოღვაწეობდა" („კავკასიონი" 1964:29).

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში საქართველოს საკითხი გადაუჭრელი დარჩა და დასავლეთმა ვერ აღმოუჩინა თავისუფალი საქართველოს მთავრობას რეალური, პრაქტიკული დახმარება, აკაკი პაპავა პესიმიზმს არ მიეცა და კვლავაც აქტიურად იღვა ქვეყნის სამსახურში. „არგენტინაში თუ სხვა ქვეყნებში გაფანტული სოციალისტ-ფედერალისტები აქტიურად იყვნენ ჩართული ქართული ემიგრაციის საქმიანობაში, სცემდნენ გაზეთებს, წიგნებს, აწყობდნენ კონფერენციებს, ხელმისაწვდომი პოლიტიკური საშუალებებით იბრძოდნენ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის" („სამშობლო" 2009: 83).

აკაკი პაპავამ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნიდან 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ევროპაში მიმოფანტულ სოციალისტ-ფედერალისტებს წინასწარ წერილები გაუგზავნა გაზეთ „სახალხო საქმის" საიუბილეო ნომრის გამოსაცემად. იგი პარტიის მოღვაწეების შესახებ ადრესატებს წერილებსაც თხოვდა. ამ მიმართვა-წერილში აკაკი პაპავა წინადადებას აძლევდა თანამემულებებს „ამ მნიშვნელოვანი ამბების და პირების ხსოვნისადმი

მიძღვნათ საგანგებო კრებული ან რვეული გამოეშვათ" („საშობლო" 2009: 84).

მიმართვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რასაც მოწმობს საიუბილეო ნომერში გამოქვეყნებულ მასალათა და მათ ავტორთა სიმრავლე.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაარსებიდან 50 წლის თავზე 1952 წელს აკაკი პაპავას მიერ ბუენოს-აირესში გამოცემულ საგანგებო რვეულში „სახალხო საქმის" ფურცლებზე დაიბეჭდა მისი, როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერის წერილი, სადაც ავტორი მიმოიხილავდა საქართველოს ფედერალისტური პარტიის ჩამოყალიბების განმაპირობებელ მიზეზს, რომელსაც საფუძვლად დაედო 1901 წელს ქართველთა წარჩინებული წოდების მიერ დიდი ზემოთ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილის აღნიშვნა: „ამ დროს ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის ერთი ჯგუფი არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით, რომელსაც გვერდით უდგნენ გ. ლასხიშვილი (ლალი), გრ. ცხილაძე (ზანგი), გ. დეკანოზიშვილი, ვლ. ლორთქიფანიძე და სხვანი, გაბედულად გამოვიდა ამ ქართველი ერისათვის „სამარცხენო ნაბიჯის" წინააღმდეგ. მათ არალეგალური ფურცლების საშუალებით შესაფერისის მოწოდებით მიმართეს ქართველობას, - დაჰკმეს თავად-აზნაურობის საზეიმო გამოსვლები, და ყველას თვალი აუხილეს და დაანახვეს ის გაუგონარი ვერაგობა, რაიც დიდმა იმპერიამ საქართველოს წინააღმდეგ ჩაიდინა, როცა მან 1801 წ. ყველა აღთქმა პირობა დაივიწყა და საქართველოს სახელმწიფო ერთის დაკვრით მოსპო, ხოლო ამ ერთი საუკუნის მანძილზე მისი ეკონომიური, კულტურული და ეროვნული დევნა იმდენად გააძლიერა, რომ ქართველობა გადაგვარების გზაზე შეაყენა" („მაჟული" 1951:93).

როგორც ცნობილია, საქართველოში სოციალ-ფედერალისტმა სამსონ ფირცხალავამ 1902 წელს დაარსა გაზეთი „ცნობის ფურცელი“, ხოლო პარიზში 1903 წელს სოციალ-ფედერალისტის ლიდერის არჩილ ჯორჯაძის ხელმძღვანელობით დაარსდა პარტიის ორგანო გაზეთი „საქართველო“, რომელიც ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა. ევროპაში გაზეთი თავისუფლად და შეუზღუდველად ამუშავებდა პარტიის მოქმედების პროგრამას. საქართველოში

„ცნობის ფურცელმა“ და ევროპაში „საქართველომ“ 1901-1903 წლებში იდეურად შეამზადა და მრავალი მომხრე გაუჩინა ჟენევაში ქართველ სოციალ-ფედერალისტურ პარტიას, რომელიც 1904 წლის აპრილში ოფიციალურად გაფორმდა. პარტიამ ჟენევაში დაარსა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. სოციალ-ფედერალისტები საქართველოში და ემიგრაციაშიც ძირითად დებულებებში დიდ სამოციანელთა პოზიციას აგრძელებდნენ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის იყო მოწადინებული.

საიუბილეო სტატიას, რომელიც პარტიის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა, აკაკი პაპავა ასე ამთავრებს. „ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ამ რვეულს ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი თანაგრძნობით შეეგებება: ამასთან გვჯერა, რომ ის ამ ჩვენს გამოცემას ჩასთვლის არა ვიწრო, ჯგუფურ, ან პარტიულ ნაბიჯად, არამედ ქართულ მოწინავე აზრის წმინდა მოვალეობად: ერთგვარი პატივი სცეს იმ ეროვნულ მოძრაობას, ამ ნახევარი საუკუნის წინ რომ ჩაისახა. ჩვენი ქვეყნის ღირსებისათვის ბრძოლას უანგაროდ ემსახურა და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის მუშაობაში შეძლებისდაგვარად წვლილი შეიტანა“ (**„ამბული“**, №3, 1951:93).

აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკაკი პაპავას მიერ დაარსებულ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე ასევე იბეჭდებოდა სხვადასხვა შინაარსისა და ჟანრის პუბლიკაციები. მათი ავტორები „სახალხო საქმეს“ პირადადაც აფინანსებდნენ.

აკაკი პაპავას „სახალხო საქმის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის შესწავლისათვის უდაოდ საუკეთესო კვლევით მასალებს წარმოადგენს.

აკაკი პაპავას ეპისტოლური მემკვიდრეობა თავისი მასშტაბურობით ცალკე შესწავლის საგანია. მისი წერილები არის ერთი გაბმული ღაღადისი თავის მიწა-წყალზე, ხალხზე, ენაზე, სიტყვა და ფიქრი უსაზღვროდ შეყვარებული კაცისა ადამიანზე.

აკაკი პაპავას სამხრეთ ამერიკული პერიოდის შემოქმედებით ნუსხაში შედის სოციალისტ-ფედერალისტთა საგანგებო რვეულის „სახალხო საქმის“ დაარსება.

ამრიგად, არსებულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ აკაკი პაპავა XX საუკუნის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მისი მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, მოიცავს როგორც პოეტურ-შემოქმედებით, ისე პოლიტიკურ, კრიტიკულ-პუბლიცისტურ, ფილოლოგიურ და ისტორიული ხასიათის ნაშრომებს, რითაც იგი დღეს ერის უახლესი ისტორიული წარსულისა და კულტურული პოტენციალის ობიექტური შეფასების მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მან ემიგრაციაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე პატრიოტული სულისკვთება და სამშობლოს „მოვლის“ იდეა, არნახული ვნებითა და სიმძაფრით, რისხვითა და მამხილებელი პათოსით ასახა როგორც პოეზიაში, ასევე პროზასა და პუბლიცისტიკაში. სამხრეთ ამერიკაში შექმნილი მისი ლირიკა მთლიანად პატრიოტული ნაკადის მომცველია, იმავე იდეურ-თემატიკური ხაზის მატარებელია, რაც ქართული ემიგრანტული პოეზიისათვის იყო დამახასიათებელი.

ა. პაპავას პატრიოტული მოტივით გააუღნთილი ლექსები ააშკარავებდა, რომ პოეტის ნონკორფორმიზმი პირადულის ზეობის უარყოფაში იყო გამოხატული, საიდანაც ჩანდა, რომ ავტორი არ იჩემებდა ნოვატორობას პოეზიაში და ბოლომდე რჩებოდა კლასიკური ლექსის ერთგული, რითაც ბოლომდე შეინარჩუნა ეროვნული კოლორიტი.

აკაკი პაპავა თავის შემოქმედებაში ლიტერატურულ მოვლენებს განიხილავდა ისტორიზმის პოზიციებიდან. მის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს ახასიათებდა განმანათლებლური ხასიათის თავისებურება, ეროვნულ პრობლემატიკასთან კავშირი და მოვლენათა რეალისტურ თვალთახედვით განსჯა.

მწერლის შემოქმედებაში ასევე წამყვანი მიმართულება აქვს სალიტერატურო კრიტიკას, რომელშიც ავტორი იზიარებდა „თერგდალეულთა“ ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებს, აგრძელებდა მათ კურსს, ებრძოდა ისტორიის გაყალბებას, ეროვნული მოტივის მივიწყებას ხელოვნებაში და სრულიად თავისუფალი იყო, როგორც ემიგრანტი შემოქმედი კონიუნქტურისაგან.

აკაკი პაპავა, როგორც სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ემიგრაციაში, პოლიტიკაშიც იმ ხაზის გამგებლებელი იყო, რომელიც სათავეს იღია ჭავჭავაძის ნაზრევიდან იღებდა.

აკაკი პაპავას შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლით ცხადი გახდა, რომ იგი არის დახვეწილი გემოვნებისა და მაღალი კულტურით გამორჩეული პიროვნება, ერუდიტი, მოაზროვნე და ორატორული ნიჭით დაჯილდოებული პოლიტიკოსი, რომელიც ისტორიასა და თაობათა მენსიერებაში მხოლოდ წიგნებით როდი ცოცხლობენ. აკაკი პაპავა ლიტერატურათმცოდნეობაში დარჩა ქართული რეალიზმის პრინციპების ერთგულ მწერლად.



აკაკი და თამარ პაპაევი ქალიშვილებთან ტურფასა და მზიასთან ერთად.



თამარ და აკაკი პაპაევი

თამარ პაპავა

დიდი ილია ამბობდა: – „ყოველი ადამიანი დაუწერელი საინტერესო წიგნია, მით უმეტეს, მწერლისა და შემოქმედის ცხოვრება, რომელიც მთელი გულითა და შემოქმედებით დაკავშირებულია თავისი ქვეყნის ყოველდღიურ მაჯისცემასთან, უშუალოდ განიცდის სამშობლოს ტკივილს, მის სიხარულს, მწუხარებას, თუ ბედნიერებას“ (**ჭავჭავაძე 1961:221**).

ეს სიტყვები უშუალო კავშირშია იმ მწერალი ქალის ბიოგრაფიასთან, რომელმაც იცხოვრა და განვლო დიდი ეპოქალური ძვრები და ქარტახილები, იგემა დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფლება, სამშობლოს ოკუპაცია და ემიგრაციის ნარ-ეკლიანი გზის სუსხი.

ამ უკანასკნელის მხრივ წარმოჩინდება თამარ პაპავას ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის სამხრეთ ამერიკული პერიოდი.

თამარ სიმონის ასული გოგოლაშვილი-პაპავა დაიბადა 1888 წლის 24 მარტს ქუთაისში.

სამხრეთ ამერიკაში დაწერილ თავის მოგონებაში „ცნობად ბავშვებისათვის“ იგი მოგვითხრობდა: „ბავშვებო, თუ გინდათ იცოდეთ, ვინ იყო თქვენი ბიბა და ვინ იყვნენ მისი მშობლები, მაშინ დამიგდეთ ყური და მე გაიამბობთ:

ჩემი ბაბუა იყო დეკანოზი პავლე პეტრეს ძე გოგოლაშვილი სოფელ საწულუკიძეოდან. ბაბუას მამა – მღვდელი პეტრე ჩამოყლია რაჭიდან წულუკიძეებს, მათი აჯანყების დამარცხების შემდეგ 1820 წელს. მაშინ საწულუკიძეოში (დაბა ხონის მახლობლად) სახლობდნენ მხოლოდ თავადი წულუკიძეების ოჯახი მათი გლეხებით და აგრეთვე ორი ოჯახი გოგოლაშვილი. ესენი იყვნენ: ბაბუაჩემი პავლე და დიაკონი მიხეილ გოგოლაშვილი, რომლებიც ემსახურებოდნენ წულუკიძეების კარის ეკლესიას“ (**პაპავა 1990:275-279**).

საწულუკიძეოში გოგოლაშვილებს დიდი ოდა-სახლი ედგათ და შეძლებული ოჯახი ჰქონდათ, რომლებიც მთელ ქვემო იმერეთში სტუმართმოყვარეობით განთქმული იყო. გოგოლაშვილებს 6

შვილი ჰყავდათ, აქედან უფროსი ვაჟის სიმონის შვილი გახლდათ თამარის მამა სვიმონ სვიმონის ძე გოგოლაშვილი, რომელმაც განათლება ჯერ თბილისის სამოსწავლო სემინარიაში მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლა ოდესის უნივერსიტეტში განაგრძო. სტუდენტურ არეულობაში მონაწილეობის გამო მალე იგი უნივერსიტეტიდანაც დაითხოვეს. სამშობლოში დაბრუნებულმა სიმონ გოგოლაშვილმა მუშაობა ქუთაისის საოლქო სასამართლოს მდივნად დაიწყო. მოხდენილი ვაჟკაცი აქ გაიცნო აკაკი წერეთელმა, რომლის თხოვნითა და რჩევით იგი ქუთაისის სცენის-მოყვარეთა წრეში ჩაეწერა. სასცენო ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული სიმონ გოგოლაშვილი დიდმა მსახიობმა ვასო აბაშიძემ მალე თბილისში გაიწვია, რომლის შემდეგ დაიწყო მისი მძიმე გზა ქართულ თეატრში.

თამარ გოგოლაშვილის დედა ალექსანდრა იყო აზნაურ ლუკა იესეს ძე გამრეკლიძის ასული, რომელიც ქართული თეატრის აღორძინების სამსახურში იდგა.

ლიტერატურაში დეტალებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ გამრეკლიძის გვართან დაკავშირებით, ერთი შენიშვნა უნდა გაკეთდეს: ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი იოსებ მეგრელიძე საქართველოში გამოცემულ თამარ ჰაპავას წიგნის „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ – წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „თამარს ემიგრანტი ბიძა – ვლადიმერ ლუკას ძე გამყრელიძე სტუმრებია“ (ჰაპავა 1990:5). მაშინ, როცა დედის ძმაზე ვლადიმერ გამრეკლიძეზე თავის მემუარებში თამარ ჰაპავა წერდა: „იქ მყავდა ბიძაჩემი ვლადიმერ გამრეკლიძე“-ო (*„ქართული ემიგრაცია“* 2013:198).

ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ თ. ჰაპავას დედა ალექსანდრაც და მისი ძმაც ვლადიმერი გამრეკლიძეები გახლდათ და არა გამყრელიძეები. ალბათ, იოსებ მეგრელიძეს სსენებულ წინასიტყვაობაში ტექნიკური უზუსტობის მიზეზთა გამო, ეს გვარი არასწორად გაეპარა.

თამარის მშობლებს სვიმონ გოგოლაშვილსა და ალექსანდრა (შაშა) გამრეკლიძეს ქართული სასცენო ხელოვნების აღიარებულ ოსტატებს ოთხი შვილი ჰყავდათ ერთი ვაჟი – შალვა და სამი ქალი – ლიზა, ბაბო და თამარი.

საყვარელ დებსა და ბავშვობაზე ღრმად მოხუცებული ემიგ-

რანტი თამარ პაპავა წერდა: „გამახსენდა ჩვენი სახლი, ჩვენი ღარიბული ცხოვრება, ჩვენი მწვანე ლამფა, ჩვენი სამოვარი – შენი გაწმენდილი. რა ტკბილი და თბილი იყო ჩვენი ცხოვრება, რამდენს ვიცინოდით.. იყო სიყვარული ერთმანეთში, ტკბილი ჩვენი პური და ყველი. სად წავიდა ეს ყველაფერი!...” (პაპავა 1990: 286).

თამარ პაპავა ბავშვობიდანვე ტრიალებდა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა წრეში. მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდა ქართული სიტყვისა და თეატრის კორიფეები, რომელთა ურთიერთობამ და სიახლოვემ ბევრად განაპირობა შემდგომში თამარ პაპავას მსახიობად, მწერლად და საზოგადო მოღვაწედ ჩამოყალიბება.

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ თამარ პაპავა მსახიობთა იმ თაობას მიეკუთვნებოდა, რომლის პროფესიული დაოსტატება ძველ თეატრში დაიწყო.

მან ემიგრაციაში წასვლამდე შექმნა თავისი აქტიორული “ოქროს ფონდი”. ვერონიკა („ვიდრე ხვალ, უფალო”), აბა („ბოშა ქალი აზა”), ქრისტინე („ქრისტინე”) და სხვ. ახალგაზრდა მსახიობ ქალს ფანატიკურად უყვარდა თეატრი. ბევრ ჭირსა და უსიამოვნებას იტანდა მისი სიყვარულით, რომელსაც მაცურებელი ბევრჯერ ჩაუფიქრებია, აუცრემლებია და გაუცინებია...

თამარ პაპავას, როგორც მსახიობის, წარმატებაზე მეტყველებს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება” 1914 წლის 4 მაისის ნომერში დაბეჭდილი ინფორმაცია: „სია იმ პირთა, რომელიც შეიძლება დღესდღეობით ქართული სცენის მსახიობებად ჩათვალოს, სადაც ანბანის მიხედვით მოხსენიებული იყო თამარ გოგოლაშვილიც” („თეატრი და ცხოვრება” 1926:15).

გასული საუკუნის დასაწყისის პერიოდიკის მიხედვით ჩანდა, რომ თამარ პაპავა სცენაზე განსხვავებული ჟანრის და ამპლუის სახეებს ერთნაირი ოსტატობით ასახიერებდა.

ქართულ სასცენო ხელოვნებაში დაოსტატებამ კიდევ უფრო გაამდიდრა თამარ პაპავას სულიერი საგანძური. მან სამწერლო ასპარეზზეც მიიქცია ჩვენი ინტელიგენციის ყურადღება, რაზეც მეტყველებს თამარისადმი 1931 წელს ემიგრაციაში ცხოვრება-- მოღვაწეობის დროს გაგზავნილი ექვთიმე თაყაიშვილის წერილი: „წავიკითხე „კავკასიონში” ისახარის „დიდი სახეები პატარა ჩარ-

ჩოებში" და დიდათ ვისიამოვნე. ამდენხანს სად იყავით თუ ასეთი ისტორიული ნარკვევების წერა შეგეძლოთ! ენა მშვენიერია და ამაში უსათუოთ სცენაზე არტისტობამ გაგავარჯიშათ" (**თაყაიშვილი 1999:7**).

თ. პაპავამ ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრების დროს დაბეჭდა პატარა მოთხრობები ბავშვებისათვის „ქოჩრიანი ტოროლას“ ფსევდონიმით, რომელიც ქუთაისის დრამატული საზოგადოების დასის მიერ დადგმული სპექტაკლის ვილდენ ბრუნის დრამის „ქოჩრიანი ტოროლას“ მთავარი მოქმედი გმირის სახელის მიხედვით აიღო. მწერალი ქალი უმთავრესად თანამშრომლობდა იოსებ იმედაშვილის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“. ქართულ პრესაში ბეჭდავდა სტატიებს ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე.

მისი შემოქმედებითი ნიმუშები სისტემატურად ქვეყნდებოდა აგრეთვე ქართველ მწერალ ქალთა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „ალმანახში“ (მაგ. „გერმანული ათინა“, №2, 1926:115) ისეთ ცნობილ შემოქმედთა გვერდით, როგორებიც იყვნენ: ეკატერინე გაბაშვილი, მარიჯანი, საფო მგელაძე, ნინო ნაკაშიძე, ლილია მეგრელიძე, დარია ახვლედიანი, ელო ანდრონიკაშვილი, მაყვალა მრეკლიშვილი და სხვ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჟურნალის გამომცემელი გახლდათ ქართველ მწერალ ქალთა ჯგუფი.

თამარ პაპავას მინიატურები, ესკიზები, წერილები, ჩანახატები ასევე ქვეყნდებოდა გაზეთ „ერთობაში“ და სხვა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე.

თ. პაპავა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. ესენია პროზაული თარგმანები ბონზელსის ფუტკარი მია“ და ო. მიროსის სუთმოქმედებიანი დრამა „ჟან და მადლენა“ და სხვ.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1923 წელს, თ. პაპავამ ორი შვილით ევროპას მიაშურა, რათა, როგორც თვითონ ამბობდა: “თავისუფალი ჰავა გვეყნოსა. რომ სამშობლოს ტკივილი უშიშრათ ამოგვეტირა, ყველაფერი გვეთქვა, თუ რა უყვეს მას, – აი ეს გვაძლევდა ძალას და უცხო გარემოსთან და ხალხთან გვარიგებდა” (*„კავკასიონი“ 1968:93*).

ბერლინში იგი მეუღლესთან – აკაკი პაპავასთან ერთად შეუდგა ცხოვრება-მოღვაწეობას და იქედან განაგრძობდა თანამშრომლობას საქართველოს პერიოდულ გამოცემებთან, ძირითადად,

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე იბეჭდებოდა, ვიდრე ამის საშუალებას საქართველოს საბჭოური ხელისუფლება აძლევდა.

ბერლინში პაპავები განაპირა უბანში – ლიხტენფელდში ცხოვრობდნენ. „ზოგი ქართველი მას „ქართულ ჩარდახს“ ეძახოდა, უფრო ახლობელნი – კი „თამარის ჩარდახს“. ეს სახლი ომის წინა წლებში შევიძინეთ და ქართულ ყაიდაზე გადავაკეთეთ, რამდენადაც ძველი სახლის გადაკეთება მოხერხდა: ყოველ შემთხვევაში, ქართული თაღებიანი კარები და ფანჯრები, ქართული ბუხარი, ზოგი ძველებური სურათებით და ნიშნებით და ქართული ხასიათის მორთულობით. ყველა ამას არ აკლდა საკმაო მოზრდილი ქართული ბიბლიოთეკა, არც ქართული პურ-მარილი, კეთილი გული და, რაც მთავარია, ქართველი სტუმრები პატრიოტული აღვზნებით და ჩვენი დაკარგული მაისის უზომო სიყვარულით“, – წერდა თავის მემუარებში თამარ პაპავა (პაპავა 1990:45).

ემიგრაციის კონსოლიდაციის, ახალი თაობისა და უცხოელთათვის ქართული ტრადიციების გაცნობის მიზნით, გერმანიის სათვისტომოში დიდ როლს ანიჭებდნენ დღესასწაულებისა და მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნას. ეს იყო ერთიანობის ერთგვარი აქცია და საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მცდელობა.

მეორე მსოფლიო ომის წლები თამარ პაპავას ოჯახმა გაატარა ტიურინგიაში, ბავარიაში, ავსტრიაში. ამ პერიოდში დაოჯახდნენ თამარ პაპავას ქალიშვილები ტურფა და მზია ქართველ ჭეიშვილებზე.

იოსებ მეგრელიძის გადმოცემით თამარ პაპავას: „ხსენებული ომის დროს პარიზიდან ბუენოს-აირესში გადასახლებული ემიგრანტი ბიძა – ვლადიმერ ლუკას ძე გამყრელიძე სტუმრებია და მისი რჩევით აკაკი პაპავა ოჯახით მას გაჰყვოლია. ბუენოს-აირესში ამ ოჯახს შეუძენია სახლი ბალიურთ“ (პაპავა 1990:5).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ. პაპავას დედის ძმა იყო არა ვლადიმერ გამყრელიძე, არამედ ვლადიმერ გამრეკელიძე. არასწორია ის ფაქტიც, თითქოს ბიძამ გადაიყვანა არგენტინაში პაპავების ოჯახი. ყოველივე ამას ნათელს ჰფენს თამარ პაპავას მემუარები,

სადაც ავტორი აღნიშნავდა: „დაიდრა გეში და დავტოვეთ ევროპა სალამოს 9 საათზე, 1949 წლის 30 ენკენისთვეს...“

1950 წლის 23 თებერვალს მშვიდობით და კარგად ჩამოვიდა იმავე გემით „კანპანათი“ ბიძაჩემი ვალოდია პარიზიდან. მიუხედავად იმისა, რომ 76 წლისაა, ძალიან მხნედ გამოიყურება ეს ძველი ბუნების ადამიანი" (*„ქართული ემიგრაცია“ 2013:215-216*).

სამხრეთ ამერიკაში თამარ და აკაკი პაპაევების გამგზავრებამდე, არგენტინაში თითქმის ერთი წლით ადრე ჩავიდნენ მათი სიძეები ლეო და საშა ჭეიშვილები ცოლ-შვილთან ერთად, რომლის შესახებ თამარ პაპავა თავის მემუარებში აღნიშნავდა კიდევ: „ჩვენ იქ გველოდებიან ყველა ჩვენები, გვაქვს ბინა და იქ გვხვდება მთელი ჩვენი ავეჯი და ბიბლიოთეკა. ამის მოგვარება და გამოგზავნა დროზე მოვაგვარეთ. ეს ხომ დიდი ბედნიერებაა ამ დროში" (*„ქართული ემიგრაცია“ 2013:216*).

სამხრეთ ამერიკაში ემიგრაციაში წასვლამდე, თამარ პაპავას სამწერლო დებიუტი “ისახარ”-ის ფსევდონიმით ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე შედგა და მას შემდეგ მისი სახელი და გვარი არ ჩამოსულა ქართული ემიგრანტული პრესის ფურცლებიდან. თამარ პაპავას ღრმა შინაარსიანი და მეტად საინტერესო წიგნები – „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, ნაწილი პირველი, დაიბეჭდა პარიზში 1937 წელს. ხოლო „დარეჯან დედოფალი“ 1951 წელს დაიბეჭდა ბუენოს-აირესში. აქვე გამოვიდა, 1953 წელს, მწერლის „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, ნაწილი მეორე. თამარ პაპავა მეუღლესთან ერთად ავტორია ისტორიული ნაშრომისა „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი,“ რომლებიც დღეს უკვე კარგადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის.

ყოველივე ამის გარდა, თამარ და აკაკი პაპაევების ოჯახი უაღრესად ქართული ბუნების, ეროვნული ტრადიციების მტკიცე დამცველი, გამტარებელი და ამასთანავე მშობლიური კულტურის თვალსაჩინო კერა იყო. ისინი დღედაღამ თავს დასტრიალებდნენ და ჩასჩინებდნენ თავიანთ შთამომავლებს, რომ ქართულ სიტყვას, ქართულ სულს, ქართულ ჩვევასა და ტრადიციას დაუფლებოდნენ. ამ დაუღალავი შრომის შედეგად იყო, როცა მათ გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთ წერილში სწერდათ: „გადმოხვეწილობაში, თქვენ ორივემ შეჰქმენით ოაზისი საქართველოსი: ქართული ოჯა-

ნი. ეს დიდი რამაა. მე არ ვგულისხმობ აქ მარტო „ქართულ სუფრას“ – თუმცა ესეც ფრიად გულისხმიერი მოვლენაა თავის თავად - ვგულისხმობ „გულისცემას“ ქართულს საერთოდ. ეს „გულისცემა“ მხილდება მხოლოდ და მხოლოდ „ერთ-გულეობაში“ საქართველოს ტრადიციების მიმართ. შენს ოჯახში ხშირად მიგემნია მე ეს „ერთგულეობა“, ცხადდებოდა იგი: ნადიმში, როკვაში, სასმურში, თუ ცოცხლად წარმოსახვაში „ქართლის ბედისა“... ასეთი „ერთგულეობით“ გადმოცემული ტრადიცია თანვე მის მწერლურ ასახვაშიაც „იმტკიცებოდა“: სახეში მაქვს ისტორიული ნარკვევები შენი და თამარისა” (რობაქიძე 2012: 430-431).

ამასვე აღნიშნავდა თამარისადმი გაგზავნილ წერილში ექვთიმე თაყაიშვილი: „ემიგრაცია გადაგვარების გზაზე სდგას. ეს მეორე უბედურება არის ჩვენი მომავლისთვის... დიდათ მიხარის რომ თქვენს ქალებს მშობლიური ქართული აღზრდა არ მოჰკლებია ემიგრაციაში თქვენის მეცადინეობით” (თაყაიშვილი 1999:9).

ამ მხრივ საგულისხმოა ასევე თავად თამარ პაპავას სიტყვებიც: “ჩვენს მწირულ წლებში ჩართულია ზოგი ფერადი და სურნელოვანი ყვავილები და ჩვენც აქაც ვდღესასწაულობთ იუბილეს, დღეობას, ნიშნობას და ქორწილებს... და ეს დღეები არამარტო ალამაზებენ ჩვენს მწირულ ყოფას, არამედ ქართულ ძველებურ იერს და ბუნებას უნახავენ” (პაპავა ფონდი 28103).

თ. პაპავას პუბლიცისტური ნააზრევი სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში. კერძოდ, სამხრეთ ამერიკაში გამოძავალ ჟურნალ “მამულიში” და სხვ. თამარი იყო არგენტინაში ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობის დედაბოძი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე. იგი ყველას ზიბლავდა თავისი შინაარსიანი ლექციებით და თავისი მამულიშვილური საქციელით მაგალითის მიძეცი იყო სხვებისათვის. თ. პაპავამ საკუთარი სახსრებით ეროვნულ გმირს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს მშვენიერი ძეგლი დაუდგა პარიზში ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

1952 წელს თ. პაპავა აირჩიეს არგენტინის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარედ. იგი მთელი ენერგიით ჩაერთო იქ გადმოხვეწილ ქართველთა კერის მუშაობის გასაუმჯობესებლად, რათა ეს „უკანასკნელი „ნატეხი“ საქართველოს“, როგორც მას გრი-

გოლ რობაქიძე უწოდებდა, მშობლიური ყოფილიყო თითოეული ემიგრანტისათვის.

მამულის თავისუფლებისათვის დაუცხრომლად მებრძოლ მეუღლეს აკაკი პაპავამ არაერთი ლექსი მიუძღვნა. ძლიერი სული, მწარე ხვედრი, ფაქიზი გრძნობა, სათუთი ურთიერთობა შთამბეჭდავადაა გამოხატული პოეტის ლექსში „მატარებლები – ჩემს თამარს“:

„უცხო სადგურზედ შენ გამოდიხარ,
ბაქანის სკამზე მოღლილი ჯდები,
იქ შენ უსიტყვოდ ზინარ და ზინარ
და მატარებლებს უშვებ და ხვდები.

. . .

ნუ უცდი! შენი მატარებელი
დიდიხანია უკვე წავიდა" (პაპავა 1960: 101).

აკაკი პაპავამ მეორე ლექსი “რა მიყვარს შენში?” 1963 წლის 24 მარტს დაწერა და იგი თამარ პაპავას დაბადების დღეზე მიუძღვნა.

„რა მიყვარს შენში? – მარადი გზნება,
რომ ამდენ წლებში იგი არ დნება,
გდევს სიყრმის ალექსით, კვლავ გაგიჟება,
მამულის ცეცხლით ავიზგიზება,
რომ გწყურს ღრმად ჩასწვდე ქალის რაობას,
მის რაინდობას... გამკითხაობას“ („კავკასიონი“ 1978:35)

ამ ლექსთან დაკავშირებით, თამარ პაპავას ერთ-ერთ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „მივიღე ბევრი მოლოცვა და ხოტბები, რის ღირსი არ ვიყავ... მომილოცეს აქაურთ გარდა გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან და სხვ. ერთ-ერთ მოლოცვას, რომელიც აკაკის ეკუთვნის, თქვენც გიგზავნით, რომ ახლო მეგობართ და ჩემს დას გააცნოთ“ (პაპავა ფონდი 28103/18).

1963 წლის 25 მარტით დათარიღებულ ამ წერილში თამარ პაპავა თბილისელ მეგობარს უგზავნიდა ხსენებულ ლექსს და თავისი დის მისამართსაც მიუთითებდა: „ბაბო გოგსაძე, თბილისი. გოგოლის ქ. №57“.

„აკაკინ“, „აკაკიჩოჯან“ – ასე მოიხსენიებდა თამარ პაპავა მე-

უღლეს თავის მემუარებში. ასე მიმართავდა იგი მას მემუარების ბოლო რვეულშიც, რომელიც ფაქტობრივად მთლიანად აკაკი პაპავასადმი მიწერილი წერილებით არის სავსე. ეს წერილები უნიკალურია იმით, რომ ისინი აკაკი პაპავას გარდაცვალების შემდეგ იწერებოდა. „ეს წერილები უკვდავი სიყვარულის მარადიული ჰიმნია და მე არ ვიცი, მოეძებნება თუ არა მათ პრეცედენტი საერთოდ,” – აღნიშნავს პაატა ნაცვლიშვილი („სამშობლო” 2009: 25).

მეუღლის სიკვდილის შემდეგ, მას სამეცნიერო თუ სამწერლო მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და არგენტინაში დაწერა წიგნი „გაბნეული საფლავეები”, რომელშიც ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი დიდი სითბოთი და სიყვარულით სავსე სტრიქონებია მიძღვნილი. წიგნი 1970 წელს გამოიცა პარიზში. მწერალმა სამხრეთ ამერიკაში შექმნა აგრეთვე თავისი ბოლო წიგნი “ლტოლვილთა საძვალენი”, რომელიც მოგვიანებით, 1973 წელს, პარიზში გამოვიდა. წიგნში თამარ პაპავა ნიჭიერად აღწერს უცხო ცის ქვეშ დაფერულილთა სიცოცხლეს, რომელთაც საფლავეებში ჩაპყვით სამშობლოს ნახვის აუხდენელი ოცნება.

იგი ემიგრაციაში ყოველ წუთს საქართველოთი ცხოვრობდა და სულდგმულობდა, რაც ნათლად სჩანს დებისადმი გაგზავნილ ერთ წერილშიც: “მენატრებით ყველა, მერე ჩემი თბილისი, როგორ მინდა ერთი თვალთ გადავხედო.

ჩემო ლიზა, მე ამას ვერ მოვესწრები, მაგრამ თან წავიღებ თქვენს და ჩემს სამშობლოს უძირო სიყვარულს” (პაპავა 1990: 286).

თ. პაპავამ ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნა ფიზიკური და სულიერი მხნეობა. „ჩვენი საყვარელი დედა, მადლობა ღმერთს, კარგად და მხნედ არის. აუარებელს კითხულობს. დიაბეტის გამო თვალები დაუსუსტდა, მაგრამ მაინც სულ წიგნი უკავია ხელში. მოგვდის აუარებელი გაზეთები, ჟურნალები, ქართული, რუსული, გერმანული და ყველას ერევა,” – წერდა მზია პაპავა თავის ახლობლებს თბილისში (პაპავა 1990: 293).

თ. პაპავა 1976 წლის 21 მარტს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა არგენტინაში. იგი იმავე წლის შუა ივნისში გადაასვენეს საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულია მეუღლის გვერდით.

ამ ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებით, პოეტი გიორგი პერევისელი (წერეთელი) ლექსში „თამარ პაპავას გარდაცვალება“, გულისტკივილით აღნიშნავდა:

„გაქრა სანთელი,
შუქთა მფრქვეველი;
გლოვობს ყოველი,
მისი მცნობელი.
იყო დევნილი, შორეთ შთენილი;
წვადა სახმილი –
ერის ძახილი.“

მისი გარდაცვალების შესახებ „კავკასიონი“ იუწყებოდა: „დიდათ კულტურულ ადამიანის, საუკეთესო დედის და დიდდის, ჩვენი ქვეყნის კულტურისათვის დაუღალავი მუშაკის, მისი უფლებებისათვის შეუპოვარი მებრძოლის, ნიჭიერი მწერალი ქალის, „კავკასიონის“ მუდმივი, დასაწყისიდან, თანამშრომლის თამარ პაპავას გარდაცვალება გვაცნობა, არგენტინიდან მოსულმა დეპეშამ, რასაც დიდი მწუსარებით ვაუწყებთ მთელ ქართველობას“ (ნიშნაინი 2005:481).

თამარ პაპავა საზღვარგარეთ გადახვეწილ იმ ადამიანთა შორის იყო, რომელთა ცხოვრებას რემარკად გასდევდა მიხაკო წერეთლის სიტყვები: „ერი მისგან დაშორებულ ემიგრანტთა ცხოვრებას შემდეგ იმდენად ანიჭებს მნიშვნელობას, რაოდენადაც მისი მოქმედება უცხოეთში სასარგებლო ყოფილა ქვეყნისათვის ან პოლიტიკურად, ან რომელიმე სხვა მხრივ.“

ერთი რამ ყოველთვის იყო დიდი ღირსება ქართველი ემიგრაციისა: გარდახვეწილთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც არათუ არ სწყდებოდა სამშობლოს გულით, სულით, გონებით, არამედ თავისი მოქმედებით, დაუღალავი ღვაწლით, ათასი ჭირის დათმობით საქართველოს შევლოდა პოლიტიკურად, ან მას უქმნიდა ან უძღვნიდა ისეთ კულტურულ ღირებულებათ, რომელთა შექმნა ცუდ პირობათა გამო თვით საქართველოშიც ძნელი იყო და რომელთაც დღესაც აფასებს მაღლიერი სამშობლო“ (წერეთელი 1990: 2).

აქედან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ თავისი დაუღალავი შემოქმედებითი მოღვაწეობით სამშობლოსა და ემიგრაცი-

აში თამარ პაპავამ მეცნიერების, მწერლობის, პუბლიცისტიკის, ეპისტოლური და მემუარული ჟანრის სფეროში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, რითაც ღირსეულად მოიპოვა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და კოლორიტული შემოქმედის სახელი.

1930 წლის ჟურნალ „კავკასიონის“ №5-ის ფურცლებზე პირველად ჩნდება ფსევდონიმი თამ. „ისახარ.“ ეს გახლდათ თამარ პაპავას ფსევდონიმი, რომელიც ავტორმა ალექსანდრე სუმბათაშვილის დრამატული ნაწარმოების – „ღალატის“ მთავარი მოქმედი გმირის – ისახარის მიხედვით დაირქვა, როგორც გულგანგმირული საქართველოს სიმბოლო. ისახარის მთელი არსებობის საზრისი მიმართული იყო ტირანიის წინააღმდეგ და მის დასამხობად (მას არაერთხელ უთამაშია ამ სპექტაკლში). ალბათ ამ მიზნითა და დატვირთვით ატარებდა თამარ პაპავაც ემიგრაციაში „ისახარის“ ფსევდონიმს. თავისი ესეების სერიალის პირველი ეტიუდი მან უძღვნა არჩილ მეფეს, სათაურით „დიდი ემიგრანტი“.

საერთოდ, როგორც მწერალი-ესეისტი, თ. პაპავა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიისა და ქართველ ემიგრანტთა ყოფისადმი. სწორედ ამ ინტერესისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ღრმა ცოდნისა და სიყვარულის საფუძველზე დაიწერა მისი წიგნები. ხსენებულ ესეში თამარ პაპავამ დიდი რუდუნებით დახატა რუსეთში გადახვეწილი და პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებული არჩილ მეფის სახე, რომელიც გახლდათ საქართველოსათვის დაუსრულებლად წამებული და დასჯილი გვირგვინოსანი. მხოლოდ ერთ რამეში დაურჩა მას იღბალი. დიდი ნიჭის წყალობით „ის თეიმურაზ I ერთად საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება ქართული ლიტერატურის „აღორძინების“ ხანის მწერლობისა“. ესეისტი თამარ პაპავა, ღრმა კვლევის შედეგად აფასებს მეფე არჩილის მრავალმხრივ სალიტერატურო მოღვაწეობას, რომელმაც უკვდავი კვალი დასტოვა რენესანსის ხანის ქართულ მწერლობაში.

პირველად 1937 წელს, პარიზში, დავით ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა თამარ პაპავას წითელ ხავერდში ჩასმული წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, რომელიც „მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი ავტორის შემოქმედებაში, არამედ ქართულ ლიტერატურ-

რათმცოდნეობაში" (ნიშნინიქე 2005:477).

წიგნს წამძღვარებული ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ემიგრაციაში თამარ პაპავას ესეებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კერძოდ, ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა ასევე ვ. ნოზაძის, ს. ფირცხალავას, ნ. ჟორდანიასა და მ. წერეთლის რეცენზია-განხილვები. ამ მხრივ თვალსაჩინოებისათვის პირველ რიგში მიხაკო წერეთლის რეცენზიას დავიმოწმებთ: „ამ წიგნში აღწერილნი არიან ბრძოლანი, საქმენი და თვისებანი იმ ქართველ ქალთა, რომელთაც ისეთი დიდი როლი აღუსრულებიათ საქართველოს სახელმწიფოს დაღუპვის წინააღმდეგ ერის ბრძოლაში მეფერამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტეს დასაწყისს. თავის ექვს ნარკვევში: „მეფე ერეკლეს ქალები“, „ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება“; „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“, „იმერეთის ქალების ეპიზოდები დასავლეთ საქართველოს ბრძოლათა ისტორიიდან“, „სამეგრელოს დედოფალი ნინო“ და „ბატონიშვილი დარეჯან“ (იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ასული). ქალბატონი თამარ პაპავა დასახულ მიზანს აღწევს და გვაძლევს სურათს მამინდელ ბრძოლათა, ამ ბრძოლებში მონაწილე ქალთა როლისა და თვისებათა. საკმაოდ დიდი მასალა აქვს შეკრებილი ქალბატონ თამარს, რაიცა უცხოეთში ძნელ საქმედ უნდა ჩაითვალოს, და მით უმეტეს არის იგი მადლობის ღირსი, რომ, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, მან ეს ქართველი ქალისაგან პირველი ცდა ქართველ ქალთა პოლიტიკურ და სხვა ღვაწლთა აღწერისა შეჰმატა ქართული მწერლობის სალაროს“ (შარაძე 2001:602-603).

ზემოხსენებულ ესეებში თ. პაპავამ ქართველი ქალების ისეთი დაუვიწყარი სახეები შექმნა, რომელთაც ბედისწერის გარდუვალობით დაღდასმულთ, საკუთარი სიცოცხლეც კი არად უღირდათ და ანგარიშ-მიუტყემლად ეწირებოდნენ ღირსების მათეულ კოდექსს. თ. პაპავას შეგროვილი მასალა მართლაც კარგად აქვს დალაგებული, რის გამოც მკითხველისათვის მოთხრობათა მსვლელობაც თანამიმდევრობით იშლება. ავტორის მიერ წარმოჩენილი პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზე გამოსული ქალები ერთი ეპოქისანი არიან და ასევე ერთნაირად არიან დაჯილდოებულნი

საშობლოს უსაზღვრო სიყვარულით.

საერთოდ, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალების ლიტერატურული მემკვიდრეობისა და ქალთა როლის შესწავლა ერის ისტორიაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულიდან დაიწყო. 1891 წელს გამოქვეყნდა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ნარკვევი „ქართველი ქალები“ (ისტორიული მიმოხილვა). სათანადო რიგ ცნობებს ვხვდებით ასევე მარი ბროსეს, ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, სარგის კაკაბაძის, კორნელი კეკელიძის, ალექსანდრე ბარამიძის, ტრიფონ რუხაძისა და სხვათა ისტორიულ-ფილოლოგიურ ნაშრომებში.

თამარ პაპავას წინამდებარე წიგნზე ადრე, 1936 წელს, გამოვიდა ლევან ასათიანის მონოგრაფია „საქართველოს პოეტი ქალები“. ქართველ ქალთა ღვაწლის წარმოსაჩენად ასევე საყურადღებო იყო შემდეგი ნაშრომები: იაკობ ბალახაშვილის „ლიტერატურული წრეები და სალონები“ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი. დოკუმენტური ნარკვევი. თბ. 1940 წ.), დავით ქორიძის „თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები“ (თბ. 1961 წ.) და სხვ.

ხსენებულ ავტორთა ქართველი ქალების ღვაწლისადმი დამოკიდებულების გასაცნობად, დ. ბაქრაძის ნარკვევს - „ქართველი ქალები“ დავიმოწმებთ: „საქართველოს სისხლი არის უკეთესი, ამბობს შარდენი – უკეთესი მთელს აღმოსავლეთზე და – შემოდგომა ვსთქვა, უკეთესი მთელს ქვეყანაზედაც. მე არ შემინიშნავს აქ უშვერი სახე არც ერთს სქესში. აქაური სახეები აღბეჭდილია ანგელოზებრივის გამოხატულებით. ბუნებას მოუფენია უმეტესს ნაწილს ქალებზედ ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება.

ქართველნი ქალნი არიან ტანოვანნი, საკვირვლად აგებულნი და წელში გასაცვიფრებელად წვლილნი. არიან მახვილი გონებისა, ზრდილნი და თავაზიანნი, ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი“ (ბაქრაძე 1891: 4-5).

ნარკვევის ავტორი აქ უპირველესად ქართველი ქალის გარეგნობაზე ამახვილებს ყურადღებას, ამკობს მას ათასი ეპითეტით, მაშინ როცა თ. პაპავა თავის ესეებში ქალთა გმირულ თავდადებას შლის ჩვენი ერის ცხოვრების: პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განადგურებისა და მთელი ეპოქის სრულად წარ-

მოდგენის ფონზე.

„მეფე ერეკლეს ქალებში“ კვითხულობთ: „იმ სასახელო და თავგამოდებულ ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ერეკლეს ვაჟები აწარმოებდნენ, მათ შესანიშნავ დებს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავთ; შეიძლება იმათ უფრო მეტი სიმწვავეთ აწვათ სათუთ და მგრძობიარე მკერდზე ციციანოვის რუსული ჩექმა; შეიძლება ისინი უფრო მეტი ტრაგიკული იერით განიცდიდნენ საქართველოს განგვირგვინებას, სახელმწიფო სხეულის დარღვევას და ტახტის მოშლას.

ერეკლეს ქალები ერთი წუთითაც არ შერიგებიან საქართველოში უცხო ძალის გაბატონებას და ამ მოპატიჟებულ სტუმარს, რომელსაც ერთმორწმუნე პატარა ხალხისთვის რაინდული მფარველობა უნდა გაეწია და რომელმაც ნამდვილად მისი სახლი მთლად მიისაკუთრა, ამ ურცხვს „სტუმარს“ ერეკლეს ქალები მაღალი ზიზღით უცქეროდნენ და მისთვის უხვად ჰქონდათ დაგუებული ნაღველი ამაყი მკერდის ქვეშ“ (პაპავა 1990: 11-14).

მეფე ერეკლეს ქალებს: ქეთევანს, მარიამსა და თეკლას მიანდნათ, რომ მონობას ამკვიდრებს არა მხოლოდ გარეშე ძალა, არამედ ერის მიერ თავისი ბედის და მიზნების გაუცნობიერებლობა.

ამ შეხედულებას, ეტყობოდა, თამარ პაპავაც იზიარებდა, როცა წერდა: „ზოგიერთ ისტორიულ საბუთების დაკვირვება მაინც გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ დარეჯან დედოფალი და მისი ღირსეული ქალები თავიდან იმ ხაზს მიეკედლენ, რომელსაც მსაჯულთუხუცესი სოლომონ ლეონიძე და სარდალი დავით ორბელიანი მეთაურობდნენ. ამის გამო, ამათ რუსეთის ორიენტაციის პოლიტიკაში ურყევი ერეკლეს დიდი რისხვა დაიმსახურეს 1793 წელს.

დარეჯანს და მის ქალებს არასდროს არ შეუენელებიათ ღრმა სიძულვილი რუსეთისადმი და არ დავიწყებიათ მათი ღალატი, ერეკლეს მრავალ ლაშქრობათა მანძილზე“ (პაპავა 1990: 18).

ამ ამონარიდში იკითხება ავტორის დიდი პატივისცემა და თანაგრძნობა თავისუფლებისათვის მებრძოლი ერეკლეს ქალებისადმი. თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხში თ. პაპავა ავითარებდა ვაჟა-ფშაველას შეხედულებასაც: „ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თვითონ მოუ-

აროს თავს, თავის საკუთარი ძალღონით განვითარდეს“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 254).

რუსული ბატონობისაგან ქვეყნის გამოსახსნელად და დაკარგული თავისუფლების კვლავ მოსაპოვებლად ქართველი ხალხი იმთავითვე აღდგა, რაც მე-19 საუკუნის დასაწყისშივე პერმამენტუალად განხორციელებულ ანტირუსულ აჯანყებებსა და შეთქმულებებში გამოიხატა – 1802, 1804, 1811-12, 1819, 1832, 1841, 1857 წლებში. სამწუხაროდ, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ ამ გამოსვლებს შედეგად ის მოჰყვა, რომ ბევრი ქართველი მამულიშვილი, რომელთა შორის მწერლებიც მრავლად იყვნენ, რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში გადაასახლეს.

„გადასახლებულებში ბაგრატიონთა სამეფო კარის წარმომადგენლებიც იყვნენ. რუსეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა ძირშივე ჩაეკლა მათში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა. „ყველა პიროვნებას, რომელიც საამისოდ რაიმეს გაკეთებას დააპირებდა, იგი მკაცრად სჯიდა და უპირისპირდებოდა“, – აღნიშნავს ავთანდილ ნიკოლეიშვილი „ქართული ემიგრანტული მწერლობის“ ისტორიული ეტაპების მიმოხილვისას (ნიკოლეიშვილი 2006:16-17).

პოლიტიკაში დამარცხებულმა ბაგრატიონებმა ემიგრაციაში ტრადიციისამებრ გააგრძელეს „დიდი ემიგრანტი“ მეფის – არჩილის მიერ დამკვიდრებული ლიტერატურულ-შემოქმედებითი და სამეცნიერო მოღვაწეობა, რაც თავისთავად მათი ნოსტალგიის გამოძახილიც იყო.

„საერთოდ ერეკლეს ქალებმა (ქეთევან, - მარიამ, - თეკლამ) ღირსეულად და დიდის სასოებით შეინახეს ბაგრატიონთა მწერლობითი ტრადიცია და ზოგი მათი ნაწარმოები ბევრით მაინც არ ჩამოუარდებოდა მათი ძმების (ფარნაოზ, მირიან, იოანეს) და ძმისშვილების (დავითის, ბაგრატის) პოეტურ შემოქმედებას...

ერეკლეს ქალების პოეზიის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ქეთევანის „ჰოი ვითარ ვსთქვა“:

„ჩემი სიცოცხლის დამამცრომელი,
ჩრდილოეთ ვიხილეთ მცირე ღრუბელი,
„აზიის მთიებთ დამბნელებელი,
„ბედნიერთ პალატთ დამამხობელი“...

საუბედუროდ, გადაჭარბებულის სიუხვით გამართლდა ამ ქალთა წინათგრძნობა. ქეთევანს – თავისი დედის დარეჯან დედოფალთან ერთად თავიდანვე დამბნელებლად მიაჩნდა ეს დიდი და უღმობელი სახელმწიფო, ამიტომ უდგენენ ერეკლეს ქალები მხრებში საყვარელ და შორსმჭვრეტელ დედას" (პაპავა 1990:24).

თავის დებს მწერლური ნიჭით არ ჩამოუვარდებოდა არც ბატონიშვილი თეკლა და არც ბატონიშვილი მარიამი, მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მარიამ ბატონიშვილი მეფე ერეკლეს ქალებს შორის პოეტური ნიჭით ყველაზე მეტად იყო დაჯილდოებული.

„ვაჰ მე, უწყალოდ მყვეს აღმოფხვრილნი,

„შორად მიმტაცეს მე მათნი ჩრდილნი...

„ვინ მანუგეშებს მარად მწუხარეს?

„მრისხანე ჯალათთ აქეთ ხმალ-წვდილობა.“

„მგოსანმა ქალმა იცის – რუსეთი საქართველოს მომავალშიაც გადაგვარების მეტს ველარას არგუნებს და ამის გამო მისი ვაება ეხლა მართლაც უძიროა და „სევდით გრაგნილი“, – ასკვნის ესეისტი თამარ პაპავა (პაპავა 1990: 25-37).

ცხადია, ბაგრატიონის ქალები აშკარად გრძნობდნენ, საქართველოს ძველი რაინდული ყიჟინა, მტერს რომ ლახვარს სცემდა, ამოწურული იყო. და ამიტომაც აქ „ქალთა პოეზიის ეროვნული ჰანგების დასახასიათებლად მეთოდოლოგიურად სამართლიანია მკვლევარ ლევან ასათიანის მიდგომა, რომ მათი „ლექსები ბატონიშვილებისაგან ჩამორთმეულ ხმლების მოვალეობას ასრულებდნენ. ეს იყო ბრძოლის პოეზია, დამარცხებულ ბაგრატიონთა და საქართველოს რომ ჭირისუფლობდა და მის გარდასულ დიდებაზე გოდებდა“ (პაპავა 1990:42).

თავის ესეებში თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი ქართველი ქალების ხატვას თამარ პაპავა ერთი ხელის მოსმით როდი ახდენს, არამედ მთელი ნაწარმოების მანძილზე ავსებს მას თანდათან ახალი ფერებით. ფერწერის დახელოვნებული ოსტატის ეტებს ახალ-ახალ საღებავებს, მუქსა და ნათელ შტრიხებს და მხოლოდ წიგნის – „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ შემდგომ დაწერილ ესეებში ჩნდება საბოლოოდ სრულყოფილი, ჩამოყალიბე-

ბული სახეები თავდადებულ ქართველ ქალთა მთელი გალერეისა.

ზემოხსენებულ მეორე ესეში „ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება“, თამარ პაპავა ერთგვარ მიმოხილვას აკეთებს შემდეგ ესეებში მონაწილე ქართველ ქალთა თავგანწირულ ბრძოლებზე და აღნიშნავს: „შემთხვევითი არ იყო, რომ მეორემ და უკანასკნელმა დედოფალმა ქართლ-კახეთისამ რუსთა თავხედ დენერალს ლაზარევს, მის შესაპყრობად დასაძინებელ ოთახში რომ შეიჭრა, ხანჯლით გული გაუგმირა და საქართველო ბრძოლით დასტოვა.

და მერმედ, 1802 წლის აჯანყება განა პირველად მარიამ ანდრონიკაშვილის ასულის (გარსევან ჭავჭავაძის მეუღლის) მეოხებით არ გამოინასკვა? და განა შემდეგში მთიულეთის და მერმედ ქიზიყის აჯანყებაში ქალები არ მიუძღოდნენ წინ მამაკაცებს და შეურიგებელ ბრძოლისათვის არ უტევდენ? და სწორედ 1832 წლის მიჯნაზე რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, განა გურიის დედოფალი სოფიო არ იყო, რომ გადახვეწილობიდან კვლავ დაბრუნდა, ქობულეთში შემოიჭრა და რუსთ საქმე ისე გაურთულა, რომ კინაღამ მთელი დასავლეთი საქართველო არ დააკარგვინა? განა მეფე გიორგის ასული, სამეგრელოს დედოფალი ნინო, რუსეთში გადასახლების შემდეგ კი შეურიგდა, თუნდ ერთი წუთით, საქართველოს მწარე ბედს და არ წარმოგზავნა თავისი შვილი გიორგი სამეგრელოს ასაჯანყებლად?“ (პაპავა 1990: 46).

იმ ღირსეულ ბრძოლებს, ჩვენი ერი რომ აწარმოებდა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აგრე ვერაგულად და ქურდულად განადგურების შემდეგ, მოხდა 1832 წლის შეთქმულება, რომელიც ისტორიაში ამ სახით შევიდა. შეთქმულებას ხელმძღვანელობდა მეფე ერეკლეს ვაჟის იულონის ქალი თამარი „ეს ქალი მრავალ მხრივად შესანიშნავი და განსაკუთრებული ჭკუითა და სიღარბაისლით შემკული. აქტებში ის „ფროილინადაა“ მოხსენებული და უნდა ვიფიქროთ, ამ დიდ „წყალობას“ ის დამცირებლად და დიდებულ მეფის ირაკლის შვილისშვილის შეურაცხყოფად სთვლიდა. მას ამძიებდა „წყალობა“ იმ რუსეთისა, რომელმაც ჯერ კიდევ ბავშვობისას დააშთინა კლანჭები მის სათუთ გულს“ (პაპავა 1990:49).

ამ ესეზე მუშაობისას მწერალს უსარგებლია გიორგი გოზა-

ლიშვილის ნაშრომით „1832 წლის შეთქმულება“, რის შესახებაც თ. პაპავა ერთ-ერთ პირად წერილში აღნიშნავდა კიდევ: „მინდა გთხოვო, გადასცე გ. გოზალიშვილს ჩემი გულითადი მადლობა ასეთი მეგობრული დახმარებისათვის“ (პაპავა 1990: 285).

საერთოდ, გიორგი გოზალიშვილის ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოლომონ დოდაშვილის როლის ჩვენებას, რომელმაც სხენებული და მის მიერ ჩამოყალიბებული ლიტერატურული წრე თანდათან დააახლოვა „ფარულ საზოგადოებას“. მისი მსჯელობისა და მოქმედების ფარგლებში იყო მოქცეული პოლიტიკური ხასიათის საკითხები. ს. დოდაშვილის დაბეჭდილ პროკლამაციაში ვკითხულობთ: „ქვეყნის დაარსებიდან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა...

რაისათვის არს ესე ესრეთ, ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა პაპათა ჩვენთანი, ნუ უკვე ჩვენ არაგვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათ ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მამა რაისათვის ცოცხალვართ“ (გოზალიშვილი 1935:95).

პატრიოტული გრძნობით გაჟღენთილ ამ პროკლამაციაში მართლაც დიდი ეროვნული მუხტია ჩადებული, რომელიც მამულიშვილებს თავდადებული ბრძოლისათვის მოუწოდებდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, 1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულება გამომჟღავნდა და სხვა მონაწილეებთან ერთად დააპატიმრეს ამ შეთქმულების სულისჩამდგმელი ქალი ბატონიშვილი თამარი, რომელიც თავიდანვე მეფედ მოიაზრებოდა.

თამარ პაპავა თამარ ბატონიშვილის სახით გვიხატავს ქალის გასაოცარ წინადახედულებას, შორსჭვრეტას, დიპლომატიურ მომზადებას, სიდარბაისლე-გამოცდილებას, მის ჭკუა-გამჭრიახობას, სტრატეგიულ სამხედრო ცოდნასა და შეუპოვრობას. აქვე, ნიშანდობლივია ისიც, რომ შეთქმულების სახელმძღვანელო წესდება – „სჯულნი გონიერისა აქტისანი“ – ფილადელფოს კიკნაძის მიერ

მასონური ლოჟების პრინციპის გადმოტანით იყო შედგენილი, რაც პოლიტიკურ მუშაობაში ნიშნავდა იმას, რომ თითოეული წევრი მარტო ორ-სამ დანარჩენს თუ იცნობდა. ამიტომ იყო, რომ ბატონიშვილი თამარი მტკიცე კილოთი პასუხობდა: „მე არაფერი არა ვიცი, და ვერც მოვიფიქრებ, რომ ამისთანა საშინელი განზრახვა ქონდა ვისმე, რომელიც არის წინააღმდეგი ღვთისა და სრული გონების მიხდა კაცისა, რომელიც მონიდომებს, საქართველოსთვის, რომ რუსეთის მფარველობა აღარ ქონდეს“. რაოდენი ცრემლიანი ირონიაა ამ პასუხში დამარხული!“, – ხაზგასმით აღნიშნავდა ამ ცინიზმზე თამარ პაპავა.

აქედან გამომდინარე, თამარ პაპავას ესეებში დახატული თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალების შეხედულება რეალურ-ისტორიული მოვლენების კონტექსტში ვაჟა-ფშაველას შეხედულების თანხვედრია: „ყოველ მოდემას, ერს, მამული, ენა, თვით რჯული, სიცოცხლე უფალმა კოსმიური კანონზომიერების ძალით დაუძკვიდრა. ამიტომ ყველა ერს უნდა უყვარდეს და იცავდეს კიდეც სამშობლოს, როგორც ინდივიდუალური ზეადსვლისა და სრულქმნის საფუძველს. სამშობლოს დამცველი ერი მუდამ მართალია ღვთისა, ბუნებისა და კაცობრიობის წინაშე. ერი, რომელიც უვლის საკუთარ მეობას, ფაქტობრივად, კაცობრიობის მრავალფეროვნების დაცვის, მისი სრულქმნის ღვთაებრივ საქმეს ემსახურება“ (ვაჟა-ფშაველა 1964:25-253).

ვაჟა-ფშაველა ამგვარი მსოფლმხედველობრივი პოზიციიდან აფასებდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზნებს, საკუთარი სამშობლოს დამონებულ ყოფას. მას სწამდა, რომ ქართველებს, როგორც მრავალ სხვა ერს, ჰქონდა დასაცავი და აღსადგენი ის ეროვნული ღირებულებები, რომელთა სიწმინდისათვის ბრძოლამ ხალხს დიდი ქარტეხილები გადაატანინა.

თავისუფლებისაკენ ლტოლვა თ. პაპავას მიერ დახატული გმირი ქართველი ქალებისათვის დაუოკებელი ბედისწერა იყო, ამიტომაც მწერალის შეხედულება და მისი პერსონაჟების მისწრაფებებიც ერთ სააზროვნო სისტემაში გადაიკვეთებოდა.

თამარ პაპავა წიგნში შემავალ მომღვერო ესეში – „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“, პირუთვნელად ამხელ-

და ქართველთა ბედის ეტლის უკულმა ტრიალსა და ერეკლე მეფის ყველაზე სახელოვანი ვაჟის ალექსანდრე ბატონიშვილის შეურიგებელ პოზიციას, რომლის მიზანი იყო: „სამშობლოდან რუსეთის განდევნა და ბაგრატიონთა გაუქმებული სამეფოს აღდგენა.“

რა საოცარი მსგავსებაა ბატონიშვილ ალექსანდრეს სულის რისხვასა და კონსტანტინე სავარსამიდის მოწოდებას შორის კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“-დან: „გაგრეკოთ მტრები ჩვენი საქართველოს საზღვრებიდან... ცეცხლში გავხვიოთ მთელი საქართველო, რადგან ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ანდა არავის“ (სიგუა 1997: 106).

ავტორი, ნაწარმოების დაწყებისთანავე, უდიდესი სიყვარულით განაწყობს მკითხველს ამ უშიშარი ბატონიშვილის მიმართ: „საქართველოს მწუხრის მოახლოებისას ყველანი გრძნობდენ, რომ ერეკლე მეფის კანცლერის, სოლომონ ლენინძის ნათელი და გონიერი თავი, მისი გამჭრიახობა და შორსჭვრეტა, საქმეს მარტო ვერ უშველიდა. საჭირო იყო ძლიერი მკლავიც, ვაჟკაცური შეტევა, ძველებური ბრძოლის ჟინი და გამამხნევებელი შემახება ალექსანდრე ბატონიშვილისა“ (პაპავა 1990: 95).

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა მშობლიური მიწის მადლს ნაზიარები ყოველი ქართველი ემიგრანტის გულში რომანტიკული გზნებით ვლინდებოდა და ამიტომაც იყო, რომ ასე ახლოს იდგა თამარ პაპავას გულთან ემიგრაციაში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილის მძიმე ხვედრი. მისი თავგადასავალი საუკუნის შემდეგაც პატრიოტულ ალტკინებას იწვევდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში და ეს გასაგებიც იყო, რადგან სამშობლოს მოწყვეტილი ქართველების ტრაგიკული ცხოვრებისეული ხვედრი ბატონიშვილის ბედისწერის თანაზიარი იყო. მშობლიურ ფესვებთან ღრმად შეზრდილი ქართველობა, თავისი დიდი წინამორბედის – ალექსანდრე ბატონიშვილის მსგავსად, სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთგული რჩებოდა: „ვიდრე საქართველოს საზღვართან ჯერ კიდევ თავისუფლად დაჰქროდა ალექსანდრე ბატონიშვილი, რუსეთს მაინც გული საგულეში არა ჰქონდა. ეს ამბავი უკვე 30 წლის მანძილზე მიდიოდა, მაგრამ სიცხოველეს არა ჰკარგავდა და საქარ-

თველოს გულში კიდევ რაღაც „რომანტიულ, უნიადაგო ოცნებებს“ წარმოშობდა. ქვეყანა არ წყნარდებოდა და აბა სანამ უნდა ეთმინა დიდ რუსეთს მწვავე და მძიმე ნესტარი ბატონიშვილ ალექსანდრესი?“ (პაპავა 1990: 100).

საერთოდ, თ. პაპავა თავის ესეებს მუდამ ლირიკული სიფაქიზით წერდა, რაც ყველაზე მეტად „ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი ოჯახის ბედის“ თხრობისას ყოველ სიტყვასა თუ სტრიქონში იგრძნობა. იგი ესეში განსაკუთრებული გრძობების ენით მეტყველებს, პირადი განცდებითა და წარმოდგენებით აღსავსე მკითხველს შთაგონებისა და თხზვის იმპულსებს დიდი ოსტატობით გადასცემს.

ერთი რამე აფიქრებდა „ხმლისა და ფაქტის რაინდს ალექსანდრე ბატონიშვილს, რომ „ქართველი ხალხი უცხო ძალის გაბატონებას არ შეჩვეოდა და რუსეთის მიერ მოულოდნელად მომხდარი ოკუპაცია სტაბილურად არ მიეჩნია, რადგან დრო რუსის მოხელეობასა და მის ერთგულთ ღრმად უდგამდა ფესვებს საქართველოში“ (პაპავა 1990:96).

ამით თ. პაპავა ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ გათიშულობა, დაპირისპირება, დათითოკაცობა იყო ყოველთვის ქართველთა უბედურების სათავე, რომლის გამოც „იკარგებოდა მთლიანი ეროვნული მიზანი“ – ბატონიშვილთა ემიგრაციისა თუ XX საუკუნის პოლიტიკური ემიგრაციის დროს. მათ გაერთიანებას ყოველთვის ერთი მტერი – რუსეთი უპირისპირდებოდა, ხან იმპერიის და ხან ბოლშევიკური რუსეთის სახით მოვლენილი. ამ ორმა დიდმა ემიგრაციამ დაადასტურა, როგორც ჩრდილოეთიდან არასოდეს არ ამოვიდოდა მზე, ასე რუსეთი არასოდეს შეცვლიდა თავის ვერაგულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ.

ჯერ კიდევ „1907 წლის 7 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის ტფილისში ჩამოსვენებისას წარმოთქმულ სიტყვაში მიხაკო წერეთელი“ მიმოიხილავდა რა საქართველოს წარსულ ისტორიას, ხაზგასმით აღნიშნავდა: „მთელი საქართველო შეიძრა, ოდეს სცნა სურვილი ერეკლე მეფისა, საქართველო რუსეთისათვის გადაეცა. მთელი ჩვენი სულიერი დაღლილობა მაშინ გამოჩნდა. არავითარი პროტესტი ხალხის მხრივ, არავითარი ძახილი „ქართველო ხელი ხმალს იკარ!“ – გარდა თავგანწირულ ბატონიშვილთა, რომელთაც ჩვენი უპირველესი

თავადები მგლებივით დასდევენ დასაჭერად“ (წერეთელი 1990: 286).

მიხაკო წერეთლის მსჯელობის მიხედვით ირკვევა, რომ თუკი რომელიმე დიდ ქართველს „ტკივა საქართველო“, ეს ბატონიშვილები იყვნენ, მეფე ერეკლეს შვილები, რომლებიც ძალზე მახვილი, გამჭოლი მზერით ხედავდნენ რუსეთის ვერაგობასა და მათ ხელში ჩავარდნილი საქართველოს სიდუხჭირეს, დაშლა-დეფორმაციას“. ამიტომაც იბრძოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით მეფე ერეკლეს ქალები თავიანთი ძმების გვერდიგვერდ თავგანწირვით.

„დიდი სახეები პატარა ჩარჩოების“ – მესამე ნარკვევში თამარ პაპავას განხილულ ესეში „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“, აღებული ჰქონდა ის დრო, როდესაც საქართველოს სუვერენობის მოსპობამ ყველას გაუცრუა იმედი. ჩანდა, რომ იგი მ. წერეთლის შეხედულებას 30 წლის შემდეგაც იზიარებდა და კიდევ უფრო აკონკრეტებდა და ამაგრებდა იმ აზრს, რომ „ბატონიშვილის ცხოვრების მღელვარე გზა – ეს დაპყრობილ საქართველოს თავგანწირული ცდებია რუსეთის იმპერიის ბორკილების ასაყრელად; და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა მალე იქმნას სათანადოდ შესწავლილი ეს დიდი პიროვნება და მისი ბრძოლათა ყველა ეტაპები, რომლებიც აშკარად გამოაჩენდნენ, რომ საქართველოს და ბაგრატიონებს თავისუფლება და ტახტი ადვილად არ დაუთმიათ... ბრძოლა გრძელი, ძნელი და მამაცური იყო და ამ ბრძოლამ ღირსეული ტრადიცია შექმნა...“ (პაპავა 1990:139).

მამულის ერთგულ, ტახტისა და საქართველოს დროშის მცველ ბატონიშვილთა და განსაკუთრებით ალექსანდრე ბატონიშვილის დრამატიზმით სავსე ხანგრძლივი ბრძოლების ამბები ღრმა მოხუცებულობამდე არ დამცხრალა. ამიტომ, თამარ პაპავა მისი მოღვაწეობისა და ბრძოლების ზოგიერთ მომენტებზე“ ყურადღების გამახვილებით ცდილობს, რუსების მიერ „ყაჩაღად“ წოდებულ დიდ მამულიშვილზე სრული წარმოდგენა შეგვიქმნას და აცხადებს: „ალექსანდრე ბატონიშვილის თავდადებული, ხანგრძლივი ბრძოლები კავკასიაში რუსთა დამკვიდრების წინააღმდეგ, ამ ბატონიშვილს უდავოდ საქართველოს აღდგომისათვის მოწამებრივ კვირგვინს ადგამენ“ (პაპავა 1990:139). და მკითხველიც პირუთვნე-

ლად იზიარებს ავტორის აზრს.

წიგნში „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ ესეების ერთი ნაწილი: „მეფე ერეკლეს ქალები“, „ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება“ და „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“ გასული საუკუნის 30-იან წლებში ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა, ხოლო დანარჩენი სამი ესეც: „იმერეთის ქალების ეპიზოდები დასავლეთ საქართველოს ბრძოლათა ისტორიიდან“, „სამეგრელოს დედოფალი ნინო“ და „ბატონიშვილი დარეჯან“ მართალია, ამავე ჟურნალში დაიბეჭდა, მაგრამ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ წყაროთა მიხედვით, საგრძნობლად შეიცვალა და შეივსო.

ჯერ კიდევ 1938 წელს, თამარ პაპავას ესეებთან დაკავშირებით ვ. ნოზაძემ ვრცელი მასალა დაბეჭდა ჟურნალ „ქართლოსში“, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენ გვგონია, ჯერჯერობით არც ერთი მკვლევარი ასე ღრმად და ასე ფართოდ არ მისდგომია აღნიშნულ ეპოქას, რომლითაც იწყება საქართველოში რუსეთის გაბატონება. ა. ფრონელის გამოკვლევანი მთიულეთისა და კახეთის აჯანყების შესახებ თავის დროზე დიდი განძი იყო ქართული ისტორიის საკითხთა გასამუქებლად, დღეს უბრალო მოთხრობად გვეჩვენება, რომელიც შემოფარგლული იყო ადგილობრივობით; თამარ პაპავას ნაშრომი კი ფართო გეგმაზეა აგებული და მოცემულია არა მარტო ადგილობრივობა, არამედ, საერთაშორისო ვითარებაც, რომელშიც ჩვენს გმირებს მოქმედება უხდებოდათ. ამ მხრივ ქალბატონ პაპავას შრომით კვლევა-ძიების საგანი ახალ გზაზეა შეყენებული და ამას არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, როგორც დიდ ღირსებას“ (*„ქართლოსი“ 1938: 143*).

„იმერეთის ქალების“ ეპიზოდებში ვრცლადაა მოთხრობილი „ჯერ სოლომონ მეფის, შემდეგ იმერეთის დიდებულების გმირული ბრძოლები და თავგანწირვა თავისუფლების შესანარჩუნებლად, ქალების განსაცვიფრებელი ბრძოლანი და ხერხიანი მოქმედებანი მამაკაცებთან ერთად, თუ ცალკე. მაგალითად, აბაშიძის ასულის ეკატერინე წერეთლის მიერ „მოდი ნახე“-ს ციხის დაცვა და სხვა“ (*პაპავა 1990: 11*).

მომდევნო ესეში „სამეგრელოს დედოფალი ნინო“ გადმოცემული იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII ასუ-

ლის ნინოს ცხოვრების ისტორია, სამეგრელოს სამთავროს დღი-დან რუსეთის პროტექტორატის დამყარებამდე. მისი ენერგიული ცდები სამეგრელოს ავტონომიის შენარჩუნებასა და აფხაზეთზე მი-სი გავლენის განმტკიცება. ქართლ-კახეთის ბატონიშვილი ქალების თავდადებასთან ერთად, ესეში „ბატონიშვილ დარეჯან“ აღწერილია იმერეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლის – მეფე სოლომონ პირველის ასულის - დარეჯანის ლეგენდარული მოქმედება, შეუ-პოვრობა და ბრძოლის უნარი.

გარკვეული კულტურულ-ისტორიული და მეცნიერული ღი-რებულება ჰქონდა თამარ პაპავას წიგნის – „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ – მეორე ნაწილს. ბუენოს-აირესში გამოსვლასთან დაკავშირებით, მასში შემავალი ისტორიული ნარკვევის „დარეჯან დედოფალის“ შესახებ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანიას თავის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „ქართველი ქალის მდგომარეობა ოჯახში და საზოგადოებაში დიდად განსხვავდება ყველა სხვა ერის ქალის მდგომარეობიდან. მისი როლი, მისი სა-ხელი, მისდამი პატივისცემა მამაკაცებისაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

ამ საკითხის შესწავლა, გაშუქება და გამორკვევა დიდი ხა-ნია დღის წესრიგში დგას. მაგრამ მას არავინ ყურადღებას არ აქ-ცევს. არც ერთ ისტორიკოსს და წარსულის მკვლევარს ის თავის მუშაობის საგნად არ გაუხდია, ის არ შეუსწავლია. არის მხოლოდ ერთადერთი, გამონაკლისი ერთი პიროვნება, რომელიც ამ საგანზე მუშაობს. ეს არის თამარ პაპავასი, რომელმაც ამ საკითხს უძღვნა ერთი დიდი წიგნი ამ სათაურით: „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებ-ში“ და ახლა მას უმატებს მეორეს.

ამ ნაწერებში ნათლად დახატულია ქართველი ქალის პოლი-ტიკური სახეობა, მისი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში, ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულება რუსეთის მეფეთა მიერ და შემდეგ მათ მიერვე მისი დარღვევაც. ამ ნიადაგ-ზე ბრძოლის გაჩაღებას საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვი-სათვის მეთაურობენ ქართველი ქალები. ისინი იჩენენ დიდ ენერგი-ას, შეუდრეკელობას და ხასიათის სიმაგრეს" (პაპავა 1990:9).

1953 წელს, სამხრეთ ამერიკაში გამოსულ „დიდი სახეები

პატარა ჩარჩოების“ მეორე ტომში შევიდა ასევე ორი ნარკვევი: „იმერეთის დედოფალი მარია“ და „გურია და დედოფალი სოფიო“. როგორც ჩანს, ავტორმა ვერ მოახერხა მასში შეეტანა თავისი ნარკვევი „ეკატერინა, ოდიშის დედოფალი“.

თ. პაპავას ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით, მოკლე ბიბლიოგრაფიულ განხილვაში ვიკტორ ნოზაძე აღნიშნავდა: „თამარ პაპავას ახალი წიგნი ორ დედოფალს შეეხება და მათ ცხოვრება-ბრძოლას აღწერს. ორივე დედოფლის ცხოვრება მჭიდროდ გადაბმული არის იმ ბრძოლებთან, რომელსაც მათი ქვეყანა, – იმერეთი და გურია თავის უფლებათა დასაცავად XIX საუკუნეში ეწეოდა...“

ქალბატონი თამარ პაპავა, თავის მოკლე აღწერილობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს თითოეული ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას, და ამ დიდბუნებოვან დედაკაცთა სახეს ნათლად, ღირსეულად და სიყვარულით გვიხატავს... მისწრაფებებითა და მოქმედებით, სისხლითა და სიკვდილით დაწერილ ამ ისტორიას სჭირდება შესწავლა, გამოკვლევა, გამოტანა, გაცნობა, – და ამ საქმეს ღირსეულად ემსახურება ქნ თამარ პაპავა, რომელიც ქართველ დედაკაცთა ისტორიას სწავლობს და გვასწავლის და არა მარტო გვასწავლის, არამედ გვაყვარებს კიდევ ქართული ისტორიის დღემდე მიმალულ ჩვენთვის უცნობ ამ დიდ დედაკაცთა დიდ სახეებს, რომელთაც იგი, თავისივე მორცხვი თქმით, პატარა ჩარჩოების ათავსებს“ (*„მათელი“* 1953: 209).

გმირ ქართველ ქალებს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში მრისხანე მტერთან ბრძოლაში თავდადებისა და თავგანწირვის არაერთი მაგალითი უჩვენებიათ: „ქართველ დედაკაცებს უმხნევებიათ კაცები გაცეცხლებულს ომებში. ხმალი ლეჩაქში გახვეული, – აი რა ღონისძიებას თურმე ხმარობდენ ქმრების გასამხნეველად ანუ სირცხვილის მისაყენებლად. რამდენჯერ მომხდარა, რომ თვით ქალებსაც უწინამძღვრიათ ჯარებისათვის და გაუმარჯვნიათ“ (*ბაქრაძე* 1891:13).

როგორც ითქვა, 1956 წელს, არგენტინაში გამოვიდა თამარ და აკაკი პაპავების ერთობლივი წიგნი: „მარია“ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. წიგნის დაბეჭდვამდე 6 წლით ადრე, 1950 წელს, პარიზში მოეწყო დედოფალ მარიაშის გარდაცვალები-

დან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოგონების დღე. ამ დღეს წაიკითხეს თამარ პაპავას მოხსენება „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი“, რომელიც მან წინასწარ გამოუგზავნა არგენტინიდან საქართველოს პრეზიდენტს ნოე ჟორდანიას. ეს მოხსენება სხდომაზე წაიკითხა ლევან ფაღავამ.

წიგნთან დაკავშირებით, 1951 წელს ნოე ჟორდანია წერდა: – „მარიამ დედოფალი ლენერალ ლაზარევს მის ბინაზე შეჭრილს, მის დასაცურათ და გადასასახლებლათ, უპასუხებს ხანჯლით, კლავს რუსის ჯარის მეთაურს.

რუსეთის მთავრობა ამ დიდ დანაშაულისათვის, მას საქვეყნოდ მაინც არ ასამართლებს, ალბათ იმიტომ, რომ იძულებული გახდა გაეგო დედოფლის მოქმედების მართალი მიზეზი, ის საბუთიანობა, მისი გადაწყვეტილება, რომ თავი დასდო ნაციონალური საკითხის დასაცავად.

საერთოდ, სახელმწიფოს მეთაურებათ ქალები გამოდიან, კაცებზე უფრო უშიშარნი და დროშის დამცველნი, ქალბ. თამარ პაპავას წიგნები სავსეა ასეთი ისტორიული მასალებით“ (პაპავა 1990:90).

ზემოხსენებულ წიგნისთვის – დართულ „ბოლოსიტყვაობაში“ ავტორები მოკრძალებით და თანაც გულისტკივილით წერდნენ: „ჩვენ თითქმის 25 წლის მანძილზე ვაგროვებდით საჭირო მასალას საქართველოს უკანასკნელ დედოფლის ცხოვრებისა და ქართულ სამეფო მწუხრის შესასწავლად. ჩვენის ძალების მიხედვით ამ წელთა მანძილზე ვმუშაობდით, ვწერდით და ვურთავდით ახლად მოძიებულ ცნობებს იმ იმედით, რომ მისი გამოცემა ჩვენს მძიმე პირობებშიაც ერთხელ შესაძლებელი გახდებოდა. ომის წლებმა და მისგან გამოწვეულმა დაუსრულებელმა ხეტიალმა ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას, ჩვენი ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი შეიწირა და მასთან ერთად, სხვა ხელნაწერებთან, ამ შრომის თითქმის ნახევარი რვეულები დაგვიკარგა. გადაგვირჩა ზოგიერთი რვეულების შავი და ამონაწერები.

ამის გამო იმ მოცულობით და ხასიათით, როგორც თავიდანვე გვქონდა განზრახული, ეს ჩვენი შრომა, სამწუხაროდ, ვერ დავასრულეთ. მაგრამ ხელახლა მისი გადადება იმ იმედით, რომ მეტ მასალას დავაგროვებდით და ამ შრომას შემდეგში უფრო დამუშა-

ვებულ და დასრულებულ ხასიათს მივცემდით, არც სხვებმა გვირჩიეს და უნდა გამოვტყდეთ, ვერც ჩვენ დავინახეთ მიზანშეწონილად ჩვენს პირობებში და ხნოვანებაში.

ამიტომ გადავწყვიტეთ წიგნის ასე გამოცემა იმ რწმენით, რომ ჩვენის წარსულის მომავალ მუშაებს ეს შრომა მასალად მაინც გამოადგება და კვლევას გაუადვილებს“ (პაპავა 1956: 317-318).

ზემოთ გამოთქმულ პრობლემას ადასტურებს ექვთიმე თაყაიშვილიც: „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, ფრიალ სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენს ჩვენს ლიტერატურაში. ავტორს საკმაოდ შეუკრებია გამოქვეყნებული მასალები და ეს არც ისე ადვილია ევროპაში, ჩვენ ვამბობთ ევროპაში, თორემ საქართველოში, რა თქმა უნდა, მეტი მასალის მოპოვება შეიძლება, მეტადრე ხელნაწერებში. ყველაზე უფრო სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ ავტორი საუცხოოდ ერკვევა ამ მასალებში და საერთოდ შესაფერად ახასიათებს თვითიუღს მოღვაწეს“ (პაპავა 1990: 9).

თამარ პაპავამ იცის საზოგადოდ თემის მიგნება, იცნობს, გრძნობს მკითხველის მოთხოვნილებას და ინტერესს. ამიტომაც სჭარბობს მის შემოქმედებაში ინტელექტუალური მომენტები. თავის ესეებში თამარ პაპავა მთელი გატაცებით წერდა საქართველოს ტრაგედიაზე, რომელშიც ცრუ პათოსს მოკლებული სიმართლეა ასახული. ქართველი ხელოვანის განცდებით დახატული ქართველი ქალის ხატება და ტანჯვა ერის ტრაგიზმით არის განპირობებული. აქ მისი შემოქმედება დიმიტრი ბაქრაძის ზემოთქმული „ქართველი ქალების“ ისტორიული მიმოხილვის ერთგვარ კონსტატაციას წარმოადგენს: „ასეთნი იყვნენ ძველად საქართველოს ქალები. ჩვენ ვსცდილობდით კარგად გამოგვერკვია იმათი თვისება და იმათი მოქმედება. შეიძლება ბევრმა იფიქრონ, რომ ქებაში საზღვარს გარეთ გავდივართ, არა გვეგონია. ჩვენ წარმოადგინეთ ფაქტები, რომელნიც თავისს თავადვე მეტყველებენ... ჩვენ ფაქტებიც მოკლედ მოვიხსენიეთ, ამისთვის რომ ვშიშობდით სიტყვა არ გავგვერცელებინა. დაწვრილებით რომ შაიკრიფოს, მთელი წიგნი დაიწერება“ (ბაქრაძე 1891:10).

ჭეშმარიტად, გააგრძელა ქართველი ქალების როლის ასახვა საქართველოს ისტორიაში თამარ პაპავამ, რასაც ხელს უწყობდა

ესეისტი ქალის პერსონალური განცდებიც. ამიტომ, ბუნებრივია, როგორც ხელოვანმა, თამარ პაპავამ გაიმარჯვა და მისი გაქანება, როგორც მხატვრისა, ძლიერია.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში მუდამ მოქმედებდა „ჯანსაღი ნაციონალიზმის“ პრინციპი, რომელმაც ერი გადაარჩინა. ამ ბრძოლებში მამაკაცების გვერდით ხმალშემართული ამორძალებით იდგნენ ქართველი ქალები.

„ქართველი ქალი მამაკაცის გვერდით ბრძოლითვე იცავდა თავს. – იარაღით, ხერხით, ქალური დიპლომატიით, მოთმინებით, კბილებითა და ბრჩილებით იცავდა იგი თავის თავსაც, თავის ბუდესაც და თავის სინდისსაც“ (შარაძე 1992:147).

გმირ ქართველ ქალთა ჩვენება ჩვენს ლიტერატურაში უჩვეულო როდია. „ესეისტის თვისებაც ხომ ისაა, რომ იგი კი არ ქმნის ახალ მასალას, არამედ უკვე არსებულ მასალას უკეთებს კომენტარს. ესეისტისთვის არსებითია, რომ ქვეყნად წიგნები უკვე დაწერილი იყვეს და მეტიც, ეს წიგნები, ასე თუ ისე, წაკითხულ-გადახარშულიც ჰქონდეს მკითხველს, რადგან ესე ხომ, ჩვეულებრივ, მინიშნებებითაა სავსე და ესეისტი ქვეყნის ლიტერატურული განვითარების ადრეულ პერიოდში არ გამოჩნდება მანამ, ვიდრე მემატრიანე ან პოეტი არ აღწერს ისტორიულ ფაქტებს. ესეისტს ვნებიანი იმპულსი, სტრესი, დამაბზა არ აწერინებს ესეს“ (ხელაია 1986: 326).

საბოლოოდ, XIX საუკუნის ქართველ ქალთა გმირული თავდადების ბრწყინვალე ისტორია თამარ პაპავამ სამხრეთ ამერიკაში ცხოვრებისა და სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში დაასრულა.

სამხრეთ ამერიკული პერიოდის შემოქმედებითი მოღვაწეობის დროს გამოსულ მოგონებათა წიგნში – „გაბნეული საფლავები“ – ძირითად შინაარსად ჩადებულია: თანამედროვე საქართველოს ტრაგედია, წითელი მოსკოვის მიერ დაპყრობილი საქართველოს პოლიტიკური ვითარება და მის შვილთა გმირული ბრძოლები, სადაც ცენტრალური ადგილი უჭირავს 1924 წლის აჯანყებას.

ავტორი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილთან საუბრით იხსენებს დამოუკიდებელი და გაბრწყინებული საქართველოს აღდგომისა და თავისუფლების დღეებს. ბოლოში იგი ეხება დამარ-

ცხების მიზეზებსაც: „... მე ევროპაში წავედი და აი, ბოლოს, აქ უკვე ქაქუცას სხვა უცხო სახეს შევხდი პარიზში. თითქოს მებრძოლ საქართველოს ბელადს ბრძოლის ასპარეზი გამოაცალეს. ოცნება წაართვეს, და ეხლა ფრთამოტეხილ არწივს, ცეცხლს ღვინო უნელდება და სიმწარე-მორეულს ცრემლს უშრობდა“ (პაპავა 1990:64-65).

ქაქუცასთან ოთხ შეხვედრას დიდი ლირიზმითა და ქალური სინატიფით გადმოცემდა თ. პაპავა და ამასთან ერთად გვიჩვენებდა გადახვეწილი ქართველის ეროვნულ-ცხოვრებისეულ ტრავედიასაც, მის მოწამებობრივ ეკლიან გზასავალს. იგი გულწრფელად იზიარებს ძველი მეგობრის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის წუხილს, მაგრამ დიდი სასოწარკვეთის მიუხედავად, სწამდა, სჯეროდა და იმედი ჰქონდა, რომ მისი მამულიშვილური და „თავგანწირული სულისკვეთება“ ამაოდ მაინც არ ჩაივლიდა.

როცა პარიზში თამარ პაპავას წიგნი „გაბნეული საფლავები“ გამოვიდა, როგორც იმ პერიოდის იდეოლოგიისათვის იყო დამახასიათებელი, „წიგნის გამოცემას „დროულად“ გამოეხმაურა მაშინდელი გაზეთი „სამშობლო“ 1970 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილით „დამსხვრეული ილუზიები“. სტატიის პათოსის საილუსტრაციოდ ერთი აბზაცის მოყვანაც კმარა: „განა შეიძლება პატრიოტმა ქართველმა ქალმა გულწრფელად დაიტიროს ისეთი ადამიანი, როგორც მეფის არმიის პოლკოვნიკი, თავადი ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო? თავისი მოთარეშე რაზმით ამ „ენიაზმა“ (როგორც თქვენ მას უწოდებთ), ბევრი ზიანი მიაყენა საქართველოს, ბევრი პატიოსანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. და ახლა, ძმათა სისხლში ხელგასვრილ კაცს ერის ერთგულ შვილად გვიხატავთ.“ სტატიის ბოლოს ავტორი ცინიკურად მიმართავს ქ-ნ თამარ პაპავას: „თუ თქვენი სამშობლო ნამდვილად გიყვართ, გამოეშურეთ სამშობლოში, აქ, საქართველოში ემსახურეთ მშობლიურ ხალხს“ (სულაძე 2012:61).

სამწუხაროდ, საბჭოურ ლიტერატურაში ადამიანები, რომლებიც საზღვარგარეთ უმძიმეს სიტუაციაშიც კი თავგამოდებით იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მოიხსენიებოდნენ განწირულებად. საბჭოთა პროპაგანდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით ხშირად ეწეოდა ემიგრაციის დისკრედი-

ტაციას, ემიგრაციის დაშლას, ანტისაბჭოთა ძალების დაქსაქსვას და ემიგრანტი ლიდერების ფიზიკურ განადგურებასაც კი.

1973 წელს, ასევე პარიზში, გამოვიდა მწერალი ქალის ბოლო წიგნი „ლტოლვილთა საძვალენი“. „ქართველი ემიგრანტების საფლავები დაფანტულია, მაგრამ მისი სულიერი აკაღაძა მაინც ერთია. ის აკავშირებს ამ გაბნეულთ, ფარავს ერთი ქართული გუმბათით“ (პაპავა 1990: 89-126).

თამარ პაპავა აქ ნიჭიერად აღწერდა უცხოეთში დაფერფლილთა სიცოცხლეს, რომელთაც საფლავში ჩაჰყვით სამშობლოს ნახვის აუხდენელი ოცნება: „ხშირად ვმლი წელთა ფურცლებს ძველი დღიურებიდან, ვიგონებ მრავალ დღესასწაულს, მრავალ 28 მაისსა და მის მომლოცველთ, მუდამ უცვალებლად რომ გვწერდნენ ან გვეტყოდნენ: „გაისად ამ დროს ჩვენ საყვარელ სამშობლოში თქვენთან ერთად“. რამდენი ასეთი „გაისად გარდავიდა და რამდენნი გაჰყვნენ იმ წლებს და მხურვალე გრძნობებით ცივ სამარეში ჩაწვენ, ის „გაისად“ კი ვერ იხილეს“ (პაპავა 1990: 89-126).

ეს დრამატული, მაგრამ გულწრფელი და სევდიანი სტრიქონები სამშობლოდან მხოლოდ ერთი გადახვეწილის ტკივილი არაა. ეს სასოწარკვეთა ქართველ ემიგრანტთა საზიარო გრძნობაა, რომელთაც ათეული წლებით დაშორების მიუხედავად, მაინც ურყევად და ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული მშობლიურ მიწაში. საქართველო იყო მხოლოდ მათი მზისქვეშეთი.

„ჩვენ საყვარელ სამშობლოში თქვენთან ერთად“ – ამ ლოცვად ქცეულმა სიტყვებმა დიდი დატვირთვა მიიღეს იმით, რომ მასში იგულისხმება: დაუბრუნდნენ მშობელ ერსა და ღედას, დაუბრუნდნენ სალოცავ რწმენას, ადგილის ღედას, იმ ღედას – საქართველო რომ ჰქვია სახელად“ (პაპავა 1990: 45-46).

თამარ პაპავას შემოქმედებით მემკვიდრეობაში შედის მისი ერთი წერილის მიხედვით შემდეგი ნაწარმოებებიც: „მე და აკაკის გვაქვს დამზადებული ნარკვევები ქსნის საერისთავოზე, აგრეთვე მონოგრაფია დარეჯან ბატონიშვილზე (არჩილ მეფის ასულზე), რომლის შესავალი ჩრდ. ამერ. „კრებულში“ გამოქვეყნდა და ეკატერინა - სამეგ. დედოფალზე, მაგრამ ვინ იცის, როდის და როგორ მოხერხდება მათი გამოქვეყნება.

აგრეთვე აკაკის შრომა „რუსეთის კარი და ქართული დიპლომატია მე-18 საუკუნის“ და ჩემი „მოგონებანი ომის წლებიდან“ უცდიან გამოცემას, რაც ასე გაძნელებულია ჩვენს პირობებში. ვიკტორი თუ კარგად იქნა ნელ-ნელა აგვიწყობს“ (პაპავა ფონდი 28103/6).

თ. პაპავას ესეთა კრებული – „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ დიდი და შრომატევადი ლიტერატურულ-მეცნიერული კვლევაა, რომელშიც მწერალმა დიდი სულგრძელობა, ნებისყოფა და ინტერესი გამოიჩინა. მან ლიტერატურული და ისტორიული მასალის თავმოყრით წარმოაჩინა ფერფლმიყრილი, დრო-ჟამთა მიერ ფერგადასული და მივიწყებული ქალები, რომელნიც ხმლის აღმართვით, თავისი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანით იცავდნენ სამშობლოსა და თავის ერს. მწერალმა, გმირ ქალთა სახეების ხატვა ბატონიშვილთა ქალების მაგალითებით, საგანგებოდ დაიწყო, რადგან დღემდე ამ დიდგვაროვანთა შტოს შთამომავალ ქალებს შედარებით უფრო ვიწრო სპეციალისტები თუ იცნობდნენ. თამარ პაპავამ მათი ღვაწლის შესწავლითა და აღწერით, სისტემაში მოიყვანა და მიძიებებით ასახა ყველა ის სიტუაცია, ქართველი ქალები, რაც ქართველმა ხალხმა წარსულში რუსის ჩექმის ქვეშ გადაიტანა, რაც საერთო მწუხრი იყო ყოველი მამულიშვილისათვის.

ქართული ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა თ. პაპავამ თავის ესეისტიკაში საქართველოს ისტორიული წარსულის თემატიკით, იდეის განსჯითა და წინ წამოწევით შექმნა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალების მარადიული პანთეონი, რომელიც ეროვნული თავისუფლების ბრძოლის საკითხში ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა კონტექსტში განიხილება და თავსდება. თავისი ესეების სისავსით, სიღრმით, მასშტაბურობითა და დინამიკურობით მან ნამდვილი ეროვნული შემოქმედის ტიპური წარმომადგენლის სახელი დაიმკვიდრა, რომელსაც მის შემოქმედებაში დახატულ პერსონაჟ ქართველ ქალებთან ერთად, მამულიშვილური მოვალეობითა და მაღალი შეგნებით სიკვდილამდე ატარებდა.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ თამარ პაპავას ესეისტურ ნაწარმოებში ყოველი აზრი, ქართველი ქალის ყოველი სულიე-

რი განცდა ფაქიზი და დახვეწილი დაკვირვების საგანს წარმოადგენს. თავის გულწრფელ და გულითად ნააზრევში, ავტორი თავადაც მასში აფარებს თავს. თ. პაპავა ყოველ ესეში გატაცებით, დიდი სიყვარულით, თანაგანცდის საშუალებით წვდება ქართველი ქალის სულიერ სამყაროს და მის კვალდაკვალ ეროვნული თვითშემეცნების საგულისხმო შტრიხებს გთავაზობს, რომელსაც თან ერთვის ავტორის ინდივიდუალურ-პიროვნული პოზიცია და ავტორისეული „მე“.

თამარ პაპავას შემოქმედებაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, სადაც თანამედროვეობის აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე დაწერილ სტატიებში გამოხატული იყო მწერლის მისწრაფება და საერთო იდეური ტენდენცია.

საერთოდ, „პუბლიცისტური ხასიათის მხატვრულ ნაწარმოებთა იდეურ შინაარსსა და მხატვრული ლიტერატურის ძირითად ჟანრებს მოიცავს: ნარკვევი, ფელეტონი, მხატვრული ფორმის ლიტერატურული მანიფესტი, პოლემიკური ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოები, რომლის გამოსახვის ენობრივ საშუალებად გამოყენებულია როგორც მხატვრული პროზის ემოციური ჩარჩო, ასევე რიტმული პოეტური ენაც“ (ჭილაია 1971: 334).

აქედან გამომდინარე, თუ აკაკი პაპავა და ვიკტორ ნოზაძე პუბლიცისტიკის ყველა ჟანრში ცდიდა თავის კალამს, რომლითაც მათ ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია გაამდიდრეს, თამარ პაპავა ამ საქმეს შერჩევით ეკიდებოდა. მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა ახლისა და ორიგინალურის თვალთახედვით განისაზღვრებოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში დამკვიდრებული თამარ პაპავა აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „მამულში“. აქ წარმოდგენილი ნარკვევებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მამის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი „მადლიანი შრომა“.

1972 წლის 22 მარტს თამარ პაპავა არგენტინიდან დასწერდა: „რუქიას წერილი მივიღე. მწერს, ვიდაცა პატიოსან კაცს განხელება მამჩემი და უნდა დასწეროს მამას ამბავი. მე რაც რამე მაქვს, ვუგზავნი ამ კვირის ბოლოს. შენც ხომ იცი, რას მოღ-

ვაწეობდა მამა, მიაწოდე, ეს ყველაზე სასისარულო ამბავია ჩვენი ოჯახისათვის. სურათებთან ერთად გიგზავნი ჩემს წერილს მამისადმი მიძღვნილს” (პაპავა 1990:293).

მამისადმი მიძღვნილი ნაშრომი თ. პაპავამ მისი დღიურიდან ამოიღო და თეიმურაზ ქრისტინაშვილს სხვა მასალებთან ერთად გამოუგზავნა საქართველოში.

ემიგრაციაში ათეული წლების გასვლის შემდეგ ჟურნალ „მამულის” ფურცლებზე დაბეჭდილ ამ წერილში („მადლიანი შრომა“), თამარ პაპავამ სიღრმისეულად შეაფასა ქართველი სასცენო ოსტატების შრომა: „ვფურცლავ ძველ ჟურნალებს და ამ ფერგადასულ სტრიქონებში ვეძიებ ამბებს ძველი ქართული თეატრის ცხოვრებიდან... თუ საერთოდ ჭირად არის ცნობილი, რომ მსახიობები უმეტეს ნაწილად ნივთიერ შევიწროებას განიცდის, ეს ათ კეცად ხვდება ჩვენს მსახიობს!...

განა ჩვენ თვითონ არა ვართ ყველა ამგვარ დაბრკოლებათა მნახველნი და მოწამენი? რამდენი დამცირება და დევნა უნდა გადაგვეტანა მაშინ ქართული სცენის უანგარო მუშაკთ: ჩემ თვალის წინ განვლეს ამ ამბებმა. მამაჩემი, სვიმონიძე, 40 წელი ემსახურებოდა ქართულ თეატრს... და მე ვხედავდი თუ როგორ ცხოვრობდნენ, რაოდენ დევნას იტანდნენ ეს ქართული თეატრისათვის შეფიცული მუშაკნი, მაგრამ მაინც კლდესავით იდგნენ.

და მაინც ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ ბედმა მარგუნა ახლოს ვყოფილიყავ ქართული სცენის ქურუმთა წრესთან და საკუთარი თვალებით მენახა მათი თავდადება, გამძლეობა, დამცირებათა ამაყად და ჩუმად ატანა და ყველა ეს მხოლოდ სიყვარულისათვის ჩვენი ეროვნული თეატრისა..

ეს იყო დიდი ქართული საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო, რათა ქვეყანას და კერძოდ ძლიერ მტერს ეგრძნო, რომ საქართველოს სიცოცხლე და წინსვლა სწყუროდა” (პაპავა 1990: 269-272).

თამარ პაპავა ამ მოგონებაში ჩვეული პირუთვნელობითა და სიმართლით მოგვითხრობს სიკეთისა და მშვენიერების მსახურის – ხელოვნების დიდ ძალაზე.

ქართული თეატრის ქურუმებს კარგად ესმოდათ, მაშინ როცა მშობლიური ენა და საერთოდ ყველაფერი ქართული იდევნებოდა,

სცენა უნდა გადაქცეულიყო ეროვნული კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრების მგრძნებარე ტრიბუნად. ერის მესაჭეს, დიდ ილიას, თეატრი მიაჩნდა როგორც მაყურებელზე უშუალო ზეგავლენის, მისი იდეურ-მორალური აღზრდის უძლიერეს საშუალებად. „სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზე უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრივ არის იგი კაცის გრძნობისა და გონების გამაფაქიზებელი, გამწმენდი“...

ილიას სიტყვებით შთაგონებულებმა, – წერდა თამარ პაპავა, – სთქვეს ქართული ღირსებისათვის მებრძოლმა ქურუმებმა, „ჩვენ მხოლოდ სიყვარული გვეყოფა; ის აგვატანინებს ყოველ გაჭირვებას და დევნას. ჩვენ გვინდა მხოლოდ სამშობლოს სამსახური და მამულიშვილთა თანაგრძნობა! დახმარებას ვერ მოგთხოვთ... და დაცლილ, დარღვეულ ქართული ხელოვნების ტაძრის წინ შემოიკრიბნენ, ღვთიურის ცეცხლით ალგზნებული ქართველი პატრიოტები...

მხოლოდ თავდადებულთ და შეფიცულთ თუ შეეძლონ არაფრისაგან უკვდავი თეატრი შეექმნათ საქართველოსათვის, რომელიც ასი წლის თავს დღესასწაულობს და ლაღად ზეიმობს...

ჩემს გულშია ნათელი ჩამოეშვება ხოლმე, როცა მოვიგონებ, რომ მეც ბედნიერება მქონდა ამათ წრეში 17 წელიწადი ქართულ სახალხო თეატრისათვის მცირედი სამსახური გამეწია.

მხოლოდ მათ შეეძლოთ – ასკვნის ბოლოს თამარ პაპავა, – ეთქვათ:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული
სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,
მაინც დარჩება“

ჭეშმარიტად, მათ განვლეს ეს ეკლიანი გზა, გასთელეს და გასტკეპნეს იგი... და დიდება და ნათელი მათ სახელს ამ მადლიანი შრომისათვის” (პაპავა 1990: 274-275).

საყურადღებოა თამარ პაპავას ეპისტოლური მემკვიდრეობაც. ემიგრანტი მწერალი ქალის პირადი წერილები იწერებოდა 1960-

64 წლებში, მაშინ, როცა სტალინის მეთაურობით ბოლშევიკური რეჟიმის მიერ მთელ საბჭოეთში ჩამოფარებული ე.წ. რკინის ფარდა უკვე აიხადა.

60-იანი წლებიდან ქართველ ინტელიგენციაში სათავე დაეღო ეროვნული პრობლემატიკისადმი შემოქმედებითი ინტელიგენციის ყურადღების გამახვილებას. მეტი გაბედულებით გაისმა სისტემის კრიტიკა, წინა პლანზე წამოიწია ჰუმანიზმი და ზოგადკაცობრიული ღირებულებანი.

მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდით, სოციალიზმი წარმოდგინებოდა საზოგადოებად, როგორც ყველაზე უკეთესი, ვინემ რომელიმე სხვა წყობილება, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანთა მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარების უმაღლეს დონეზე. ე.წ. „კულტურულ რევოლუციას“ ეკისრებოდა არა მარტო ქვეყნის გამოყვანა ჩამორჩენილობიდან და მისი კულტურული დონის ამაღლება, არამედ ახალი საზოგადოების მშენებელი ხალხის გამსჭვალვა კომუნისტური პარტიის იდეებისადმი ფანატიკური ერთგულების სულისკვეთებით.

მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული კულტურა, რომლის აღორძინების შინაგანი იმპულსები დამოუკიდებლობის პერიოდში მომძლავრდა, რა თქმა უნდა, ვერ შეეგუა იმ პრინციპებს, რასაც ე.წ. „კულტურული რევოლუცია“ ეყრდნობოდა. ქართული მწერლობა, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ.

XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორც იყვნენ: მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, გ. რობაქიძე, გ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი და სხვა, თავიანთ ქმნილებებში ასახეს ახალი რეჟიმით გამოწვეული ხალხის სატკივარი და მისწრაფებანი.

სიტყვაკაზმული მწერლობის გამოკვეთილ ეროვნულ პოზიციას ოფიციალური იდეოლოგია თვლიდა სოციალიზმის მტრულ გამოვლინებად, ნაციონალიზმის აღორძინებად და ცდილობდა აღეკვე-

თა იგი მკაცრი რეპრესიებით. რეპრესიებს შეეწირა 20-30-იანი წლების ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. რეჟიმმა შეძლო ქართული მწერლობის ერთი ნაწილის აყოლიება. ფეხი მოიდგა ე.წ. „სოციალისტურმა რეალიზმმა“. თანდათან მომძლავრდა კონიუნქტურული ლიტერატურა, რომლის მოწოდებად იქცა ყველა იმ აქციის ქება-დიდება და წახალისება, რასაც უნიტარული რეჟიმი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის კულტურის სფეროებში ახორციელებდა.

ამას კარგად გრძობდნენ და ხედავდნენ ქართველი ემიგრანტები. ამის დასტურია თამარ პაპავას ებისტოლური მემკვიდრეობიდან ერთი ასეთი ამონარიდი: „ჯერ არ მოგვსვლია „ლიტერატურული გაზეთი“, სადაც კონსტანტინეს იუბილეა აღნიშნული, ჩვენ სულით და გულით მანდ ვართ, მასთან.

ამ დღეს ვულოცავთ ჩვენც მისი მადლიანი კალმის დიდ გამარჯვებას. ჩვენი ეპოქის „კონსტანტინეს მარჯვენამაც“ ხომ ააგო ახალი „სვეტიცხოველი“, ძველი, მაგრამ „ცხოველი“. მეგობრები მას ეხვევიან და მარად მასთან დარჩებიან“... (პაპავა ფონდი 28103/4).

ასევე მნიშვნელოვანია თამარ პაპავას შემდეგი წერილიც: „რაც შეეხება ჩვენს თხოვნას, არ გვინდა დიდათ შეგაწუხოთ – წერს იგი სარა მერაბაშვილს, – მაგრამ თუ თქვენ მოახერხებთ და გვიმოვნიტ კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ მესამე წიგნს, დიდათ დაგვაჯალბებთ. ჩვენი მეგობარი კ. გამსახურდია სიყვარულით მოგვიკითხეთ და თუ წიგნი აქვს, გადმოგცემთ ჩვენთვის. ისეც იმედი გვაქვს ძველი ქართველი მწერლები არ დაგვივიწყებენ და მათ უკანასკნელ ნაწარმოებებს მოგვაწვდიან.

ჩემს ძმად ნაფიცს კონსტანტინეს დიდი მადლობა წიგნებისათვის, რომელიც მისგან ამასწინად მივიღეთ“ (პაპავა ფონდი 28103/6).

დასავლური სამყაროსაგან გამთიშველი რკინის ფარდის ვითარებაში შეზღუდული იყო ქართველ მეცნიერთა და კულტურის დარგის მუშაკთა კონტაქტები გარე სამყაროსთან. ამ დროს საქართველოსაგან იზოლირებულად ქართული კულტურის სამსახურში იდგნენ 1921 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და მის შემდგომ ევროპაში გახიზნული მოღვაწენი. ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოებში პარიზში, მიუნხენში, რომში, ოსლოში, ბრიუ-

სელში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ჩილეში, ნიუ-იორკსა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში – აქტიურად მიმდინარეობდა ფართო მასშტაბის მეცნიერული კვლევები საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში მოღვაწეთა ნაშრომებში გაცილებით ადრე ჰპოვეს დასაბუთება და პოპულარიზაცია იმ იდეალებმა, რომლებიც სულიერად კვებავდა ისტორიულ საქართველოს მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია დიდი იყო დაინტერესება „სამანს აქეთ და სამანს იქით“ მცხოვრებ ქართველ შემოქმედთა მიმართ, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თამარ პაპავას შემდეგი წერილები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ ლიტერატურულ ღირებულებებს:

„ქ-ნო სარა, თუ შეხვდეთ ბ-ნ ლევან გოთუას, გოთხოვთ, მას მიუძღვნათ სიყვარულით დიდი მადლობა; მადლობა მისი დიდი და ყოველის მხრივ შესანიშნავი ნაშრომისათვის, რომლითაც მან გახსნა ძველი საქართველოს უხვი საუნჯენი და მის განძებს გვაზიარა; ვინც ნამდვილი ქართველია და ვისაც ესმის მისი ეროვნული წარსულის სურნელება, ის დიდხანს ვერ მოაშორებს თვალს ამ ჩუქურთმებს... (იგულისხმება ლ. გოთუას „გმირთა ვარამი“) (პაპავა ფონდი 28103/6).

თამარ პაპავას ეპისტოლეებიდან აშკარად ჩანდა, რომ მისი ლიტერატურული შეფასებანი ქართულ მწერლობაზე ყოველთვის მხატვრულ ქმნილებათა გულისგულიდან იყო ამოზრდილი და ყურადღების არეალიდან არასოდეს ეპარებოდა ის მთავარი, რომელიც შეფარვით იყო მოცემული, კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუას თხზულებებში, რაც თავისთავად განსაკუთრებულ ხედვას მოითხოვდა ამოსაცნობად.

მშობლიურ მწერლობაზე თავის შეხედულებას თამარ პაპავა სხვა წერილებშიც გადმოგვცემდა და აღნიშნავდა: „ჩვენ სისტემატურად მოგვდის „დროშა“, „საბჭოთა ხელოვნება“, „ლიტერატურული გაზეთი“ და „მნათობი“. ამგვარად ჩვენი ქვეყნის ამბებს და მის ხელოვნება-მწერლობას მოწყვეტილი არა ვართ. სხვათა შორის, დიდათ მოგვეწონა ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ („მნათობი“ 1961 წლის 1, 2, 3, 4). ავტორი გვატყვევებს სადა და გულწრფელი თხრობით, ღრმა ფსიქოლოგიური განცდების უბ-

რაღო ხერხით გადმოცემით. აკაკი მას დიდ მომავალს უქადის...

ღაღო ასათიანის ლექსები შესანიშნავია, აკაკი მუღამ დიდ შეფასებას აძლეღა ამ ახალგაზრღა ნიჭიერ პოეტის შემოქმედებას; რა სამწუხაროა, მისი ასე უღროთ წასვღა. ბ. შაღვა ასათიანს დიდი მადღობა ბ. დგებუადის წიგნისთვის – ეს ახალი ჟანრია ქართული მწერღობის ასპარეზზე და მას სულით და გულით ვუსურვებთ დიდ გამარჯვებას.

რაც შეეხება თავად ასათიანის წიგნს „ღაუკარ, ჩემო ჩონგურო“ მშენიერია ეს კრებული, საუცხოვო. რამღენი რამ გააცოცხღა, განმიახღა ძვეღად გაგონიღი – ზოგი სოფელში და ზოგიც თბიღისში.

ბ. დ. ქორიღის წიგნი მეტად საინტერესოა – ბევრი საინტერესო მასაღები და წყაროები აქვს დაგროვიღი. დ. ქორიღის შრომა უეჭვეღათ სასიამოვნო და სასარგებლო მოვლენად უნღა ჩაითვალოს. აღექს ბეტაშვიღის ლექსებიც დიღის ყურადღებით წავიკითხეთ. მოგვეწონა ძალიან. აკაკი, როგორც ძვეღი კრიტიკოსი, რომელიც მუღამ მკაცრი იყო, ამბობს, რომ ავტორი უღავოღ ნიჭიერია, მაგრამ, მის ბევრ ლექსს გულწრფეღობა აკღია, რაც ხელოვანისათვის მთავარიაო; ლექსები, რომღებიც უშუალო განცდას გადმოგვცემს ძალიან საღა და ნამღვიღი შემოქმედებაა. „ოცნება, ღამე და თოვა“, „იცოღდე“, „მე შენ ღიმიღს როგორ ავწერ...“, „მე მხიბღავს შენი ქართული რიღი“... და სხვა, აქ ავტორი ბევრით გვაგონებს ძვეღი დროის გრიშაშვიღსო და ვუსურვო უნღა ამ გზით წარმართოს თავისი შემოქმედებაო. ვინ არის ნეტა ნინო ქობულაშვიღი? – შესანიშნავია მისი ლექსი „აპრიღი მალე შემოვა თბიღისს“ (პაპავა ფონღი 28103).

აკაკი სულ გაავიჟა უკანასკნელმა:

„აპრიღმა ბაღის მოქნევა იცის,
ფრთხიღად იყავი გოგონავ ჩემო!“

თუ შემთხვევით ხელთ ჩავივარღეს აკადემიკოს გ. წერეთღის უკანასკნელი ნაშრომი, მღონი ასე ჰქვიან: „პალესტინის ქართული წარწერები“, გთხოვთ გამომიგზავნოთ. ბ. ლ. გოთუას მეოთხე წიგნს მოუთმენღად მოვეღით“ (პაპავა ფონღი 28103/4).

თამარ პაპავა თავისი ეპისტოღეებით წარმოჩინღება უტყუა-

რი გემოვნების ლიტერატურულ მკვლევარად, რომელიც არა მარტო გარედან აკვირდებოდა საქართველოში მიმდინარე სამწერლო პროცესებს, არამედ აკაკი პაპავასთან ერთად თითქმის მის შუაგულში იყო მოქცეული. იგი ემიგრაციიდან სულ სხვა თვალსაწიერით გაიაზრებდა ლიტერატურულ დუდილს, რომლის არსებობასაც ოკეანის გაღმინდანაც, თავისუფალი სიტყვისა და სიმართლის დამკვიდრების ძალისხმევით თვითონაც უწყობდა ხელს.

თამარ პაპავას წერილებიდან ასევე იგრძნობა, რომ 50-იანი წლების მიწურულიდან ქართულ მწერლობაში მოსულ შემოქმედთა ახალ თაობას აშკარად ახასიათებდა ოფიციალური მსოფლმხედველობის მონური ხუნდებიდან გათავისუფლების გაბედული მისწრაფება, მაღალი ჰუმანიზმი, ეროვნული სატკივარის წინა პლანზე წამოწევა, შეურიგებლობა იმ მანკიერ ჩვევათა წინააღმდეგ, რაც 1921 წლიდან, საბჭოური ოკუპაციის გამო შემოიჭრა ხალხის სულიერ ყოფაში. თამარ პაპავას მწერლურ თვალს არ გამოპარვია, ზოგიერთი შემოქმედის მხრივ ეროვნულ-კულტურულ ტრადიციების მიმართ მერკანტილისტური დამოკიდებულება. რამაც საბოლოოდ საქართველოში მოამრავლა კონიუნქტურული ინტელიგენცია. ეს აზრი შეფარვითაა გატარებული თამარ პაპავას ერთ-ერთ წერილში: „სალიტერატურო გაზეთში“ წავიკითხეთ, რომ გ. ლეონიძეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიუსაჯესო. მართლაც დიდი გამარჯვებაა და გულით გვიხარია. მისი შრომები და ნარკვევები (პოეზიის გარშე) დიდათ ნაყოფიერი იყო. ჭაბუკი დავსტოვეთ და დღეს სახელმძნევეჭილი მეცნიერი და შესანიშნავი მგოსანია. მოულოცეთ ჩვენს მაგიერ. იმედია, ვახსოვართ" (**პაპავა ფონდი 28103/ 2**).

თ. პაპავა ერთ-ერთ ეპისტოლეში გრიშაშვილზეც აღნიშნავდა: „რად დავვიწყა სოსომ? ჩვენს ბიბლიოთეკას მისი უკანასკნელი შრომები არ ამშვენებენ" (**პაპავა ფონდი 28103/ 19**).

თ. პაპავა თავის ეპისტოლეებში ჩვეული შტრიხების მოხაზვით იმ მკაცრ რეალობაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომლითაც ბოლშევიკებმა თავიანთ თვალსაზრისს, გემოვნებას და პრინციპებს დაუმორჩილეს მთელი ლიტერატურა. როგორც ჩანს, ამის გამო აცხადებდა ალექსანდრე აბაშელიც: „ყველას გვაჩნია შუბლზე ხაზებად საუკუნეთა გადანაფრენი"... მრავალწლიანმა კრიზისმა შეიპ-

ყრო და ლექსების წერა მიატოვეს და მეცნიერულ კვლევას მიჰყვეს ხელი: ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ა. აბაშელმა, კ. ნადირაძემ, დ. შენგელაიამ და სხვებმა. კონფორმიზმი გახდა მათი შემოქმედებითი ტრაგედია.

სწორედ, ამაზე მიუთითებს სოსო სიგუაც: „ბოლშევიკებმა, ერთი მხრივ, განადიდეს მწერლის სახელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ისე სასტიკად დათრგუნეს შემოქმედი, რომლის მსგავსი არ იცის კაცობრიობის ისტორიამ“ (სიგუა 2002:164).

ალბათ, ხსენებულ ეპისტოლეში, ამიტომაც აღნიშნავდა ორაზროვნად და ქვეტექსტით თამარ პაპავა: „გ. ლეონიძეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიუსაჯესო.“

ქართული კულტურის მნიშვნელოვანი განვითარების შესახებ, კერძოდ, თეატრისა და სახვითი ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებზე, ასევე თავის შეხედულებებს გვაწვდის თამარ პაპავა: „ჩვენი საყვარელი ნუცა ჩხეიძის გარდაცვალებამ, რაც პირველად თქვენი წერილიდან შევიტყვევ, ათასი ფიქრები და წარსულის მომხიბლავი სურათები გამიცოცხლა... დიდი და საინტერესო ხელოვანი იყო თავის დროზე, როცა ქართულ სცენას ჭირისუფალიც არ ჰყავდა და ათას დაბრკოლებას ეჯახებოდა, მხოლოდ ერთი პატარა, მაგრამ მტკიცედ შეკრული წრე თავგანწირვით ემსახურებოდა მას. და ერთგულ, უანგარო დარაჯათ უდგა. მათ შეგვიანხეს ეს ქართული, მშობლიური კერა და ეროვნული დროშა ძველ ნანგრევებიდან გამოიტანეს.... და მათში ჩვენი ნუცა თავიდანვე ჩადგა... ამ სკოლამ წარმოშვა მთელი წარჩინებულ მსახიობთა თაობა... და ყველა ესენი დიდი სიყვარულით მიიტანდნენ გვირგვინს მის საფლავზე... და ჩემი ვარდებიც ოცნებით ამ გვირგვინშია“ (პაპავა ფონდი 28103/ 22).

ამ წერილში თ. პაპავა ეროვნული თეატრის განვითარების საქმეში ქართველი ქალის უმაგალითო თავდადებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის ერთ-ერთი მონაწილეთაგანი თავადაც გახლდათ.

ქართული თეატრისადმი თამარ პაპავას დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გამოხატული სარა მერაბაშვილისადმი გაგზავნილ შემდეგ ეპისტოლეშიც, სადაც ავტორი აღნიშნავს: „თქვენს მიერ გაღვიბებულმა მოგონებამ სცენაზე ჩემი მუშაობის შესახებ,

ბევრი რამ გამიცოცხლა იმ დროიდან... ეს იყო პირველი საფეხურები დღეს უკვე ძლევადას მისი ქართულ თეატრის ისტორიისა. მოკრძალებით, მაგრამ გულწრფელად და უნაგაროდ ვეულებოდით მას თავს და მიგვიქონდა სიყვარულით ვისაც კი რა გაგვაჩნდა; და თუ ეს ჩვენი პატარა სამსახურიც დავიწყებული არ იქნება, ესეც ეყოფა ლამაზ გვირგვინად ჩვენს გაჭაღარავებულ თავს... (პაპავა ფონდი 28103/4).

ჩვეული სიყვარულით და გულისხმიერებითაა დაწერილი ის წერილი, სადაც შეფასებულია მხატვარ კირილე ზდანოვიჩის მოღვაწეობა: „ლიტერატურული გაზეტიდან“ გავიგე, რომ ჩემს დეიდაშვილს, მხატვარ კირილე ზდანევიჩს 70 წელი შესრულებია. მინდოდა მისთვის გამოემეგზავნა წერილი მოლოცვისა, რაიმე სპეციალური. თან რაიმე სპეციალური წიგნიც გამოემეგზავნა, რომელიც მას მხატვრობაში გამოადგებოდა; თან მინდოდა მოემეგზავნა ის დრო, როცა ეგ და მისი ძმა, ილუშა, იყვნენ ფიროსმანის ძიებაში. მაშინ მეც ხომ მათთან ვიყავი, – მთელი მაგათი ამბების უახლოესი მონაწილე“ (პაპავა ფონდი 28103/20).

ეტყობა, სარა მერაბაშვილმა ადრესატს არგენტინაში მიაწვდინა კ. ზდანევიჩის წიგნი, რომლის შესახებ თ. პაპავა მადლიერებით აღნიშნავდა: „მივიღე სწორედ თქვენს მიერ გამოგზავნილი ნაშრომი ჩემი საყვარელი დეიდაშვილის კირილე ზდანევიჩისა. დიდის გულისტკივილით მომწერა ამას წინათ: ჯერ ვერ გიგზავნი ქართულს ენაზედო, რადგან მაშინვე ყველა გაიყიდაო. ეს არც საკვირველია: წიგნი უზადოთ და დიდის გემოვნებითაა შედგენილი და გამოცემული შესანიშნავის რეპროდუქციებით“ (პაპავა ფონდი 28103/26).

როგორც წერილებიდან ჩანდა, საქართველოში პარტიული დოგმისადმი მონურ მორჩილებას თავდაღწეულმა ქართველმა ინტელიგენციამ თანდათან გააცხოველა ინტერესი თავისუფალი აზროვნების შემოქმედების ნიშნების მიმართ. რამაც ბუნებრივად გამოიწვია დიდი ინტერესი ემიგრანტი მწერლების. საილუსტრაციოდ თ. პაპავას წერილიდან ერთ ამონარიდს დავიმოწმებთ: „ესეცა მივიღეთ ჩილედან წერილი, რომლითაც თქვენი ძმა და ჩვენი მეგობარი ავთანდილი გვატყობინებს (იგულისხმება მერაბაშვილი), რომ საქ. ს.ს.რ აკადემიის მომსახურეს, თუ წევრს სურვილი გამოუთ-

ქვამს ჩვენი წიგნის („მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“ და რამდენიმე სხვა წიგნების „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“) მიღების. ჩვენ ეს წიგნები განმეორებით გადმოუზახანეთ საქართველოს აკადემიის ბიბლიოთეკას, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს, „სახელგამს“, „საბჭოთა საქართველოს“, გამომცემლობა „მნათობს“ და სხვა რედაქციებს.

წიგნები დაზღვევით გადმოიზახანა და არა მგონია დაკარგულიყო. რაკი საქართველოს მეცნიერების მუშაკებმა ეს ჩვენი მცირედი ნარკვევები ღირსეულ ქართველ ქალებზე ასე თუ ისე ყურადღების ღირსი გახადეს, ჩვენ, რასაკვირველია, მზადა ვართ ამ უკანასკნელ ეგზემპლარებსაც შეველიოთ და სიამოვნებით მოგაწვდით ცალკე, ჩვეულებრივ ფოსტით, დაზღვევით თითო ან ორ-ორ ეგზემპლარს იმ წიგნებისას, რაც კიდევ დაგვრჩენია არქივში.

დაბალი სალამი მათ, ვინც ასეთი გულმხურვალებით ემსახურება ჩვენი ქვეყნის წარსულის კვლევა-ძიებას" (პაპავა ფონდი 28103/26).

თამარ პაპავას ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ასევე მნიშვნელოვანია ის წერილები, სადაც მწერალი სამხრეთ ამერიკის რამდენიმე ქვეყნის შესახებ თავის აზრებსა და შეფასებებს გამოთქვამს. ამ წერილშიც ასევე შეფარვითაა გამოხატული ანტიკომუნისტური პროპაგანდა, როცა გადმოვცემს სამხრეთ ამერიკის ხალხის ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას.

გასული საუკუნის 60-იან წლებში დაწერილი ამ წერილების ადრესატი იყო ისევ თბილისში მცხოვრები სარა მერაბაშვილი. არგენტინაში მოღვაწე თამარ პაპავა ამ ეპისტოლეებშიც, ესეისტი-სათვის დამახასიათებელი წერის მანერით, კალმის ერთი მოსმით, შტრიხებით, გვისურათხატებს უპირველესად არგენტინის სახელმწიფოს, რომელიც მისი მრავლრიცხოვანი ოჯახისათვის მეორე სამშობლოდ იქცა.

„მშვენიერი ქვეყანაა ეს დალოცვილი არგენტინა, – წერს თამარ პაპავა, – რომლის თავისებური სილამაზე თვალუწვდენელ სივრცეზე იშლება... „ბუენოს-აირესივით შესანიშნავი და ბრწყინვალე ქალაქი არსად მინახავს...“

ასეთი ლამაზი ქალები, როგორც აქ არიან, მე არსად შემ-

ხვედრია. როგორც თქვენც იცით, მე დიდი მოტრფიალე ვარ ქალებს; მათი ასპარეზობით, მოქმედებით, თან მათი სილამაზითა და ყოველი მათი საუკეთესო თვისებებით – მუდამ გატაცებული ვიყავ. მინახავს საინტერესო ქალები ავსტრიაში და უნგრეთში, ჯიშინები და ლამაზები საფრანგეთში, გონიერები და კარგი დიასახლისები გერმანიაში, მაგრამ აქ სულ სხვაა. ისეთს ისპანეთის ჯიშის ქალებს ნახავთ, ისეთებს, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებს. ამბობენ, შერეული სისხლის ნაყოფიაო... და მეც ამ იშვიათი ხატების გამოფენას ვუცქერ დიდხანს და ვსტკებები" (პაპავა ფონდი 28103/13).

სულის სიმბეჭე გატარებულ ამ ეპისტოლეებში აშკარად გამოსჭვივის მწერლის პიროვნული აღფრთოვანება და პატივისცემა ლათინური ამერიკის ხალხის წინაპრების, უძველესი ცივილიზაციის მატარებელი ტომების მიმართ. აცტეკებისა – მექსიკაში, მაიასი – იუკატანის ნახევარკუნძულზე, ინკებისა – პერუში, რომლებმაც ჩამოაყალიბეს სახელმწიფოებრივი ფორმაციები.

XVI საუკუნეში მათი ბუნებრივი განვითარება ევროპელთა ექსპანსიამ შეწყვიტა. ბუნებრივია, ესპანური ამერიკის ფიზიკურ დაპყრობას თან მოჰყვა მისი სულიერი დაპყრობაც. პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებმა ესპანელმა ერმა სამხრეთ ამერიკაში თავიანთი ცივილიზაცია შეიტანა. საბოლოოდ კი სამხრეთ ამერიკის მოსახლეობა ძირითადად ევროპელი იმიგრანტებისაგან, უმთავრესად ესპანელებისა და იტალიელებისაგან ჩამოყალიბდა. სწორედ აქ ეძებს ესეისტი ოკეანის გაღმა და გამოღმა მცხოვრებ ქართველ და ესპანური ამერიკის ქვეყნების ხალხთა შორის კონსტიტუციურ და მენტალურ მსგავსებას, ხასიათის ფსიქოლოგიას, ტემპერამენტის, ბუნებითობით თავისუფლების მოყვარეობას.

თავისუფალი ერი, რომ უფრო შემოქმედებითია ამის დასტურად მწერალ თამარ პაპავას თავის ეპისტოლეებში, მაგალითად, საგანგებოდ მოჰყავს ჩილეს სახელმწიფო და მისი ხალხი: „ჩილე, მართლაც, მშვენიერი ქვეყანაა. საერთოდ, ჩილე ძალიან ჰგავს ჩვენს სამშობლოს. ღამე მაინც არაჩვეულებრივი სანახავია: მთელ ქალაქს ელნათურების მიძვები უვლის ყოველი მხრიდან. ფუნქციონირიდან რომ გადმოხედავ სანტიავოს, გგონია თბილისს დავსცქერიო. ყველაფერში და ყველგან მოსჩანს ხალისი და უსაზ-

ღვრო თავისუფლება" (პაპავა ფონდი 28103/19).

ეროვნული, პიროვნული და სოციალური თავისუფლების ნიმუშს წარმოადგენს ასევე სამხრეთ ამერიკის კიდევ ერთი ქვეყანა – ურუგვაი, რომელსაც ავტორი სარა მერაბაშვილისადმი გაგზავნილ მორიგ წერილში აღწერს და ხოტბა-დიდებას ასხამს: „ურუგვაი, ყოველის მხრივ შექმნილი, კულტურული, პატარა სახელმწიფოა. მას ეძახიან „სამხრეთ ამერიკის შვეიცარიას.“ პოლიტიკურად და ეკონომიურად დამოუკიდებელია და თავისუფალი... აქ ვატარებთ მუდამ ჩვენს ვაკონსებს... სახლისაკენ მიმავალი კი გზა და გზა „პატარა კახიდან“ ვიმეორებ „ვიმ, რა კარგია, სამოთხის ნიჭი, თავისუფლება" (პაპავა ფონდი 28103/12, 13, 15).

ფიქრობთ, რომ თამარ პაპავა თავის წერილებში ზემოთ მოყვანილ მსგავსებას ჰეგელის კონცეფციიდან გამომდინარე ხსნის, რომლის მიხედვით: „კავკასიური (ე.ი. თეთრი რასა), გეოგრაფიულ მნიშვნელობას არაა მიჯაჭვული. კავკასიური რასა არის ქრისტიანული (ევროპული რასა), რომელსაც მიეკუთვნებიან წინა აზიელი ხალხებიც.

საგულისხმოა, რომ რასობრივ-ფიზიონომიური განმსაზღვრელი ნიშნით ჰეგელს კავკასიური რასის ხალხებში ყველაზე სრულფასოვან გამოვლინებად მიაჩნია იტალიელების, ქართველებისა და ჩერქეზების ფიზიონომია" (ნათაძე 1984:104).

ასე რომ, თამარ პაპავა თავის ეპისტოლეებში ჩვენი ვარაუდით, სიმბოლური მინიშნებებითა და აზრობრივი ქვეტექსტებით ცდილობს, საერთო ფესვები მოუძებნოს და პარალელები გაავლოს ამ ორი ხალხის – ამერიკელ იბერიელებსა და ესპანელ ბასკებს შორის, რომელთა წინაპრებად ქართველები სახელდებიან და პირიქით.

ამ მხრივ აზრთა და შეხედულებათა საოცარი თანხვედრაა თამარ პაპავასა და XX საუკუნის გამოჩენილი არგენტინელი მწერლისა და ესეისტის ხორხე ლუის ბორხერსის მრწამსში, რომლის არგენტინულ ხასიათზე მის რამდენიმე ესეში გამოთქმულმა აზრმა ცხადი გახადა არგენტინული და ქართული ხასიათის ზოგიერთი ქარაქტეროლოგიური ელემენტების მსგავსება.

აღბათ, ამიტომაც ბორხერსის სამშობლომ, XX საუკუნეში

ორჯერ გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა ორჯერვე პირველთაგანვე აღიარა...

სავარაუდოდ, ამიტომაც იყო, რომ ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები სამხრეთ ამერიკის ხალხის ტემპერამენტისა და ფიზიოლოგიურ-ტიპოლოგიური მსგავსების გამოც მიიწვედნენ სამხრეთ ამერიკისაკენ.

საერთოდ, დაინტერესებული მკვლევარი თამარ პაპავას ეპისტოლეებში ბევრ საყურადღებო მასალას იპოვის სამშობლოს ფარგლებს გარეთ მოხვედრილი ქართველების უცხოეთში მოღვაწეობის შესახებ, რომლის სანიმუშო მაგალითია სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ავთანდილ მერაბაშვილის საქმიანობა: თავის სამშობლოზე უაღრესად შეყვარებულმა მამულიშვილმა ავთანდილ მერაბაშვილმა „ვეფხისტყაოსანზე“ მეცნიერული და მთარგმნელობითი მუშაობისათვის ნამდვილი ქართული ოაზისი შეუქმნა ვიკტორ ნოზაძესა და „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურად მთარგმნელს გუსტაო დე ლა ტორეს, რაზეც მოგვითხრობს თამარ პაპავას ერთ-ერთი ეპისტოლე: „ჩვენი მეგობარი, ავთანდილი, მშვენივრათ გამოიყურება; თუმცა ხანდახან გულს იტკიებს, – ბევრი აქვს გამოვლილი.. ცხოვრობს მშვენიერს საკუთარ სახლში, რომელსაც აკრავს უმშვენიერესი ბაღი, ხეხილითა და ვარდ-ყვავილებით. მისი მეუღლე ჭეშმარიტად, მშვენიერი სილამაზის და მოხდენილი ტანადობის ქალია; ის ჩილელია წარჩინებულის და განათლებული წრიდან... ავთანდილი ძალიან ბევრს მუშაობს. საქმე რასაც ის მოეკიდა, დიდია და მძიმე; თან მეტათ ბევრ და მუდმივ შრომას და ზრუნვას მოითხოვს. და რაც მთავარია, დიდ თანხებს. ის სანტიაგოდან მოშორებით აშენებს კურორტს" (პაპავა ფონდი 28103/19).

თამარ პაპავას ცხოვრებისა და შემოქმედების სამხრეთ ამერიკული პერიოდიდან, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ეპისტოლურ ჟანრთან ერთად კიდევ უფრო შეავსო მისმა მემუარებმა, რომელიც მკითხველთა აუდიტორიამ ახლახან იხილა.

თამარ პაპავას მემუარები „ჩემი კრიალოსანი" XX საუკუნის ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიის ერთი უნიშვნელოვანესი წყაროა, სადაც მკითხველი „მსხვილი პლანით გაეცნობა ისეთ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი,

მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ვიკტორ ნოზაძე, ნოე ჟორდანიას, კიტა ჩხენკელი, შალვა ამირეჯიბი, გიორგი კვინიტაძე, ილია ზდანევიჩი და მრავალი სხვ.

თამარ პაპავას მემუარები ყველაზე „გამორჩეულია თავისი მასშტაბურობით, თავისი ინფორმაციულობითა და თავისი გულწრფელობით. ცალკე უნდა აღინიშნოს მემუარების სტილი და მისი ავტორის მწერლური ღირსებები. „ჩემი კრიალოსანი“ ერთის ამოსუნთქვით, სათავგადასავლო რომანივით იკითხება“ – აღნიშნავს პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი (*„ქართული ემიგრაცია“ 2013:193*).

თავისი მემუარები თამარ პაპავამ ემიგრაციაში წასვლის დღიდან დაიწყო, რომელიც დროით და სივრცით ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული სამი ეპიზოდისაგან შედგება: 1924-1925 წლების ჰამბურგი და პარიზი; 1945 წლის გერმანია; 1949-1952 წლების საფრანგეთი და არგენტინა.

მის მემუარებში ასევე ყურადღებას იპყრობს საერთო საზოგადოებრივი ამბების, ეპოქის ხასიათისა და საზოგადოების აზრის გამოთქმა-აღწერა, რომლის უშუალო მონაწილეც თავად განლდათ.

მემუარებში თ. პაპავა სამართლებრივი პოზიციიდან აფასებდა ფაშისტური გერმანიის მიერ მსოფლიოს თავდატეხილ უბედურებას: „დღეს შეწყდა სისხლისღვრა და მთელ ქვეყანას ტუჩებზე „მშვიდობიანობა“, ახალ ცხოვრების დაწყების იმედი აწერია. დღეს – ქართული პოეზიის დღეს, შვიდმანისობას – მოხდა ეს „განახლება“ და განარება, თითქოს მომაკვდავმა კაცობრიობამ განკურნებისაკენ იბრუნა პირი, თითქოს ეს ვერაგობის და ველურობის ხანა სისხლით, ცრემლებით და გლოვით სავსე სამარეში ჩაწვა, დასტოვა უსაშინელესი მეგვიდრეობა და უმძიმესი წამების ჯვარი აჰკიდა გერმანელ ერს...

ერთხელ კიდევ გაიღვა ცაში სახარების სიტყვებმა. მისმა სადა და უკვდავმა ჭეშმარიტებამ. „მახვილის ამღები მახვილითვე განიკვეთება“.

მაგრამ მე მჯერა ახალი ქვეყანა, უბრალო, პატიოსანი და მშრომელი ხალხის ქვეყანა ნელნელა გაუკვლევს გზას ქრისტეს უფრო მაღალ მცნებას: „გიყვარდეს მოყვასი შენი... გიყვარდეს და

შეიბრალებდე მტერსაც შენსას"...

იქნებ ამან, ქრისტეს უმაღლესმა მცნებამ, ზოგი რამ მაინც აპატიოს გაყოფილებულ, თავდავიწყებას მიცემულ ქვეყანას, რომელიც უმაღლეს მწვერვალთან დღეს უძირო უფსკრულში ენარცხება...

იქნებ ამ გზით მის გულში ბატონობის და ძალადობის ნაცვლად სიყვარულმა და სათნოებამ დაისადგუროს.

ეს იქნებოდა ნამდვილი მშვიდობიანობა, რაიც ასე სწყურია ყველას და რასაც ამდენი მსხვერპლი შეეწირა... მინდა ვსთქვა: „გაუმარჯოს ამ რწმენას და ღმობიერების გზას“ (*„ქართული ემიგრაცია“ 2013:207*).

პაატა ნაცვლიშვილის განმარტებით: „მემუარების დროითი ფარგლები თითქმის 60-წლიან პერიოდს მოიცავს – გასული საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე ავტორის გარდაცვალებამდე 1976 წელს. მემუარების გეოგრაფიული არეალი კი – ათზე მეტ ქვეყანას ფარავს: საქართველო, რუსეთი, ესტონეთი, ლატვია, თურქეთი, გერმანია, ჩეხია, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი, ურუგვაი“ (*„ქართული ემიგრაცია“ 2013:193*).

აქედან თამარ პაპავას მემუარების ორი ფრაგმენტი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ემიგრანტულ პრესაში. ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა მისი „ორი კვირა ვირთხებთან“, ხოლო მოგონება ქაქუცა ჩოლოყაშვილზე მან შეიტანა თავის წიგნში „გაბნეული საფლავები“. სულ არსებობს მემუარების რვა მოზრდილი რვეული, რომელიც ძირითადად სამხრეთ ამერიკაში იწერებოდა. მემუარებში, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემიგრანტული ცხოვრების თამარ პაპავასეული შეფასება, რომელშიც ზღვა ტკივილი, სევდა, ნაღველი და უსამველო ნოსტალგიაა ჩადებული.

„ვზივარ რადიოსთან და ვისმენ ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერს“, მოსკოვის დიდი თეატრიდან გადმოცემულს...

რა მშვენიერია ეს ჰანგები, გული მელევა და ნაღველი ეუფლება ჩემს სულს... რად დაგვტანჯა ადამიანმა, რად არ შეგვიძლია ეს მშობლიური ჰანგები ჩემს სამშობლოში გავიგონოთ? ნუთუ აღარ კმარა ეს 25-წლიანი ტყვეობა უცხოეთში? განა აქვს ვისმეს უფლება ასეთის სასჯელით დასაჯოს ადამიანი, რომელსაც ასეთი ხანმოკლე სიცოცხლე აქვს? რისთვის, რატომ სად და რაში ვეძი-

ოთ ამის აზრი? მეოთხედი საუკუნეა, ვკითხულობთ ამას და პასუხი ვერ მივიღეთ. კიდევ რამდენი ვიცადოთ? განა გვაქვს ამდენი დრო?" (*„ქართული ემიგრაცია“* 2013:211).

ეს იყო მრისხანების შემახილი კაცთა მოდგმისა და ღვთის წინაშე, რომელზედაც პასუხი მაშინ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ვერც ევროპამ და ვერც ამერიკამ, ვერც საერთაშორისო სამართლის კანონებმა ვერ გასცა.

რაც უცხოეთის ცის ქვეშ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში მიიღეს ქართველებმა – ეს იყო ემიგრანტობის სანაცვლო თავისუფლება, რომელსაც თამარ პაპავა კალმის ერთი მოსმით გამოხატავს: „ვცხოვრობთ ისე, როგორც შეფერის შორიდან გადმოხვეწილთ, სხვა ქვეყანაში, სხვის მიწაზე ცხრა მთის იქეთ, ვერვებით ხალხს, ჰავას... რა ვქნათ, სხვაგან წასასვლელი აღარსად გვაქვს... მაგრამ რაც არის ამ ქვეყანაში შესანიშნავი ეს არის სრული თავისუფლება" (*„ქართული ემიგრაცია“* 2013:217).

თამარ პაპავას მემუარებს, როგორც ამ ჟანრისათვისაა დამახასიათებელი, დიდი შემეცნებითი, იდეურ-აღმზრდელითი და ეთიკურ-ესთეტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მისი თავისებური სტილით დაწერილი მემუარები იმ დიდად მღელვარე ეპოქის ეპოპეაა, რომელიც მწერალმა გერმანიასა და სამხრეთ ამერიკაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში გაიარა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებულმა სხვადასხვა დროის კატაკლიზმებმა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შემოქმედებით ელიტაზე, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელიც თამარ პაპავაც იყო გავლენა ვერ იქონია. მას გვემული სამშობლოს ტკივილი და პირადი შეჭირვებით განაწამები კაცის აგონია დაუფარავად გამოჰქონდა სააშკარაოზე. გავლენას ვერ ახდენდა სიკვდილ-სიცოცხლის, ადამიანურობის, ჰუმანიტური ხელოვნების გაუფასურება, რადგან მარადი არსებობა სამშობლოს ეკუთვნოდა და მათი შემოქმედება ქართული ლიტერატურის კონტექსტში განიხილებოდა.

როგორც მწერალი და მოაზროვნე, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის უბადლო მცოდნე და სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებით მებრძოლ ქალთა

თაყვანიშცემელი თამარ პაპავა უშუალოდ იყო მიჯაჭვული მშობლიურ კულტურას.

მისი მრავალფეროვანი შემოქმედება, რომლებიც მოიცავს მოთხრობებს, მინიატურებს, ესეებს, პუბლიცისტურ და ხელოვნების თემაზე დაწერილ წერილებსა და შრომებს, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას, ეპისტოლურ მემკვიდრეობასა და მემუარებს, მთარგმნელობით ნიმუშებს, დღესაც მნიშვნელოვანია როგორც ემიგრანტული მწერლობისათვის, ასევე მთელი ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ემიგრაციაში ცხოვრების მიუხედავად, თ. პაპავაზე გავლენა ვერ მოახდინა ვერც მოდერნიზმისა და ვერც პოსტმოდერნიზმის პერიოდის ლიტერატურულმა მიმართულებებმა. იგი ორიგინალურად აგრძელებდა XX საუკუნის ქართული მწერლობის ტრადიციებს და ბოლომდე დარჩა დახვეწილი გემოვნებისა და მაღალი კულტურით გამორჩეულ შემოქმედად, რომელსაც კუთვნილი ადგილი უნდა მიუძღინოთ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.



სვიმონ გოგოლაშვილი
(სვიმონიძე)



დგას: ტარასი შანავა,
სხედან: ირაკლი მაჭარაშვილი
და თამარ პაპავა. წინა რიგში:
ტურფა და მარიამ ჭეიშვილები.
ლომას დე სამორა, 1974 წ.

ვიკტორ ნოზაძე

ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“ მიხაკო წერეთელი აღნიშნავდა: „სრულიად „უგავლენოდ“ უცხო ს მიერ არც ერთი, თვით გენიოსიც, არ აზროვნებს და არ ქმნის, მაგრამ მათ შემონაქმედთა დიდ ღირებულებას ეს გავლენა კი არ ქმნის, არამედ მათი გენია. „გავლენა“ სწავლითგან, შეთვისებითგან მოდის, ზოლო მარტო სწავლული, შემთვისებელი, რაც უნდა ცოდნითა და განათლებით იყოს აღჭურვილი, დიდს რასმე ვეროდეს შეჰქმნის, თუ მისი სული არ არის შემოქმედი, თუ მის ერს, სისხლს არ მიუცია მისთვის ეს ღვთაებრივი ძალა“ (წერეთელი 1990: 276).

ეს სიტყვები აშკარად მიესადაგება ვიკტორ ნოზაძის პიროვნულ მდგომარეობასა და მთელ მის შემოქმედებით მოღვაწეობას. მან 26 წლის ასაკში დატოვა საქართველო და მის მრავალფეროვან შემოქმედებაში, მიხაკო წერეთლის თქმისა არ იყოს, „ყველგან ვხედავთ ღემონს ეროვნული შემოქმედებისა, რომელიც უცხო ს ითვისებს, მაგრამ გარდაქმნის და თვითაც ახალს ჰქმნის, ეროვნულს, ინდივიდუალურს, რასაც ერის განცდათა სიღრმეში აქვს ძირი“ (წერეთელი 1990: 277).

ვიკტორ ნოზაძე უდავოდ საინტერესო ქართველი მოღვაწეა. მისი მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელიც წარმოდგენილია პოლიტიკური, მეცნიერული, პუბლიცისტური და მთარგმნელობითი მოღვაწეობით, საგანგებო შესწავლას მოითხოვს და მნიშვნელოვანია ქართული ემიგრანტული მწერლობისა და, საერთოდ, მთელი ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ვიკტორ ნოზაძე დაიბადა 1893 წლის 17 სექტემბერს ზემო იმერეთში, საჩხერის მახლობლად, სოფელ წირქვალაში. დაწყებითი სწავლა-განათლება მან საჩხერის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ იგი ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში შეიყვანეს.

1910 წელს ვ. ნოზაძემ გამოცდები ჩააბარა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასში. ამ დროს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი, რომელიც მაღალი პატრიოტული სუ-

ლისკვეთებით ზრდიდა თავის მოწაფეებს.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლის ბედნიერ წლებსა და გიმნაზიის ღირექტორზე „იოსებ ოცხელის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო“ ემიგრაციაში მყოფ მის მოსწავლეებთან ერთად ვიკტორ ნოზაძემაც მშენიერი მოგონება დაგვიტოვა: „ქუთაისის „სათავადაზნაუროდ“ წოდებული გიმნაზია კერძო ხასიათისა იყო, ე.ი. ეს სასწავლებელი მთავრობის ხარჯზე არ არსებობდა. ამ გიმნაზიას, რომელსაც პირველად „ბანკის კლასი“ ერქვა, „სათავადაზნაურო“ იმიტომ დაარქვეს, რომ მას ქუთაისის „სათავადაზნაურო ბანკი“ ინახავდა. „ქართული გიმნაზიის“ სახელწოდება იქიდან წარმოდგა, რომ გიმნაზია ქართველობას ეკუთვნოდა და იქ, ქართულის სწავლა სავალდებულო გახდა, რასაც მთავრობის გიმნაზია მოკლებული იყო. მართალია, ამ „ქართულ გიმნაზიაში“ ბევრი იყო თავად-აზნაურთაგან, მაგრამ მასში ირიცხებოდნენ ვაჭართა და გლეხთა შვილები, სომხებიცა და ებრაელებიც...

ჰოდა, და არც მე ვიყავი: არც თავადი, არც აზნაური! ქართული გიმნაზიის კარი ყველასათვის ღია იყო” (*„კავკასიონი“ 1976:206*).

შეიძლება იმთავითვე აღვნიშნოთ შემდეგი: ვ. ნოზაძის პოლიტიკური, მეცნიერულ-ლიტერატურული, მწერლური და პუბლიცისტური უნარ-ჩვევები, ღრმა ანალიტიკური მიზანმიმართულება და ნებისყოფა, მისი მრავალმხრივი ნიჭიერების წარმოჩენა, სწორედ გიმნაზიის სწავლის პერიოდში გამოიჟღავნდა.

იმხანად საქართველოში ორი ძლიერი პარტია იყო ჩამოყალიბებული: სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების. ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა სოციალისტ-ფედერალიტებს ემხრობოდა. სოციალ-დემოკრატები კი ძალიან მცირე რიცხვით შემოიფარგლებოდნენ.

ვ. ნოზაძე მოსწავლეობის პერიოდიდანვე ემხრობოდა სოციალ-დემოკრატების პარტიას, რომელიც იყოფოდა ბოლშევიკურ და მენშევიკურ მიმართულებებად. თუმცა „ორთავე ეროვნული თვალსაზრისით ერთნაირად სცოდავდნენ. მათი უთანხმოებანი უპირატესად შეეხებოდა რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა განსაზღვრას“ (*სურგულაძე 1991:151*). მარქსისტული მოძღვრებით გატაცებული ვ. ნოზაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დემონსტრაც-

ციებში.

1913 წელს ვიქტორ ნოზაძემ ოქროს მედლით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. იმავე წელს იგი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ, ზოგის ცნობით, იურიდიულ ფაკულტეტზე. აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეული იყო „უურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე შ. კალანდაძისა („ვიქტორ ნოზაძის ხსოვნისათვის“) და დ. ვაშაძის („ჩვენი ვიქტორი“) მიერ გამოქვეყნებული წერილებით, რომლებიც ვ. ნოზაძეს ხან ფილოლოგიის და ხან იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულად მიიჩნევდნენ“ („კავკასიონი“ 1976:7-11).

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ვ. ნოზაძეს დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, რასაც ცხადყოფს გიორგი ზდანოვიჩის სახელზე გაგზავნილ წერილზე მისივე ხელმოწერა (ქიმ.1772. ფ.2).

მეტი სიზუსტისათვის დავიმოწმებთ შესაბამის დოკუმენტს:
„ბ-ნ გიორგი!

ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, თუ შორეულ რუსეთიდან კვადნიერდები და გაწუხებთ. ვგრძნობ, რომ გაწუხებთ, შეიძლება შეურაცყოფასაც გაყენებთ, მაგრამ თავს ერთი რამით ვიმართლებ: გაჭირვებულს, მგონი, აქვს იმდენი მორალური უფლება, რომ თავის „მეს“ წუხილი შეატყობინოს სხვას. ესარგებლობ, ამ პრინციპით და მოგმართავთ თქვენ. ვიცი, რომ ჭიათურის საბჭოს ერთ ბურჯს თქვენ წარმოადგენთ, რომ იქ თქვენ გადამწყვეტი ხმა გაქვთ. ამ თვის 12-ში, როგორც თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ირჩევა სტიპენდიები. მე, ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებულს შემოტანილი მაქვს თხოვნა, რითაც სტიპენდიის მიღებას ვფიქრობ. მე აქ, არ მინდა ავიწეროთ ჩემი მდგომარეობა, რადგან ეს ძალიან შორს წამიყვანდა, და თან მეშინია თავი არ შეგაწყინო. ვიტყვი მხოლოდ, რომ მატერიალურ გაჭირვებას განვიცდი. დამიჯერებთ, თუ ჯერ კიდევ არ დაგკარგვიათ იმედი ქართველ სტუდენტის სიტყვის სიმართლეში. აი, ამ მდგომარეობამ მაიძულა გამებედა და თქვენთვის დახმარება მეთხოვნა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ რამდენათაც მე ვიცი, თქვენ არ

დაიზარებთ და შემწეობას აღმოძინებთ.

ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ ხმა ჩემი „არ დარჩება ხმაღ მლალადებლისა უღაბნოსა შინა“, რადგან თქვენი კაცთმოყვარული ბუნება ჩემთვისაც იშოვის თავშესაფარს.

დავშთები მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ

ფაკულტეტის სტუდენტი ბიკტორ ივანეს ძე ნოზაძე “ (ქიბ. 1772. ფ-2).

რაც შეეხება სახელს, ემიგრანტული ლიტერატურის მასალებში, ვ. ნოზაძე ხან ვიკტორად, ხან კი ვიქტორად არის მოხსენიებული, მაშინ როცა ზემოთ მოყვანილ წერილს ვ. ნოზაძე ხელს აწერს, როგორც ბიკტორ ნოზაძე.

გამოდის, რომ მისი ნათლობის სახელი ყოფილა ბიკტორი, რაც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ მის წერილებში გამოყენებული ფსევდონიმების სახელის ინიციალიდანაც კარგად ჩანს: ბ. ვარდანი, ბ. ბებურიშვილი და სხვა. შემდეგ წლებში გამოქვეყნებული მასალების ხელმოწერიდან კი დასტურდება, რომ იგი თავის სახელსა და გვარს ვიკტორ ნოზაძედ წერდა.

აქედან გამომდინარე, ჩვენც ვიცავთ მის საავტორო უფლებებს და მას დისერტაციის მასალებში ვიკტორ ნოზაძედ წარმოვაცინებთ.

ვიკტორ ნოზაძე საქართველოში 1917 წლის მაისში დაბრუნდა და თებერვლის რევოლუციასზე თავისი შთაბეჭდილება სოციალ-დემოკრატების გაზეთ „ერთობაში“ მოათავსა. თბილისიდან იგი პარტიამ ქუთაისში პარტიული პრესის ხელმძღვანელად გაგზავნა. გაზეთ „ერთობაში“ ვ. ნოზაძე წერილებს „მოსკოველის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა. ქუთაისში რედაქტორობდა გაზეთს „სოციალ-დემოკრატს“. შემდეგ იგი თბილისში გადაიყვანეს და გარკვეული დროის მანძილზე მთავრობის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორიც იყო.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, ქართველ ხალხთან ერთად აღფრთოვანებით შეხვდა ახალგაზრდა ვიკტორ ნოზაძეც, რომელმაც მაშინდელი განწყობილება დიდი ექსტაზით გადმოსცა ნახევარი საუკუნის შემდეგ ჟურნალ „კავკასიონში“ დაბეჭდილ წერილში „სა-

ქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა”: „26 მაისს 1918 წლის 5 საათზე და 10 წუთზე ნოე ჟორდანია კითხულობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს, რომელიც ეროვნული საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

... ქართველმა ერმა კვლავ აღიდგინა თავისი სახელმწიფო; საქართველო კვლავ გამოვიდა ისტორიის ფართო შარაზე თავისი საკუთარი სახით; თავისი პირადი სახელითა და გვარით; თავისი პასპორტით. მრავალი საუკუნის შემდეგ ეს იყო ჭეშმარიტი აღდგომა საქართველოსი” (*„აკაკასიონი“ 1968: 41*).

1919 წელს ვიკტორ ნოზაძე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ გაგზავნა. მოსე იმნაიშვილის სიტყვით: „მთავრობამ გამოიტანა გადაწყვეტილება ქართველი ახალგაზრდების მთელი ჯგუფის საზღვარგარეთ, სახელდობრ, ევროპაში გაგზავნის შესახებ, რომელიც, ევროპული ცოდნით შეიარაღებული, უნდა დახმარებოდა მთავრობას მომავალში, სახელმწიფო მმართველობის საქმეში. ამ გადაწყვეტილებით ნაგულისხმები ახალგაზრდების ჯგუფი, დაახლოებით 70 პირის შემადგენლობით კიდევ გაემგზავრა ევროპისაკენ 1920 წლის დასაწყისში. ეს ჯგუფი განაწილდა მთელ ევროპაზე, მაგრამ მისმა დიდმა უმრავლესობამ აირჩია გერმანია. ქართველი ახალგაზრდობის ზევით აღნიშნული ჯგუფიდან რამდენიმე პირი, მათ შორის, ვიკტორ ნოზაძე გაემგზავრა ლონდონში, მაგრამ სულ მალე იგი გადავიდა ბერლინში” (*„აკაკასიონი“ 1976:6*).

საქართველოს გასაბჭოებამ 1921 წლის თებერვალ-მარტში ვიკტორ ნოზაძეს ინგლისში მოუსწრო. სამშობლოში დაბრუნებას მან ევროპაში დარჩენა არჩია და საქართველოში ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების მოლოდინში გერმანიაში გადავიდა და სწავლა გააგრძელა. მალე იგი სოციალურ მეცნიერებას დაეუფლა და 1926 წელს ბერლინის უნივერსიტეტი დაამთავრა დოქტორის ხარისხით. ვიკტორ ნოზაძემ გერმანიაში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად აქტიური პოლიტიკური და შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღა. კითხულობდა ლექციებსა და მოხსენებებს სხვადასხვა თემაზე, უმთავრესად ლიტერატურაზე.

ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1928 წელს, იგი საცხოვრებლად ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცენტრში – პარიზში გადასახლდა და ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩაება. 30-იანი წლებიდან ვ. ნოზაძემ შეიცვალა პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ახალგაზრდობისას ქართული ეროვნული სოციალიზმის გამზიარებელი, იგი დროთა ვითარებაში ქართული დარაზმულობის – „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა.

უცხოებაში ვიკტორ ნოზაძემ არაერთი ქართული ჟურნალი და გაზეთი დააარსა. ესენია: „ორნატი“, „კავკასიონი“, „თეთრი გიორგი“, „ქართლოსი“, „ქართველი ერი“, „მამული“.

„ჟურნალ „კავკასიონში“ ბ. ბებურიშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებული იყო ვიკტორ ნოზაძის ორი პროზაული ნაწარმოები: „ქალწულს“ (№4) და „მე, ბედი და შენ“ (№5)“. „ეს ნამდვილი აღმოჩენაა მათთვის, ვისაც სურს დააფასოს ვიკტორ ნოზაძის მწერლური ტალანტი,“ – აღნიშნავდა გურამ შარაძე (შარაძე 2003: 144).

ემიგრაციაში ვ. ნოზაძე ლიტერატურულ-ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან ერთად, პოლიტიკაშიც აქტიურად იყო ჩაბმული. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ჩამოყალიბებულ ე.წ. „თეთრი გიორგის“ რაზმებს (1926-1936 წლები) ვიკტორ ნოზაძის ხელმძღვანელობით „ორნატის ჯგუფიც“ შეუერთდა და გაზეთ „თეთრი გიორგის“ რედაქტორი გახდა.

„1936 წელს ორგანიზაციაში განხეთქილება მოხდა. IV ყრილობამ ხელმძღვანელობიდან დაუსწრებლად გადააყენა ლეო კერესელიძე და მის ნაცვლად შალვა მაღლაკელიძე აირჩია. პარიზში დაბრუნებულმა კერესელიძემ, მიხაკო წერეთლისა და თავისი მომხრეების აქტიური მხარდაჭერით, ხელმძღვანელობა დაიბრუნა. ახალმა ყრილობამ კი „ორნატის“ ჯგუფი მოძრაობიდან გარიცხა და ნოზაძე გაზეთის რედაქტორობასაც ჩამოაშორა“ (დაუშვილი 2007:115).

ასე რომ, ემიგრაციაში ვიკტორ ნოზაძე ეწეოდა ორმაგ მუშაობას: ქართული მეცნიერებისათვის თავისი დიდი ნაშრომებითა და ქართველი ხალხის პოლიტიკური განთავისუფლებისათვის.

გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა: „მწერალი პოლიტიკაში არ

უნდა ერეოდეს, რადგან პოლიტიკას ვერაფერს შეჰმატებს და სულ ტყუილად დაზარალდებაო”. ნაპოლეონის თქმით კი „პოლიტიკა ბედისწერაა.”

ასევე ზოგიერთი პოლიტიკას ადამიანთა შორის ბრძოლად მიიჩნევდა, ხოლო ლიტერატურას კი – ბრძოლას ადამიანში.

მეცნიერი, მწერალი და პუბლიცისტი ვიკტორ ნოზაძეც აღმოჩნდა საუკუნის ორომტრიალში ჩათრეული არა იმიტომ, რომ ძალაუფლებისაკენ ილტვოდა, არამედ მას მიაჩნდა, რომ ყველა დიდი შემოქმედის სიდიდე, უპირველესად, პიროვნულ თავისუფლებასა და სულიერ მე-ში გამოიხატებოდა და ქართველისათვის თავისუფლება მოასწავებდა „რუსის განდევნას” და „რუსის განდევნა” კი თავისუფლებას. ყოველი ქართველი „სამანს იქითაც და სამანს აქეთაც” აშკარად გრძნობდა, თუ რამდენად საჭირო იყო სამშობლოსა და მისი კეთილდღეობისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და პოლიტიკური თავისუფლება.

„ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ერთმა ნაწილმა თავისი შელახული და წართმეული უფლების აღდგენის ერთადერთ რეალურ მებრძოლ ძალად მაშინ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ გერმანია დაინახა, კომუნისტების მესაფლავე იდეოლოგიად კი ფაშიზმი, რომელიც ატრიალებდა ისტორიასა და ბედისწერის ბორბალს” (სიგუა 2002:169-171).

ამ მიზნით იკისრა ერის წინამძღოლობის მისია უცხოეთში გადახვეწილმა ინტელექტუალურმა ელიტამ, როგორც ერის იდეოლოგმა, ერის გულისთქმის მებაირახტემ და ამ გულისთქმის თეორიულ-ფილოსოფიურ სისტემაში ჩამომქმნელ – ჩამომყალიბებელმა.

აქედან გამომდინარე იყო, რომ 1937-39 წლებში პარიზში შალვა მადლაკელიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა „ქართული ფაშისტური დარაზმულობა”, რომლის დებულებანი „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის” დაწერა ვიკტორ ნოზაძემ.

პროგრამა 14 მუხლისაგან შედგებოდა. მათ კონსტიტუციური მონარქიული სახელმწიფოს აღდგენა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის მთავარ კრიტერიუმად მიაჩნდათ, სადაც ყველა ქართველი თანასწორუფლებიანი და თანას-

წორმოვალეობიანი იქნებოდა. „ფაშისტურმა დარაზმულობამ“ ინტეგრალური ნაციონალიზმისა და ეკლესიის აღდგენის იდეა იტალიელი ფაშისტებისაგან აიღო, მაგრამ გერმანული ნაციზმი და რასიზმი უარყო, რადგან არ ამტკიცებდნენ ქართველი ერის გამორჩეულობასა და განსაკუთრებულობას, როგორც ამას ნაციისტები აკეთებდნენ. საერთოდ, „ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა“ ორგანიზაციულად არც გერმანულ ნაციონალურ-სოციალისტურ და არც იტალიელ ფაშისტთა პარტიაში არ შესულა.

„ქართველ ფაშისტთა“ დებულებები უტოპიზმითა და ერთგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობით ხასიათდებოდა, რაც შემდგომ ისტორიამ და ცხოვრებამაც დაადასტურა. მალე ქართველ ფაშისტებს გერმანიაზე გული აეყარათ და დარაზმულობა დაშალეს; მაგრამ, გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის ომის დაწყებამ, სამშობლოს გამოსხნის იმედი კვლავ ჩაუსახა და ამიტომ მოქმედ გერმანულ არმიასა და ეროვნულ ბატალიონებში სხვა ემიგრანტებთან ერთად „ქართული ფაშისტური დარაზმულობის“ ყოფილი წევრებიც ჩაეწერნენ, რათა სამშობლოს განთავისუფლებაში მონაწილეობა მიეღოთ. ამ დროს შ. მალაქელიძე გერმანელებთან თანამშრომლობდა, როგორც სამხედრო პირი, ხოლო ვიქტორ ნოზაძე და კალისტრატე სალია „ქართული შტაბის“ საქმიანობაში მონაწილეობდნენ, როგორც რიგითი უპარტიო ქართველები.

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ნიურნბერგის პროცესმა გერმანელ ფაშისტთა რასისტული და ანტიჰუმანური მოღვაწეობა გამოაშკარავა, ბევრი ქართველისათვის ომის ეს მათთვის უცნობი საშინელი მხარე, ტრაგიკული აღმოჩნდა. ბევრ მათგანს, ამ თანამშრომლობისათვის და არა მათი „ფაშისტური წარსულისათვის“, მათ შორის ვიქტორ ნოზაძეს, ევროპის დატოვება მოუწია“ (დაუშვილი 2007:117-123).

აქ მთავრდება ვიქტორ ნოზაძის აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა და იწყება მისი ფართო ლიტერატურულ-მეცნიერული შემოქმედებითი მუშაობა, თუმცა მას საქართველოს ხსენისათვის იდეოლოგიური ბრძოლა არასოდეს შეუწყვეტია.

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად, ვ. ნოზაძე სამეცნიერო მუშაობასაც ეწეო-

და. ქართულ ფაშისტთა ჟურნალ „ქართლოსის“ მე-11 და მე-12 ნომერებში დაბეჭდილი იყო მისი პუბლიკაცია „ვეფხისტყაოსანი – ეროვნების კავშირი“.

იგი ზიჩის ნახატებით იყო ილუსტრირებული. ყოველ ნომერში შავი შრიფტით მეორდებოდა საპროგრამო დებულებები, რომლებსაც ვ. ნოზაძისაგან რეფერენად ჰქონდა წამძღვარებული – „საქართველომ კვლავ უნდა შვას რუსთაველი“.

ამბობენ, „ვიქტორს ახალგაზრდობიდან სიკვდილამდე ჰქონდა გატაცება, ეს იყო ჟინი წერისა. ერთხელ მეგობართან საუბრისას უთქვამს „ასეა ჩემი ბუნება, მეღანი რომ არ მქონდეს, ჩემი სისხლით დაწვერდი“.

მართლაც, კალამი ხმალივით ჰქონდა მოღერებული მას. საქართველოს ფიზიკელი გუშაგი, ყოველ საჭირობოროტო საკითხს ეხმიანებოდა“, – აღნიშნავდა მისი ძმა გიორგი ნოზაძე (*„კავკასიონი“ 1976:12*).

1949 წლიდან ვ. ნოზაძე საცხოვრებლად სამხრეთ ამერიკაში გადავიდა, სადაც არგენტინის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე გახდა, ხოლო 1951 წელს რედაქტორობდა ბუენოს-აირესში გამოშვალ ჟურნალ „მამულს“. არგენტინის შემდეგ მან ფართო ლიტერატურულ-სამეცნიერო მუშაობა გააგრძელა სანტიაგო დე ჩილეში.

ასე რომ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პოლიტიკურ მოღვაწეობაში დამარცხებულმა ვ. ნოზაძემ მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა რუსთველოლოგიაში ფართო მეცნიერულ მუშაობას მიუძღვნა. „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლჭვრეტისა და კულტურის სრული და დაწვრილებითი კვლევისათვის მან იმთავითვე ჩამოაყალიბა თავისი გეგმა: „რა სოციალურ – ეკონომიურ საძირკველზეა დამყარებული „ვეფხისტყაოსანი“? როგორაა იგი აწყობილი და დაწყობილი? რა წესი და ზნეჩვეულება ახასიათებს მას? რა მხედველობითაა იგი შეკრული? რისთვის და როგორ იბრძვიან? რით სულდგმულობს იგი?“ (*ნოზაძე 1958:3*).

ამ და სხვა საკითხების შესწავლა-გადასინჯვით დაიწყო ვ. ნოზაძემ თავისი გრანდიოზული კვლევა რუსთველოლოგიაში, სადაც ავტორი სამხრეთ ამერიკაში დაბეჭდილ ყოველი წიგნის ბოლოს ხელის მომწერთათვის საკუთარ მისამართებსაც მიუთითებდა.

იყო ეს ბუენოს-აირესი (Dr. Victor Nozadse BLanco Encalada 5196 Buenos Aires Argentina) თუ სანტიაგო დე ჩილე (Capitan Ozella, 2593 Santiago de Chile Chile).

ოცდაათი წელი მონადრომა ვიკტორ ნოზადემ „ვეფხისტყაოსნის“ „ჩხრეკას“. მას მძიმე პირობებში, ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე, მარტოდმარტოს უხდებოდა მუშაობა. მეცნიერსა და მწერალს ერთი მიზანი ასულდგმულებდა – ქართველი ერის სულიერი ნამოქმედარი შეთვისებული, შესწავლილი და შესისხლხორცებული ყოფილიყო თანამედროვე ქართველის მიერ, რაც სამშობლოს გარეთ კულტურული სფეროს გზასავლის აღმავლობისა და სულიერი შემოქმედების გაძლიერების საწინდარი იყო.

სამშობლოდან სიშორით გაჩენილი ნოსტალგიური გრძნობისა და სულიერი ტკივილის განქარვების ერთადერთი რეალური საშუალება ვიკტორ ნოზადისათვის იყო „ვეფხისტყაოსნის“ „ჩხრეკანი“, რომელსაც იგი ილუზიურ სამყაროში გადაჰყავდა და პოემის პერსონაჟებთან ერთად იბრძოდა ნესტანის სახეში გაცხადებული, დატყვევებული სამშობლოს გასათავისუფლებლად.

დიდი ნიჭისა და ურყევი ნებისყოფის წყალობით, ვიკტორ ნოზადემ შექმნა და სამშობლოს დაუტოვა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული კვლევის 6 მონუმენტური ტომი, რომელთაც იგი გზადაგზა თვითონვე აწყო და ბეჭდავდა. ვ. ნოზადის რუსთველოლოგიური ნაშრომების საერთო სათაურია „ვეფხისტყაოსნის (sic) განკითხვანი“.

ამ სერიის პირველი წიგნი – „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ გამოვიდა ბუენოს-აირესში 1954 წელს, სადაც ვ. ნოზადე ცხოვრობდა თავისი განუყრელი მეგობრების – თამარ და აკაკი პაპაეების ოჯახში.

„ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ ვ. ნოზადემ წიგნის ნაცვლად უსახსრობის გამო რვეულებად დასტამბა. ჩაფიქრებული ჰქონდა მისი რუსთველოლოგიური კვლევები „განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა“ შემდეგი თანამიმდევრობით დაებეჭდა:

1. „ღმრთისმეტყველება“.
2. „ვარსკვლავთმეტყველება“.
3. „მზისმეტყველება“.

4. „საზოგადოებათმეტყველება“.
5. „ზნობათამეტყველება“.
6. „სიყვარულთამეტყველება“.
7. „სიბრძნისმეტყველება“.
8. „ფერთამეტყველება“.
9. „ბუნებისმეტყველება“.
10. დასკვნა: „ვეფხისტყაოსანის მსოფლმხედველობა“.

ვ. ნოზაძემ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ხელმოკლეობის გამო დასაბეჭდად აირჩია ნარკვევი „ფერთამეტყველება“, რომელიც თავისი მოცულობით დანარჩენზე მცირე გახლდათ.

ვ. ნოზაძის პირველი რვეული „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ დააფინანსა თბილისელმა მოქალაქემ ივანე სვიმონის ძე მატინიანმა.

„ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების“ შესავალშივე ავტორი წერდა: „როგორ ფერებს ვხვდებით ვეფხისტყაოსანში? რისთვის და რასთან დაკავშირებით?! და იქვე განმარტავდა: „სხვადასხვა ფერი ვეფხისტყაოსანში დასახელებულია ასჯერ მაინც, და თუ ამას თვალთა პატიოსანთა და ვარდ-ყვავილთა ფერებს მივუმატებთ, თვალ წინ გადაიშლება უშესანიშნავესი და სხვა რომელიმე მწერლისაგან მიუღწეველი ფერთა წარმტაცი სურათი, სულ, მრგვალად, სამასჯერ ფერთა აღნიშვნით. რასთან არის დაკავშირებული და როგორია მნიშვნელობა ამ ფერთა და ფერადობისა? აი, ეს არის ამ ნარკვევის ამოცანა“ (ნოზაძე 2004:111).

აქედან გამომდინარე, ვიკტორ ნოზაძემ „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველებაში“ ფერთა დიდი სიმბოლიზში განიხილა სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, რელიგიურ, სოციალურ, ეკონომიურ ცხოვრებასა და მწერლობასთან კავშირში. პირველ ღრმა მეცნიერულ კვლევაში მან ფერთასიმბოლიკა ასევე წარმოადგინა მხატვრობაში, ადამიანის ბუნებასა და სიყვარულში.

მან პოემაში მოცემულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, საფუძველი მოამზადა ფერის ესთეტიკის სისტემური შესწავლისათვის. ფერის ფენომენის შესახებ მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა სფეროების შესწავლით ვ. ნოზაძემ გაარკვია ფერთა სიმბოლური მნიშვნელობები „ვეფხისტყაოსანში“. მან შუა საუკუნეების

მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებიდან შესაბამისი პარალელების მოყვანით შეძლო წარმოეჩინა პოემის გმირთა ფერწერული პორტრეტები, რამაც იგი საბოლოოდ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „ფერთა სიმბოლიზში ვეფხისტყაოსანში საერთოდ მისი თანამედროვე მსოფლიო კულტურის სურათითაა გადმოცემული და ფერთა სიმბოლიზში მაშინდელი კულტურის სახეს გვიჩვენებს.

ვეფხისტყაოსანის ფერთა სიმბოლიზში შუა საუკუნეთა ფერთა ზოგადი სახის სიმბოლიზმისაგან არ განსხვავდება. როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სიმბოლიზში, ისე ქართულიც კულტურის ერთ კალაპოტში თავსდება, ოღონდ არ მეგულება არც ერთი ისეთი სხვა ნაწარმოები, რომელშიც ფერთა სიმბოლიზში ასეთი მთლიანი სურათით იყოს ნაჩვენები. ვეფხისტყაოსანი ფერთა გალობაა და ფერთა შექებაა, რომელსაც ვერც ერთი გალობა ფერზე ვერ შეედრება" (ნოზაძე 2004:511).

ფერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე, როგორც ვ. ნოზაძე აღნიშნავდა: „სახალხო მედიცინაში, მკითხაობა-მისნობაში, მავნე და კეთილ სულთა რწმენაში, პირუტყვთა ბალანის განმარტებაში, ყვავილთა დათესვაში დროის მიხედვით, ყვავილთა ფერების ენაში და სხვადასხვა" (ნოზაძე 2004:108).

გამოდის რომ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი მრავალ ფერს ხედავს, მაგრამ მათ ათვისებას იგი ვერ ახერხებს, რადგან ამისათვის საჭიროა ფერთა კულტურაში გაწვრთნა, მხატვრული გემოვნებისა და ფერთა ასახულობის შეგრძნების განვითარება.

მაშინ, როგორც ვ. ნოზაძე განმარტავს: „ვეფხისტყაოსანის ქართველ მკითხველთ დიდად განვითარებული ჰქონდათ ფერთა შეგრძნობა, ვინაიდან მრავალნაირი ფერი და ფერადობა აქ ჩვეულებრივ იხმარება" (ნოზაძე 2004:108).

ვეფხისტყაოსანში სიტყვას – ფერი – რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ლინგვისტური – ფერი: წითლობა; ფილოსოფიური – ფერი: არსი; ფიზიოლოგიური – ფერი: ჯანმრთელობა; ესთეტიკური – ფერი: სილამაზე; სოციალური – ფერი: წოდების აღმნიშვნელი; მხატვრული – ფერი: ფერადობა; ფერი: სხვადასხვაობა; ფერი: მსგავსება.

ამ ჩამონათვალში ავტორი ცდილობს აჩვენოს ვეფხისტყაოს-

ნის ფერთა სიღრმე, გაიგოს მისი არსი, გააგებინოს იგი მკითხველსაც, რათა ამ გზით წარმოსახოს ქართული კულტურის შესანიშნავი ხატი.

„განვიკითხე და განვიხილე ვეფხისტყაოსანი ფერთამეტყველების მიხედვით, – წერდა ვ. ნოზაძე. არ ვიცი, ეს განკითხვა შევასრულე თუ არა ვეფხისტყაოსანისათვის სათანადო ღირსებით, გარნა ჩემი გონებისა და ცოდნის მცირე ძალები არ დამიზოგავს, არც შრომა დამიკლია ვეფხისტყაოსანის სიმაღლეს ავწდომოდი, მის სიღრმეს ჩავწვდომოდი, გამეგო მისი სული, გამეგებინებინა იგი მკითხველისათვის“ (ნოზაძე 2004:510).

„ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების“ გამოსვლას რუსთველოლოგთა და მკითხველთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ავტორის აზრით, შეცდომებისაგან არავინ არის დაზღვეული და მომავალმა მკვლევარებმა უნდა მოახდინონ მისი გაგრძელება. ამ თავმდაბლობის მიუხედავად, ვიკტორ ნოზაძეს მრავალ საკითხთა გამო პოლემიკა მოუხდა ბევრ რუსთველოლოგთან. მათ შორის აღმოჩნდნენ ვეფხისტყაოსნის მკვლევარები ნიკო მარი, კორნელი კეკელიძე, სარგის კაკაბაძე და იუსტინე აბულაძე.

ნიკო მარმა შოთა რუსთაველი ნეოპლატონიანად გამოაცხადა. მისი აზრი გაიზიარა კორნელი კეკელიძემ და ვეფხისტყაოსანი მანაც ნეოპლატონურ ნაწარმოებად ჩათვალა. იგივეს აღიარებდა სარგის კაკაბაძეც, რომელიც 1927 წელს მის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანში აღნიშნავდა: „ქართული ნეო-პლატონიკის იოანე პეტრიწის ღვაწლი ფრიად ნაყოფიერი გამოდგა, რადგან ნეოპლატონურ მსოფლმხედველობამ გააფართოვა ქართველი საზოგადოების გონებრივი ჰორიზონტი. ნეოპლატონიზმმა დაამსხვრია ქართველების სარწმუნოებრივ-ნაციონალურ აზროვნების ჩარჩოები და გააადვილა მჭიდრო ლიტერატურულ ურთიერთობის დამყარება მუსულმანურ სამყაროსთან. ნეოპლატონიზმი ქართულ ლიტერატურულ შემოქმედებას უხსნიდა ახალ ასპარეზს, ხოლო ქართულ სოციალურ-კულტურულ ცხოვრების განვითარების მაღალი დონე ამ შემოქმედებას, კერძოდ, პოეზიაში, მკვეთრად ჩამოყალიბებულ რაინდულ იდეოლოგიასთან დაკავშირებით, ფრიად მნიშვნელოვან, საყურადღებო და თავისებურ მიმართულებას აძლევდა. ასეთ პირო-

ბებში წარმოიშვა რაინდობის და მიჯნურობის აპოლოგია – შოთა რუსთაველის პოემა" (ნოზაძე 2004:496–497).

ვიკტორ ნოზაძისათვის, შოთა რუსთაველის ნეოპლატონიანად გამოცხადება მიუღებელი იყო, თუნდ იმ აზრითაც, რომ ნეოპლატონიზმისათვის არსებობს მხოლოდ ერთი უდიდესი და უძლიერესი სიყვარული, – ესაა: სიყვარული ღმერთისადმი, რომელიც გაბატონებული იყო როგორც ნეოპლატონიზმში, ისე ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში და მონაზონურ ცხოვრებაში.

საერთოდ, ნეოპლატონიზმს არ სწამდა მატერია, ხორცი და მით უმეტეს ხორციელი სიყვარული. მაშინ, როცა „ვეფხისტყაოსანი არის ხორციელი სილამაზის ხოტბა და ქება; იგია მშვენების გალობა, დიდება ხორცთა; სიმღერა ხორციელ სიყვარულზე! და რა კავშირი აქვს მას სიკვდილის მოტრფიალე ნეოპლატონიზმთან?" – კითხულობდა ვიკტორ ნოზაძე და კატეგორიულ პასუხსაც თავად სცემდა: „ვეფხისტყაოსანი – ამქვეყნიურ სიყვარულზე გალობა! ვეფხისტყაოსანს ამ მხრივ, ნეოპლატონიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს" (ნოზაძე 2004:499).

პირველი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, ქართველ მკვლევარ-რუსთაველოლოგთა ყურადღება მიიპყრო ვ. ნოზაძის ასეთმა განცხადებამაც: „ჩემი მუშაობის პირველ ხანაში ხელთა მქონდა მეტად ცუდად დაბეჭდილი და შეცდომებით სავსე „ვეფხისტყაოსანი" და ამ შერყენილი პოემის მიხედვით გავწიე მუშაობა, მაგრამ შემდეგ უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (1937 წ.) ტექსტი მოვიპოვე და ამის მიხედვით მომიხდა მთელი ნამუშევრის შესწორება... არც ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი მაკმაყოფილებს – საქართველოში ჯერ იმ აზრამდე არ მისულან, რომ საჭიროა ვეფხისტყაოსანის მეცნიერული გამოცემა; მაგრამ ასეთი მძიმე მუშაობისათვის, ეტყობა, იქ არავის სცალია" (ნოზაძე 2004: 84).

ნოზაძის ეს განცხადება საპოლემიკო გახდა და მას თან მოჰყვა აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის პასუხი: „რაც არ უნდა ილაპარაკონ ცალკეულმა გაბოროტებულმა მტრებმა, მთელი ქვეყნიერებისათვის ცნობილნი არიან უდიდესნი მიღწევანი საბჭოთა მეცნიერებისა, რომელშიც საგრძნობი წილი ქართულ საბჭოთა

მეცნიერებას შეაქვს" (ნოზაძე 1957: 6).

ამის შემდეგ მუსხელიშვილს მოყვანილი აქვს, თუ რა გაკეთდა საქართველოში და რას მიაღწიეს ქართველმა რუსთველოლოგებმა.

ვიკტორ ნოზაძე ამასთან დაკავშირებით განმარტავდა: „სრულიად უხამსად მიმაჩნია ამ წიგნში კამათი პატივცემული აკადემიკოსის. ნ. ი. მუსხელიშვილი არ არის მართალი, როდესაც იგი მე ბრალსა მდებს „ბოროტად მსუნთქავ ცილისწამებაში“.

ქართული მეცნიერების წინააღმდეგ „ცილისწამება“ იქნებოდა, საქართველოში ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტი დაებეჭდათ და მე მეთქვა: ამისათვის იქ არავის სცალია! ტყუილია! არ დაუბეჭდიათო! და რადგან მართლა არ დაუბეჭდიათ და ეს მე აღვნიშნე, ოღონდაც რომ ეს ცილისწამება არ არის. რომ გარჯილიყვნენ და ვეფხისტყაოსნის მეცნიერული ტექსტი გამოეცათ, გახარებული ბოდიშს მოგიხდიდი, და რადგან ასეთი რამ არ მომხდარა, საბოდიშო არაფერი მაქვს" (ნოზაძე 1957: 5).

1957 წელს სანტიავო დე ჩილედან აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის სახელზე გამოგზავნილ პასუხში ვიკტორ ნოზაძე იმასაც აღნიშნავდა, რომ მას არც ი. აბულაძის, არც კ. ჭიჭინაძის და არც ა. შანიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, გ. კიკნაძის და არც სხვათა დღემდე არსებული ვეფხისტყაოსნის დაბეჭდილი ტექსტები მიაჩნდა აკადემიურად, რადგან ზოგი მათგანი რედაქტორის მიერ ძალზე შერყვნილი იყო: „ეს არაა მეცნიერული მუშაობა, რასაც მოითხოვს ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემა. და სწორედ ამიტომ ვთქვი: „მაგრამ ასეთი მძიმე მუშაობისათვის, ეტყობა, იქ არავის სცალია“. ეს დღესაც მართალია და ამიტომ უმართებულოდ მიმაჩნია აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ბრალდება" (ნოზაძე 1954:5).

ვეფხისტყაოსნისადმი უვიცობას, უპასუხისმგებლო და ზერელე დამოკიდებულებას ვ. ნოზაძე არავის პატივებდა, რადგან მას ამას ვეფხისტყაოსნის სიყვარული და მეცნიერული ღირსების დაცვა ავალებდა. თავად ვ. ნოზაძეს სწამდა, რომ ვეფხისტყაოსნის საბოლოო და სრულ გამოკვლევას „მრავალი მეცნიერული თაობა დასჭირდებოდა, „ხოლო ეს ჩემი კნინი ნაღვაწი, დეე იყოს ერთ მცირე არჩივად, რომელიც ქართული მეცნიერების ტაძარში მოწი-

წებითა, კრძალვითა და ბოდიშით შემაქქესო," – აცხადებდა იგი (ნოზაძე 2004: 84).

ქართველ მეცნიერ-რუსთველოლოგებიდან ვიკტორ ნოზაძეს კამათი მოუხდა ასევე მკვლევარ პავლე ინგოროყვასთანაც, რომელმაც ჯერ ჟურნალ „მნათობში" და შემდეგ თავის თხზულებათა პირველ წიგნში გამოაქვეყნა „რუსთველიანას ეპილოგი" („მნათობი" 1963:56).

„სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად და პირდაპირ უნდა აღვნიშნო, რომ მკვლევარ პავლე ინგოროყვას „რუსთველიანას ეპილოგიც" ჩემთვის არის მხოლოდ „ლამაზი ზღაპარი" და ეს თავისი სილამაზით პირველ ზღაპარს უთუოდ სჯობნის", – აცხადებდა ვ. ნოზაძე („აკაკასიონი" 1966:129).

მკვლევარ პ. ინგოროყვას ნარკვევების ირგვლივ ვ. ნოზაძეს დისკუსია მოუწია ასევე აკაკი პაპავასთანაც, სადაც იგი პავლე ინგოროყვას ამავე რუსთველოლოგიურ ნაშრომს იწუნებდა: „სამწუხაროდ, მის მსჯელობას და დაჯერებას ვერ გავიზიარებო".

ამონარიდებიდან ირკვევა, რომ ვიკტორ ნოზაძე „ვეფხისტყაოსნისადმი" არამეცნიერულ დამოკიდებულებას არავის აბატიებდა, რადგან იგი რუსთველოლოგიური ხასიათის ნაშრომებზე მუშაობდა დიდი ცოდნით, გულმოდგინებით, ყურადღებით და ამიტომ უხდებოდა პაექრობა მთელ რიგ საკითხებზე ემიგრაციაში მყოფ მის უახლოეს მეგობრებთანაც კი, მათ შორის, ისეთ სახელგანთქმულ მეცნიერებთან, როგორც იყვნენ მიხაკო წერეთელი და აკაკი პაპავა.

„ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების" გამოსვლასთან დაკავშირებულ პოლემიკაში ჩართულ ვიკტორ ნოზაძეს შენიშვნა მისცა მეცნიერმა და მკვლევარმა, მამა მიქეილ თარხნიშვილმა: „დიდად გთხოვ და გემუდარები, ნუ ლანძღავთ თქვენს მოწინააღმდეგეთ, ვეფხისტყაოსანის მკვლევართ: ეს ყალბის მქნელია, ეს უვიცია, ის უგუნურია. მოწინააღმდეგის ასეთი გამაჰსპინძლება არავისთვის არის სასარგებლო და საპატიო" (ნოზაძე 2004:545).

ამასთან დაკავშირებით, ვ. ნოზაძე პასუხობდა: „თქვენ სასულიერო პირი ბრძანდებით და ასეთ მკვლევართ შეუხდობთ, – თუ გინდ იმ იმედით, რომ სხვა გამოსწორებს... მაგრამ მე ასეთი პატივება არ შემიძლია, რადგან ჩემი ყმაწვილობიდანვე ვეფხისტყაოსანს ვსწავლობ და გაგიჟებით მიყვარს იგი. ვით შეყვარებული,

ველარ ვითმენ იმ უზამსობასა და უმსგავსობას, სირეგვენეს, რომლის მსხვერპლი ვეფხისტყაოსანი გამხდარა. აშკარა უვიცობა და ყალბის მქმნელობა არაა შესანდობარი და ამის გამო ნუ დამძრახავთ" (ნოზაძე 2004:545).

ვიკტორ ნოზაძის აღშფოთება გამოწვეული იყო იმ მკვლევართა ყალბის მქმნელობით „უვიცობისა და სირეგვენის გამო“, რომელთაც ვეფხისტყაოსანში თავისი საკუთარი შესწორებითი ლექსები შეიტანეს და ახალი სიტყვები დაურთეს. რამაც ბუნებრივია დაამახინჯა და დაასახინჩრა ვეფხისტყაოსნის შაირი.

ვ. ნოზაძისათვის არა მარტო მისი მეცნიერული მუშაობა იყო თავგანწირვის ტოლფასი, არამედ სხვისი კვლევებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

„ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების“ პრობლემას ასევე არაერთი მკვლევარი შეხებია და გამოუთქვამს თავისი მოსაზრება, კერძოდ, მოსე გოგიბერიძე, გიორგი ნადირაძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი ავალიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, რევაზ სირაძე და სხვ. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ვიკტორ ნოზაძე დღემდე მიიჩნევა ქართველთა უპირველესი სულიერი განძის – „ვეფხისტყაოსნის“ უერთგულეს ქურუმად, რომელმაც უცხოეთში გადახვეწილობის ჟამს შექმნა რუსთაველის პოეზიის ნაირგვარ პარადიგმათა ამსახველი გრანდიოზული ციკლი – უნიკალური აღქმა რუსთაველისეული ტექსტისა.

საერთოდ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შესასწავლი და ჯეროვნად გასაშუქებელია ის ურთიერთობა, რომელიც ვიკტორ ნოზაძესა და სხვა ქართველ რუსთაველოლოგთა შორის არსებობდა სამშობლოსა და ემიგრაციაში.

პრინციპულ უთანხმოებათა მიუხედავად, ვიკტორ ნოზაძესა და სხვა მკვლევარ რუსთაველოლოგებს შორის მაინც გულთბილი ურთიერთობა არსებობდა, რომელსაც ერთმანეთისადმი ჭეშმარიტი პატივისცემა ელო საფუძვლად. მისი ოდიოზურობა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ მკვლევარ რუსთაველოლოგთა მხრივ ვეფხისტყაოსნისადმი არამეცნიერული მიდგომით.

ავტორმა „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ უძღვნა თავის რძალს ლიდა შარაშიძეს. ამავე წინასიტყვაობაში იგი ასევე

აღნიშნავდა, რომ მადლობას უძღვნიდა „დოქტორ ვახტანგ ჯობაძე-ციციშვილს, ერთ დროს ერლანგის უნივერსიტეტის წიგნთსაცავიდან, ჩემთვის საჭირო წიგნთა დაუზარებლად მოწოდებისათვის და დოქტორ აკაკი და თამარ პაპაევებს, რომელთა შესანიშნავი, და ქართველთა შორის უცხოეთში, ერთადერთი კარგი, მდიდარი ბიბლიოთეკით უხვად ვისარგებლე" (ნოზაძე 1957: 5).

მეორე ტომი – „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“ ვ. ნოზაძემ 4 წლის შემდეგ დაასრულა და იგი 1957 წელს სანტიაგო დე ჩილეში გამოცა.

ვიქტორ ნოზაძე „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველებაში“ დაწვრილებით ეხება ბედის რუსთველისეულ კონცეფციას. მან ამ საკითხს ცალკე თავი მიუძღვნა, რომელსაც „ვეფხისტყაოსანის ბედისმეტყველება“ უწოდა.

თავდაპირველად მკვლევარი გვაწვდის ზოგადად ბედის განმარტებას: „ადამიანი უძღურია და უსუსურია. მის სურვილთა, განძრახვათა წადილთა და მისწრაფებათა განამდვილება განსაზღვრულია და დაბრკოლებული“. ადამიანი ვერ აღწევს მიზანს, მის მისწრაფებას წინ რაღაც ეღობება... და თუ კაცს თავის სურვილთა მიღწევის საშუალება შეფერხებული ან მოსპობილი აქვს, იგი სწორედ ამ რაღაც გარეშე ძალაზე უნდა იყოს დაქვემდებარებული“. „ამ რაღაც გარეშე ძალას“ ვიქტორ ნოზაძე ბედს უწოდებს.

ვიქტორ ნოზაძე დაწვრილებით გადმოგვცემს ბედის შესახებ არსებულ შეხედულებებს სხვადასხვა რელიგიაში: „ბაბილონურში, სპარსულში, ეგვიპტურში, ბერძნულ-რომაულში, ნეოპლატონიანთა ნაზრევში, ქრისტიანულში. იგი აღნიშნავს, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ უარყო ბედის ფატალისტური გაგება: „ქრისტიანული თვალსაზრისით, ბედი არის თვითონ ღმრთის ხელში და ღმრთის წყალობაზეა დამოკიდებული მორწმუნის კარგი თუ ცუდი მომავალი“. ამოსავალი მისთვის არის ბედის სულხან-საბასეული განმარტება – „კაცი ვინმე ბოროტის ღირსი ღმერთთან შეიწყალოს და ბოროტი კეთილად შეუცვალოს, ესე-ვითარი ბედად" (კობიაშვილი 2004: 52).

ყოველივე ამის შემდგომ, მკვლევარი უშუალოდ ეხება ბედის საკითხს „ვეფხისტყაოსანში“. იგი აცხადებს, რომ როგორც პომის გმირები, ასევე ავტორი აღიარებს ბედის არსებობას.

ვ. ნოზაძემ ერთმანეთს დაუკავშირა და პარალელურად განიხილა ღმერთი და ბედი. საბოლოოდ, სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა, რომ ღმერთი და ბედი განსხვავებული ცნებებია, „ვეფხისტყაოსნის“ ბედი ღმერთზეა დამოკიდებული. იგი ცვალებადია და საბოლოოდ პერსონაჟის სულიერ განახლებას, მომავალზე მის ორიენტირებულობას ემსახურება. ასევე განასხვავა მკვლევარმა ბედი და განგება, თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ განგების ვიკტორ ნოზაძისეულ კონცეფციაში ზოგი რამ შემდგომი კვლევების საფუძველზე დაზუსტდა.

ვიკტორ ნოზაძის შეხედულებანი რუსთველური ბედისმეტყველების შესახებ, თავის დროზე დიდი სიახლე იყო.

ამ ნაშრომთან დაკავშირებით, ვ. ნოზაძე აღნიშნავდა: „არ დამიკლია ცლა ვეფხისტყაოსანის ცისა და ციურ გვამთა, ვარსკვლავთა შესწავლისათვის და ამ ჩემი სუსტი ცდის შედეგადაც, მგონია, ვეფხისტყაოსნის ბევრი ლექსი იოლად გასაგები გახდება და ასტრონომია-ასტროლოგიის, ანუ ზოგადად: ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთ მეტყველების ანუ მცოდნეობის დანიშნულება ცხადად შეიქმნება.“

ჩემთვისაც გავიმეორებ იმ სიტყვას, რომელიც დაუწერია უშკის საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა, ბიბლიის ერთი ნაწილის გადამწერს, სტეფანოსს, X საუკუნეში.

„ქ. საყუარელნო, გულსმოდგინება ფრიად მაქუნდა, გარნა წერაიცა ესთენ ვეცადე; ღმრთისათვს შემინდევით; ოდეს ამას წიგნსა ვწერდი. გონებითა ვერ დაწყნარებით ვიყავ. შრომისათვს ლოცვა ყავნთ, დაკლებისათვს შემინდევით“ (ნოზაძე 1957: 4).

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველების“ გამოსვლისთანავე, ვ. ნოზაძე წიგნის წინასიტყვაობაში „უწყებულება მკითხველისათვის“, განმარტავდა: „ვეფხისტყაოსანი არ არის ვარსკვლავთ მრიცხველობის ანუ ასტრონომიის წიგნი: იგი არც ვარსკვლავთმეტყველების ანუ ასტროლოგიის თხზულებაა, მაგრამ ამ დიდებულ პოემაში ასტრონომიული და ასტროლოგიური არა ერთი და ორი ცნება გვხვდება, და ვინაიდან ძველი მეცნიერების ორივე ეს დარგი განუყრელად დაკავშირებული იყო, ამიტომ ამ ჩემს გამოკვლევას სიმოკლისათ-

ვის ერთი ზოგადი სახელი მივანიჭე – ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება" (ნოზაძე 1957: 3).

ჩანდა, რომ ყოველივე ეს ავტორს მისი წიგნის სათაურის გამართლებისათვის ესაჭიროებოდა. წიგნის წინასიტყვაობას ვიკტორ ნოზაძე ასე ასრულებდა: „აქვე მსურს ჩემი უღრმესი და უგულითადესი მადლობა მოვახსენო მღვივე და თავდადებულ მაძულებელს, ავთანდილ მერაბაშვილს, რომელმან კეთილ ინება და დაიკისრა მეტად მძიმე ტვირთი ამ წიგნის დასაბეჭდად. ამ დიდი მსხვერპლის გარეშე შეუძლებელ იყო ამ წიგნის გამოცემა" (ნოზაძე 1957: 4).

„ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველებაში“ ყურადსაღებია განცხადებაც, რომლის თანახმად ნაშრომი მიძღვნილია მის მარჯვორი უორდროპისადმი: „ინგლისელი ნაზი ასულის ქართველი ერის მეგობარის ვეფხისტყაოსანის მთარგმნელის მარჯვორი სკოტ უორდროპის მოსახსენებლად.“ ეს მიძღვნა ჩასმულია ჩარჩოში, რომლის ერთი ფრთა გადმოღებულია ხახულის ხატის ერთი ნაწილიდან და შემდეგ გაორებულია. რითაც გამოუნატა ვიკტორ ნოზაძემ სიყვარული და მადლიერება ქართველი ერის დიდ მეგობარსა და ინგლისელ მეცნიერს მარჯვორი უორდროპს.

იმავე წელსვე გამოვიდა ისევ სანტიაგო დე ჩილემში მისი მესამე წიგნი – „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“.

ქართული მწერლობისათვის მზის დამოწმება, როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებისა, „ვეფხისტყაოსანის“ შექმნამდეც ცნობილი იყო. მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობა ქედს უხრიდა მზეს, როგორც „მნათობთა უკეთესს“ მნათობს.

„ვეფხისტყაოსანში“ თვალშისაცემია მზის დამოწმების სიხშირე. პოემაში იგი სამი ძირითადი მნიშვნელობით წარმოვედგება: 1. მზე – ჩვეულებრივი ასტრონომიული მნათობი. 2. მზე – ასტროლოგიური მნათობი და 3. მზე – ღვთაების ხატი – თვით ღმერთი.

აქედან გამომდინარე, რუსთველოლოგიაში მზესთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრი ღომინირებდა: რიგი მკვლევარები „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით დამოწმებულ – მზეში – ქრისტეს ხედავდა (ვახტანგ IV, კ. ეკაშვილი, ივ. ლოლაშვილი, მ. გიგინეიშვილი), ზოგი ქრისტეს ნაცვლად მის მეტაფორულ სახელს – მზეს გულისხმობდა (ე. ხინთიბიძე), „მზიან ღამეს“, ზოგი „ოთხთვიან

დღესთან" აკავშირებდა (გ. იმედაშვილი), ზოგი კი ირანელთა ძველისძველი სექტის ე. წ. სეფისიანთა გავლენის კვალს ჭვრეტდა (იუს. აბულაძე).

რუსთველოლოგიაში დიდი პოლემიკა გამოიწვია იმ ფაქტმა, თუ რომელ რელიგიას ეკუთვნის რუსთაველის პოემა. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, რუსთაველი ქრისტიანულ სამყაროს ეკუთვნის და ამიტომ პოემაში ასახული ღმერთის ცნების წყაროების ძიება ქრისტიანული რელიგიური მსოფლმხედველობის ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის და რუსთაველის რელიგიურ-ფილოსოფიური გარემოს მიმართულებით უნდა წარიმართოს.

ამ თვალსაზრისით, ვიკტორ ნოზაძემ „მზიანი ღამის" საკითხს ორი ნაშრომი მიუძღვნა – თავდაპირველად „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება" და შემდეგ „ვეფხისტყაოსანის ღმერთისმეტყველება".

„თვით ეს გამოთქმა – „მზიანი ღამე", – წერდა ის პირველ ნაშრომში, – არსად შემხვედრია". მაგრამ ამ გამოთქმის „შინაარსის გამომხატველ" გამოთქმებს იგი სამართლიანად ხედავს ფსევდო-დიონისე არეოპაგიტული თხზულების საღმრთოთა „თეოლოგიურ მისტიკაში". მეტიც, მკვლევარი იმოწმებს გენადი ეიკალოვიჩის თხზულებას „საღმრთოთა სახელთათვის" მოსაზრებას. რომ „მზიანი ღამე" არის მთლიანი სიმბოლო „კატაფატიკისა და აპოფატიკისა! მზე არის დადებითი სიმბოლო ღმერთებისა (ღვთიურობისა), ხოლო ღამე კი (უფრო ხშირად – წყვილადი, ღვთიური სიბნელე) – არის უარყოფითი სიმბოლო". ამგვარად, მკვლევარი მიუთითებს ფილოსოფიურ წყაროს, სადაც „მზიანი ღამის" ანალოგიები არის საძიებელი და კონკრეტულად აკავშირებს რუსთაველის ამ გამოთქმას არეოპაგიტულ მოძღვრებასთან.

„ამ ზოგადი დებულების იქით ვ. ნოზაძის ძიება ამ ნაშრომში არ წასულა და არსებითად მისთვისაც გაურკვეველი დარჩა „მზიანი ღამესთან" დაკავშირებული ყველაზე რთული და მთავარი საკითხი – მისი აზრი და თეორიული საფუძვლები. სახელდობრ, როგორაა გამართლებული ორი ერთმანეთის გამომრიცხველი სიმბოლოს „მთლიანობა", ორი დაპირისპირებული წარმოდგენის – მზისა და ღამის – გაერთიანება ერთ წარმოდგენაში და რა საფუძველი აქვს

ამ გაერთიანებას. გადაუწყვეტელ პრობლემად დარჩა არა იმდენად „მზიანი ღამის“ ანალოგიების ძიება არეოპაგიტულ მოძღვრებაში, რამდენადაც მისი აზრი და კ. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნათელი ღმერთის“ ღამეში, წყვდიადში, სიბნელეში „ყოფნის“ შესაძლებლობის საკითხი“ (მახარაძე 2013:353).

საბოლოოდ, ვიკტორ ნოზაძე თავის წიგნში „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ქრისტიანულ-რელიგიური ასპექტით ღმერთი ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველია, იგი მზისა და, საერთოდ, სამყაროს შემოქმედია, ხოლო მზე „მზიანი ღამის“, „უჟამო ჟამის“, ერთ არსება ერთის ხატია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ღმერთი“ (ნოზაძე 1957: 9-10).

ერთი წლის შემდეგ, სამხრეთ ამერიკაში დაასრულა ვ. ნოზაძემ რუსთველოლოგიური ნაშრომის მეოთხე წიგნი „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება“ და ისიც სანტიაგო დე ჩილეში დაიბეჭდა.

წიგნში სავესებით ბუნებრივად ჩანდა, რომ ქართული საზრისისა და სულიერების სათავეს ვიკტორ ნოზაძე სწორედ ამ ძეგლში ეძებდა, ვინაიდან „ვეფხისტყაოსანი“ ქართული მეობის სრულყოფის გამოძეგვების შემოქმედებაა და ამავე დროს იგი წარმოადგენს ქართული სიტყვის სასიცოცხლო ფენომენს ანუ ქრისტიანული ცნობიერების კარგად ჩამოყალიბებულ მხატვრულ-ესთეტიკურ კოდს.

„ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველებაზე“ მუშაობისას ვ. ნოზაძემ გაგვაცნო საზოგადოება, რომლის პერიოდშიც შეიქმნა ეს პოემა და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „რუსთაველი არც საქართველოს და არც რომელიმე ხალხის ცხოვრებას აგვიწერს, არც რომელიმე ხალხის ისტორიასა და ზნე-ჩვეულებას გვაცნობს, იგი კონკრეტულზე მალა სდგას და საზოგადოების ცხოვრების განყენებულ, ზოგად სურათს გვიხატავს. ამიტომაც ძნელი ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათა ცხოვრების შესწავლა. აქ თითოეულ სიტყვას უნდა ჩაეჭიდო; თითოეული ცნება უნდა გამოძებნო და მისი შინაარსი გახსნა“ (ნოზაძე 1958: 3).

წიგნის – „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება“ – უწყებულება მკითხველისათვის“ წინასიტყვაობაში ვ. ნოზაძე წერ-

და: „ ეს წინამდებარე წიგნი არის მხოლოდ პირველი ცდა ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათა შესასწავლად. ვეფხისტყაოსნის საზოგადოებანი თავიანთი კულტურით ისეთი რთულნი არიან, რომ ყველა საკითხის განხილვა ამ ერთი წიგნის დანიშნულებას აღმატება: მის გარეშე რჩება კიდევ მრავალი საკითხი, რომელიც ცალკე გამოკვლევას საჭიროებს; ჯერჯერობით პირველი წიგნით უნდა განვისაზღვროთ; და არც მისი გამოქვეყნება იქნებოდა შესაძლებელი, რომ ქართული წარსულის სიყვარულით აღმოდებულ ავთანდილ მერაბაშვილს არ გაელო ხარჯი მის დასაბეჭდად. რა თქმა უნდა, ასეთი შემწეობისათვის მას მადლობას მოგახსენებ, და თუ ეს ჩემი ნარკვევი ცოტაოდენ ღირსეულ წვლილს შეიტანს ვეფხისტყაოსნის კვლევა-ძიების საქმეში, მგონია, არც სხვა დაიშურებს მას მადლობა მიუძღვნას. ანაბეჭდთა წაკითხვისათვისაც ბ-ნ ავთანდილ მერაბაშვილს მადლობას ვუხდი" (ნოზაძე 1958: 3).

ამრიგად, ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიურ ნაშრომებში, მთელი სისრულით ვლინდება „ვეფხისტყაოსნაში“ ასახული სამყაროს მშვენიერება, ძლიერება და ცვალებადობა, მუდმივი განახლება. ღმერთმა ეს ქვეყანა შექმნა, ადამიანს მისცა უნარი, აღიქვას ეს მშვენიერება, მისცა შესაძლებლობა დატკბეს სილამაზით და მისი სრულყოფილებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიკტორ ნოზაძეს სამხრეთ ამერიკაში მასპინძლობა გაუწია ჩილეში მცხოვრებმა ქართველმა მრეწველმა ავთანდილ მერაბაშვილმა. ჩილეში მან თავის სქელტანიან ნაშრომთა შექმნის პარალელურად კოლოსარული შრომა გასწია ესპანელ მთარგმნელთან გუსტაო დე ლა ტორესთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ ამ ენაზე თარგმნის საქმეშიც. ისინი რვა წელი თარგმნიდნენ ესპანურად რუსთაველის უკვდავ პოემას, რასაც ადასტურებს ერთი ამონარიდი ავთანდილ მერაბაშვილის ესპანურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობიდან: „ჩემს თვალწინ მოხდა ბატონ გუსტავოსა და ბატონ ნოზაძის დამეგობრება, რომელთაც რუსთაველის დიდი სიყვარული აერთიანებდათ. მათი მეგობრობა 1960 წლამდე გრძელდებოდა, სანამ ნოზაძე არ გაემგზავრა“ (გუსტავო დე ლა ტორე 1964: 120).

თამარ პაპავას ეპისტოლურ მემკვიდრეობაშიც ეს აზრია გა-

მოხატული: „რაც შეეხება ბ-ნ ტორეს მიერ გადათარგმნილ „ვეფ-ხისტყაოსანს“, მასზე, აბა, რა მოგწეროთ?... აკაკის წაუკითხა ბოლომდე და ესეც ძალიან კმაყოფილი დარჩა... თარგმანი უმთავრესად თეთრი ლექსით არის შესრულებული. აკაკის აზრით: თარგმანი ზუსტია და საკმაო მუსიკალობითაა შესრულებული. ძალიან დიდი შრომა გაუწევია დე ლა ტორეს, რომელსაც აუთვისებია რუსთაველი, მაგრამ ბევრს მოიგებდა და უფრო სრულყოფილი გახდებოდა, რომ მთარგმნელი ქართულს დაუფლებოდაო.

ვიკტორს, რასაკვირველია, დიდი შრომა გაუწევია თარგმნის დროს ყოველი სიტყვის ახსნაში და თვითიველი აზრის განმარტებაში" (**პაპავა ფონდი 28103/19**).

თამარ პაპავა ამ წერილში ერთ რამეზეც ამახვილებს ყურადღებას: „ასეთი დიდი განძის ისპანურ ენაზე გამოცემა, – ენაზე, რომელსაც პირველი ადგილთაგანი უჭირავს და რომელზედაც მრავალი მილიონიანი სახელმწიფოების ერები ლაპარაკობენ და სწერენ ამერიკა-ევროპაში, რასაკვირველია, უზადო უნდა იქნეს თარგმანის მხრივ" (**პაპავა ფონდი 28103/19**).

დე ლა ტორემ ვიკტორ ნოზაძესთან ერთად შეძლო 676 სტრიქონის თარგმნა, რომელიც მაქსიმალურად იყო მიახლოებული ორიგინალთან. მან თავისი თარგმანი უძღვნა დედას მარია ელვირა ბოტარო დე ლა ტორეს ხსოვნას, რომელიც იყო ესპანური ენის მასწავლებელი ქალაქ სერენას ქალთა ლიცეუმში.

ამასთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა მზია პაპავას წერილიც: „მამამ, 27 ივნისს, მთელი დღე იმუშავა. ეჩქარებოდა... მოათავა წინასიტყვაობა „ვეფხისტყაოსნის“ ისპანური ენის თარგმანისთვის, რომელიც ჩილეში უნდა გამოვიდეს. ჩვენი გოგონები შველოდნენ. ქართული ტექსტი ისპანურად გადაუთარგმნეს. ღამის პირველ საათზე მოათავა ყველაფერი. დილით გააგზავნა მისი ნაწერი ბატონ ავთანდილთან, რომელმაც წიგნის გამოცემა იკისრა. თარგმანი პოემის შეასრულა ჩილელმა აკადემიკოსმა დე ლა ტორემ ვიკტორ ნოზაძის დახმარებით" (**პაპავა ფონდი 28103/ 32**).

შოთას გენიის უკვდავყოფით ყველა ქართველი ემიგრანტი დიდად იყო დაინტერესებული და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ საშვილიშვილო საქმესაც.

1960 წელს სამხრეთ ამერიკიდან გადასული ვიკტორ ნოზაძე ჯერ ესპანეთში ცხოვრობდა, ხოლო 1963 წელს საფრანგეთში დაბრუნდა, სადაც მან კვლავ გააგრძელა თავისი საყვარელი საქმე.

„ჩვენში ნაკლებად არის ცნობილი ისეთი ღრმა ცოდნით, იმ-ვიათი გონება- მახვილობითა და კეთილსინდისიერებით დაწერილი რუსთველოლოგიური გამოკვლევანი, როგორც ვიკტორ ნოზაძისა იყო. თხრობის საოცარი კულტურა, უზარმაზარი ინფორმაციის ერთ სააზროვნო ხაზზე აგება, ეროვნული სულისკვეთება, ენციკლოპედიური ცოდნა, განათლების დიდი თვალსაწიერი“, – ასე ახასიათებდნენ თანამედროვენი მას.

რუსთველოლოგიაში ვ. ნოზაძე ქართული ლიტერატურის უბრწყინვალესი ძეგლის „ვეფხისტყაოსნის“ ღრმა მეცნიერული და გასაოცარი ცოდნის მასშტაბებით გამორჩეული ნაშრომები საბჭოთა მმართველობის დროს აკრძალული იყო, მაგრამ მისი სამეცნიერო ნააზრევი ფარულად მაინც ვრცელდებოდა საქართველოში.

ვიკტორ ნოზაძის ნიჭიერებით აღფრთოვანებულ მრავალთაყვანისმცემელთა რიცხვში ერია ცნობილი პოლიგლოტი, ენათმეცნიერი, „ვეფხისტყაოსნის“ მშობლიურ ჩეხურ ენაზე პროზაულად და ლექსად მთარგმნელი, პრალის უნივერსიტეტის პროფესორი იარომირ იედლიჩკა.

იგი გულდაგულ სწავლობდა ბ. ნოზაძის რუსთველოლოგიურ შრომებს და საქართველოში უგზავნიდა იოსებ მეგრელიძეს სხვადასხვა ადრესატებისათვის გადასაცემად.

„ახალ ნომერში ვ. ნოზაძის წიგნის წინასიტყვაობა გამოვიდა, მაგრამ თვით წიგნი კი ჯერ არ იყო გამოსული და როცა იგი გამოვიდა, რედაქციამ გაიცნო და მას ენანება, რომ შეცდა, წინასიტყვაობა რომ გამოაქვეყნა, ვინაიდან შინაარსი ბევრ რამეში ქართველი რუსთველოლოგების წინააღმდეგაა. რედაქცია დაუბრუნდება ამ საქმეს ქართულ ნომერში და გთხოვს (ან მე გთხოვთ), რომ თქვენ სხვა რუსთველოლოგებს ბოდიში უთხრათ ამაზე... შეატყობინეთ ა. შანიძეს და სხვებს“ („შათობი“ 1963: 26).

იარომირ იედლიჩკას წერილებით ცნობილი გახდა ერთი საინტერესო ფაქტი: თუ რომელ მეცნიერებს უგზავნიდა ვ. ნოზაძე თავის ნაშრომებს. ესენი იყვნენ: ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ი. მეგრე-

ლიძე, ა. ბარამიძე.

რუსთველოლოგიურ ნაშრომებს საქართველოში ვ. ნოზაძე უგზავნიდა ასევე თავის უახლოეს მეგობრებსა და ნათესავებსაც, რომლის ავტოგრაფით გაგზავნილი წიგნები აღმოჩნდა პროფესორების პავლე იაშვილისა და ემიგრანტ ლევან ჯაფარიძის ძმიშვილის გიგო ჯაფარიძის ბიბლიოთეკასა და პირად არქივში.

ვ. ნოზაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნუსხაში შედის მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელშიც შეფასებულია იმდროინდელ საბჭოთა საქართველოში არსებული ვითარება, სამანს იქით დარჩენილ თანამემამულეთა ყოველი წარმატება, ნებისმიერ სფეროში მომხდარი ერისათვის სასიკეთო ცვლილებები. მის პირად ბარათებში გამჟღავნებული იყო გულწრფელი გრძნობები, რაც კარგად ჩანდა დიომიდე ცქვიტინიძისადმი გაგზავნილ წერილებში: „არ ვიცი, რით დავიმსახურე თქვენი კეთილი ყურადღება... იქნება გეცოდებათ შორს გადაკარგული კაცი, რომელიც ქართულ გალობას არ უსმენს... ამგვარი შეცოდებისათვის ჩემი გულწრფელი მაღლობა უსიტყვოდ გამოთქვი, როცა ოპერა მოვისმინე და იმედი მაქვს ამ მაღლობას გრძნობდით უკვე. თუ თქვენი ჩემდამი პატივისცემა აიხსნება ჩემი კვლევით „ვეფხისტყაოსნის“ საქმეში, მე სათანადოდ არ დამიმსახურებია... ჩემი წვლილი ამ საქმეში ძალიან, ძალიან მცირეა და ვწუხვარ, რომ უცხოეთში გადახვეწილს, საკმაო საშუალება არა მქონდა ეს საქმე საჭიროებისამებრ შემესრულებინა, თუმცა ჩვენს ღუბაჯირ პირობებში ცდა არ დამიკლია“ (*„ლიტერატურული საქართველო“* 1987:12).

ვიკტორ ნოზაძეს რუსთველოლოგიურ გამოკვლევებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების ზეობის ჟამს ზოგჯერ ღია და ზოგჯერ ფარული მიმოწერა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ალექსანდრე ბარამიძისა და ვიკტორ ნოზაძის მიმოწერა: „ღრმად პატივცემულო ბ-ნ პროფესორო ალექსანდრე, პირველად ყოვლისა ჩემს უგულითადეს მაღლობას მოგახსენებთ თქვენი წიგნების გამოგზავნისათვის, რაც ჩემთვის დიდად დასაფასებელია, – წერს ვ. ნოზაძე.

დიდებული საქმე წამოუწყია თქვენს ინსტიტუტს – ვეფხისტყაოსნის ვარიანტთა სრული კრებულის გამოქვეყნება. უმორჩილე-

სად, ვთხოვთ, მომაწოდოთ ეს გამოცემა, ოღონდ არა ჩილეში (რომელსაც ამ თვის ბოლოს მივატოვებ), არამედ პარიზში" (*„ლიტერატურული საქართველო“* 1988: 6).

ამავე წერილში ვ. ნოზაძე აღნიშნავდა, რომ იგი განსაკუთრებით დაინტერესა „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ დამოწმებულმა გამოთქმამ „მას საუკუნესა – საუკუნოსა.“ ეს ქრისტიანული ცნებაა და იგი სპარსულ „ვისრამიანში“ არ იქნებოდა. „როგორ შემედლო ჩემი ეჭვი ამ საკითხისა გამო გამეფანტაო“, – კითხულობს ვ. ნოზაძე და განაგრძობს: „მე ამის გამორკვევა არ შემედლო, რადგან აუცილებელი იყო ქართული ვისრამიანის სპარსულ ვისრამიანთან შედარება და შედარება სწორედ იმ ადგილები-სა, სადაც ცნება „მას საუკუნოსა“ ზუსტად შეესატყვისება თუ არა სპარსულის ვისრამიანის იმავე ადგილს? თუ ეს „მას საუკუნოსა“ არის ქართველი მთარგმნელის მიერ თვითნებურად შეტანილი ქართულ თარგმანში? ჩემი ეჭვი ქართული ვისრამიანის მცნების „მას საუკუნესა“ შესახებ გამართლდა. და დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ პირადად და თქვენს თანამშრომელს ალექსანდრე ვკაზარიას“ (*„ლიტერატურული საქართველო“* 1988: 6).

აღსანიშნავია ისიც, რომ ვ. ნოზაძესთან სამშობლოდანაც ახერხებდნენ უშუალო კავშირ-ურთიერთობას. ამის მაგალითია, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული გიორგი კოკოჩაშვილის მიერ 1959 წლის 5 თებერვლით დათარიღებული წერილი, სადაც იგი თბილისელ კოლეგას რეზო ჟორდანიას წერდა: „მე მიმოწერა დავამყარე ჩილეში მცხოვრებ პროფ. ვიქტორ ნოზაძესთან და გუშინწინ სანტიაგოში დაბეჭდილი ქართული წიგნები მივიღე. ესაა: „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“ და „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“. ძალიან საინტერესოა!“ (ქმ. 2- 211/380).

მართალია, ვიქტორ ნოზაძეს მეცნიერული კვლევა-ძიებისას ხშირად უხდებოდა რუსთველოლოგებთან ცხარე კამათი და დაპირისპირება, მაგრამ საბჭოთა მეცნიერები და რუსთველოლოგიურ მკვლევართა შემდგომი თაობა მის შეფასებაში მაინც პირუთვნელები იყვნენ: „საბჭოთა პერიოდში გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მუდამ სათანადოდ აფასებ-

და და ღირსეულ პატივს მიაგებდა ვიქტორ ნოზაძეს, როგორც მეცნიერ-რუსთველოლოგს. მას რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში შესაფერისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული თავის ნაშრომებზე მითითება – დამოწმებით”... (შარაძე 2001: 26).

„ვიქტორ ნოზაძის მეცნიერული ქმნილებების სრულყოფილი შეცნობა ლიტერატურათმცოდნეთა სპეციფიკურ აღქმასა და, რაც მთავარია, უფართოესი კულტურულ-ისტორიული კონტექსტებით აზროვნებას ითხოვს... მხოლოდ ინტელექტუალური გამოცდილებაა მისით გამსჭვალვისა და სიამოვნების გარანტი...”

მისი, როგორც მეცნიერის ფენომენი ღრმად გვარწმუნებს იმაში, რომ ჭეშმარიტმა ფილოლოგმა, იმისათვის რომ ნამდვილად იფიქროს და ილაპარაკოს სულიერ კულტურაზე, თავისი ცნობიერებით, აზროვნებითა და სულიერი ყოფიერების ცნობისწადილით თვით უნდა გადაინაცვლოს დროითა და სივრცით შემოუზღუდავ კულტურათა კონტექსტში და ოდენ მხოლოდ ამ თავისუფალი სივრციდან შეიმეცნოს ის უნიკალური ღირებულებანი, რასაც ადამიანის ქმნილება „მალავს“ თავის მარად ამოუცნობ, და იდუმალ ლაბირინთებში”, – აღნიშნავდა გურამ ბენაშვილი.

ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ნოზაძის რუსთველოლოგიურ კვლევებს რევაზ ბარამიძე: „საკვლევი ობიექტისადმი დიდი სიყვარულისა და გატაცების გარეშე სპეციალისტი წარმოუდგენელია. მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც. ვისაც გულდასმით წაუკითხავს ვიქტორ ნოზაძის შრომები შოთა რუსთაველის შესახებ, მისთვის აშკარა ხდება, რომ ვიქტორ ნოზაძის დამოკიდებულება რუსთაველისადმი არ არის მხოლოდ სპეციალისტის ან მამულიშვილის მიმართება საკვლევი საგნისადმი. ეს ურთიერთობა არ ისაზღვრება მხოლოდ პროფესიული ან მამულიშვილური ინტერესებით. არა. ბატონი ვიქტორი რაღაც ზეადამიანურია, არაამქვეყნიურია, მოჯადოებულა „ვეფხისტყაოსნის“ მაღლით. მკვლევარის დამოკიდებულება საკვლევი ობიექტისადმი არ თავსდება კვლევა-ძიების სფეროში, ესაა რაღაც ზეადამიანური, სწორედ რომ რუსთველური „სიშმაგით“ შეპყრობილი მიჯნურობა, რომლის ემოციურ და ინტელექტუალურ ენერგიას მარტო კვლევის სიღრმისეულ შრეებში როდი შეჰყავს მაძიებელი, არამედ ამასთანავე საოცრად ამაღლებს, სიცოცხლის ხალისსა და სიღაღეს

ანიჭებს მას" (ბარამიძე 1966:5).

ამ შეფასებათა იდენტურია ჩვენი შეხედულებაც და მიგვაჩნია, რომ ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიურ კვლევებს დღემდე ანალოგი არ მოუპოვება, რადგან თავის ფუნდამენტურ შრომებში იგი რუსთაველის გმირთა რთულ ფსიქოლოგიურ ბუნებას, სულის მრავალფეროვან და უღრმეს პლასტებს წარმოაჩენდა.

XX საუკუნის ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურულ-კრიტიკულ აზროვნებაში, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვ. ნოზაძე გახლდათ, „ვეფხისტყაოსნის“ „ჩზრეკისას“ შეინიშნება ტექსტზე მეტი დაკვირვება. მის შრომებში ფსიქოლოგიური ნიუანსების წვდომისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფრაზებს, თითქოსდა არაფრისმთქმელ სიტყვებს, უბრალოდ ყოფით დეტალებს, რითაც მეცნიერ-რუსთველოლოგი აღწევს პოემის მაღალ იდეურ, ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკის ახლებურად გააზრებას, სადაც ზოგჯერ ევროპული ლიტერატურის კვალდაკვალ გავლებულია პარალელი, წარმოჩენილია მსგავსება ან განსხვავება.

შეიძლება ითქვას, რომ ტექსტის სიღრმისეული შესწავლით, ფრაზეოლოგიაზე მეტი დაკვირვებით ვ. ნოზაძე იმას გვიმჟღავნებს, რაც რუსთაველს უნდოდა ეთქვა.

1963 წელს მისი წიგნის – „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველების“ გამოსვლასთან დაკავშირებით შეიცვალა დამოკიდებულება ვიკტორ ნოზაძისადმი, სადაც იგი დამარწმუნებლად ასაბუთებდა, რომ რუსთაველი იყო ქრისტიანი, მართლმადიდებელი და მის თხზულებაში მკვეთრადაა ეს გამოვლენილი. ამავე დროს, მოცემულ ნაშრომში ვიკტორ ნოზაძე საკმაოდ მწარედ და მკაცრად კიცხავდა საბჭოთა სინამდვილეში ათეიზმის იდეოლოგიის შედეგად მსოფლმხედველობის პოზიციიდან „ვეფხისტყაოსნის“ შეუფასებლობას. ამის შედეგად საქართველოში საერთოდ აიკრძალა ვ. ნოზაძეზე საუბარი და მისი შრომებიდან ციტირება. ეს გაგრძელდა მანამ, ვიდრე არ შეიცვალა საბჭოთა ქვეყნის იდეოლოგიური სტრუქტურა, რომლის შემდეგ კვლავ აღსდგა კონტაქტი მასთან.

საინტერესოა ახალგაზრდა მეცნიერის ქეთევან ელაშვილის შეფასება ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველებაზე“:

„ვეფხისტყაოსნის“ სიღრმისეულ აღქმას გვიმარტივებს ვიქტორ ნოზაძეც თავისი „ფერთამეტყველებით“, რადგანაც მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი ამ ძეგლში რენესანსული ცნობიერების შეგრძნება. ადამიანური აზროვნების ეს ბოლომდე ამოუცნობი ფენომენი ზეადამიანურ ხედვად და განცდად გარდასახული საოცრად კარგად იკვეთება ფერთამეტყველებაში, რადგანაც ფერის შინაგანი ბუნება ყველაზე უკეთ იტევს „ხორციელი და სულიერი სიკეთის“ ჰარმონიულ თანაშემფარდებას, რომელიც რენესანსული ცნობიერების ანუ რუსთველური აზროვნების ერთ-ერთი სრულყოფილი კონცეფციაა და იმავდროულად წარმოადგენს ქართული სულიერების სააზროვნო ენასაც" (ელაშვილი 2004:5).

1966 წელს რუსთაველის 800 წლისთავის გრანდიოზულ იუბილეზე ვიქტორ ნოზაძე საქართველოში მოიწვიეს. მან თბილისიდან ორჯერ მიიღო მოწვევის დეპეშა: „მობრძანდით, იუბილეზე დაესწარით, ბილეთს და ვიზას მიიღებთ საბჭოთა კავშირის საელჩოში“. პირველი დეპეშა რუსულ ენაზე იყო შედგენილი და ხელს აწერდა ირაკლი აბაშიძე. მეორე დეპეშა ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი და ხელს აწერდა „საიუბილეო საორგანიზაციო კომიტეტი“.

ამასთან დაკავშირებით, ვ. ნოზაძეს ასეთი შენიშვნა გაუკეთებია თურმე: „რუსთაველის იუბილეს მართავენ და რუსულად მწერენ დეპეშას?! რუსთაველის იუბილეს თავისუფალი, ბედნიერი საქართველო არ ზეიმობს. ის ჯერ ისევ დაპყრობილია“...

ეტიკეტის გამო, პირველ დეპეშას ვ. ნოზაძემ უპასუხა: „თქვენგან გასაგები მიზეზთა გამო თბილისს ვერ მოვალ და იუბილეს ვერ დავესწრები" (ნიშნაიძე 2005: 339).

ვ. ნოზაძის რუსთველოლოგიური ღვაწლი თავიანთ ნაშრომებში სხვადასხვა დროს შეაფასეს: ზ. გამსახურდიამ – „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“; ნ. სულავამ – „ვეფხის ფერთამეტყველებისათვის“, ნ. კობიაშვილმა – „ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის“ ბედისმეტყველებისათვის“, რ. ბარბაქაძემ – „ფერის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“, თ. ხვედელიანმა – „მიზის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“, მ. კვატაიამ – „ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის სიბრძნისმეტყველება“, რ. სირაძემ – „სახისმეტყველება“, ნ. გონჯიაშვილმა – „ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან უმთარ, ზუალ შეიყარნეს" და სხვ. მის კვლევებს

დიდ შეფასებას აძლევდნენ ქართველი ემიგრანტი მეცნიერებიც.

რუსთაველის იუბილეზე მიწვევასთან დაკავშირებით, ვ. ნოზაძის მკაცრი პასუხის გამო ემიგრანტი მოსე იმნაიშვილი თავის მოგონებაში აღნიშნავდა: „ვიქტორის, ამ წერილის მიერ მოცემული საბჭოური სინამდვილის სწორი პოლიტიკური დიაგნოზი და ამასთან ქართული სინამდვილის მოკლე დახასიათება, მოსკოველმა ქართველმა აგენტებმა გადაყლაპეს, მაგრამ ვერ მოინელეს და ვიქტორის მიმართ ცივი ომი გააჩაღეს. ამ წერილამდე ვიქტორის სახელს, სპეციალურ ნაწერებსა და პრესაში კიდევ იხსენიებდნენ, წერილის შემდეგ კი მისი სახელი ყველგან ამოშლილი იქნა. მაგრამ დამოუკიდებლად ამისა ვიქტორს, როგორც ქართველი ემიგრაციის თვალსაჩინო წევრს, არ შეეძლო დაპატიჟების მიღება და თბილისს წასვლა, ეს იქნებოდა ემიგრაციის დიდი მარცხი“ (*„საგვასიონი“ 1976:6-7*).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ვ. ნოზაძის მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობა რუსთაველოლოგიაში უპირველესად განისაზღვრება მისი დიდი განსწავლულობით და ხასიათდება მეცნიერული სიღრმითა და სიმტკიცით. მშობლიური კულტურისა და მისი სათაყვანებელი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ განუზომელი და თავგანწირული სიყვარულის ძალით სამშობლოდან მოწყვეტილმა მამულიშვილმა, დიდი მატერიალური უსახსრობის პირობებში, წარმოუდგენელი დაბრკოლების დაძლევით შექმნა და სამშობლოს დაუტოვა რუსთაველური კვლევების ტომები, რომლის მეცნიერული მოსაზრებანი დღესაც მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

ვიქტორ ნოზაძის შემოქმედებითი შესაძლებლობანი რუსთაველოლოგიური კვლევების გარდა პუბლიცისტიკაშიც გამოვლინდა, რითაც მან ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის განვითარების საქმეში ჩადებული დიდი ღვაწლისათვის XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა. ამ მხრივ მის პუბლიცისტურ მოღვაწეობას მხოლოდ ჟურნალ „მამულზე“ დაყრდნობით განვიხილავთ.

ვიქტორ ნოზაძე სამხრეთ ამერიკაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში, 1951-53 წლებში, რედაქტორობდა ბუენოს-აირესში გამოქვეყნდებულ ჟურნალ „მამულს“, რომლის ფურცლებზე და-

ბეჭდილი მისი წერილების მარტო სათაურების ჩამოთვლითაც ნათელი ხდება თუ რა ვრცელი და ღრმა იყო მისი ინტერესების სფერო, რა მასშტაბური გახლდათ მისი ცოდნისა და კულტურის თვალსაწიერი.

„მამული“ განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, რომლის საუკეთესო ტრადიციები საფუძვლად დაედო ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მშობლიური კულტურის, მწერლობისა და მეცნიერების შემდგომ წინსვლას. ამ აზრის ნათელსაყოფად მისი ერთ-ერთი პუბლიცისტური წერილი უნდა მოვიყვანოთ, რომელიც დიდი ქართველის – გრიგოლ ფერაძის სამაგალითო გმირულ მოღვაწეობას ასახავს.

ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის კანდიდატის, ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორისა და ფილოლოგიის პრივატ-დოცენტის, წმ. ნინოს პარიზის ქართული ეკლესიის დამაარსებლისა და პირველი წინამძღვრის, ვარშავის უნივერსიტეტის პატროლოგიის პროფესორის გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვიკტორ ნოზაძე წერდა: „განსვენებული გრიგოლ ფერაძე პიროვნულად იყო უმწიკვლო ადამიანი, განუსაზღვრელად სპეტაკი და ღრმად მორწმუნე... და მან იხილა მოწამებრივი სიკვდილი.

ქართველებისათვის ეს დიდი პიროვნება ვარშავაში დაატუსაღა გესტაპომ, გააგზავნა კონცენტრაციულ ბანაკში, სადაც იგი დაიღუპა. დაჭერისას იგი, რასაკვირველია, გაჩხრიკეს და მისი ქონება წაიღეს. განსვენებულ არქიმანდრიტ-პროფესორ ფერაძეს ჰქონდა უძვირფასესი მეცნიერული წიგნთსაცავი, მაგრამ ამას გარდა მას ჰქონდა ისეთი საგნებიც, რომელიც საქართველოსათვის დიდად მნიშვნელოვანი იყო“ („მამული“ 1952:190).

ჟურნალში ყურადღებას იქცევს ასევე მეცნიერულ დონეზე დაწერილი ვ. ნოზაძის რეცენზია, რომელიც მან თამარ პაპავას ესესს „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ – მიუძღვნა: „ქალბატონმა თამარ პაპავამ საახალწლო საჩუქარი გვიძღვნა. ეს არის მისი ახალი წიგნი, რომელიც ორ დედოფალს შეეხება და მათ ცხოვრება-ბრძოლას აღწერს“ („მამული“ 1953:209).

მიუხედავად თავისი ფუნდამენტური მეცნიერულ-რუსთველოლოგიური კვლევებისა და ფართო პუბლიცისტური მოღვაწეობისა, სამხრეთ ამერიკაში ცხოვრებისას პოლიტიკას ვ. ნოზაძე მაინც ვერ აცდა. მან აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მართალია თავი დაანება, მაგრამ პოლიტიკური შინაარსის წერილებს მაინც უხვად აქვეყნებდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მისი ჟურნალ „მამულში“ დაბეჭდილი „ნაპოლეონი და საქართველო“, რომელიც აგებული იყო „საყურადღებო წყაროებზე დაყრდნობით და ახასიათებდა მაშინდელი ქართული ემიგრაციის ცდა – ნაპოლეონის პოლიტიკასთან – გადაებათ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის საკითხი.“ ნაპოლეონი დიდი ინტერესით ეკიდებოდა საქართველოს საკითხს და ქართველ მამულიშვილებს ეს იმელებს ანიჭებდა, მაგრამ „ტილზიტის ზავის შემდეგ ნაპოლეონმა არსებითად შესცვალა თავისი აღმოსავლური პოლიტიკა, რის გამო საქართველოს საკითხიც მივიწყებულ იქნა“ („მამული“ 1953: 196-197).

პოლიტიკური შეხედულება გამოხატული ვ. ნოზაძის სტატიაში „საქართველო და რუსეთი“, რომელიც ჟურნალ „მამულის“ პირველ ნომერში დაიწყო და მეორეში დამთავრდა. ამ წერილებში გამოხატულია პოლიტიკური საკითხებისადმი თეორიულ-ანალიტიკური მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფაქტოლოგიური ხასიათის მასალებს.

სტატიაში ვ. ნოზაძე დიდი რუდუნებით აღწერს 1801 წლიდან დაწყებულ და 1951 წლის ჩათვლით დამთავრებულ – საქართველოს მდგომარეობას: „მას შემდეგ რაც თურქ-ოსმალეთმა კონსტანტინეპოლი აიღეს (1453 წ.) და ამით ბიზანტიის იმპერიის ისტორია დაასრულეს; მას შემდეგ რაც იმავე თურქებმა ტრაპიზონის იმპერია გაანადგურეს (1461 წ.); ისინი ქართველთა მეზობლები გახდნენ და მათ მეტისმეტად ცუდი მეზობლობა გაუწიეს, რადგან იმ ხანიდან საქართველოს აღარ მოუსვენია. მუსლიმანური რკალი შემოერტყა. ქართველები მის გარღვევას ევროპიულ ქრისტიანულ სახელწიფოებთან დაკავშირებით სცდილობდნენ. მაგრამ ამ დიპლომატიურ ნაბიჯს შედეგი არ მოყოლია“ („მამული“ 1951:5-7).

წერილში შემდეგ აღწერილია ქართველთა დიპლომატიური სვლები რუსეთისაკენ, გეორგიევსკის ტრაქტატი, ქრისტეს ჯვრითა

და „მფარველის“ მისიით შემოსული რუსეთის მზაკრობა, ბაგრატიონთა გადასახლება და ქართული სახელმწიფოებრივი სხეულის ჩამოშლა. ავტორი წერილს მწარე ირონიით ამთავრებს: „დასრულდა ბაგრატიონების სამეფოთა ისტორია. რუსეთის საიმპერიო ტიტულს მიემატა სიტყვები – ცარ გრუზინსკი, ცარ იმერეტინსკი, გოსუდარ ივერსკია – კარტალინსკია ზემღ ი ვლადეტელნი კნიაზ ავხაზსკი, მინგრელსკი, გურიისკი.

ასე დასრულდა მფარველობისა და შემწეობის ძიება და ნატურა... საქართველოს შეერთება რუსეთის მიერ არ იცნო ინგლისმა, საფრანგეთმა, თურქეთმა და სპარსეთმა. მათ ამ ძალადობის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს... და ამოდ ...” („მამული“ 1951:9).

„დღეს, როდესაც ქართველობა თავისი უფლებების სცნობას მოითხოვს, საჭიროა რუსის ემიგრაციამ ნამდვილი სურათი იხილოს იმისი, თუ რა მოტყუილებით და ძალადობით მოხდა საქართველოს სამეფოს გაუქმება და რა დიდი ბრძოლები გადაიტანა ჩვენმა ერმა სახელმწიფოს გადასარჩენად“ – აღნიშნავდა ვიკტორ ნოზაძე („მამული“ 1951:156-157).

იგივე ნაშრომი – „საქართველო და რუსეთი“ მოხსენების სახით წაიკითხა ვ. ნოზაძემ რუსულ ენაზე 1951 წლის 7 ნოემბერს არგენტინის ქართული საზოგადოების წინაშე.

მის ფუნდამენტურ სტატიაში „ამერიკის შეერთებული შტატები და ემიგრაციაში მუშაობა“, იგი აღნიშნავდა: „უკვე აღარავისათვის საიღუმლოს აღარ წარმოადგენს ის მოვლენები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზაციები საბჭოთა რუსეთიდან გამოსულ ემიგრაციას მიუახლოვდნენ და მათთან საქმიან მოლაპარაკებას აწარმოებენ. საბჭოთა კავშირის საკითხი დღეს პირველ რიგში სდგას როგორც ამერიკის სახელმწიფოებრივ ხაზზე, ისე საზოგადოებრივი მუშაობის არეშიც“ („მამული“ 1951:75).

ვ. ნოზაძე წერილში მიმოიხილავდა თავისუფალი რუსეთის მეგობართა კომიტეტის საქმიანობას, რომელიც დაარსდა ამერიკაში მისის ჰეტლის თავმჯდომარეობით. იგი სტატიაში აფასებდა ასევე ფრონტში შემავალ ცალკეულ ერთა ტერიტორიის, სუვერენობისა და მის ისტორიულ სეპარატს, რომლებიც ესწრაფვიან წითელი რუსეთისაგან თავის დახსნას. და აღნიშნავდა, რომ ბრძნული პო-

ლიტიკა სშირად დათმობებს მოითხოვს. ამიტომ ურჩევდა რუსეთის პოლიტიკოსებს გადაერჩინათ ის, რისი გადარჩენაც შესაძლებელი იყო: „დღეს ბოლშევიზმი არა მარტო დამონებულ ერებს რყვნის და ანადგურებს, არამედ თვით რუსებსაც. ამიტომ საჭიროა მისი საერთო ძალებით შემუსვრა და მისგან მალე განთავისუფლება, რათა ყველა ერი უდიდეს ხიფათს ასცდეს,“ – აღნიშნავდა ვ. ნოზაძე.

ამ ბრძოლაში ყოველი ერი თანასწორი უნდა იყოს... აქ რუსი, ან უკეთ, ველიკორუსი, შედის არა როგორც ბატონი, არამედ როგორც სხვებივით დამონებული. ამიტომ რუსებმა უნდა აღიარონ ეს თანასწორობის პრინციპი ხვალისათვის (*„მამული“ 1951:77*).

ვ. ნოზაძე იყო მოსარჩლე, ერისა და ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი პიროვნება. ყოველივე ეს თავისთავად საერთაშორისო ღირებულების საღაროში დაუფასებელ სიმდიდრეს შეადგენდა.

ვ. ნოზაძის პუბლიცისტური მოღვაწეობიდან მნიშვნელოვანია მისი წერილი „მამა ფილიპე დე რეჟის“, რომელშიც ავტორი მადლობას წირავდა მამა ფილიპეს ქრისტიანული ვალის აღსრულებისათვის და ქართველ ტყვეთა გადარჩენისათვის: „არაფრით არ შეგვიძლია სამადლობელი გადაგიხადოთ, გარნა მარტო სიტყვით, მაგრამ დღეს, თქვენი მოღვაწეობის 25 წლის თავზე და თქვენ საეკლესიო დღეობაზე, ჩვენ გთხოვთ მიიღოთ ჩვენგან სურათი, დახატული ცნობილი ქართველი მხატვრის ფელიქს ვარლამიშვილის მიერ... ამ დღისათვის გიწვევთ თქვენ, მამაო ფილიპე, საქართველოში ამ საეკლესიო დღეობაზე“ (*„მამული“ 1951:115*).

ვ. ნოზაძის სამადლობელ წერილს თან მოჰყვა მამა ფილიპეს წერილიც, რომელიც უურნალ „მამულშივე“ დაიბეჭდა.

დიდი იყო ვ. ნოზაძის დამსახურება ქართული კულტურის განვითარების საქმეში, რასაც ცხადყოფს მისი რეცენზია „ძველი ქართული თეატრი“: „მამინდელ ქართულ თეატრს ეკუთვნოდა სიმღერა და მუსიკა, მაგრამ ამას გარდა მას ამშვენებდა აგრეთვე ცეკვა და აკრობატიკა, როგორც ამას გვიდასტურებს სხვა ცნობა, რომელიც თამარ მეფის ქორწილს შეეხება – „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითა სახეობათა მჭურეტელობანი“ (*„მამული“ 1951:77*).

ჟურნალ „მამულის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ვ. ნოზაძის წერილებიდან აშკარად ჩანს მისი მაღალი ეროვნული პოზიციები, დახვეწილი პროფესიონალიზმი და სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავგანწირული ბრძოლის წყურვილი.

ვიკტორ ნოზაძის სამხრეთ ამერიკაში შემოქმედებითი მოღვაწეობის გრძელ სიას მეცნიერების, ლიტერატურისა და ჟურნალისტური მოღვაწეობის გარდა, ემატებოდა მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობაც.

ვ. ნოზაძეს ბევრი ხელნაწერი შრომა დარჩა. მათ შორის განსაკუთრებით უცხო ენებიდან თარგმნილი რამდენიმე წიგნი, რომელიც ავტორს ერთ წიგნში მოუქცევია და მისთვის „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების მწერლობა“ უწოდებია. მისივე თარგმნილი გახლდათ ასევე „მამულში“ დაბეჭდილი შემდეგი წერილები: ფრანგულად დაწერილი ხარიტონ შავიშვილის „მოგონებები“, სანდრო ნებლოს იგივე ალექსანდრე პაპუაშვილის ინგლისურენოვანი პუბლიკაციები: „ქართველი (კავკასიიდან) ეწერება“, „წერილი ჰოლივუდიდან“, რომანი „წმინდა მიწა“ და სხვ.

ვ. ნოზაძემ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად უცხოეთში ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაჩაღებით შეძლო ერის გადარჩენის ინსტიქტის გაღვივება და მომავალი ბრძოლებისათვის ქვეყნის მომზადება.

„ქართველი ხალხის გზა – ბრძოლის გზაა, მას არ აუხვევს, სანამ თავის მიზანს არ მიაღწევს... მაგრამ მას დამხმარენი – გულწრფელნი და დარწმუნებულნი – ესაჭიროება... ერთი უმთავრესი დამხმარეთაგანი – ხელოვნებაა, ლიტერატურა და ის ერთად უნდა იყოს“, – აცხადებდა გრიგოლ რობაქიძე... (შარაძე 2001:461).

აქედან გამომდინარე, ცხადი ხდებოდა, თუ რატომ აირჩია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ინტელექტუალურმა ნაწილმა, მათ შორის ვ. ნოზაძემაც, შემოქმედებითი მუშაობა ბრძოლის უმთავრეს გზად. ვ. ნოზაძეს ერთი რამ სწამდა: სამშობლოს გამარჯვების იდეის ხორცშესასხმელად დაწყებული ეროვნული ბრძოლა უფროს თაობას უნდა გაეგრძელებინა საქართველოშიც და ემიგრაციაშიც. განსაკუთრებით, ემიგრაციაში მყოფ ახალგაზრდობას ეძ-

ლეოდა შესაძლებლობა, ემიგრანტული პრესის ფურცლებზე გაშუქებული უტყუარი მასალებით გაერკვიათ ისტორიული სიძარტლე, ჩამოყვალბებიანთ გარკვეული შეხედულებანი, ზვალის ნება, გადაწყვეტილება და ბრძოლის ამოცანები, რათა ეროვნული ღრმა შეგნებით მშობლიური ქვეყნის ახალგაზრდებთან ერთად, მტკიცე კავშირით საბჭოთა რუსეთის სივრციდან გამოეხსნათ სამშობლო.

ამიტომაც მიიჩნევდნენ ემიგრაციაში ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად, ბეჭდვით სიტყვას, რომლის ძალისხმევითაც ემიგრაციის მებრძოლთა სიტყვა სამშობლოშიც აღწევდა. პრესის საჭიროებას ამიტომაც ფასდაუდებელ მნიშვნელობას ანიჭებდა ვიკტორ ნოზაძეც. „ერთ ხანს, ჟურნალ „კავკასიონის“ აწყობაში კვებმარბოდი ვიქტორს, – იხსენებდა მისი ძმა გიორგი ნოზაძე. ერთ მოპოეტო ქართველის ლექსის აწყობაზე უარი ვუთხარი. – ცდებო, მითხრა. – ემიგრაციაში მყოფ ქართველის ნაფიქრ-ნააზრევი არ უნდა დაიკარგოს. მომავალ თაობას ბეჭდვითი სახით უნდა შეუნახოთ. ვინ იცის რამდენი რამ გადაურჩებოდა ქართულ კულტურას, ვახტანგ მეექვსეს ემიგრაციას, მოსკოვში ჟურნალ-გაზეთები რომ ჰქონოდა“ („კავკასიონი“ 1976:12).

ამას „დეტალი“ ეთქმის?! ამ დეტალში მკაფიოდ ჩანდა ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის განვითარების საქმეში ვიკტორ ნოზაძის სათუთი და გულისხმიერი დამოკიდებულება.

შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა ქართული ემიგრაციის მიერ დაარსებული არც ერთი ჟურნალი და გაზეთი ევროპასა თუ ამერიკაში, სადაც თავისი პუბლიკაციებით მართალი სიტყვა არ დაემკვიდრებია ვ. ნოზაძეს, როგორც რედაქტორ-გამომცემელს, ავტორ-თანამშრომელს თუ კორესპონდენტს და მტკიცე, ჭეშმარიტი პატრიოტული გრძნობით არ აღევსო მამულიშვილთა გული.



„...მე არ ვიცი, არიან თუ არა გმირები სასარგებლონი სახელმწიფოსათვის, მაგრამ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან კაცობრიობისათვის. მაშინ, როცა მთელი მსოფლიო ცრუობს, ამ დროს რწმენა სიყვარულისა და სამართლიანობისა, ვაჟკაცობისა და პირის გაუტეხელობისა დაიღუპება ყოველდღიურობაში, თუ დროდადრო არ გამოჩნდებიან გმირები, რომლებიც თავიანთ სიცოცხლეს გასწირავენ კაცობრიობის გადასარჩენად!“ – წერდა

1935 წელს პოლიტიკური ემიგრანტი გიორგი გვაზავა (შარაძე 2004:44).

ვფიქრობთ, ეს სიტყვები ყველაზე უკეთ ახასიათებს ვიკტორ ნოზაძის მსოფლგაგებას, მის სასიცოცხლო მიზანდასახულობას, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დაღო ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების საქმეს თავისი მონუმენტური ნაშრომების სახით „ვეფხისტყაოსნის“ ღრმა მეცნიერულ დონეზე შესწავლით, რითაც ჩვენს ქვეყანას დაუტოვა დიდი სულიერი საგანძური.

დიდი იყო ასევე ვ. ნოზაძის მხურვალე და გაბედული მონაწილეობა იმ ქართველთა გვერდით, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის დიდი მუშაობის გაწევით სცადეს საქართველოს გამოსხნა საბჭოური რუსეთის სივრციდან.

მეორე მსოფლიო ომში ქართველ ტყვეთა სიცოცხლის გადასარჩენად ვ. ნოზაძემ „კავკასიური შტაბის“ წევრებთან ერთად (კ. სალია, ზ. ავალიშვილი, მ. წერეთელი, ა. ასათიანი, დ. სინჯიკაშვილი, ის. მანწკავა, შ. მაღლაკელიძე, მ. ტულუმი და სხვები) ენერგიული მუშაობა გასწია ათასობით კავკასიელის გადასარჩენად. მათ ფაშისტური რისხვისაგან ასევე დაიცვეს არა მარტო ტყვე ქართველი ებრაელები, არამედ რუსეთის ებრაელებიც, რის გამოც ვ. ნოზაძემ თანამზრახველებთან ერთად ბევრი სიმწარე განიცადა და ბევრი ცილისწამება იწვნია. თუმცა ვ. ნოზაძე, როგორც სამშობლოს პატრიოტი, პოლიტიკაშიც უნდა ჩარეულიყო, რადგან ემიგრაცია მაშინ პოლიტიკურ-ეროვნული ხასიათის იყო და მისი საბოლოო მიზანიც, უპირველესად, ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდა. ასევე აუწერელია ვ. ნოზაძის ღვაწლი ქართული პუბლიცისტიკისა და მთარგმნელობითი მუშაობის საქმეშიც, რითაც მან სამშობლოს დაუტოვა უცხოეთში შექმნილი მეცნიერულ-ლიტერატურული, ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები, რეცენზიები, მოგონებები და მისი რედაქტორობით დაარსებული მრავალი ჟურნალ-გაზეთი, რომლებიც საბოლოოდ შემოქმედებითად დაუბრუნდა ჩვენს სამშობლოს.



„ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ ვ. ნოზაძემ მიუძღვნა თავის რძალს ლიდა შარაშიძეს ბუენოს-აირესი, 1954 წ.




„ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“ ვ. ნოზაძემ მიუძღვნა მის მარჯორი უორდროპს. ეს მიძღვნა ჩასმულია ჩარჩოში, რომლის ერთი ფრთა გადმოღებულა ხახულის ხატის ერთი ნაწილიდან და შემდეგ გაორებულია სანტიავო ლე ჩილე, 1957 წ.



„ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“ სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ.



„ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება“ სანტიაგო დე ჩილე, 1958 წ.



ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტები

ლეო ჭეიშვილი

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ერთ-ერთი წარმომადგენელი ლეონიდე ჭეიშვილი დიდხანს იდგა სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ცნობილი მეცნიერებისა და მწერლების: ვიკტორ ნოზაძის, თამარ და აკაკი პაპაევების ჩრდილქვეშ, არადა მისი 70-მდე ლექსი, მრავალი გრაფიკული ნამუშევარი და 37 სამეცნიერო ნაშრომი უდაოდ იმსახურებს მეტ ყურადღებას.

აქედან გამომდინარე, პირველებს მოგვიხვდა, ემიგრაციაში მოღვაწე მრავალმხრივ საინტერესო თანამემამულის – ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წარდგენა ქართველი მკითხველის წინაშე, რათა მას XX საუკუნის ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში, საბოლოოდ, სათანადო ადგილი დავუძკვიდროთ.

ლეო ჭეიშვილი 1905 წელს დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში.

შექლებულმა კომერსანტმა პორფილე ჭეიშვილმა თავისი ერთადერთი ვაჟი 1911 წელს არნოლდის ფრანგულ პრო-გიმნაზიაში შეიყვანა, რომელიც ბათუმში 1908 წლიდან ფუნქციონირებდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა. პარალელურად, ფერწერით გატაცებული ჭაბუკი, ცნობილ მხატვარ ილიუშინთან ეწაფებოდა სახვითი ხელოვნების საილუმოებს.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი ლეო ჭეიშვილმა საინტერესოდ გადმოსცა თავის „პატარა მოგონებაში“, რომელიც ჟურნალ „კაკასიონის“ ფურცლებზე დაიბეჭდა: – „მართალია ორი წელი დაყვავი ჩვენს უნივერსიტეტში... მსურს მოვიგონო ჩემთვის დაუვიწყარი, ჩვენი საამაყო მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის არაჩვეულებრივი პედაგოგიური ნიჭით გადმოცემული მათემატიკის რთული ლექციები. ასევე, მუდამ დიდი პატივისცემით ვიხსენებ პროფესორ ბენაშვილს. მისი გეოდეზიის ლექციების დროს დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო ახალგაზრდა მსმენელებით.

განსაკუთრებით უყვარდა ლექციების დროს ორ-მნიშვნელოვანი სიტყვებით გადაკვრით შეხებოდა კომუნისტურ ძალა-უფლებას...

მასსოვს, ერთხელ კარტოგრაფიაზე რომ კითხულობდა, შემდეგი აღნიშნა: „უწინდელ დროში უმნიშვნელო სოფლებს რუქაზე, თავიანთ მდებარეობას საყდარის მდებარეობით აღნიშნავდნენ, დღეს კი აღმასკომის შენობითო” („კაკასიონი“ 1968:21).

1926 წელს, ლეო ჭეიშვილი, მამის რჩევით, უნივერსიტეტის მეორე კურსიდან გამოვიდა და სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა. იგი თავის დას ეთერ ჭეიშვილს, 46 წლის შემდეგ, უცხოეთში მისი გამგზავრების შესახებ წერდა:

„ჩემო ეთერ, – ეს უკანასკნელი სურათი დამაქვს გულში ამომწვარი, რომელსაც შენ ეხლა აგიწერ. იყო 14 იანვარი. ძველი სტილით ახალი წელი. ჩვენს სასადილო ოთახში საახალწლო სუფრა იყო გაშლილი. იღვა განშორების წამი. წამი საბედისწერო, წამი წყეული. მამა გაცივებული იყო და სადგურზე ვერ გამომაცილა. მან სამჯერ წალმა შემომბრუნა და შუბლზე მაკოცა. ის კოცნა ისევ ისევ იწვის იმავე ადგილას, როგორც მაშინ.

– „იარე სწორი გზით, ჩემო შვილო!” – მითხრა მამამ.

– ვფიცავ მის სახელს, რომ მთელი ამ წლების გასწვრივ ვიარე სუფთად და შეუბღღვავად ჩემი ცხოვრების გზაზედ... (ბუენოს-აირესი 9.2.72).

„1921-30-იან წლებში ახალი რეჟიმის გამო სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და პარტიული კუთვნილების მრავალმა ქართველმა განსხვავებული გზებით დატოვა სამშობლო და საქართველოს ოკუპაციამდე წასულ და უცხოეთის ქვეყნებში გაფანტულ ემიგრაციას შეუერთდა...” (დაუშვილი 2007:13).

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მასალაა მოცემული გ. სულაძის წიგნში „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“: „საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ხელი-სუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდების მივლინებას საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. ეს ტენდენცია შენარჩუნდა 30-იანი წლების დასაწყისისათვისაც. ახალგაზრდათა ნაწილი საკუთარი ხარჯებით სწავლობდა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო ნაწილზე სახელმწიფო ზრუნავდა.

1930 წლის მონაცემებით, საქართველოდან საზღვარგარეთ საკუთარი ხარჯებით სწავლობდნენ: გაჯინსკი ანუშევანი, გომართელი არჩილ ივანეს ძე, დიასამიძე არჩილ ლეონის ძე, ჯაფარიძე

დიმიტრი კონსტანტინეს ძე, დედერერი ერის სამუელის ძე, კარდენახიშვილი ივანე, ყიფშიძე გაიოზ ზაქროს ძე, ქიქოძე ეკატერინე ტიტუს ასული, ნაკაშიძე ლევან ერმილეს ძე, რუხაძე გიორგი, რამიშვილი ანანია, სობესტიანსკი ელმუნდ ელმუნდის ძე, ცხომელიძე ვლადიმერ თევდორეს ძე, ჭეიშვილი ლეონიდ პორფილეს ძე, იაკი-მოვი ანატოლი ალექსანდრეს ძე" (სულაძე 2012:156).

ასე რომ, 21 წლის ლეო ჭეიშვილმა 1926 წლის 14 იანვარს დატოვა მშობლიური კუთხე. მისთვის სამშობლოში დაბრუნების გზა უსასრულოდ გრძელი გამოდგა, ვიდრე სამშობლოდან უცხოეთში მიმავალი. გერმანიაში მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ლეო ჭეიშვილი თავს მხაზველობითი საქმიანობით ირჩენდა: „...შრომით, ხშირად მძიმე შრომით, ხშირად მოშიებულ იც კი ვიყავი, მაგრამ ჩემი მამის უბიწო სურვილი და წმიდა სიტყვები მუდამ მჩვენებელი იყო ჩემი გზის და მიაღვილებდა ყოველ გასაჭირს, მუდამ ვიყავი სამართლიანი და სწორი, მაგრამ შეუპოვარი სიმართლის დაცვაში, სადაც კი საჭირო იყო“ (ბუენოს-აირესი 31.3.75.).

ევროპაში ცხოვრების ათი წელი ნიჭიერმა და ბეჯითმა ჭაბუკმა მიზანმიმართულად გამოიყენა. გერმანიაში ჯერ ბერლინ-შარლოტენბურგის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. 1935 წელს დოქტორ-ინჟინრის ხარისხის მოსაპოვებლად სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ამის შემდეგ, ლეო ჭეიშვილი კაიზერ ვილჰელმის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში მიიწვიეს, რომელსაც დღეს მაქს პლანკის სახელი ჰქვია.

ათი წელი იმუშავა მან ცემენტის, კერამიკისა და მატერიის სტრუქტურათა რენტგენის სხივებით გამოკვლევის დარგში, დაწერა და გამოაქვეყნა 12 სამეცნიერო ნაშრომი. აქვე აიღო ლ. ჭეიშვილმა მაღალი ცეცხლგამძლე მასალების ტექნოლოგიის შემუშავებისათვის პატენტიც. მანვე გამოიგონა ვიბრაციული ვისკოზიმეტრი.

„ეთერ, საყვარელო! – წერდა დას – რაც დრო გადის, როგორც ძველი ჭრილობა, ისე იხსნება ჩემი გული და ტირის სამშობლოსა და თქვენთვის. რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც ლურჯი ფერის პასპორტი მეჭირა ხელთ და სასწავლებლად წამოვედი გერმანიისაკენ. რა უბედური ვარ ახლა, როდესაც ყველაფერმა ჩაიარა და მის უაზრობას ვხვდავ, სამშობლოს გარეშე არ არსებობს

არაფერი..." (ლომას-დე-სამორა 13.11.74).

იმ მძიმე წლებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში რეპრესიებმა გატეხა ქართველი ხალხი, საზღვარგარეთ გადახვეწა ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევის ტოლფასი იყო, მაგრამ მელანქოლიამ, დეპრესიამ და პესიმიზმმა დასძლია მგრძნობიარე ლ. ჭეიშვილის გული და მისი სულის საუფლოში სიცარიელემ დაისადგურა.

„ღმერთ და სამშობლო დაკარგული, სულით ობოლი ადამიანი მუდმივი ტანჯვისა და წამებისთვისაა განწირული, იგი ხსნას არ ელოდება.“ – ასეთი იყო ის მკაცრი რეალობა, რომელმაც ლეო ჭეიშვილი ოჯახსა და სამშობლოს სამუდამოდ მოსწყვიტა და ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა დიდ ნაკადს შეუერთა. ასე რომ, ბოლშევიკურ სამშობლოში დაბრუნებას, მან ისევე ემიგრანტობა არჩია. იგი დაუახლოვდა აკაკი პაპავას ოჯახს, სადაც დიდი სიტბო და სიყვარული იპოვა. მალე, 1938 წელს, პარიზში ტურფა პაპავაზე ჯვარი დაიწერა და ამ ოჯახის წევრიც გახდა.



ლეო ჭეიშვილისა და ტურფა პაპავას
ქორწილი მარცხნიდან მარჯვნივ
თამარ და აკაკი პაპაეები.
პარიზი, 1938 წ.



ლეო ჭეიშვილი
არგენტინა, 1965 წ.

უცნაურია ადამიანის ბედი. ტურფას მამა – მწერალი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე აკაკი პაპავა წარმოშობით სამტრედიელი გახლდათ. დაწყებითი განათლება მას კულაშის სასწავლებელში ჰქონდა მიღებული. იქაური იყო ლეო ჭეიშვილიც. ისინი ბედისწერამ ერთმანეთს პირველად გერმანიაში შეახვედრა. თამარ და აკაკი პაპავებმა მშობლიური მზრუნველობა გაუწიეს სასურველ სიძეს. მათდამი მადლიერებას ლეო ჭეიშვილი დისადმი გაგზავნილ წერილშიც აღნიშნავდა...

„დაო საყვარელო! ჩემს სიდედრს, რომელმაც ნამდვილი დელობა გამიწია, შეუსრულდა ოთხმოცდახუთი წელი. კარგი იქნება თუ შესძლებ და ორიოდ სიტყვით მოსწერ. ძალიან უყვარხართ, სულ თქვენზე ლაპარაკობს, ხომ იცი ყოფილი მსახიობი ქალია, ბევრი ნაწერებისა და წიგნების ავტორი, მწერალი ქალი და მისი ქვეყნის მონა“ (ბუნოს-აირესი 12.5.74).

ამ გაუხუნებელ წერილებს რემარკად გასდევდა ის აზრი, რომ დედამიწას შეიძლება ირგვლივ შემოუარო, მაგრამ წარსულს ვერ შემოუვლი მოსაბრუნებლად, რაც ასე აშკარად გამოჩნდა ლეო ჭეიშვილის ნაფიქრ-ნააზრევეში.

წერილების მიხედვით ნათელი ხდება, რომ „ტურფა პაპავასა და ლეო ჭეიშვილს ხუთი შვილი შეეძინათ: უფროსი ქალიშვილი ნინო – 1939 (14.02) წელს დაიბადა, მისი მომდევნო ტურფა-მარიამი – (პუსი) – 1942 (14.10) წელს, ხოლო მზია – თამარა – (ზიკუნა-2) – 1944 (5. 3) წელს.

აქედან სამივე ქალიშვილი გერმანიაში დაიბადა, სადაც აკაკი და თამარ პაპავებთან ერთად დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ. მათთან იყრიდა თავს ევროპაში მიმოფანტული მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია.

ლეო ჭეიშვილის აზროვნება გერმანულ გარემოცვაში ჩამოყალიბდა. იგი ჯერ 21 წლისაც არ იყო, როდესაც ამ ქვეყანაში ჩავიდა. მისთვის და ქართველი პოლიტიკური ემიგრანტებისთვის მეორე მსოფლიო ომი ფსიქოლოგიურად ძნელი გადასატანი იყო. „ერთ მხარეზე იდგა საბჭოეთი, რომლის ნაწილი საქართველოც იყო, ხოლო მეორე მხარეს – გოეთესა და კანტის, ნიცშესა და ვაგნერის ქვეყანა, „ევროპის ინტელექტუალური დირიჟორი“.

გერმანიის ქართული ემიგრაცია წარმოდგენილი იყო ქართულ კოლონიად, რომლის წესდებაც ითვალისწინებდა მხოლოდ კულტურულ საქმიანობას და ურთიერთდახმარებას ყოველგვარი პოლიტიკური დატვირთვის გარეშე. გერმანიის ქართულ ემიგრაციაში გაერთიანებული იყო თითქმის ყველა პოლიტიკური დაჯგუფება: სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები. „ბერლინში არსებობდა ფაშისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგიც“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მიხეილ წერეთლის შვილი ოთარ წერეთელი. მასში შედიოდნენ: არჩილ გომართელი, ლეო ჭეიშვილი, დიტო ჯაფარიძე, ალექსანდრე ალანია და სხვები.

ქართული ემიგრანტული ჯგუფები გერმანიაში პრაქტიკულად უმოქმედოდ იყვნენ, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ პარტიული და პოლიტიკური ხასიათის სამუშაო" (სულაძე 2012:259).

საერთოდ, ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა ძირითადად, საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილ ქართველ ტყვეთა გათავისუფლებით იყვნენ დაკავებული.

1945 წლის თებერვლის თვიდან ლეო ჭეიშვილი ოჯახით, თამარ და აკაკი პაპავებთან ერთად, სოფელ ფლადუნგენის სკოლის შენობაში იყვნენ თავშეფარებულნი. ამ სოფელში მოუსწრო მათ ომის დამთავრებამ.

1947 წელს ლეო ჭეიშვილი გერმანიიდან ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებლად საფრანგეთში გადასახლდა, სადაც მუშაობდა პარიზის პორცელანის ქარხნის ტექნიკურ დირექტორად. ომით დანგრეულ ევროპაში ჭირდა ცხოვრება. ლ. ჭეიშვილი მალე სულ სხვა მხარეს, ოკეანის გაღმა გადასახლდა.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში ლეგალურად წასვლა რთულ და ხანგრძლივ პროცედურას ითვალისწინებდა. არგენტინა კი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ყოველგვარი ფორმალურობის გარეშე ღებულობდა ახალ ემიგრანტებს ევროპიდან. 1948 წელს ჩამოვიდნენ არგენტინაში ლეო და საშა ჭეიშვილები, თავიანთი ოჯახებით" (დაუშვილი 2007:43).

მზია პაპავას მეუღლე – საშა ჭეიშვილი – გურული ჭეიშვილი გახლდათ, წარმოშობით სოფელ ასკანიდან. არგენტინაში მათ

მალე თამარ და აკაკი პაპაევიც შეუერთდნენ. არგენტინაში ორთავე ჭეიშვილმა სამსახური ადვილად იშოვა. თუმცა, თავიდან აშშ აპირებდნენ წასვლას და საამისო საბუთებიც მიიღეს.

მათი ჩამოსვლის დროს, არგენტინაში ორი თუ სამი ქართველი ცხოვრობდა. 50-იანი წლების შუა ხანებში არგენტინის ქართველთა კოლონია უკვე 40-მდე ოჯახს ითვლიდა. იმ პერიოდში სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობდნენ ევროპიდან წამოსული ქართველი ემიგრანტები, მაგრამ ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობა მხოლოდ არგენტინასა და ჩილეში მიმდინარეობდა, რაც თამარ და აკაკი პაპაევის, ვიკტორ ნოზაძისა და ავთანდილ მერაბაშვილის დამსახურება იყო.

ლეო ჭეიშვილი 1948 წლიდან 1960 წლამდე, როგორც სილიკატური ქიმიის დარგის აღიარებული სპეციალისტი არგენტინაში, მინერალოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, სადაც გამოყენებული მასების, ჭიქურებისა და ფერების (ჭიქურის როგორც ზედა, ისე ქვედა ფერების) კომპოზიცია მის მიერ იქნა დამუშავებული. ასევე შექმნა მან საგნების მოდელები და დეკორაციების ნიმუშებიც.

1960 წლიდან ლ. ჭეიშვილმა მეცნიერული მოღვაწეობა ისევ გააგრძელა. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსილვანიის უნივერსიტეტში მიიწვიეს, როგორც მთავარი მეცნიერ-მკვლევარი კერამიკისა და მინის დამუშავების დარგში.

ამასთან დაკავშირებით, თამარ პაპავა მეგობარს სარა მერაბაშვილს თბილისში წერდა: „ჩემი ტურფას ქმარი, ლეო ჭეიშვილი, მისი გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე, მიიწვიეს აქაურ უნივერსიტეტში ქიმიისა და კერამიკის კათედრაზე პროფესორათ. ეს მეტათ საამაყო ჩვენთვის, ქართველებისათვის"... (პაპავა ფონდი 28103/15).

ათეული წლების განმავლობაში მონაწილეობდა ლეო ჭეიშვილი უცხოეთში საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. იგი 37 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო, რომელთა ერთი ნაწილი დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

ესპანურ ენაზე დაწერილი ეს ნაშრომებია:

1. „მაგნიუმის ფლორიდი, როგორც გამჭვირვალე სხეული

ინფრაწითელ რადიაციაში" – მადრიდი, 1968 წელი.

2. „ანჰიდრიტის მეორე ტრანსფორმაცია ბიჰიდრატში" (ნაწილი I) – მადრიდი, 1968 წელი.

3. „მაგნიუმის ოქსიდის სინთეზი ფლიურიტის მეშვეობით" (ნაწილი II) – მადრიდი, 1969 წელი.

4. „მაგნიუმის ოქსიდის სინთეზი ლითიუმის ფტორიდის მეშვეობით" (ნაწილი I) – მადრიდი, 1969 წელი.

5. „პეროქსიდის ტიპის იონი Cr^{3+} კრისტალურ ქსელში" (ნაწილი II) – მადრიდი, 1969 წელი.

ლეო ჭეიშვილს არგენტინაში კიდევ ორი შვილი შეეძინა: 1950 წელს – მაყვალა და 1953 წელს – დავითი.

„ყველა ჩემს მდგომარეობაში ბედნიერად ჩათვლიდა თავს, – წერდა დას ეთერ ჭეიშვილ-ყიფიანისას. – ქართველი მეუღლე, ხუთი ჯანმრთელი შვილი, ორი უსაყვარლესი შვილიშვილი. ყოველთვის მაღალი „პოსტები“ ქარხნებში, უნივერსიტეტში თუ სამეცნიერო ინსტიტუტებში, მაგრამ მერწმუნე ჩემო გულის ნაწილო დაო, რომ არა ვარ ბედნიერი, ვარ წამებული და მაქვს უფრო მძიმე ჯვარი, ვიდრე ქრისტე ნაზარეველს. ამიტომ არის, რომ ჩემი ბარათები თქვენდამი სავსეა მწუხრით და სევდით” (ლომას-დე-სამორა 12.7.71).

ოჯახსა და სამსახურში პირადმა წარმატებებმა ვერა და ვერ იხსნა ლეო ჭეიშვილი იმ მძიმე სენისაგან, რომელიც უცხოეთში შეეყარა...

„დაო ეთერ! გული ტირის საყვარელო ჩემი მიწისათვის. რა ვქნა ჩემი ბედი ასეთი ყოფილა - ცრემლი, მწუხრი, ტანჯვა და წამება. ჩემი ერთი ლექსი ასე მთავრდება:

„...ბევრი ვიარე მწუხრით დაღლილმა,
მტირალ ტირიფთან ჩამოვჯექე ქვაზე,
თვალდახუჭულმა ნიავს შეეჩივლე:
ვარ წამებული, გაკრული ჯვარზე...”

როდესაც ჩამოხვალ გაგატან ჩემს ლექსებს. კარგია თუ ცუდია, ერთი რამ ახასიათებს: გადაკარგულის დაუსრულებელი გულის ტკივილი თავისი მიწის მიმართ და გაუთავებელი ცრემლების ღვრა, თავიანთი სისხლისა და ხორცის დაშორებით გამოწვეული.

ვინ იცის იქნებ, ერთხელ დაიბეჭდოს, რათა ყველამ იცოდეს, რომ მიწის ღალატი, მას სიკვდილამდე ჯვარცმულად გახდის" (ლომას-დე-სამორა 26.2.73).

„...მირბიან ათეული წლები და მიდის ცხოვრება. 1910 და 1920-ში მანდ ვიყავი, 1930-40-ში გერმანიაში, 1950-ში აქ (არგენტინა), 1960 – ჩრდილო ამერიკაში, 1970 და 1980 ისევ აქ. სად ვიქნები 1990-ში? მაშინ მე ვიქნები ოთხმოცდახუთი წლის და შესაძლოა ჩვენს სახლში სამტრედიიაში მიხილოთ..

კარგია ოცნება, ოცნება იყო და არის ჩემი მეორე ცხოვრება. ცხოვრება ნამდვილი, სიამითა და სურვილით სავსე“, – გულ-წრფელად აღნიშნავდა დისადმი გაგზავნილ ბარათებში (ლომას-დე-სამორა 6.1.75).

სამშობლოდან დაშორების წლები სულ უფრო და უფრო აწყვეტდა ნერვებს ლეო ჭეიშვილს, სულს უფლეთდა და აფორიაქებდა. შინაგანი ტკივილების გარეთ გამოტანა, მისი ხატვა, მწვავე განცდების სახეებად გაშლა, შვება და განკურნება, დამძიმებული სულის შემსუბუქება მან პოეტურსა და ფრთიან სტრიქონებს მიანდო. ლექსში „ცხოვრების ფურცლები“ იგი წერდა:

„გადავშლი ჩემი ცხოვრების ფურცლებს,
აწ გაცვეთილებს და გაყვითლებულს.
სევდამორევით დავხუჭავ თვალებს
და მოვიგონებ იმ წლებს დაკარგულს“.

ეს ლექსი 1976 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კავკასიონის“ XVIII ნომერში. მასში ერთი უმთავრესი აზრი დევს. ესაა ემიგრანტებისათვის დამახასიათებელი ბედნიერი მოგონებები გარდასულ დღეთა შესახებ და შეუგუებელი რეალობა.

ავტორი მხოლოდ ხატებს ხედავს და ამიტომ ყველაფერს იდეალური შუქი ადგება:

ყოველი ბიჯით, წინ გადადგმულით,
ვცილდები ადვილს ჩემის ყრმობისას,
შორს, უკან მრჩება დღეები ტკბილი,
სიყმაწვილის და პირველ ტრფობისა“.

აქედან გამომდინარე პოეტს სურს, ბავშვობა „ჩაატოს“ ამ დროში:

იქ, სადაც დარჩა ჩემი აკვანი,

სადაც ვისმინე ნანინა დედის.,
მამის სიტყვა და დარიგებანი –
„ფარი და ხმალი“ მომავალ ბედის."

ამიტომ ლექსში წარსული სიზმართან იგიველება:

„აი! ამ სიზმარს ამაოდ ველი –
ჟამი მიკითხავს ბედის განაჩენს!
დრომ უღმობელმა, მწარე დაცინვით,
მძლავრად მომხვია თვისი მკლავები
და ვერც კი ვამჩნევ, თუ რა სისწრაფით
აღსასრულისკენ მივექანები“...

„სიზმრებში ცხოვრობენ... ლექსებით ცხოვრობენ... თუმცა, თავის ყოფას მხოლოდ არსებობას ეძახიან... და ვინ იცის, ამ მზისქვეშეთში ასეთი ტკივილებით სიცოცხლეს ეგებ მართლა გაძლებდა ჰქვია?!“ – შენიშნავს ქართულ ემიგრანტულ პოეზიაზე მსჯელობისას რუსუდან ნიშნიანიძე.

ემიგრანტები არა მარტო ცხადში, სიზმარშიც მწვავედ განიცდიდნენ სამშობლოსთან დაშორებას, რაც ჩვენს თანამემამულეთა სულიერ ტრაგიზმსა და ეროვნულ-პატრიოტულ თვალთახედვას წარმოადგენდა.

როგორც ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეების ერთი ნაწილი თავისი ნოსტალგიური გრძნობების დაცხრომას ხშირად სწორედ ლექსების მეშვეობით ცდილობდა. ასე იქცეოდნენ არა მარტო ისინი, რომლებიც მწერლური ნიჭით იყვნენ მადლმოსილნი, არამედ ისეთებიც, რომელთაც საქართველოში ცხოვრების შემთხვევაში ლექსის დაწერა ალბათ აზრადაც კი არ მოუვიდოდათ“... (ნიკოლეიშვილი 2006: 485).

ამ საკითხში ა. ნიკოლეიშვილის კონცეფცია ემიგრანტ ლეოჭვიშვილის შეხედულებათა ძირითადი აზრის თანხვედრია, რაც კარგად სჩანს დისადმი გაგზავნილ ერთ-ერთი წერილის მიხედვითაც: „ჩემო ეთერიკო! მე როგორც გწერდი, ყოველ წერილში თითო ლექსს გამოგიგზავნი. შენ მანდ მოაგროვე და შეინახე. მხოლოდ მიპასუხე, თუ რა ლექსს მიიღებ. ბევრი არ არის, მაგრამ იქნება დაახლოებით 70-მდე. აგერ უკვე ერთ წელზე მეტი იქნება, რაც არაფერი დამიწერია – ჩავიქნიე ხელი და ვთქვი: ან რა აზ-

რი აქვს, ან რა ფასი. ეს მხოლოდ უნიჭო განტვირთვა არის დაგროვილ ბოღმათა განუზომელი ტვირთის.

„თუ სხვა ხითხითებს, რომ ხელთ აქვს ძალა და ფული – ვარ ბედნიერი, რომ ცრემლებით მაქვს სავსე სული“

(ლომას-დე-სამორა 11.2.76).

„ლიტერატურაში დეტალი ყველაფერია“, – აღნიშნავდა გრიგოლ რობაქიძე.

და რადგან არსებობენ ეს ლექსები, რომლებშიც გაჟღერებულია ლეო ჭეიშვილის მოგონებები, ლანდები, ძალუღლი გრძნობები, დამზობილი სამშობლოს სევდითა და ნოსტალგიით მოკლული ემიგრანტის გულის ტკივილი, ამიტომ დღეისათვის ფრიად მნიშვნელოვანია მათი ჩართვა ლიტერატურული აზროვნების არეალში.

კულტურული და პიროვნული პლასტების მხრივ, ლ. ჭეიშვილის შეხედულებათა სისტემას ოსტატურად ხსნის და ესადაგება ა. ნიკოლეიშვილის ერთი ასეთი თვალსაზრისიც: „უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მწერლური გატაცების შედეგად უამრავი მხატვრული ნაწარმოები (უმეტესად ლექსები) დაიწერა და დაიბეჭდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მხატვრულ სრულყოფასა და ლიტერატურულ პროფესიონალიზმს აშკარად მოკლებულია. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ზემოთქმულის სიმართლეში ბევრი მათგანი თავადაც იყო დარწმუნებული და მწერლობის პრეტენზია არასოდეს ჰქონია; მაგრამ პოეტური სიტყვით თავისი ადამიანური გრძნობებისა და მისწრაფებების გამოხატვას თუ მაინც ცდილობდა, იმიტომაც, რომ სწორედ ამ გზით თვლიდა შესაძლებლად საკუთარი ტკივილის სხვათათვის განდობა-გაზიარებას... მიუხედავად იმისა, რომ მათი მწერლური მემკვიდრეობიდან ბევრი რამ მკითხველისათვის დღესაც ნაკლებად ხელმისაწვდომია, ჩვენთვის ცნობილი ნაწარმოებებიდან კი ისინი ნამდვილად იმსახურებენ მეტ ყურადღებასა და პატივისცემას“ (ნიკოლეიშვილი 2006: 485-486).

ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ასეთ წარმომადგენელთა შორის გახლდათ ლეო ჭეიშვილიც, რომლის პოეტურ შემოქმედებას საქართველოში ნაკლებად იცნობენ.

საერთოდ, პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედება იმთავითვე ფართოდ შუქდებოდა ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე. მის

XIII, XVIII, XIX, XX ნომრებში დაბეჭდილია ლეო ჭეიშვილის ლექსები, სადაც სჭარბობდა მელანქოლიური, მწუხარე ფერები, რომლებიც „მისი სულის სიღრმიდან ამოდინდნენ და თან მოჰქონდათ ავტორის პიროვნული ხატი“... (სიგუა 2002:133).

„ფიქრი შებინდებისას“ (ჩემს კულაშს) დაწერილია 1962 წლის დეკემბერში სტატ-კოლეჯ პენსილვანიაში.

„მიყვარს სოფელი შეღამებისას –
მიდამოს ბინდი მოეფინება,
მივარე გადმოღვრის ვერცხლის ნაკადებს, –
დაღლილ ბუნებას მიეძინება.“

დამოწმებული ფრაგმენტიდან ჩანს, რომ მშობლიური ადგილების გაცოცხლება მასში გამოხატული რომანტიკული განწყობილებების გარდა, აღძრავდა ყრმობისდროინდელ მოგონებებსაც. რაც, მის სევდით დაღლილ გულს სიმშვიდით ავსებდა. და ამიტომაც იყო, რომ რომანტიკულად განწყობილი ლ. ჭეიშვილი აბოქრებულ გრძნობათა სავანედ და სევდა-ნაღველის განსაქარვებლად სიმშვიდეს მხოლოდ და მხოლოდ ბუნების წიაღში პოულობდა, მას და ბუნებას თითქოს საერთო ენაც ჰქონდათ გამონახული, რაც კარგად ჩანს ლექსში “ფიქრი შებინდებისას”:

„ოდეს შეჩერდეს ძვერა ამ გულის,
მაშინ ცამ მედგრად დაიგრიალოს,
რომ ამცნოს წასვლა სულით ეულის,
წვიმამ ცრემლებით გამოძიტიროს“.

შემოქმედ მაძულიშვილს ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ სადღაც შორს გადაკარგულისათვის, სულით ობოლისა და მიუსაფარისათვის იმქვეყნად წასვლის ჟამს მხოლოდ ბუნებალა იქნებოდა თანამგრძნობი და დამტირებელი.

ამავე ლექსში პოეტისათვის თითქოს რაღაც საბოლოოდ დამთავრდა. დამთავრდა, მაგრამ სიმარტოვის სევდა მაინც განგრძნობდა მოგონებებში ცხოვრებას და გარემოს მწვანე ფოთოლივით იღუმალი ტრფობით ეფინებოდა:

„შენ ვეღარა სცნობ მშობელ ბუნებას!
შენ აღარ გესმის მისი ჰანგები.
შენ უღალატე სოფლის მშვენებას

და ვით „ადამი“ დაიარები".

ჭაბუკობიდან ბუნებით რომანტიკოსი და ლირიკოსი ლეო ჭეიშვილი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „წარამარა ვიმეორებდი ჩემი სათაყვანებელი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის მუსიკას, რაც უცხოეთში ვარ.

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის“...

ეს მიყვარდა და ეს შეიქმნა ჩემი ბედი“ (ლომას-დე-სამორა 15.3.73).

ლ. ჭეიშვილისთანა სულის პიროვნებას, ფიქრის კაცს უპირისპირდება ემიგრანტის მძიმე და რთული ცხოვრების გზა-სავალი, ბნელი და მღვრიე ყოფიერება, რომლისგანაც თავის დაღწევა, სიცოცხლისაკენ მობრუნება, ბედისწერასთან ამბოხს უდრიდა და ბარათაშვილის ბოროტი სულისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა.

უღროოდ ჩაფერფლილი გენიოსის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – ცხოვრებას მიუძღვნა ლეო ჭეიშვილმა ლექსი „უიმედო ცრემლები“, რომელშიც იგი პოეტს ყოფიერების არარაობასა და ამაოებაზე ეკამათებოდა:

„დიდო ქართველო წავიდა ის დრო,
როცა იმედი კიდევ სუფევდა,
როცა შენს გულში, აკვნესებულში
მომავლის ცეცხლი მაინც ღვივოდა! ...

.

„სული ობოლი“ დარჩა მარტოკა,
დიდ სამყაროში არარად ქმნილი –
რის მაქნისია თვით ეს სამყარო,
ან რისთვისა ვართ ჩვენ გაჩენილი?!“...

სინამდვილით მოგვრილი მელანქოლია და დეპრესიის პოეტიზირება ლეო ჭეიშვილის სულსა და პოეტურ სტრიქონებში გვიან გამოვლინდა, ალბათ მაშინ, როდესაც დარწმუნდა, რომ ოცნებად ქცეული სამშობლოს ხილვას ვეღარ მოესწრებოდა, რაც ნათლად გამოხატული მის ლექსში „განშორებისას“:

„მძიმე ფიქრებში გახვეული მწუხარე გულით,

დავდივარ სოფლად, თავდახრილი, მარტოდ, უმიზნოდ,
ჩემთვის დასრულდა აწ ზღაპარი ოდეს ნათხრობი
და ვუცდი ჩემს დღეს განკითხვისას, ჩუმათ, უსიტყვოდ“...

ამკარაა, რომ ლეო ჭეიშვილს ეპოქის დრამატიზმი საკუთარ
ტრაგედიად ჰქონდა აღქმული, რადგან იგი სამყაროს ჭვრეტდა
არა თავისთავად არსებულს, არამედ როგორც სულის სიღრმეში
მოქცეულს. ამავე ლექსში ვკითხულობთ:

„როგორ დავწყევლო დღე გაჩენის – სინათლის ხილვა?
როგორ დავწყევლო გზა ცხოვრების ჩემგან გავლილი?!
მაგრამ თუ მკვდარსაც არ მეღირსოს მშობელი მიწა,
ჩემი გაჩენა, ჩემი ბედი იყოს წყევლილი!“

ეს სტრიქონები ერთგვარი კონსტატაციაა ემიგრანტი პოეტის
სიძონ ბერეჟიანის ერთი ლექსისა, რომელიც დიდხანს საქართვე-
ლოში ნოე ჟორდანიას დაწერილად და მისი საფლავის ქვაზე
წარწერილ ეპიტაფიად მიიჩნეოდა:

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო.
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!“

საერთოდ, ლ. ჭეიშვილის პოეზიაში ნაკლებად ვლინდება ბე-
დისწერის წინააღმდეგ გაბრძოლების განწყობილება. თავისი ადამი-
ანური ბუნებით იგი უფრო ბედს შერიგებული პიროვნებაა და არა
მეამბოხე, რის გამოც მუდამ დეპრესიაში იყო და ხსნას არსაიდან
ელოდებოდა.

ლ. ჭეიშვილის პოეზიაში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ
მიძღვნიითი ხასიათის ლექსები, რომელთა უპირველესი ადრესატები
არიან ის ადამიანები, რომლებთანაც მას პიროვნული სიახლოვე
აკავშირებდა. მათ შორის პირველ რიგშია მშობელი დედის ხატება.

ნოსტალგიის დაუძლეველი გრძნობები, უცხოებაში გადახვე-
წილისა და სამშობლოს სამუდამოდ დაშორებული ემიგრანტის
განცდება გადმოცემული ლეო ჭეიშვილის ლექსში „დედას“:

„დედაო ჩვენო! უსაყვარლესო, ყოველი არსის!

დედაო ჩვენო! ჩვენთვის ტანჯულო და შინაარსო ამ

წუთისოფლის!

შენი ტკივილი აბა ვის ესმის? აბა! ვის ესმის მწუხრი
მაგ გულის?
გაჩენის დღიდან შვილზედ ფიქრებში განაწამების და
დაქანცულის”.

სამშობლოში დატოვებული მოხუცი დედის უსაშველო მონატრებას გულისშემძვრელად გამოხატავდა ლექსის ბოლო სტრიქონები:

„შენს სახელს დედა თან დავატარებ,
როგორც ხატებას ჩემს სიკვდილამდე,
კურთხეულ იყოს სახელი „დედა”,
უკუნითიდან უკუნისამდე”.

(სტატ კოლეჯ პენსილვანია 9.12.60).

ცხადია, დედა ყოველთვის რჩება იმ დიდ არსებად, რომლის ცხოვრებიდან წასვლას უშუალოდ გრძნობენ შვილები, როგორც ცხოვრების შეუწყვეტელ ნაწილს.

მსოფლიო ლიტერატურაში დედა ყოველთვის იყო პოეტური შთაგონების წყარო, რადგან ამქვეყნად დედის სიყვარულზე წმინდა და უანგარო არაფერია, და, ამიტომ გენიალური ადამიანების უმრავლესობამ თავიანთი დედებისაგან ბევრად უფრო მეტი მიიღო, ვიდრე მამებისაგან.

„დედის დღეს” მიუძღვნა ლეო ჭეიშვილმა თავისუფალი თარგმანი „და მე კი ისე შორს ვიყავ შენგან”.

„და კიდევ ერთხელ გამაღვიძა მძიმე სიზმარმა,
შავი ვარდები გარს ეხვივნენ სარეცელს ჩემსას.
უსიტყვოდ იწექ. გარს გეხვივნენ შენი შვილები –
იღვროდა ცრემლი და კარ-მიდამო დაეპყრო კვნესას.
დაღლილი სული სარეცელზე ეძებდა ჩემს თავს...”

„...ტებილო, საყვარელო დაო ეთერ! როდესაც ამ სიტყვებს ვთარგმნიდი თუ რას განვიცდიდი ეს შენთვის ნათელია. გთხოვ, როდესაც შინ წახვალ, თითო ვარდს აკოცე და მიუტანე ჩვენს დედას და მამას. ჩუმად უთხარი: შენი უღირსი შვილისაგან სალამი, რომელიც 45 წელია მხოლოდ ტკივილსა და ცრემლში ატარებს მის მწარე ბედს”... (ლომას-დე-სამორა 25.09.72).

„ჩემი ცხოვრება სხვისთვის უგემურად ჩატარებულ შრომაში დაილია, ამიტომ აუწერელია ჩემი წამება. თქვენ ღვეხართ თქვენს

მიწაზე, თქვენ გესმით ირგვლივ ქართული და თქვენს ირგვლივ ჩქეფს ქართული სისხლი და სული. თქვენ ზიხართ თქვენს ბუდეში და გათბობთ საქართველოს მზე. მე კი, ბუდიდან ამოვარდნილი მოკლებული ვარ ყოველივე ამას..."

უცხოეთში გადახვეწილი ლეო ჭეიშვილი მხოლოდ წარსულით ცხოვრობდა და არსებობდა, რაც ნათლად ჩანდა ბავშვობის მოგონებებში ჩაბეჭდილი სურათებიდან: „შენ მეკითხები, რა მოგწერო?!... მაქაური კოლოს გაფრენაც კი მაინტერესებს. ნუ მომაკლებ ამ ბედნიერებას... შენ ახსენე, თბილი დღეები ნინო ბებიასთან გატარებული, კიბესთან ტყემლის ხე, მაზედ შემოხვეული ვაზი, ბებიას გაკეთებული ფელამუში, ალათი კერიასთან და ქოთანთან მიმჯდარი. წვიმიანი დღე, კარების მიკეტვა და პირჯვარის წერა ბებიასი, როდესაც გაელავდა, მანდაური ქუხილი და შხაპუნა წვიმა" (ლომას-დე-სამორა 15.3.1995).

ასე რომ, „ქართული ყოფის, ამ შემთხვევაში იმერულ-ქართული ყოფის ამგვარი პოეტიზაცია“ (ბ. ბარდაველიძე), განსაკუთრებით რომანტიკული წარმოსახვისა და ოცნების საგნად ხშირად იქცეოდა ხოლმე ის იდილიური ყოფა, რომლის მთავარ ლირიკულ გმირებად მისი მახლობელი ადამიანები არიან ქცეულნი" (ნიკოლეიშვილი 2006: 499).

„როდესაც ჩემი სახლის კედლები დავინახე გულნარას მიერ გადაღებული „ღიაპოზიტივით“, როგორ გგონია რა განვიცადე? უუფესკრულესი ბოღმა, ბოღმა დაგროვილი 45 წლის მანძილზე. წამსკდა ცრემლები და ბავშვივით დავიწყე ქვითინი" (ლომას-დე-სამორა 30.9.72).

მშობლიურ ბუდესა და ტოლ მეგობრებთან განშორების მწვავე განცდები უდიდესი ტკივილით აქვს გაჟღერებული ლექსში „საყვედური“.

„ტოტზე შემოჯდა ჩიტი ბელურა
და ჭიკჭიკს მოყვა მწარე გოდებით,
რად დაგვივიწყე?! – მისაყვედურა
ამდენი ხანი მოგელოდებით“

(სტატ კოლეჯ პენსილვანია 21.4.61).

„უბედურო ჩემო თავო! რა სიტკბოება დაკვიკვილი და რამდენი ტკივილი მივაყენე ჩემს დელას, ჩემს მამას და ყველას, ჩემი სის-

ხლისა და ხორცის მოზიარეთ. მაპატიეთ, ჩემო კარგებო, რომ ასეთ რამეებს გწერთ, მაგრამ სწორედ ასეთი რამ უნდა მოისმინო, რომ შენც რაიმე სანანებელი არ გექნეს მომავალში“ – აფრთხილებდა თავის დისშვილს თემურ ყიფიანს... (ლომას-დე-სამორა 5.5.70).

ლეო ჭეიშვილს უკუღმართმა ბედმა მარტო სამშობლოს დაშორება როდი აკმარა. 1975 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა მისი ნაბოლარა ქალიშვილი მაყვალა ჭეიშვილი.

გულდაკოდილი მამის დიდი ადამიანური ტკივილები და განცდები გამონატული მიძღვნილი ხასიათის ლექსში „მაყვალა“:

„ოხ! ნეტავ, ნეტავ არ იყოს“ დარდი
გადიშლებოდეს ია და ვარდი.,
სიზმრად გნახავდე შვილო მაყვალა,
ბედმა, უბედომ არ დაგაცალა,
ჯერ გაუშლელი დაგაჭკნო ვარდი,
და დაგვიტოვა მწუხრი და დარდი...”

ბედის ძლიერ დარტყმებს ლეო ჭეიშვილმა გაუძლო, როგორც თავად აღნიშნავდა: „მხოლოდ მაგარი ნებისყოფითა და ცხოვრების წესით, რომელიც პრინციპებსა და სისტემაზე არის აგებული, და აქედან გამომუშავებული ცხოვრების ყოველი წვრილმანის მეთოდიკა. უპირველეს ყოვლისა ჩემი ფილოსოფია არის: „სრული უაზრობა, ყოველის არსებითის” "die sinnlosigkeit alles seienden" (ბუენოს-აირესი 1.7.1977).

სიცოცხლის წარმავლობისა და ცხოვრების ამაოების პოეტურ-ფილოსოფიური განსჯა ლ. ჭეიშვილის მრავალ ლექსშია გაჟღერებული. ამგვარ დამოკიდებულებას ვხვდებით ასევე ემიგრანტი პოეტის გიორგი გამყრელიძის შემოქმედებაშიც:

„გ. გამყრელიძის პოეზიაში, ფართოდ გამოხატულ ამ სულიერ სასოწარკვეთასა და პესიმიზმს კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ფილოსოფიური დაფიქრება ცხოვრების ამაოებასა და ყოვლის წარმავლობაზე. მის საუკეთესო ლექსებში ეს ზოგადადამიანური საფიქრ-საგოდებელი ხშირად პიროვნულ ტკივილად გარდასახული ფორმითაა გამოხატული, რითაც ავტორისეული სათქმელი მეტ გულწრფელობას იძენს“, – სამართლიანად შენიშნავს ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

ანალოგიური შთაბეჭდილება გრჩებათ ლ. ჭეიშვილის პოეზიის გაცნობისას, სადაც ავტორი ცდილობს ფილოსოფიური ახსნა მოუძებნოს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების საიდუმლოს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი ლექსი “ჩვენს ვიკტორს” (ვ. ნოზაძე), რომელშიც ემიგრანტთა ცხოვრებისეული განცდებია ასახული:

„ეხ! ვინ იცის, როდის ძგერა შეწყდება
გულის, დარდით და სიმწუხრით დაღლილის,
დამთავრდება ტანჯვა გულის ტკივილის
დაისვენებ მარადიულ სიმშვიდით”.

(„აკაკასიონი” 1972-73: 41).

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში იმთავითვე ერის ღირსეული და გამორჩეული მამულიშვილის სახელი დაიმკვიდრა ლეო ჭეიშვილმა, რომელმაც თავის მეუღლესთან ტურფა პაპავასთან ერთად შექმნა მამა-პაპათა ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებით შემკული ნაღდი ქართული ოჯახი.

...შეიძლია ვთქვა, რომ თუკი ბედმა ბევრი სიმწარე მაგემა, ჩემმა შვილებმა მათი ქართველობით მომცეს სიცოცხლის ძალა. ზიკუნა თავის პატარა თომასის მხოლოდ ქართულად ელაპარაკება. არავითარ შემთხვევაში სხვა ენაზე სიტყვას არ ეტყვის, არც ინგლისურად.

...ჩურჩხელები კიდევ გვაქვს და ვიზოგებთ, მხოლოდ პატარა თამარს აქვს განსაკუთრებული უფლება. წარა-მარა მოდის და მთხოვს: „ბაბუ თუ შეიძლება ჩუჩელა, – ქართულად მეტყვის და აბა, ვინ გაუძლებს ამ თხოვნას“... – აღფრთოვანებული აცხადებდა ლეო ჭეიშვილი (ლომას-დე-სამორა 27.2.81).

თაობათა შორის უმტკიცესი და უსაჭიროესი დუღაბი ნდობაა. ლეო ჭეიშვილმა თავის ზუთივე შვილს შეასწავლა დედაენა. მათ კი, თავის მხრივ, შვილებსა და შვილიშვილებს ჩაუნერგეს ქართული ენის სიყვარული და პატივისცემა. ასე რომ, თაობიდან თაობაში საერთო დედაენის გამრავლება ყველასათვის ისევე სავალდებულოა, როგორც სამშობლოს სადარაჯოზე ყოფნა.

ლეო ჭეიშვილი და ტურფა პაპავა ქართულის გარდა ფლობდნენ რამდენიმე ენას: რუსულს, ფრანგულს, გერმანულს, ესპანურს, მაგრამ თავიანთ ნაგრამს დაბადებიდანვე უნერგავდნენ იმ

აზრს, რომ მათთვის მხოლოდ „მშობლიურია მთავარი.“

„დათუნას ყოველდღე ვაძლევ ქართულის გაკვეთილს. „მოიჭერს თავზე ხელს.“ იქნება მოახერხოს, ერთი ბარათის „დაფაბრიკება“. ამ დღეებში მისი ხელით დავაწერინებ ბარათს და გამოვგზავნი” (ბუენოს-აირესი 14.9.70).

ლეო ჭეიშვილი დისადმი გაგზავნილ შემდეგ წერილში კი აღნიშნავდა: „პუსი კითხულობს ერთ სქელ ქართულ წიგნს. არ ვიცი ეხლა, ვინ არის ავტორი ან რას შეეხება. ერთი კი ვიცი, რომ მოვა თუ არა მომადგება ფანქრით და ქაღალდით და ამავსებს შეკითხვებით. ამ დროს მე ბედნიერად ვგრძნობ თავს” (ბუენოს-აირესი 21.6.82).

ასე რომ, პაპავა-ჭეიშვილების ოჯახი თავიდანვე დამკვიდრებულ ტრადიციას არ დალატობდა. თამარ და აკაკი პაპაეების ფესვმაგარი ოჯახი ქართული კულტურის მძლავრი კერა იყო ჯერ გერმანიაში და შემდეგ არგენტინაში. მშობლების გავლენით ტურფა და მზია პაპაეები ბავშვობიდანვე ქართულ გარემოში და ქართული სულისკვეთებით იზრდებოდნენ, „უფრო ქართულ გარემოში და უფრო ქართული სულისკვეთებით, ვიდრე ეს იმ დროის საქართველოში იყო შესაძლებელი...“

სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ პაპავა-ჭეიშვილების სახლი ბუენოს-აირესთან მდებარე პატარა ქალაქ ლომას-დე-სამორაში კვლავ დარჩა ქართული სულისა და ქართული კულტურის ერთ-ერთ უძლიერეს კერად საქართველოს გარეთ,” – აღნიშნავს პაატა ნაცვლიშვილი.

პაპავა-ჭეიშვილების ოჯახში ყველა ნაბიჯი განისაზღვრებოდა ნაციონალური სულისკვეთებით. რასაკვირველია, ამ მრწამსითა და სულიერებით აღზრდილ შთამომავლებში საქართველოს სიყვარული ბავშვობიდანვე ძვალ-რბილში იყო გამჯდარი. ალბათ, გასაკვირი არც იყო პაპავა-ჭეიშვილების ოჯახში სტუმრად მისულ თანამემამულეებს, რომ ილია ჭავჭავაძის სიტყვები გაეზიარებიათ და მისი პერიფრაზით ეთქვათ: „არგენტინაში ჩავედით და საქართველო ვნახეთო!“...

ამ ოჯახების უფროსი თაობა შვილებსა და შვილიშვილებს თავიანთი თავდადებით დიდ მამულიშვილურ მაგალითს აძლევდა. ლეო ჭეიშვილი არა მარტო ფიქრითა და წარსულით იყო შენივ-

თებული სამშობლოს ხატებასთან, არამედ იგი, სადაც კი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ყოველთვის დიდი ქართული საქმისათვის იღვწოდა.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1972 წლის 7 მაისითა დათარიღებული, ლეო ჭეიშვილი თავის ფიქრსა და სურვილს ისევ მის უმცროს დას ეთერს უზიარებდა: „...იტალიიდან მომავლედს შეტყობინება, რომ მივიღო მონაწილეობა კერამიკის უნივერსალური ისტორიის გამოცემაში. აბა მე იმათ რა უნდა მივაწოდო ისეთი, რაც გამომცემლობასთან არსებულმა საგამომცემლო კომისიამ არ იცის?! გარდა რამდენიმე წვრილმანისა, მაგრამ დიდი დამსახურება იქნება ჩვენი ერის წინაშე თუ შიგ საქართველოს კერამიკას შევიტან.

დღევანდელი ამბავი არ არის საინტერესო, ჩვენი კერამიკა (რომლის ნიმუშებიც ვნახე), ძალზე მდაბალი ხარისხის არის და გარდა ამისა, არავითარ საისტორიო მასალას არ წარმოადგენს. მაგრამ მე ბევრი წავიკითხე და გავიგონე, რომ არქეოლოგიური გათხრების დროს მრავალი საინტერესო ნიმუში იქნა აღმოჩენილი.

ახლა გთხოვ, როგორმე მიაკვლიოთ იმ არქეოლოგებს, რომლებიც ამაზედ მუშაობენ და მათი აზრი ჩვენს ისტორიულ წარსულზე კერამიკის დარგში სრულიად გარკვეული და დასაბუთებული მოკლედ და სხარტად გამოთქმული აზრი მომავლდოთ. თან, რაც მნიშვნელოვანია – ფოტოსურათების კარგი ნიმუშები (არა ფერადი ფოტო) გამომიგზავნეთ, თავიანთი თარიღებით.

მოკლედ, როდის დაიწყო ჩვენში ტექნოლოგია ამ ნაწარმის, რა გზით წავიდა, ვის გავლენას განიცდიდა ან თუ თავისი საკუთარი გზა გაიარა და რა განვითარების სიმაღლეს მიაღწია.

ასეთი შემთხვევა საუკუნეში ერთხელ ხდება. დარწმუნებული ვარ, რომ სომხები ერთი ათად გაბერავენ თავიანთ წვლილს. ვქნათ რამე. იცოდე, ესლავე გადადგი ნაბიჯი“... (ლომას-დე-სამორა 5.1.79).

ერთი წლის შემდეგ გამოგზავნილ წერილში იგი ვრცლად საუბრობდა თავის გაწეულ მუშაობასა და თანამემამულეთა დახმარებაზე: „...მთელი მასალები გადავიკითხე და გადავამუშავე" (ლომას-დე-სამორა 2.2.80).

ლეო ჭეიშვილი ფიქრითა და ოცნებით მუდამ თავის სამშობლოს უცხოეთში წარმოჩენის საქმეს დასტრიალებდა და ამიტომაც დიდი იყო მისი დაინტერესება ქართული ქვეყნების ისტორიით.

მას კარგად ესმოდა, რომ ერის გაცნობა მისი ისტორიის შესწავლიდან იწყება.

და სულ მალე, მან ვრცელი ნაშრომით დაავიერგვინა ქართული კერამიკისა და ქვევრების წარმოშობის ისტორია, რომლის შესახებაც აღნიშნავდა: „...გიგზავნი ჩემს წიგნებს. ძალიან მინდა ჩემი ნაშრომები როგორმე კერამიკის ინსტიტუტში (თუ არსებობს) მიიტანოთ. თუ არა ვინმე სხვას გადასცემთ, რომ ჩემი სახელი სადღაც მივარდნილ ადგილას მაინც დარჩეს ჩემს საოცნებო მიწაზე“... (ლომას-დე-სამორა 12.1.82).

ლეო ჭვიშვილი დიდი ხნის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს პენსილვანიის უნივერსიტეტში. ამის შესახებაც იგი თავის „პატარა მოგონებაში“ მოგვითხრობს: „როდესაც პენსილვანიის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დავიწყე, პირველი, რაც მკითხეს სტუდენტებმა, როდესაც გაიგეს რომ მე ქართველი ვიყავი, ვიცნობდი თუ არა აკადემიკოს მუსხელიშვილს. როდესაც გაიგეს, რომ მე მისი მოწაფე ვიყავი, ისე შემომეხვივნენ, თითქოს მე ვყოფილიყავი აკადემიკოსი მუსხელიშვილი! მეორე მხრივ, როდესაც გაიგე მათგან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტში ყველაზე ცნობილი და მიღებული წიგნი სტატიკაზე, აკად. მუსხელიშვილის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოა. ისე ამიტაცა გრძნობამ, რომ დიდი ხერხით ძლივსღა შევიკავე სიხარულის ცრემლები!“ (*„აკაკასიონი“ 1968:21*).

აშკარაა ზემოთ მოყვანილი ფაქტით ლეო ჭვიშვილს იმის თქმა სურდა, რომ ხშირად პატარა ერს დიდი შვილები ჰყავს და ქართველების ნიჭიერებასაც არა ერთხელ განუცვიფრებია რაოდენობრივად დიდი ერის შვილები. ქართული უნივერსიტეტი ის ტადარი იყო, სადაც მეცნიერების მწვერვალებს ეწაფებოდნენ „ქართული სულით და გრძნობებით გამსჭვალულნი ქართველები,“ რომლებიც იყვნენ „ღირსნი თავიანთი დიდი წარსულისა“ (*„აკაკასიონი“ 1968:22*).

ლეო ჭვიშვილის ცხოვრების გზა ხშირად ზიგზაგოვანიც იყო. მისი წერილების შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი უმეტესობა მინორული განწყობილებისა იყო, მაგრამ მათში, ერთ დღეს მაჟორული და ხალისიანი სტრიქონებიც გაჩნდა, რომლის მიზეზი სამშობლოდან მოსული მაცნე იყო. საქმე ის გახლდათ, რომ ქართუ-

ლი ხალხური ცეკვის ეროვნული ანსამბლის კონცერტმეისტერმა ელიკო დოლიძემ არგენტინაში ჭეიშვილების გზა-კვალს მიაგნო და ათწლეულების განმავლობაში უხილავი ძაფებით დაკავშირებულ და-ძმას ერთუთრი საბოლოოდ აპოვნინა. ეს მოხდა 1964 წელს.

„ჩემო ოცნებათ ქცეული პატარა დაო, ჩაგიკრავ გულში და ვიტყვებ შენთან ერთად იმ დაკარგულ წლებზედ, რომელმაც მე ჩემს ოჯახს, თქვენს თავს მომწყვიტა...“

დიდი ხანია უკვე მოუთმენლად ველოდით ქართულ მოცეკვავეთა გუნდის ჩამოსვლას და თუ რა გადაგვწყდა მათი მოსვლის და ნახვის შემდეგ, ამის გაგება, მხოლოდ ორმოცი წლით გადახვეწილს თუ შეუძლია. მაგრამ მე პირადად თუ რა დამემართა, როდესაც გადმომცეს, რომ ვიღაცას ჩემი ნახვა სწავდა, ამის გადმოცემა ძნელია. სულ იმის შიშში ვიყავი, ვაითუ გულმა ვერ გამიძლოს და უნახავად წავიდე ამ ქვეყნიდან-მეთქი... აირდაირია ჩემი სულიერი წონასწორობა. თითქმის შეხორცებული ჭრილობიდან ისევ დაიწყო სისხლმა წვეთა“, – წერდა დას ღიმილდაბრუნებული ემიგრანტი ლეო ჭეიშვილი (**ლომას-დე-სამორა 13.7.1964**).

სწორედ ამ წერილიდან მოყოლებული გადაიშალა ლეო ჭეიშვილის ემიგრანტული ცხოვრება ჩვენს თვალწინ.

„მძიმეა ქართველისათვის ემიგრანტობა. არ არის მისი ხელილობა. ყველას შეუძლია იყოს ემიგრანტი, მაგრამ ქართველს არ შეუძლია. ის არის დაავადებული, ის დაავადმყოფებულია და როგორც ჭირიანს ისე მიაქვს და მიათრევს თავის წლებს. მე ვიცოცხლე 20 წელიწადი და ვარსებობ 60 წელიწადია. არის დიდი განსხვავება სიცოცხლესა და არსებობას შუა. მწუხრი, ჯავრი, გაჭირვება, გაუთავებელი მწუხრი და მწუხრი. ემიგრანტობა არის მწარე სიკვდილი“, – უზიარებდა ყველას თავის დიდ ტკივილს ლეო ჭეიშვილი (**ლომას-დე-სამორა 15.9.1965**).

ეს იყო დიდი ფსიქიკური შოკი, რომელიც უნდა ნახო და განიცადო. მსგავს ემოციას დიდი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე ასე განმარტავდა: „ადამიანის ყოველი ფსიქიკური განცდა: ინტელექტუალური, ემოციური თუ ნებელობითი აუცილებლად სევდის ან სიხარულის, სიამოვნებისა ან უსიამოვნების განუსაზღვრელ ნიუანსების გავლენას აღიბეჭდავს“ (**„ეკავასიონი“ 1968 :116**).

აქედან გამომდინარე, ნათელი იყო ლეო ჭეიშვილის სულის სამარხში ჩაბუდებული სევდის მიზეზი, რომელიც მოგონებათა აკვიატებიდან გამომდინარეობდა და ქვეცნობიერი იყო.

„...ახლა ისევ ცრემლიანი თვალებით გწერ. მე მინდა სულ ვიტირო და ამ ტირილში მივიძინო. თქვენი წასვლის შემდეგ ჩემს ცხოვრებას, ისედაც უაზროს, სრულიად დაეკარგა ხალისი და აზრი, აღარ მინდა არაფერი" (ლომას-დე-სამორა 9.11.74).

ცხადია, ლ. ჭეიშვილის შემოქმედებაში, ამიტომაც მრავლად იყო ისეთი ლექსები, რომლებშიც უსაზღვრო მონატრებით გამოწვეული მისი სევდიანი განწყობილებაა გამოსატყული. ასეთია ლექსი „სევდა“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ხელში მიჭირავს მჭკნარი ყვავილი,
სევდით დავცქერი, მწარე ფიქრებით:
მალე იქნება ეს გზა გავლილი,
ვყოფილვარ ერთხელ, აღარ ვიქნები."

ჩანდა, რომ ბედისწერისაგან იგი ხსნას აღარ ელოდებოდა და დეპრესია აახლოებდა აღსასრულთან, მაგრამ სიცოცხლისაკენ მისი მობრუნება ერთმა ღვთიურმა ნაპერწკალმა განსაზღვრა.

„სიზმრად მოვლინებული“ და ეთერ ჭეიშვილი და მისი ქალიშვილი მსახიობი ნანა ყიფიანი თითქმის ნახევარი საუკუნის, 48 წლის შემდეგ 1974 წლის 12 აგვისტოს, ჩაიკრა გულში ემიგრანტმა ლეო ჭეიშვილმა, რომლის დაფლეთილ სულში იმ დღესაც დაუსრულებლად წვიმდა ცრემლები, ამჟამად სიხარულის ცრემლები, ღრმა გრძნობებისაგან დაღვრილი ცრემლები...

ათი წელი და-ძმის მონატრებულ გულებს მხოლოდ ბარათები ასულდგმულებდა. მათი საერთო სევდა ცნობიერიც იყო და ქვეცნობიერიც. „...თუ ჩემს ბარათებს თქვენთან მხოლოდ მწუხრი, ცრემლი და წამება მოაქვს, თქვენი ბარათები სიხარულით და სიცოცხლით მავსებს, მიგრირებენ ცეცხლოვან გულს და მგვრიან უზომო სიხარულსა და იმედის სხივებს.

განუზომელია გრძნობათა ის სიღრმე, რომელიც ჩვენს შორის, მანდ და აქ, არსებობს და ამ ქალაღდისა და ფანქრის მეოხებით ერთმანეთს ვაჩვენებთ ათასეული კილომეტრის მანძილზე“, – წერდა შეხვედრამდე ორი წლით ადრე თავის დისშვილს ნანა ყი-

ფიანს“... (ლომას-დე-სამორა 30.9.72).

ლეო ჭეიშვილის ცრემლნაპკურებ წერილებში მკაფიოდ გამოსჭვიოდა სურათი იმ ადამიანისა, რომლისთვისაც სევდას სული დაეღრღნა, მწუხარებასა და დარდს სასოწარკვეთილებამდე მიეყვანა.

„სამი თვე სრულდება, რაც წადი ჩემგან. ეს ყველაფერს ამბობს, რადგან იმ დღიდან რას განვიცდი მარტო დოსტოევსკი თუ შეძლებდა აღწერას. ხშირად, ძალიან ხშირად უცებ შუა საქმიანობაში შევჩერდები და აზრდაკარგული ვდგევარ. გამოვერკევი, როდესაც ტურფა ნელა ხელს დამადებს და მეტყვის: „ლეო, რაზე ფიქრობ? სად იყავი ეხლა? მე გავუღიძობ, მოვხვევ ხელს და ვუპასუხებ, სად უნდა ვიყვე გენაცვალე, ხომ ხედავ აქ ვარ. გაიღიმებს და მიპასუხებს: „არა, ჩემო, ლეო, შენ აქ არა თუ იყავი ამ წუთს, შენი სული აქ არ არის, შენი გონება სულ სხვაგან, შენ ოჯახში, იქ შენ დებთან, შენ ეთერისთან და ნანასთან იყო“ (ლომას-დე-სამორა 16.10.74).



და-ძმა ლეო და ეთერ
ჭეიშვილების პირველი
შეხვედრა. ბუენოს-აირესი,
1974 წლის 12 აგვისტო



დგანან: მაყვალა ჭეიშვილი,
ნანა ყიფიანი, მხატვარი
ლადო სააკაძე (ერასტი
იაშვილი) და ლეო ჭეიშვილი.
სხედან: ტურფა პაპავა და
ეთერ ჭეიშვილი.
ლომას დე სამორა, 1974 წ.

სამხრეთ ამერიკაში დედა-შვილის სტუმრობამდე, ერთი წლით ადრე, 1973 წლის აგვისტოში, ლეო ჭეიშვილის შუათანა ქალიშვილი მზია-თამარი ანუ ზიკუნა პირველად ჩამოვიდა მამის სამშობლოში. „...აგერ ოთხი კვირა შესრულდება, რაც ზიკუნა დაბრუნდა ჩვენთან. ახლაც, ამდენი დღეების შემდეგ, ვიმყოფები ისეთი ძლიერი განცდების ქვეშ, რომ მხოლოდ ცრემლები მშველი-ან ავიტანო ის, რაც ჩვენმა გოგონამ თან ჩამოგვიტანა. აბა, ვინ აღწერს ყოველივე ამას. ეს მხოლოდ სიჩუმით უნდა გადაიტანო, გადახარშო, მოინელო, რომ არ დაიხრჩვე“... – აღნიშნავდა ლეო ჭეიშვილი (ლომას-დე-სამორა 28.9.73).

ზიკუნა ჭეიშვილმა მამას საქართველოს სანუკვარი მიწა, ბალახები, სამტრედიისა და კულაშის სახლების სურათები, ნივთები, მეგობრებისა და ნათესავების სურათები ჩაუტანა. და, რაც მთავარია, დიდი სიყვარული, გულუხვი სტუმარმასპინძლობით რომ გამოხატეს მის ქალიშვილთან შეხვედრისას (ლომას-დე-სამორა 3.2.74).

როგორც ზემოთ ითქვა, ლეო ჭეიშვილი 70 წლის ასაკს მიღწეული შეხვდა პირველად თავის სანუკვარ დასა და დის-შვილს. ადამიანის ცხოვრებაში 70 წელი ის სიმაღლეა, საიდანაც კარგად ჩანს განვლილი გზის მთავარი მონაკვეთი, აღმართ-დაღმართი, ავიც და კარგიც, ილუზიებიც და რეალობაც, ხელჩაქნეულობით გამოწვეული განცდებიც და იმედიანი აღმაფრენაც. ამიტომ, ლ. ჭეიშვილი თავის წერილებში ცხოვრებაში გამობრძმედილი კაცის სიმაღლიდან აჯამებდა და აფასებდა თავის მოღვაწეობის განვლილ გზას უცხოეთში, მის მისიას სამშობლოს წინაშე.

სამშობლოსთან ლეო ჭეიშვილს მრავალი ჭაბუკური გატაცება, მოგონება და პირველი, გაუმხელელი სიყვარულიც აკავშირებდა. იგი თავის გულის ხვაშიადს და სულის სამარხის საიდუმლოს დასა და დისშვილს ჩვეული გულწრფელობით უზიარებდა: „...მინდა გკითხოთ, შემთხვევით თამარ აბაკელიას (საფლავში კინალამ ჩამიყვანა) ხომ არ იცნობთ?! თუ იშოვი ვაჟა-ფშაველას წიგნს თამარის ილუსტრაციებით და გამომიგზავნით ძალიან გამახარებ. რა კარგი დრო იყო, როდესაც ერთად ვხატავდით ილიუშინთან. გვერდით მიჯდა. იმ დროს, როდესაც ის გამწარებული ხატავდა, მე გამწარებული მას ვუყურებდი ცალი თვლით. თამარი ცნობილი

ხელოვანი გამოვიდა თავისი შრომით. მე კი მის ყურებაში ყველაფერი გამიძვრა ხელიდან“.

ლეო ჭეიშვილის სულში ყმაწვილობიდან სიყვარულის ამაღლებული მოთხოვნა იყო ჩაბუდებული, რაც აშკარად გამოკვეთილი იყო მის ქალაქურსა და მუხამბაზურ მოტივზე დაწერილ ერთ-ერთ ლექსში:

„გადახედე ველად გაშლილ ყვავილებს.
თვალს სიტკბოსი წყალი დააღვინე,
ყური უგდე მოჭიკჭიკე ჩიტუნებს
და სიყვარულს გული გააშლევინე!“

(ბუენოს-აირესი 25.8.72).

ამბობენ, რომ „სიყვარულს ათასობით ასპექტი აქვს, და ყოველ მათგანს თავისი სინათლე, თავისი წუხილი, თავისი ბედნიერება და თავისი კეთილმოსურნეობა ახლავს“. ეს განწყობა ჩანს ლეო ჭეიშვილის მრავალ სასიყვარულო მოგონებაში.

ლეო ჭეიშვილს თავისი გაუმხელებელი და უმანკო სიყვარული აქვს გაჟღერებული ლექსში „ლეგენდა“, სადაც იგი სიყვარულის სიმბოლოს – ვარდს უძღერის:

„ქარმა ტოტი შეარხია ვარდს დაეცა ცვარი.
ვარდი შეერთა! ცვარის კოცნა იყო უეცარი.
კუკურები შეარხია, გაიზმორა ზანტათ,
დილის მზეზე გადიშალა ვარდი ფიანდაზად“

(„კავკასიონი“ 1978:63).

ზოგჯერ მის ცხოვრებაში სევდისადმი ამხედრების მომენტებიც დგებოდა ხოლმე, თუმცა მისი ტკივილისა და ტანჯვის, მწუხარებისა და სევდის ამხედრებითი განწყობა მაინც პასიური იყო.

„...ეს ჩემი ოცნების სამყარო, უცებ ისეთმა წყვილიაღმა დაფარა, რომ ვერაფერს ვხედავ. არ ვიცი დავილაღე, არ ვიცი უცებ მოვხუცდი. მახსენდება ერთი ჩემი ჩანაწერი:

„განა არ ყვავის ტყემალი თეთრად?!
მაგრამ ის წარსულს ამოეფარა,
თვალი ვერ ხედავს მას ძველებურად
სიბერის ხავსი გადაეფარა“.

ლ. ჭეიშვილის წერილებში ამეტყველებული ჩივილი, პასიუ-

რი პროტესტი, თავისი თავის სხვის მიერ შეცოდება, უსამართლოდ მიყენებული ტანჯვისა თუ ამ ტანჯვის სიმძიმის განმძინება საბოლოოდ მხოლოდ და მხოლოდ აღიარება იყო და სხვა არაფერი.

„ემიგრაციაში სამშობლოს ხსენება ყოველდღიურად კი არა ყოველწუთიერად მეორდება, მისი მოგონება არ ასვენებთ, ეს ის სიყვარულია, რომელიც ასე დამჩნევია გულს და თავს არ ავიწყებთ,“ – აღნიშნავს რუსუდან ნიშნიანიძე თავის წიგნში „საქართველო სამანს აქეთ და სამანს იქით“ (ნიშნიანიძე 2008:386).

მართალია, ლეო ჭეიშვილს ტანჯვა და მწუხარება პირადი „მე“-სკენ მიმართავდა და განდგომითი ცხოვრებისაკენ უბიძგებდა, მაგრამ ის მანც არ შორდებოდა საქვეყნო საქმეს და აბსოლუტურ ეგოიზმში არ იძირებოდა.



სიონის საკურთხეველის
გადასაფარებელი



ლეო ჭეიშვილი და
რეზო თაბუკაშვილი

შემთხვევითობისა და აუცილებლობის ნებას განაპირობა ის, რომ ისტორიული ფარდაგის ჩამოტანის პატივი წილად ხვდა ბატონ რეზო თაბუკაშვილს, რომლის მამის – შალვა თაბუკაშვილის ნამოწაფარი გახლდათ გიმნაზიაში სწავლის დროს ლეო ჭეიშვილი. ფარდაგი 39 წელიწადი იყო დასვენებული პაპაეების ოჯახში.

„...ჩვენ გვიჭირს მისი მოცილება და ამ ადგილზე სიცარიე-

ლის ყურება. ახლა გვინდა ეს ჩვენი სამკაული, ეს ჩვენი საუნჯე, ეს უნიკალური განძი საქართველოსა გადმოგცეთ და ჩაგაბართ... ბედნიერება გეკონდა ჩვენს ჭერქვეშ შეგვენახა იგი და უფრო მეტი ბედნიერებაა ახლა ეს წავიდეს იქ, სადაც მისი ისტორიული ადგილია. იცოცხლოს საქართველომ მარადის, სანამ კაცობრიობა იქნება და ბედნიერი იყოს თქვენი და ამ ჩვენი საუნჯის საქართველოში მგზავრობა“, – ასე დალოცა ლეო ჭვიშვილმა ეროვნული რელიკვიის სიონის საკურთხეველის გადასაფარებლის სამშობლოში დაბრუნება.

ლეო ჭვიშვილი თავის მძიმე პროზაულ ცხოვრებას მართო ფრთიან სტრიქონებს როდი ანდობდა. იგი დიდ ტკივილს ფერთა გამაშიც გამოხატავდა ხოლმე. რადგან, თუ გინდა სხვას აგრძნობინო, უპირველესად თვითონ შენ უნდა გრძნობდე, ამიტომ მხატვარი პოეტიც უნდა იყო, ფილოსოფოსიც და სწავლული ადამიანიც.

„...რა აუტანელია, როდესაც „რამდენი რამ გრჩება ადამიანს უთქმელი“, რომელიც გახრჩობს. იგივე სახეები, იგივე ადგილი, ჩემთვის მუდამ უცხო და აუტანელი... დავჯექი ჩემს სკამზე, დავალაგე ხელები და დავიწყე ფიქრი. ფიქრები ჯვარზე გაკრულის.

...ჩაგაცქერდი კაენის და აბელის ჩემს ნახატს. დახატულს, როცა ჯერ კიდევ 30-ის არ ვიყავი. ვუცქეროდი ჩემს საკუთარ სურათს და ვფიქრობდი, რომელი ვარ „კაენი“ თუ „აბელი“?! (ჩემი ბიურო 10.4.75).

მისი ფერწერული ტილოები და გრაფიკული ნამუშევრები უხვად ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს როგორც თავის, ისე შვილებისა თუ ახლობელთა ოჯახების კედლებს. იგი ყველაზე მეტად გატაცებული იყო გრაფიკით. აქ ერთი რამ შეიძლება ვთქვათ: გაუსაძლის მონატრებას სამშობლოსადმი და ტკივილს ახლობლებთან დაშორებაზე შემოქმედი სულის ადამიანი საკუთარ არსებაში შთანთქამდე მიჰყავდა და როგორც შემოქმედებითი ფსიქოლოგიის შემსწავლელები მიუთითებენ, სწორედ საკუთარ სულში ჩაღრმავებაა შემოქმედებითი გახსნის სათავე, სწორედ ამ მუდმივმა ნოსტალგიამ ამოამზეურა ლ. ჭვიშვილის სულიდან შემოქმედების მრავალი ნიმუში.

ლ. ჭვიშვილის დასურათებული იყო თავისი სიმამრის აკაკი პაპავას ყველა წიგნი. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია მწე-

რალ გრიგოლ რობაქიძის წერილები თამარ და აკაკი პაპაევებისადმი: „მივიღე თქვენი თხზულება „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. გმადლობთ! მივიღე თანვე შენი წიგნი, აკაკის „უცხო ჭიშკართან“. გმადლობ! (გადაეცით ლეოს: ყდა პირველისა კარგია, ყდა მეორესი შესანიშნავი. დიდი ოსტატობა გამოუჩენია)“ (რობაქიძე 2012:450).

იგივე აზრია გადმოცემული გრიგოლ რობაქიძის მეორე წერილშიც: „დიდი მადლობა შენი წიგნისათვის „1500 წლოვან თბილისს“ (ლექსები და წერილები). წავიკითხე: რასაკვირველია დიდი ინტერესით. ეს წიგნი შედარებით შენს წინა წიგნთან – „უცხო ჭიშკართან“ – უფრო პოეტურად მეჩვენება. ყდა ლეოსი, ძალიან მოხდენილი და ლამაზია“ (რობაქიძე 2012: 452).

მის ოჯახში ასევე ინახებოდა მინერალების მთელი კოლექცია. სახვითი ხელოვნებისადმი მამის ნიჭი და გატაცება გამოჰყვა ლეო ჭეიშვილის უფროს შვილს ნინოს, რომელიც პროფესიონალი მხატვარი და მრავალი გამოფენის ავტორი გახლავთ არგენტინაში. მისი დასურათებულია სანტიაგო დე ჩილეში დაბეჭდილი გუსტავო დე-ლა ტორეს მიერ ესპანურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ წიგნის პერსონაჟთა ილუსტრაციების გარკვეული ნაწილი.

ამ ფაქტს საქართველოს გ.ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდში დაცული თამარ პაპავას 1963 წლის 19 იანვრით დათარიღებული წერილიც ადასტურებს. ავტორი ავთანდილ მერაბაშვილის დას სარას სიხარულით აუწყებდა: „ისპანურათ მალე გამოვა „ვეფხისტყაოსანი“, – გვწერს ავთანდილი. ზოგი ილუსტრაციები ჩემი შვილიშვილის, ფიქრიას ნახატია“... (პაპავა ფონდი 28103/ 14).

ნინო ჭეიშვილს შინაურები ფიქრიას ეძახდნენ, რაც აკაკი პაპავას მიძღვნილი ხასიათის ლექსშიცაა გამოხატული. დღეს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ესპანურად თარგმნილ „ვეფხისტყაოსნის“ წიგნში შეტანილია ნინო ჭეიშვილის ოთხი ილუსტრაცია (№63, 94, 309, 1300), რომელსაც ქართულ და ესპანურ ენებზე ნინო ჭეიშვილის სახელი აწერია. ნ. ჭეიშვილის ილუსტრაციები დაბეჭდილია ცნობილი ქართველი მხატვრების ირაკლი თოიძის, სერგო ქობულაძის, ლადო გუდიაშვილის, თამარ აბაკელიასა და უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის

ნამუშევრების გვერდით. ესპანურენოვანი „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოსიტყვაობაში წიგნის დამფინანსებელი ავთანდილ მერაბაშვილი აღნიშნავდა: „ქართველი მხატვარი ნინო ჭეიშვილი ემიგრაციაში დიბადა. იგი არის შვილიშვილი ცნობილი ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის აკაკი პაპავასი, რომელმაც ხელი შეუწყო და დაეხმარა აკადემიკოსს გუსტავო დე ლა ტორეს ამ წიგნის თარგმანზე.“

ლეო ჭეიშვილმა თავისი სიყრმის შვილის ნინოს დაბადებას მიუძღვნა მეტად გულწრფელი სტრიქონები:

„თებერვალია, მზე აფრქვევს სხივებს,
ლაჟვარდოვან და უსაზღვრო ცაში,
ჰაერში ფრინავს მწვანე პეპელა,
ვით მოწყვეტილი ფოთოლი ქარში...“

მან ასევე მიიღო მონაწილეობა 1968 წლის 14 იანვარს პარიზში „მიუზე სოსიალი“-ს დარბაზში გამართულ სახეიმო ღონისძიებაში, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა. ლტოლვილობაში მყოფ ქართველ მეცნიერთა და მწერალთა საპატიო კომიტეტის შემადგენლობაში ირიცხებოდა ლეო ჭეიშვილიც. „ბუენოს-აირესი: ბ. ლეონიდე ჭეიშვილი – დოქტორ-ინჟინერი, დეპარტამენტის დირექტორი არგენტინის მინერალოგიის ინსტიტუტში“, – სადაც მან უნივერსიტეტზე ზემოთ აღნიშნული „პატარა მოგონება“ წარმოადგინა“ (*„საქართველო“* 1968: 8).

ისეთი მაღალი ღირსებებისა და ღირებულების მატარებელი მამულიშვილისათვის, როგორც ლეო ჭეიშვილი გახლდათ, ნაციონალური დამოუკიდებულობის, მთლიანობისა და თავისთავადობის პრობლემა მუდამ აქტუალური და მტკივნეული იყო. „მთელ საბჭოეთში კი, სადაც ჯოჯოხეთის ცეცხლი გიზგიზებდა, ამაზე ფიქრი და ოცნებაც არავის შეეძლო. კაცმა არ იცოდა ზვალ რა მოხდებოდა. ვისი თავი დაგორდებოდა. ქვეყანა ერთიან საკონცენტრაციო ბანაკად იყო ქცეული“ (სიგუა 2002:221)

კომუნისტური იდეოლოგიით მომხამულ საქართველოში დაბრუნება უეჭველად სიკვდილს ნიშნავდა, ამიტომაც ირეოდნენ ლეო ჭეიშვილის სულსა და გონებაში სამშობლოში ვერდაბრუნებისა და უსაშველო მონატრების ტკივილები, რის გამოც დარდი სახეზე გაშლილი წიგნივით ეწერა:

„მომავონდება რაც იყო ძველად,
თვალზე მოვისვამ ქურდულად ხელებს
და შევიძშრალე შეუმჩნეველად, ჩამქრალ
ლოყებზე დადენილ ცრემლებს.

„რამდენი ბოღმა, ტკივილი, დაგუბებული დაუღვრელი და დაღვრილი ცრემლით არის სავესე ჩემი ეკლიანი გზა!..“ – წერდა იგი. ლეო ჭეიშვილს უცხოეთში მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე მხოლოდ სამშობლო ქვეყნისა და თავისი ერის უანგარო სიყვარული უძღოდა.

ღვთის ნებით, ლეო ჭეიშვილი საქართველოში თავისუფლების ზარის სანატრელ გუგუნსაც მოესწრო: „ხედავ, ერთი შემოკვრით როგორ შეიცვალა და აირია ყველაფერი? ვინ იფიქრებდა ამას და აბა, ვინ იცის თუ როგორ გათავდება ყოველივე ეს? როგორ იშლება ეს უზარმაზარი იმპერია? მაგრამ ჯერ ნაადრევია საბოლოო აზრის გამოტანა. დიდი დაკვირვება არის საჭირო. განსაკუთრებით დიდი სიფრთხილე და ჩაფიქრება მართებს ქართველ ერს. შეიძლება ეს დიდი სისხლი დაგვიჯდეს, რაც ჩვენთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდეს შესაძლოა“, – აფრთხილებდა ლეო ჭეიშვილი თანამემამულეებსა და ახლობლებს.

არგენტინიდან ერთი წლის შემდეგ გამოგზავნილ წერილში მზია პაპავა-ჭეიშვილისა აღნიშნავდა: „საქართველოს ამბები ყოველ დღე სწერია გაზეთებში, ტელევიზიაში აჩვენეს სესია – დამოუკიდებლობის გამოცხადება. ისმოდა ქართული ჰიმნი. გადავირიეთ. ყველაფერს დრო უნდა. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და უშველოს ჩვენს სამშობლოს“... (ლომას-დე-სამორა 14.9.91).

„გარდაგვხდენია ბრძოლა მრავალი, ტანჯულმა სულმა არ იცის დაღლა“ – ეს სიტყვები ეკუთვნოდა ნოე ჟორდანიას, რომელმაც პოლიტიკურ ემიგრაციაში მთელი თაობა აღზარდა. და ეს სიტყვა-საქმე წინასწარმეტყველური გამოდგა.

საქართველოში მიმდინარე ქარტეხილებს – 9 აპრილის ტრაგედიას, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას, აქედან გამომდინარე, დიდ ემოციურ განცდებს ლეო ჭეიშვილის ობოლმა სულმა და სევდიანმა გულმა ვეღარ გაუძლო.

ცხადია, ძნელია, სამშობლოს გარეშე ცხოვრება, ბრძოლა და

მით უფრო სიკვდილი, სხვისი საქმისათვის ქართული სისხლის გაწირვა.

სამშობლოსათვის ჯვარცმულმა მამულიშვილმა ლ. ჭეიშვილმა ჯერ კიდევ 1962 წლის 20 ივლისს დაწერა თავისი ანდერძი:

...დადგა ღლე ჩვენი განშორებისა,
აქეთითინებულს სიტყვა მიწყდება.
გთხოვთ მოიგონოთ სახელი ჩემი –
იმედი მაქვს არ დაგავიწყდებათ?!
მინდა შენ განდო, რაც დავიბადე,
მსურს იქ ვიძინო უკანასკნელად,
გთხოვთ, მოაყაროთ ჩემს მშობელ მიწას,
სხეული ჩემი, ქცეული ფერფლად!“

„...ხელში მიჭირავს დედისა და მამის საფლავებიდან აღებუ-
ლი მიწა ერთად ნინო ბებიას და იოანე ბაბუას საფლავებიდანაც
წამოღებული – უწმინდესი და უძვირფასესი განძი, რაც გამაჩნია.
როდესაც დრო მოვა, ეს მიწები ჩემს ფერფლს შეუერთდება, რომ
ისევ დავბრუნდე, იქ და მათთან ვისაც ვეკუთვნი და საიდანაც
მოვდივარ“...

„1990 წლის ერთ საღამოს, ბუენოს-აირესის, ალვეარის თე-
ატრში რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ დადგმული ბრეხტის
„სიმონა მამარის სიზმრების“ სპექტაკლის შემდეგ, მრავალტანჯუ-
ლი ემიგრანტის ლეო ჭეიშვილის მაჯისცემა შეწყდა. სულმა, მის-
მა პოეტურმა სულმა, თავად ჰპოვა მარადიული სასუფეველი ზე-
ციურ საქართველოში, ხოლო მისი დაქანცული სხეული ანდერძის
თანახმად, არგენტინაში დაფერფლეს, რომლის ძვირფას ნიშას მი-
სი შთამომავლები მალე სანუკვარ მშობლიურ მიწას მიაბარებენ.

1990 წლის 1 ნოემბერს პარიზში გამომავალ ჟურნალ „გუ-
შაგის“ №23-ე ნომერი იუწყებოდა: „წელს 1 ნოემბერს ღრმად მო-
ხუცებული, ლომას-დე-სამორაში (ბუენოს-აირესის პროვინცია, არ-
გენტინა) გარდაიცვალა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ლეონიდე
(ლეო) ჭეიშვილი. ადგილზე დაიკრძალა დროებით და ანდერძის
მიხედვით გადასვენდება სამშობლოში“.

„მუდამ მიყვარდით და მეყვარებით!
თქვენ განაცვალებთ ამ გულის ძგერას!

ცრემლმორეული ჩამოგვრავ სიმებს,
და გიმღერთ ჩემი „გედის სიმღერას“.

ასე მთავრდება ლეო ჭვიშვილის ლექსი „ცხოვრების ფურ-
ცლები“.

ლეო ჭვიშვილმა სამშობლოში 21 წელი იცხოვრა. სამჯერ
მეტი, 64 წელი, კი საქართველოს გარეთ. ყველაზე დიდხანს არ-
გენტინაში დაჰყო.

ამ ხნის მანძილზე მას ყოველწუთს თავისი მშობლიური
კუთხე-კუნჭული, დები, მშობლები, ტოლ-მეგობრები და ეზო-კარ-
მიდამო ელანდებოდა, მაგრამ ეს მირაჟი იყო და არა რეალობა.
„მე ვარ შენთან, – სალომესთან, თამართან, ლიუდმილასთან, ნათე-
ლასთან, ქეთოსთან. ჩვენს დაუვიწყარ და სათაყვანებელ დედასთან,
მამასთან და ბებია ნინოსთან. ჩემს წინ დგას ის სურათი ისე ხე-
ლუხლებელი, როგორც დავტოვე...“

ჩემი ლოცვა დაწოლის წინ არის, თხოვნა ბედისადმი: დამა-
ძინოს და ნუ გამაღვიძებს. ეს არის ჩემი ერთადერთი სურვილი.

სადმე ქუჩაში დავეცე და ბრბოს დროს გასატარებელი გავ-
ხდე, ეს კი არამც და არამც არ მინდა. მინდა ჩუმად, წყნარად და-
ვიძინო...

იმედი მაქვს ეს უკანასკნელი სიმი ჯერ კიდევ ერთხანს გაძ-
ლებს, სანამ გაწყდება და ჩემს სულს ჩემს მიწას მიაბარებენ,“ –
წერდა ეთერ ჭვიშვილს 1979 წლის 21 მარტს.

სამშობლოსათვის ცოცხლად დაკარგული მამულიშვილის
ნოსტალგია და დიდი სევდა-ტკივილია ჩაქსოვილი ლეო ჭვიშვი-
ლის 1962 წელს დაწერილ ლექსში „გამოთხოვება“:

„ასე თავდება ჩემი სიცოცხლე,
შორს შენგან სადღაც, გადაკარგულის.
ოხ! ერთხელ მაინც კიდევ მენახე,
მანამ შეწყდება ძგერა ამ გულის!
ველარ გავუძელ უშენოდ ყოფნას –
სიყვარულის ცეცხლს შენთვის ანთებულს
და ამ კოცონზედ დამწვარს, დაფერფლილს
შენ შემოგწირავ ჩემს სულსა და გულს!“

აუღელვებლად ვერ შეძლებ, რაც უნდა გულქვა ადამიანი

იყო, ლეო ჭეიშვილის ლექსებისა და წერილების კითხვას. სად იყო ასეთ სასოწარკვეთილებამდე მისული ამდენი სევდა ამ ერთ კაცში ასე დაუსრულებლად ჩადებული?!

ყოველი მისი სტრიქონი ისეთი სასოწარკვეთითაა გაჟღერებული, ემიგრანტი და სამშობლო დაკარგული კაცი რომ არა, სხვა ვერ დაწერდა მას, რადგან სულ სხვაა რაიმე მოვლენის უშუალოდ შეგრძნობა და მისი უშუალოდ განცდა.

ლეო ჭეიშვილი ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელმაც საკუთარ მხრებზე გამოსცადა სამშობლოდან გადახვეწილისა და მიუსაფარის ცხოვრების სიმძიმე. ამიტომაც არის ალბათ მისი “გამოთხოვება” თუ აღსარება ასე გულწრფელი და მისი განცდები ასე მწველი.

მართალია, ლ. ჭეიშვილის ლექსები ქართული პოეზიის შედევრებს არ წარმოადგენს, მაგრამ მათი ეს ნაკლოვანებები იფარება აზრის სიღრმით, განცდების სიჭარბით, სისადავით, უბრალოებით, გულწრფელობითა და ბუნებრიობით, რითაც იგი ახალი და ორიგინალური შტრიხებით ავსებს თანამედროვე ქართული მწერლობის უმდიდრეს საგანძურს.

ამრიგად, ლეო ჭეიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლამ ასე თუ ისე ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა არა მარტო სამშობლოსაგან დაშორებული ერთი პიროვნების ტრაგიკულ ადამიანურ ხვედრზე, არამედ საზოგადოდ მთელი ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის ბედსა და მდგომარეობაზე, იმ ადამიანთა ცხოვრებაზე, რომლებიც უცხოეთში ათეული წლების მანძილზე უმწიკვლოდ ინახავდნენ და აცოცხლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, თავისუფლების დიდ ეროვნულ მუხტს.

ლეო ჭეიშვილის წერილებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ეპისტოლური მემკვიდრეობა შემოქმედებითი პროცესის განსაკუთრებული სფეროა. მის წერილებს ემიგრანტული მემკვიდრეობის კვლევისას, მართლაც, რომ განსაკუთრებული როლი ეკისრება, რადგან ყოველი პირადი ბარათი თუ სულ მცირე ნაწერიც კი უნიკალურ დოკუმენტურ მასალასაც წარმოადგენს.

ლეო ჭეიშვილის არგენტინიდან საქართველოში გამოგზავნილი ეპისტოლეები ორი ათეული წლის განმავლობაში იწერებოდა.

იგი ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ქართული კულტური-სათვის უნიკალურ მასალას იმითაც წარმოადგენს, რომ მან ახლობელი გახადა ჩვენთვის შორეული არგენტინაც და ავტორის მეცნიერულ და მხატვრულ შემოქმედებასაც უშუალოდ გვაზიარა.

28.11.62.
State College
Pennsylvania.

Dr. ING. LEONIDAS TCHIECHVILI
LAS PIEDRAS 135
LOMAS DE ZAMORA - PROV. DE BS. AIRES
REPUBLICA ARGENTINA

სიყვარული ჯ სიკეთე ქვეყნო, ყოველი
ქმნილობა აიღო რაღაც გამოთქაჯანა. ცუნ შანა
შოუხოვე და მონასე.
მხოლოდო მონასესე აუ ხალოქე შიეთიშ.
ჩვენებე შიშინ, მესამ იქვეა და სოთიხი 70მე.
უბე აუვე იხი ქლობე შიეთი აქვეა, სუ ახეკი
დაქიხიბა - შიეთიე სედი და ვიშვი ან ხა ახი
ქესე ან ხა ვიშვი. ქ მხოლოდო ანიიქო
ქანდვიბიბე ახილ ქუხოვითი შიეთიდა
ქანდვიბიეო ვიქიბიბილ.
აუ სეა ხილიყბი, სომ სეოთი მეს
სეო და ვიშვი -
ვამ ხინეხი, სომ ქანვიბიბიშქს
დავსე ვიქოთი.
უხიბვიე ვიქიბი ცუნ 222 (ოქს)
ქესევიბი სეოთანი ქანდვიბიბი. ქიეთიან
აქიბი ქიქსე ქიქსე.

ლეო ტეიშვილის
წერილები არგენტინიდან

შინი დაქიხილ - სეოთი ვიქიბიბი,
დავებოთ ვიქიბიბი სეოთიბიბი,
სეოთი ვიქიბიბი სეოთიბიბი
და სეოთიბიბი სეოთიბიბი.

ო. ტეიშვილი
St. College / Penna
12.1.62.


ლეო ჭეიშვილის სამეცნიერო ნაშრომები



ანჰიდრიტის II
ტრანსფორმაცია
ბიჰიდრატში, ნაწილი I



მაგნიუმის ოქსიდის სინთეზი
ფლიურიტის მეშვეობით,
ნაწილი II



მაგნიუმის ფლოროდი როგორც
გამჭვირვალე სხეული
ინფრაწითელ რადიაციაში

ლეო ჭვიშვილის გრაფიკული ნამუშევრები



**WATSON INDUSTRIA ARGENTINA
PINTADO A⁴ MANO**

Summary

Mariam Marjanishvili

SOUTH AMERICAN PERIOD OF GEORGIAN EMIGRANT WRITING

In XX century, Georgian political emigration played a significant role in the history of the cultural and social development of our country with their lives and activity. Their works in different fields of literature, science, politics, law and culture are fused with such cardinal issues of Georgian history as occupying Georgia by Bolshevik Russia, the revival of independence and freedom.

The establishment of “proletariat dictatorship” was followed by the loss of national, personal and social freedom. The new regime was unacceptable for free, independent and democratic government of Georgia, progressive intelligentsia and the largest part of the society who headed to different countries of the world to achieve one and the same goal. It was: the revival of Georgia’s independence and freedom, which was to be solved on the international level. To achieve this, it was necessary to introduce flexible policy and to take past experiences into consideration, to create necessary international conditions and maximum preparation because Russia would never concede Georgia and the struggle with Bolsheviks would not give good results as well.

Weakened by political struggle, Georgian emigration, whose goals didn’t coincide with the wishes of small countries concerning great “states”, considered that one of the reliable events and strong means of the revival of Georgia’s national and state independence was the attack of the Soviet Union by Germans in the World War II. Thus, a great part of the Georgian emigration joined the anti-Soviet groups and organizations on the condition that the highest circles of Nazi Germany would be involved in the issue of Georgia and in case of their victory, they would save the Georgian nation, which will later decide the issue of its own state, from Soviet Russia.

Together with Georgian political emigration, German formations were joined by the Georgians who were hostages of different organizations and concentration camps. After the World War II in July

and August of 1945, at the Potsdam conference, Stalin strictly demanded that former military hostages and the emigrants who fled the Soviet Union before 1939 had to return to their country. According to the agreement, a lot of soldiers, including Georgians, who fought on the German side or in different formations and organizations against the Soviet Union, were persecuted in the Soviet zones of occupation, where they were arrested and sentenced to death by shooting. Among the prisoners were those who became emigrants after the Bolshevik victory in Russia. Among them there was the part of Georgian political emigration which, in a certain way, cooperated with the Nazi and supported German policy. That's why they were intensively persecuted and arrested throughout Europe.

The only mechanism of protecting Georgian emigration from the approaching danger was to move to American continent, namely, South America, because the USA was the only country which demanded that military hostages and anti-socialistic political emigration were given a choice and their return to the "red" country had to be optional.

Besides, after the victory in the World War II, Soviet Union tried to establish socialist regime in Europe. Dangerous political factors and the economical situation of destroyed Europe endangered the supporters of Fascist Germany. South American countries were the only ones which received political emigrants and former Soviet hostages freely and without any condition. Thus, the appearance of Georgian Diaspora in Argentina and Chile was mainly conditioned by this fact.

Georgian intellectual elite which established in South America realized that quite often, a word was more powerful than politics and weapons, that's why they showed Georgian reality against annex by imperialistic and, later, Bolshevik Russia. Akaki Papava, Tamar Papava, Victor Nozadze and Leonide Cheishvili gave Georgian literature conjecture-free spiritual heritage oriented on real values.

According to the above mentioned, the subject of our research is the activity of the part of Georgian political emigration in Argentina and Chile, who led their literary, scientific, publicist and publishing activity in the mentioned countries.

It is true that there are some interesting works dedicated to these authors individually but the study of their creative work in detail and its thorough analysis in the general context of Georgian emigrant literature is, in fact, carried out in this thesis for the first time.

Due to the specifics of the thesis, we used the principles acquired during the research of journalistic, social and cultural events. The creative, publishing, critical, social and cultural activity of Georgian emigrants is discussed in a systematic unity. At the same time, it became necessary to characterize separate books and periodical issues.

During scientific analysis of the creative heritage of the Georgian emigrant writers working in South America, we took into account the literary, social and political events which took place in Georgia at the same period.

In order to get a clearer impression of the creative and scientific work of the mentioned author, we thoroughly studied the journals and magazines which came out abroad, where they expressed their ideas and opinions. These journals and magazines are: "Ornati" (Paris, 1934-1935), "Kavkasioni" (Paris, 1929-1932 #I-VIII; 1964-1975, #IX-XVIII), "White Giorgi" (Paris, 1935-1939), "Kartlosi" (Paris, 1937-39), "Mamuli" (Buenos-Aires, 1951-1953), „Sakhalkho Sakme" (Buenos-Aires), "Georgian Nation" (Berlin, 1944), "Georgia" (Berlin, 1944), "Georgian mind" (New York, 1945) and others .

We should also mention that before going to emigration, all of the mentioned writers except L. Cheishvili were in the centre of the state's social, political, literary and scientific events. That's why, in order to study their creative work even better, it was necessary to study their works which were published in Georgian journals and magazines. These journals are: "Theatre and Life", "Georgian Writing", "Lomisi", "Mnatobi", "Art", "People's newspaper", "Imereti", "Colkhida", "Temi", "Grdemli", "Sapphire", "Prometheus", "Social-democrat", "Republic of Georgia", "The Rainbow", literary journal of Georgian women writers "Almanac" and others.

After moving abroad, more and more national feelings filled the above-mentioned activity, which was followed by nostalgia. From then on, the world around them was perceived from emigrants' point of view.

In order to understand literary contribution of Georgian emigrant writers in the history of our writing, we have found and studied the new materials about the activity of Argentinean period by Akaki and Tamar Papava, Victor Nozadze and Leonide Cheishvili. We used the documents preserved at Tbilisi G. Leonidze Literary Museum, Georgian National Centre of Manuscripts and Kutaisi State Historical Museum, including epistyles, which revealed quite new aspects of their activity in South America.

We also thoroughly studied the letters which Georgian emigrants dedicated to the activity of Tamar and Akaki Papava and Victor Nozadze. The material preserved in the private archives by their relatives and close people, living in Georgia, were very helpful.

The presented thesis is the first monographic research which fully presents and analyses the most important issues connected with the life and work of Akaki and Tamar Papava, Victor Nozadze and Leo Cheishvili in South America.

Besides the books by the above-mentioned authors and different works published in emigrational press, we have also widely used unknown materials about their political and social activity, which was gathered from archives, periodical press, personal archives, oral stories verified by documents.

We think the given thesis will partly fill the gap existing in the history of literature concerning the study of creative work of these authors.

Chapter one. Political and economical factors conditioning Georgian emigration in South America. The history of establishment of Georgian Diaspora in Argentina

The given chapter presents the main factors of the establishment of Georgian Diaspora in South America.

In the XX century, the first reason why Georgian political emigrants left their homeland was the occupation of Georgia by Bolshevik Russia and the introduction of a new regime by the establis-

hment of Soviet dictatorship, which conditioned the restriction of the individual, national and social freedom of Georgian people.

In our country, the new regime was followed by political and economic crisis, the genocide of the Georgian nation: shooting, resettlement, restriction of freedom, starvation, chaos, fleeing from homeland another. These were the factors that made the democratic government of Georgia and intellectual elite leave the country without capitulation, which enabled them to fight for restoration of Georgia's independence with the help of international justice.

The reason of further persecution of the diaspora scattered in Europe, was the World War II and its results. Namely, this time, Georgian emigration had to seek shelter in South America because in the 50s of the previous century, in many countries of Europe, political emigrants, hostages and those who moved to the German side were intensively caught and transferred to the Soviet Russia.

Besides, after the victory in the World War II, Soviet Union tried to establish socialist regime in destroyed Europe under the pressure of local communist parties, and take control over these regions, which endangered European peoples as well as political emigrants, hostages and refugees, including the Georgians, whose repatriation was strongly demanded by Soviet Union and its leader Stalin.

According to the agreement between the leaders of the United State of America, Great Britain and the Soviet Union, the English side took the responsibility that after the World War II, it would pass those who were in its occupational zone, namely, the former military servicemen of the Soviet Army to the Soviet Union.

This responsibility clearly endangered the emigrants who found shelter in post-war Europe, including the Georgians. In May-July, 1945 alone, the British army persecuted nearly two million captive military servicemen from Austria to the occupied military zone, where they were arrested and most of them were shot.

They were also intensively looked for and arrested in Italy, where people hiding from Soviet communists were sheltered and supported by churches and their monks. And in France and Germany, anti-Soviet political emigrants, who cooperated with Nazi, or supported German politics, were arrested and given to the Soviet side.

Besides, South America was the only country, which, feely and without any conditions, received political emigrants and former Soviet hostages. The majority of Georgian refugees chose Argentina, which supported Georgian independence in 1919. Moreover, like other South American countries, Argentina rejected “red regime”, which meant that there was not any danger for the refugees.

Chapter two. Georgian language publications in Argentina and Chile

a) Journal “Mamuli” and urgent notebook “People’s affair”

In South America, namely in Argentina, one part of the Georgian political emigration which left after the World War II, established a Georgian Diaspora in 1950, in order to cooperate and expand their cultural activity.

In March, 1951, the above-mentioned Diaspora published the first issue of the journal “Mamuli” in Buenos-Aires, the first journal in the Georgian language on the American continent. The editor was the scientist, Rustavelologist Victor Nozadze. In 1951-53, they published six issues of the “Mamuli” altogether.

“Mamuli” was funded by contributions from private people and the money raised during the events held by Georgian community in Argentina.

They also published a social-federal urgent notebook “People’s deed” (1952), which was edited by a member of this party and its active ideologist, Akaki Papava. Like “Mamuli”, “People’s Deed” was also funded by individual contributions. It was mainly dedicated to political issues, though it also contained publications of other genres and topics.

“Mamuli” was an anti-communist journal, which presented a new word in the history of Georgian emigration journalism. Despite differences in political ideas by different authors published on its pages, they still served one aim. It was the restoration of full independence of Georgia.

b) Georgian books published in Buenos-Aires and Santiago de Chile

Together with the journal “Mamuli”, we also find Georgian books published in South America in the second half of the previous century.

It is known that before going to emigration in South America, Tamar Papava started her writing on the pages of the journal “Kavkasioni” under a nickname “Isakhar” and since then, her name didn’t leave the pages of Georgian emigration press. Tamar Papava’s deep and interesting books – “Great faces in small frames”, part one, were published in Paris in 1937.

In 1951, in Buenos-Aires, Tamar Papava published another book “Queen Darejan”, which was the first Georgian book on the American continent. In 1953, the author published “Great faces in small frames” part two in Argentina.

In 1956, in Buenos-Ares Tamar and Akaki Papava published their most important book: “Mariam – the last queen of Georgia”.

While living and working in Argentina, Akaki Papava published two collections of poems: “Babuta’s poems” (1955) and “At strange gates” (1956).

The literary and creative work of Georgian political emigrants in South America was strengthened and raised to a higher scientific level by Victor Nozadze, who published his first book dedicated to Rustaveli research in Buenos Aires - “Judgment and colours in the Knight in the Panther’s Skin” (1954).

From the end of 1953, the literary, scientific and cultural activity shifted from Argentina to Santiago de Chile. This was led by Victor Nozadze. The publishing expenses were taken by a famous writer Avtandil Merabashvili. He helped Victor Nizadze to publish his three fundamental works in Santiago de Chile: “Stars of the Knight in the Panther’s Skin” (1957), “The Sun of the Knight in the Panther’s Skin” (1957), “Society of the Knight in the Panther’s Skin” (1958).

Besides the works dedicated to Rustaveli, A. Merabashvili also financed Akaki Papava’s collection published in Santiago de Chile –

“To 1500-year-old Tbilisi” and Giorgi Gamkrelidze’s poetic collection “Late Vintage”.

Georgian Diaspora in Argentina and Chile led very active political and cultural activity. One part of Georgian emigrants, who had to leave their home country and find shelter in South America, managed to lead cultural, educational and academic work at a high level.

It is true that their main goal – to revive the independence of Georgia and to return all political emigrants to their home countries – was not reached, but, as Mikhako Tsereteli said: “without a nation, there is no history, no culture, no real person, that’s why serving your own country means serving yourself and, at the same time, it is creative work, the creation of future. The nation itself as a person has the right of life, development and freedom”.

Despite the difficulties of emigration, Tamar and Akaki Papava, Victor Nozadze and Leonide Cheishvili managed to serve Georgian writing to the end and leave interesting heritage to the Georgian nation.

Chapter three. Georgian writers creating in South America

Georgian emigration is the historical past of the people who fled Russian imperialists. From this sad past, we see exhausted faces dreaming of returning to their homeland, and among them are the writers living and creating in South America – Tamar and Akaki Papava, Victor Nozadze and Leonide Cheishvili. Today, it is impossible to discuss the spiritual culture of Georgian emigration of the XX century without them.

We think that the past is the lesson for future when it is studied with objective correctness, when nothing is hidden from this part. Thus, we think that the creative work of the above-mentioned famous Georgian political emigrants will take its appropriate place in our literature.

Akaki Papava

Political emigration of the 1920s revealed all the talents of the Georgian man in all walks of life, his intelligence, nobility and bravery – in either politics, or writing, or science. Among them was a writer, politician, scientist and publicist Akaki Papava.

From the so far unknown archive materials it has become known that Akaki Papava left Georgia in 1921 in order to receive his brother's inheritance, who died in Germany, and not because he was under political pressure.

From Argentinean period of his life and work, one of the most important is poetry based on national motives. In three collections published in South America: "Babuta's poems", "At the strange gate", "To 1500-year-old Tbilisi" and in "Motsameta" published in New-York, the author also expresses his spiritual orphanage, homelessness, grief caused by not seeing his homeland and the pain from being far from it.

Akaki Papava's lyrics, like the creative works of other Georgian emigrants, describes the greatest grief caused by tragic story of losing state independence, Tbilisi downfall, the invasion of the 11th army, Kojori battles...

Despite severe reality, A. Papava's poetry still had some hope that the fate of his country would be revived and his parting from it was temporary.

Akaki Papava's attitude to the tragedy caused by the loss of Georgia's state independence, epoch events, the freedom of human-kind values and personality, is expressed in his historical works, essays and epistolary heritage.

It is important to mention his political activity during South American period. In Argentina, he was the chairman of national government of Georgia. In Buenos-Aires, Akaki Papava was linked to the independence committee of "satellites" and was its active member. Though radios "Portenia" and "Excelsior" he systematically broadcast programmes about oppressed nations, including Georgia, the causes of losing its past history, culture and freedom.

For Akaki Papava, the freedom of his home country was the basis of his existence and the guard of national mind. This can be

proved by the social-federals' notebook "People's deed" (1952), which was the anti-communist periodical publication.

Tamar Papava

The name of Tamar Papava, a famous essayist among political emigrants, is closely connected with Georgian literature and the history of thinking. Before emigrating, together with other eminent Georgian women, she served Georgian cultural development and, inspired by Ilia Chavchavadze's ideas, worked to help develop native writing and Georgian theatre.

She first wrote under the nickname "Crested Lark". She mainly cooperated in Georgian women writers' literary journal "Almanac", journal "Theatre and Life" and newspaper "Unity". On the pages of Georgian periodical press, she published translations of plays and stories, miniatures, sketches and letters on women's emancipation.

While in emigration, Tamar Papava appeared on the pages of journal "Kavkasioni" under the nickname "Tamar Isakhari" and with her essays – "Great faces in small frames", she introduced herself to the readers.

Tamar Papava's essayistic is an example of expressing reality as it is, which required great citizenship courage from the author. Her essays first published in Europe and, later, in South America, are included in the book "Great faces in small frames", in which the author describes the moral decline of her occupied country, the life of the country ruined by a "good willing enemy". In each essay, the author presents the reasons of unequal political relationship between Russia and Georgia, deliberate fight for invading Georgia by imperialistic Russia.

The violence of imperialistic Russia concealed under the mask of peace-maker and patron, was opposed by not only the sons of King Erekle, but by women as well, as "they especially bitterly experienced the Russian pressure on their subtle and sensitive bosom,

felt the fall of Georgia, destruction of state body and crown”, said Tamar Papava.

The research of the essays proves that King Erekle’s women: Ketevan, Mariam and Tekla’s hatred towards Russian invaders never lessened and they didn’t forget Russia’s betrayal during Erekle’s numerous attacks.

The given sub-chapter also discusses Tamar Papava’s publicist letters, memoir and epistolary heritage. They were published at the author’s old age. Her memoir book “My rosary” is especially important due to the fact that the reader can find a lot of unknown and interesting materials about the life and activity of Georgian political emigrants: Ekvtime Takaishvili, Grigol Robakidze, Mikhako Tsereteli, Kita Chkhenkeli and other outstanding people. “My beads” is considered to be one of the best works of Georgian Memoir genre.

In Tamar Papava’s creative work her epistolary heritage is also very important, in which she pays special attention to the constitutional similarity between Georgian and Spanish-speaking American women, which means coincidence in their build, temper and genetic code. She explains this according to Hegel’s conception, the common racial identity between American Iberians and Spanish Basks (Caucasian race).

Victor Nozadze

Victor Nozadze worked in two directions in emigration: practical activity to revive his country’s independence and active scientific work.

After moving to South America, he was mainly occupied by scientific and literary work. It was here that he created and published his works dedicated to Rustaveli, in which numerous research materials, the depth of scientific search and scale attracts attention, which is clearly expressed by the high level of professionalism.

In the conditions without any financial support, he overcame incredible obstacles in creating a collection of research on Rustaveli. His first book in this sphere “Colours in the Knight in the Panther’s Skin” (1954) was published in Argentina with the financial help of a

Tbilisi citizen Ivane Matiniani, the rest three books: “Stars in the Knight in the Panther’s Skin” (1957), “The society in the Knight in the Panther’s Skin” (1958) were published in Santiago de Chile funded by an industrialist Avtandil Merabishvili.

During his life and work in Santiago de Chile, for eight years, with the help and involvement of V. Nozadze, Professor Gustavo de la Tore translated “The Knight in the Panther’s Skin” into Spanish.

For six decades, V. Nozadze worked and created the grand cycle reflecting the variety of paradigms of Rustaveli’s poetry.

Even if Victor Nozadze didn’t write anything except Rustaveli research works, it would be quite enough to express the spiritual strength of the patriot and great scientist deprived of his homeland but still attached to his Georgian roots.

During his life in South America, he was also known as an excellent publicist. His political, historical and literary letters were systematically published in journal “Mamuli”. His publications written about Georgian theatre and fruitful translational works also draw our attention. He translated the memories and literary materials written by Georgian political emigrants in a foreign language and he gave them a great importance in order to preserve and keep the emigrants’ ideas and thoughts for future generations.

Leo Cheishvili

In order to relieve the great pain caused by nostalgia, a great part of Georgian political emigration put their great potential into the development and revival of Georgian science, writing, art, culture and education. Among them there was a poet, scientist and artist Leo Cheishvili, whose creative activity returned to his home country very late. That’s why, Leo Cheishvili’s life and work is a new theme in Georgian study of literature.

It is true that L. Cheishvili’s poems can’t be compared with the best works of Georgian poetry, their literary drawbacks are outweighed by the depth of their ideas, the abundance of feeling, simplicity, sincerity, by which he adds new strokes to the rich treasure of modern Georgian writing.

ბიბლიოგრაფიული ნუსხა:

ა) გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ამერიკის ისტორიის ესკიზები* (2005). ნიუ-იორკი: შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო.
2. ასათიანი ვ., ბრეგვაძე ბ. (1984). *ქართული მწერლობა*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
3. ასათიანი ლ. (1958). *რჩეული ნაწერები*, ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერლობა“.
4. ბაგრატიონი თ. (1951). ქართველი ერის უფლებათა დასაცავად: ჟურნალი „*მაშული*“, 4. ბუენოს-აირესი.
5. ბალახაშვილი ი. (1940). *ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში*. თბილისი: გამომცემლობა საბლიტგამი.
6. ბარამიძე ალ. (1966). *შოთა რუსთაველი და მისი პოემა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
7. ბარამიძე ა. (1988, იანვარი 29). მიმოწერა ვიქტორ ნოზაძესთან. *ლიტერატურული საქართველო*.
8. ბაქრაძე დ. (1891). *ქართველი ქალები*. თბილისი: ვ. ხელაძის სტამბა.
9. ბებურიშვილი ბ. (ნოზაძე ვ.). (1968). დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი უცხოეთში: ჟურნალი „*კავკასიონი*“, XIII. პარიზი.
10. ბებურიშვილი ბ. (ნოზაძე ვ.). (1964). აკაკი პაპავას ჰეპინიკოი ჰირმოი: ჟურნალი „*კავკასიონი*“, X. პარიზი.
11. ბერიშვილი ტ. (2013). *1924 წლის ეროვნული აჯანყება საქართველოში*. თბილისი: პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.
12. გაბაშვილი რ., გოგუაძე ვ. (1992). *დაბრუნება*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „გულანი“.
13. გამსახურდია ზ. (1991). *ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
14. გაუტენელი (პაპავა აკ.). (1952). „მიდიან“ – სამძიმრის მაგიერ: ჟურნალი „*მაშული*“, 5. ბუენოს-აირესი.

15. გელათელი გ. (1978). ვიქტორ ნოზაძის ხსოვნას: ჟურნალი „კავკასიონი“, XIX. პარიზი.
16. გოგოლაშვილი თ. (1926). ძველი წერილები: ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 15. თბილისი.
17. გოთუა ლ. (1999). *სიტყვათქმანი*. თბილისი.
18. გონჯილაშვილი ნ. (2007). ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს...: ჟურნალი „ლიტერატურული ძეგანი.“ რედ. მაკა ელბაქიძე. XXVIII. თბილისი: გამომცემლობა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
19. გოზალიშვილი გ. (1935). *1832 წლის შეთქმულება*. თბილისი.
20. გურული ზ. (1953). მოგონება: ჟურნალი „მამული“, 6. ბუენოს-აირესი.
21. გრიშაშვილი ი. (1985). *ნარკვევები, წერილები, მოგონებები, სიტყვები*. ტ.V. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
22. დე ლატორე 1964 – Gustavo de latorre botarro. (1964). *shota rustaveli – el caballero de la plel de ticre*. santiago de chile: avtandil merabachvili.
23. დადეშქელიანი თ. (1952). ბარათი სანფრანცისკოდან: „მამული“-ს რედაქციას: ჟურნალი „მამული“, 5. ბუენოს-აირესი.
24. დამსწრე. (1951). 26 მაისი არგენტინაში: ჟურნალი „მამული“, 3. ბუენოს-აირესი.
25. დამსწრე. (1952). საახალწლო ნაძვის ხე და ქართული წარმოდგენა ბუენოს-აირეში: ჟურნალი „მამული“, 5. ბუენოს-აირესი.
26. დაუშვილი ა., წუნგუაშვილი კ. (2005). *აქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის, თამარ!*. თბილისი: გამომცემლობა „მემატიანე“.
27. დაუშვილი რ. (2007). *ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში*. თბილისი: გამომცემლობა „რაეო“.
28. დაუშვილი რ. (2006). „საქართველოს დამხმარე ამერიკული ორგანიზაციები XX საუკუნის 20-იან წლებში.“ *ამერიკის*

- შესწავლის საკითხები*. რედ-ები. კატარავა ვ., ფიშკინი შ. ფ., მეძმარიაშვილი ე., ჩიკვაძე ც. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „კლიო“.
29. დაუშვილი რ. (2008). „ქართველი მრეწველები ამერიკაში.“ *ამერიკის შესწავლის საკითხები*. რედ-ები. კატარავა ვ., მეძმარიაშვილი ე., ფიშკინი შ. ფ. ტ. V. თბილისი: გამომცემლობა „კლიო“.
 30. დონაური (ნოზაძე ვ.). (1951). „ამერიკის შეერთებული შტატები და ემიგრაციაში მუშაობა“: ჟურნალი „*მაძული*“, 3. ბუენოს-აირესი.
 31. დოს პასოსი 1988 – Dos Passos J. (1988). *The Major Non-fictional Prose*. Edited by Donald Pizer, Wayne State University Press.
 32. ელაშვილი ქ. (2004). ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“. მოძიებულია 7 ივნისს, 2013. <http://www.nplg.gov.ge>
 33. ვარდანი ბ. (ნოზაძე ვ.). (1968). „ახალი საქართველოს – რესპუბლიკა“: ჟურნალი „*კავკასიონი*“, XIII. პარიზი.
 34. ვაშაძე დ. (1976). „ჩვენი ვიქტორი“: ჟურნალი „*კავკასიონი*“, XVIII. პარიზი.
 35. ვაჟა-ფშაველა (1964). ტ. IX. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
 36. ვილსონ 1966 – Wilson W. (1966). *An Address to a Joint Session of Congresses*. April 2, 1917, in Artur S. Link, ed. "The Papers of Woodrow Wilson". Princeton University press, vol.41.
 37. ზალდასტანიშვილი ს. (1989). *საქართველოს 1924 წლის ამბოხება*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
 38. თაყაიშვილი ე. (1991). *ემიგრანტული ნაშრომები*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
 39. თაყაიშვილი ე. (1999). წერილები თამარ და აკაკი პაპავებს. *რვეული პირველი*. თბილისი: პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.
 40. იელიჩკა ი. (1963). წერილები: ჟურნალი „*მნათობი*“. თბილისი.

41. იმედაშვილი ი. (1912, სექტემბერი 8). თეატრი და ხელოვნება. „სახალხო გაზეთი“.
42. იმედაშვილი გ. (1968). *ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
43. იმნაიშვილი მ. (1976). ვიქტორ ნოზაძე: ჟურნალი „კავკასიონი“, XVIII. პარიზი.
44. კალანდაძე შ. (1976). ვიქტორ ნოზაძის ხსოვნისათვის: ჟურნალი „კავკასიონი“, XVIII. პარიზი.
45. კახაბერი (პაპავა აკ.). (1951). კიდევ ერთი ოცდაექვსი მაისი: ჟურნალი „მაშული“, 2. ბუენოს-აირესი.
46. კახაბერი (პაპავა აკ.). (1966). „მადლიანი მწხრეკელი“ (ბიბლიოგრაფიის მაგიერ): ჟურნალი „კავკასიონი“, XI. პარიზი.
47. კელაი ს. (2007). *მასალები პირადი არქივიდან*. თბილისი: გამომცემელი იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“.
48. კობიაშვილი ნ. (2004). ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის“ ბელისმეტყველებისათვის. მოძიებულია 7 მაისს, 2013. <http://www.litinstiutige>
49. კუპრეიშვილი ნ. (1987, ნოემბერი 27). ვ. ნოზაძის წერილები დ. ცქვიტინიძესთან. „ლიტერატურული საქართველო“.
50. ლაშაური მ. (კუჭუხიძე მ.). (1951). ლექსი „მშობლიურ ქოხში“: ჟურნალი „მაშული“, 4. ბუენოს-აირესი.
51. ლაშაური მ. (კუჭუხიძე მ.). (1952). ლექსი „სიზმარი“ : ჟურნალი „მაშული“, 5. ბუენოს-აირესი.
52. ლორთქიფანიძე გრ. (1995). *ფიქრები საქართველოზე*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
53. მახარაძე მ. (2013). *ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია*. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
54. მეგობარი (პაპავა თ.). (1960). „მცირე არელი“ „1500 წლოვან თბილისს“ (ლექსები და წერილები). სანტიაგო დე ჩილე: მერაბაშვილის გამომცემლობა.
55. მეგრელიძე ი. (1989). *ექვთიმე თაყაიშვილი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
56. მეგრელიძე ი. (1998). *ვეფხისტყაოსანის სიყვარული მავალებს*. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“.

57. მელუა მ. (1976). ქართული მწერლობის დიდი მოამაგე: ჟურნალი „კავკასიონი“, XVIII. პარიზი.
58. მოძველი (ნოზაძე ვ.). (1953). მოგონება: ჟურნალი „მაშული“, 6. ბუენოს-აირესი.
59. მხეიძე ალ. (1912, აპრილი 7). წერილი იურიევიდან. გაზეთი „სახალხო გაზეთი“.
60. ნათაძე ნ. (1984). ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
61. ნაცვლიშვილი პ. (1997, ოქტომბერი 4 (21)). ახლობელი არგენტინა: გაზეთი „სამშობლო“.
62. ნაცვლიშვილი პ. (2009). ახლობელი არგენტინა: სამეცნიერო და ლიტერატურულ-პუბლიცისტური აღმანახი „სამშობლო“. რედ. პაატა ნაცვლიშვილი. 1. თბილისი: პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.
63. ნაცვლიშვილი პ. (2013). თამარ პაპავა ჩემი კრიალოსანი: სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“. რედ. ოთარ ჯანელიძე. თბილისი: პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.
64. ნიკოლეიშვილი ა. (1994). XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. ტ. I. ქუთაისი: გამომცემლობა „მოწამეთა“.
65. ნიკოლეიშვილი ა. (2006). ქართული ემიგრანტული მწერლობა. ქუთაისი: გამომცემლობა ქუთაისის უნივერსიტეტი.
66. ნიკოლეიშვილი ა. (2010). ქართველოლოგიური ეტიუდები, I. ქუთაისი: ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
67. ნიშნიანიძე რ. (2005). საქართველო – სამანს „აქეთ“ და სამანს „იქით“. თბილისი: გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი.
68. ნიშნიანიძე რ. (2008). „მხატვრული სახისმეტყველების ერთი ასპექტი ქართულ ემიგრანტულ პროზაში“: ამერიკის შესწავლის საკითხები. რედ-ები. კაჭარავა ვ., მეძმარიაშვილი ე., ფიშკინი შ. ფ. ტ. V. თბილისი: გამომცემლობა „კლიო“.
69. ნიშნიანიძე რ. (2009). უჩვეულო ლიტერატურული პერსონაჟი: სამეცნიერო და ლიტერატურულ-პუბლიცისტური აღმანახი „სამშობლო“. რედ. პაატა ნაცვლიშვილი. 1. თბილისი:

პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.

70. ნიშნიანიძე რ. (2013). ქართველი გენერლების ლიტერატურული ტექსტები: სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“. რედ. ოთარ ჯანელიძე. თბილისი: პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.
71. ნიჟარაძე მ. (2005 ა). *ქუთაისის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება პერიოდული პრესის მიხედვით (1908-1911)*. ქუთაისი: გამომცემლობა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
72. ნიჟარაძე მ. (2005 ბ). *ლიტერატურული წერილები*. ქუთაისი: გამომცემლობა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
73. ნოზაძე ვ. (1938). თამარ პაპავას ესეები: ჟურნალი „ქართლოსი“. პარიზი.
74. ნოზაძე ვ. (1964). მოწამეთობა: ჟურნალი „კავკასიონი“, IX. პარიზი.
75. ნოზაძე ვ. (1954). *ვეფხისტყაოსანის განკითხვანი. ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება*. ბუენოს-აირესი: გამოცემა ვ. ნოზაძისა.
76. ნოზაძე ვ. (1957 ა). *ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება*. სანტიაგო დე ჩილე: გამოცემა ავთანდილ მერაბაშვილისა.
77. ნოზაძე ვ. (1957 ბ). *ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება*. სანტიაგო დე ჩილე: გამოცემა ავთანდილ მერაბაშვილისა.
78. ნოზაძე ვ. (1958). *ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება*. სანტიაგო დე ჩილე: გამოცემა ავთანდილ მერაბაშვილისა.
79. ნოზაძე ვ. (1951). ქართული საზოგადოების ცხოვრება არგენტინაში: ჟურნალი „მაშული“, 3. ბუენოს-აირესი.
80. ნოზაძე ვ. (1951). მამა ფილიპე დე რეჟის: ჟურნალი „მაშული“, 4. ბუენოს-აირესი.
81. ნოზაძე ვ. (1952). გრიგოლ ფერაძე: ჟურნალი „მაშული“, 4. ბუენოს-აირესი.
82. ნოზაძე ვ. (1953). არგენტინის ახალშენის ცხოვრება: ჟურნალი

- ლი „მამული“, 6. ბუენოს-აირესი.
83. ნოზაძე 1957 – Nosadze V. (1957). *LA SIGNIFICACION DE LA ASTRONOMIAY ASRTOLOGIA EN EL EPOS HEROICO GEORGIANO DEL SIGLO XII por SCHOTHA RUSTHAVELI "EL CABALLERO DE LA PIEL DE TIGRE"*. santiago de chile.
 84. ნოზაძე ვ. (1966). შოთა რუსთაველს: ჟურნალი „კავკასიონი“, XI. პარიზი.
 85. ნოზაძე ვ. (1976). იოსებ ოცხელის დაბადებიდან ასი წლის გამო: ჟურნალი „კავკასიონი“, XII. პარიზი.
 86. ნოზაძე ვ. (1976). ჩემი ძმა ვიქტორი: ჟურნალი „კავკასიონი“, XVIII. პარიზი.
 87. ნოზაძე ვ. (1964). აკაკი პაპავა – მოწამეთობა: ჟურნალი „კავკასიონი“, IX. პარიზი.
 88. ნოზაძე ვ. (1981). ვეფხისტყაოსანის სიბრძნისმეტყველება: ჟურნალი „კავკასიონი“, XX. პარიზი.
 89. ნოზაძე ვ. (1981). კაცი ვარ ადამიანი: ჟურნალი „კავკასიონი“, XX. პარიზი.
 90. ნოზაძე ვ. (1989). „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი“.
 91. ნოზაძე ვ. (2004). *ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
 92. პაპავა აკ. (1964). მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის: „ბედი ქართლისა“. 47. პარიზი.
 93. პაპავა აკ. (1962, თებერვალი). ქართულ სათვისტომოში „არგენტინა. (ბუენოს-აირესი)“. „ქართული აზრი“. ნიუ-იორკი.
 94. პაპავა აკ. (1968). ნოე ჟორდანიას დაბადებიდან 100 წლის-თავი (1868-1968) ჩვენი პრეზიდენტი: ჟურნალი „კავკასიონი“, XIII. პარიზი.
 95. პაპავა აკ. (1951). საქართველოს დიპლომატიური გამარჯვება 1783 წ. (ისტორიული ნარკვევები): ჟურნალი „მამული“, 1. ბუენოს-აირესი.
 96. პაპავა აკ. (1951). საქართველო რუსეთის იურიდიული ურთიერთობა: ჟურნალი „მამული“, 1. ბუენოს-აირესი.
 97. პაპავა აკ. (1951). საქართველოს სამეფოს უკანასკნელი ამბე-

- ბი: ჟურნალი „მაშული“, 2. ბუენოს-აირესი.
98. პაპავა აკ. (1951). ქართული თეატრის სათავეებთან: ჟურნალი „მაშული“, 3. ბუენოს-აირესი.
 99. პაპავა აკ. (1951). ერთი ისტორიული თარიღის გამო: ჟურნალი „მაშული“, 3. ბუენოს-აირესი.
 100. პაპავა აკ. (1951). საქართველოს საკითხი და რუსეთის სახელმწიფო საბჭო: ჟურნალი „მაშული“, 4. ბუენოს-აირესი.
 101. პაპავა აკ. (1952). საქართველო და რუსეთი: ჟურნალი „მაშული“, 5. ბუენოს-აირესი.
 102. პაპავა აკ. (1955). „ბაბუტას ლექსები“. ბუენოს-აირესი.
 103. პაპავა აკ. (1956). „უცხო ჭიშკართან“. ბუენოს-აირესი.
 104. პაპავა აკ. (1960). „1500 წლოვან თბილისს“ (ლექსები და წერილები). სანტიაგო დე ჩილე: ავთანდილ მერაბაშვილის გამოცემა.
 105. პაპავა აკ. (1962). „მოწამეთობა“. ნიუ-იორკი.
 106. პაპავა აკ. (1966). ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი „მადლიანი მჩხრეკელი: ჟურნალი „კაკკასიონი“, XI. პარიზი.
 107. პაპავა აკ. (1964). მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის: ჟურნალი „კაკკასიონი“, IX. პარიზი.
 108. პაპავა აკ. (1960 ა). „ფიქრები ძველ და ახალ ქართულ კრიტიკაზე“, „1500 წლოვან თბილისს“ (ლექსები და წერილები). სანტიაგო დე ჩილე: მერაბაშვილის გამომცემლობა.
 109. პაპავა აკ. (1960 ბ). აღთქმა ფარდასთან გამო, „1500 წლოვან თბილისს“ (ლექსები და წერილები). სანტიაგო დე ჩილე: მერაბაშვილის გამომცემლობა.
 110. პაპავა აკ. (1960 გ). ფიქრები თბილისზე და მის მწერლობაზე, „1500 წლოვან თბილისს“ (ლექსები და წერილები). სანტიაგო დე ჩილე: მერაბაშვილის გამომცემლობა.
 111. პაპავა აკ. (1956). "Mea Culpa", ლექსების კრებული „უცხო ჭიშკართან“. ბუენოს-აირესი.
 112. პაპავა აკ. (1978). ლექსი „რა მიყვარს შენში?“. ჟურნალი „კაკკასიონი“, XIX. პარიზი.
 113. პაპავა თ. (1990). დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. რედ. რუსუდან ლოლაძე. მეორე გამოცემა. თბილისი: გამომცემლო-

- ბა „მერანი“.
114. პაპავა თ., პაპავა ა. (1956). *მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი*. ბუენოს-აირესი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
 115. პაპავა თ. (1990). *დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში*. რედ. ლალი ჩიტიშვილი. მესამე გამოცემა. თბილისი: თეატრალური ხელოვნების პროპაგანდის ცენტრის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება.
 116. პაპავა თ. (1968). 26 მაისი ჩვენთან: ჟურნალი „კავკასიონი“, XIII. პარიზი.
 117. პაპავა თ. (1967). ერთად შეკრული აკალდამა: ჟურნალი „კავკასიონი“, XII. პარიზი.
 118. პაპავა თ. (1951). მადლიანი შრომა: ჟურნალი „მაშული“, 3. ბუენოს-აირესი.
 119. პაპავა თ. (1952) და (1953). იმერეთის უკანასკნელი ამბები და დედოფალი მარიამი: ჟურნალი „მაშული“, 5, 6. ბუენოს-აირესი.
 120. ჟორდანიას ნ. (1990). *რჩეული წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“.
 121. რამიშვილი ა. (2000). *ჩვენი შეცდომები 1918-1921*. თბილისი: ასოციაცია „მესამე ასაკი“.
 122. რობაქიძე გრ. (2012). *თამარ და აკაკი პაპაევები*. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა ლიტერატურული მუზეუმი.
 123. რობაქიძე გრ. (1964). გრიგოლ რობაქიძის ზოგი წერილი აკაკი პაპავას მიმართ: ჟურნალი „კავკასიონი“, X. პარიზი.
 124. რობაქიძე გრ. (2012). *„გრიგოლ რობაქიძის ნაწერები“* (პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა) ტ. 4. თბილისი: ლიტერატურული მუზეუმის გამომცემლობა.
 125. სალარაძე დ. (1952). სათეატრო ენციკლოპედიის გამოცემის გამო: ჟურნალი „მაშული“, 5. ბუენოს-აირესი.
 126. სარჯველაძე პ. (1965). აკაკი პაპავას ხსოვნას. „ცნობის ფურცელი“, 2. პარიზი.
 127. სინდიკელი მ. (1964). აკაკი პაპავა. „ქართული აზრი“. 74. ნიუ-იორკი.
 128. სიგუა ს. (1997). *მარტვილი და ალამდარი*. ტ. I. თბილისი:

- გამომცემლობა „დიდოსტატი“.
129. სიგუა ს. (2002). *ქართული მოდერნიზმი*. თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“.
 130. სირაძე რ. (1982). *სახისმეტყველება*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
 131. სულაძე გ. (2012). *ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები*. თბილისი: გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“.
 132. სურგულაძე ა., სურგულაძე პ. (1991). *საქართველოს ისტორია 1780-1990*. თბილისი.
 133. ტორეს-რიოსეკო ა. (1983). *იბერიული ამერიკის დიდი ლიტერატურა*. თბილისი: გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი.
 134. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი* (1973). თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
 135. ფირცხალავა ს. (2012). *წერილები თამარ და აკაკი პაპავებს*. თბილისი: პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.
 136. ფირცხალავა ს. (1935). *ამბავთა და საქმეთა მოლოდინში*. პარიზი: დ. ხელაძის გამომცემლობა.
 137. ქავთარაძე მ. (1976). როგორ მუშაობდა ვიქტორ ნოზაძე: ჟურნალი „კავკასიონი“, XVIII. პარიზი.
 138. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია* (1975). ტ. I. თბილისი: საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა.
 139. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია* (1978). ტ. III. თბილისი: საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა.
 140. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია* (1979). ტ. IV. თბილისი: საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა.
 141. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია* (1984). ტ. VII. თბილისი: საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა.
 142. ქეიბური (პაპავა აკ.). (1951). „1801 წლის შემდგომ გარდახვეწილ ბატონიშვილთა პოეზია“: ჟურნალი „მამული“, 1. ბუენოს-აირესი.
 143. ქორიძე დ. (1961). *სახელოვანი ქართველი ქალები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

144. შავიშვილი ხ. (1953). მოგონება: ჟურნალი „მაშული“, 6. ბუენოს-აირესი.
145. შათირიშვილი ალ. (1964). აკაკი პაპავას. ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 41. პარიზი.
146. შარაძე თ. (1973). *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
147. შარაძე გ. (1984). *ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
148. შარაძე გ. (1986). *საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
149. შარაძე გ. (1990). *ფრანგული დღიური*. თბილისი: საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობა.
150. შარაძე გ. (1991). *უცხოეთის ცის ქვეშ*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
151. შარაძე გ. (1992). *ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით*. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“.
152. შარაძე გ. (1993). *უცხოეთის ცის ქვეშ*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
153. შარაძე გ. (1993). *უცხოეთის ცის ქვეშ*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
154. შარაძე გ. (2001). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. I. თბილისი: სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“.
155. შარაძე გ. (2001). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
156. შარაძე გ. (2003). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
157. შარაძე გ. (2003). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
158. შარაძე გ. (2004). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. V. გამომცემლობა „მეცნიერება“.
159. შარაძე გ. (2005). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

160. შარაძე გ. (2005). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. VII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
161. შარაძე გ. (2005). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. VIII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
162. ჩიტაური ნ. (2007). დაკვირვებანი XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის თავისებურებებზე: ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“. რედ. მაკა ელბაქიძე. XXVIII. თბილისი: გამომცემლობა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
163. ჩიხლაძე ნ. (1990). *ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“.
164. ცქვიტინიძე დ. (1987, ნოემბერი 27). ვიკტორ ნოზაძის წერილები. „ლიტერატურული საქართველო“.
165. წერეთელი მ. (1990). *ერი და კაცობრიობა*. თბილისი: გამომცემლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
166. წერეთელი მ. (2012). *წერილები თამარ და აკაკი პაპაევებს*. თბილისი: პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.
167. წოწკოლაური დ. (2011). ვაჟა-ფშაველა ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების ბუნებრივი საწყისების შემფასებელი: სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი „სამი საუნჯე“. რედ. გრიგოლ რუსაძე. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა შპს „სამი საუნჯე“.
168. ჭავჭავაძე ი. (1961). ტ. X. თბილისი: საქ. სსრ. სახელმწიფო გამომცემლობა.
169. ჭეიშვილი ლ. (1968). ლექსები „განმორებისას“, „ფიქრი შებინდებისას“. ჟურნალი „კავკასიონი“, XIII. პარიზი.
170. ჭეიშვილი ლ. (1968). „პატარა მოგონება“: ჟურნალი „კავკასიონი“, XIII. პარიზი.
171. ჭეიშვილი ლ. (1972-73). ლექსი „ჩვენს ვიკტორს (ჩვენს ოჯახის მეგობარს)“. ჟურნალი „კავკასიონი“, XIV. პარიზი.
172. ჭეიშვილი ლ. (1976). ლექსი „ცხოვრების ფურცლები“. ჟურნალი „კავკასიონი“, XVIII. პარიზი.
173. ჭეიშვილი ლ. (1978). ლექსები „ლეგენდა“, „მაყვალას“. ჟურნალი „კავკასიონი“, XIX. პარიზი.

174. ჭეიშვილი ლ. (მეცნიერი, პოეტი) (1964-1990). პირადი წერილები. ბუენოს-აირესი.
175. ჭეიშვილი ს. (2007). *თეატრალური შტუდიები*. ქუთაისი: სტამბა „ხომლი ენ“.
176. ჭილაია ა. (1971). *ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
177. ხელაია მ. (1986). *ქართული ლიტერატურული ესსე*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
178. ჯაფარიძე ლ. (1974-1975). პირადი წერილები. ბუენოს-აირესი.
179. ჯავახიშვილი ივ., სურგულაძე პ., პროფ. ლისტი. (1989). *ისტორიული რარიტეტები*. თბილისი: საქ. სსრ. გამომცემლობა.
180. ჯორჯაძე ა. (1990). *სამშობლო და მამულიშვილობა*. თბილისი: გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი.

ბ) წყაროები:

181. ზდანოვიჩი გ. (1772). წერილები. – 1772. ფ.2; 423. ქუთაისი: სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.
182. ზდანოვიჩი გ. (1990). წერილები. – ფ. 1990 წ. 4; ქუთაისი: სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.
183. ზდანოვიჩი გ. (2012). წერილები. – 2012 ფ. 2. ქუთაისი: სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.
184. კოკოჩაშვილი გ. (1959). წერილები. – 2-211/380. ქუთაისი: სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.
185. პაპავა აკ. (1964, ივნისი). პატოსანი და ძვირფასი თვლები. „*ქართული აზრი*“, №65-66, ნიუ-იორკი. – ფ.278. ს. 146. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.
186. პაპავა აკ. (1962). ლექსები „*მოწამეთობა*“. შესავლის მაგიერ

- „მოწამეთობის“ გამო. ნიუ-იორკი.–ფ.278. ს.43. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.
187. პაპავა აკ. (1963, აგვისტო). „ოცდაექვსი მაისის ურღვევი პალატა“. „ქართული აზრი“. № 57-58. ნიუ-იორკი. გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.
188. პაპავა აკ. (1961). „სამარცხენო იუბილე“. „ჩვენი გზა“, №5. ნიუ-იორკი. (ინგლ. ენაზე) – ფ.278. ს. 126. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.
189. პაპავა აკ. (1961). წერილები. – ფ. 19044; 26964; 29044. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.
190. პაპავა თ. (1961). წერილები. – ფ. 673. ს. 28103. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.
191. რობაქიძე გრ. (1984). *სათავენი ჩემი შემოქმედებისა, წერილი აკაკი პაპავას*. მიუნხენი. (კარლო ინასარიძის გამოცემა) – ფ. 278.ს. 48. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.
192. „ქართველი ერი“ (1955). №1, ნიუ-იორკი. – ფ.273. ს.136. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.



www.mtsignobari.ge

დაიბეჭდა შპს „მნიენობარის“ სტამბაში
0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #40

მარიამ მარჯანიშვილი



დაიბადა 1983 წლის 26 მაისს.

2005 წელს დაამთავრა თსუ-ს დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ბაკალავრია სპეციალობით - ანგლისტიკა.

2007 წელს – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი და მიენიჭა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2007 წელს – ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

2014 წელს – მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მარიამ მარჯანიშვილი არის ნიდერლანდების სამეფოს სერთიფიცირებული კინეზოთერაპეტი, თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის სამკურნალო პედაგოგიკის სერთიფიცირებული სპეციალისტი.

2001-2009 წლებში იყო საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის ბავშვთა ფონდის წყალტუბოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, წყალტუბოს პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი, წყალტუბოს აიპ „სამუზეუმო გაერთიანების“ დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

2009 წლიდან ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ისტორიული კოლექციების ასისტენტ-რეგისტრატორი.

2010 წლიდან პროექტი WEPD – „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის საქართველოში“ – ფონდი „ტასოს“ მობილიზატორი.

2013 წელს დაჯილდოვდა თსუ-ს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) სიგელით.

2004-2009 წწ. – ინტეგრაციის თემაზე სამი პროექტის ხელმძღვანელი.

2010-2014 წწ. – ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს პროექტების: „ქართული დემოკრატია: მითი თუ რეალობა“ და „განმანათლებლობა საქართველოში: იდეები და აქტორები“-ს მონაწილე.

2008-2014 წლებში სამი მონოგრაფიის: „ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში“; „მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი“; „ლეო ქვიშვილი – არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი“ და 50 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 30 ნაშრომი გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

იგი ასევე არის სამი სამეცნიერო კრებული რედაქტორი და მრავალი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების ავტორი.

მარიამ მარჯანიშვილის სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროებია: XIX-XX სს. ქართული ინტელიგენციის კულტურული იერსახე, ფემინიზმი და გენდერი, ქართული დემოკრატია, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპასა და ამერიკაში.

ISBN 978-9941-450-50-1

